

377/2



# ბუნებისმეტყველება

5

1977



# ენათობი

სოციალისტური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივი-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე

№ 5

მაისი, 1977 წ.

საპარტვილოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

გაზრატ შინაარსი — უკანასკნელი შინაი. ჯომანი. ვაგრაძელება. თარგმ. თამარ ზაქარაიძე	3
ვახტანგ ჯაფარიანი — ლექსები	46
გურამ კახიანი — ბუნების. მოთხრობა	52
გიორგი მარტოვი — ლექსები	69
დავით მამულაძე — ლექსები	75
რევაზ მთავარი — მოთხრობა	78
ვანო მთავარი — ლექსები	92
გრიგოლ ნინოშვილი — შიშა. ჯომანი. დასასრული	96
მოდარ აბიშვილი — ლექსები	191
თათარ კუპრავა — სირიატონის ტყის სიზმარი. ჯომანი. ვაგრაძელება	123

### ცხოვრებისეულ კრებულში

ინფორმაცია და მკვლელობა	144
-------------------------	-----

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ინფორმაციული მუშაობა, რედაქციის მუშაობა — მართლმადიდებლური საბჭოთა მწერლები და ლიტერატურული კრიტიკის მუშაობა	154
ლევან მარია — შიშა ფართალი ანტიფორმი და მართლმადიდებლური პრინციპები	164
ვლადიმერ მარიაშვილი — ლიტერატურული მუშაობის სახელი	173

### ფაქტები, მოვლენები

ალექსანდრე ბაბიანი — მოვლენები კომუნისტურების	176
მარია მარიაშვილი-მარია — მოვლენები ვალერიან გუბინინის ხსენებით	183

საბჭოთა კავშირის  
საბჭოთა მწერლების  
კავშირის  
მწერების

23466



მთავარი რედაქტორი ვიორჰო ნატროშვილი

საკრედიტო კოლეჯი:

მ. ბაბუშიძე, რ. ავაშვილი (პ/მე მდიანი), ხ. ბერუაშვილი, მ. კვიციანი, მ. ლაბინაძე, ლ. მარტოვილი, ა. ნულაგაძე, ა. ქუთათელი, ხ. შანთიაშვილი, დ. შინგალია, ნ. წულუხიძე, ვ. წულუკიძე, მ. გილაძე, ბ. ხარაბაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპოვნები

რედაქციის მხარობით:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11, პ/მე. მდიანის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 25/III-77 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 19/IV-77 წ., ანაწილების ზომა 7 1/4 x 12, ქაღალდის ფორმატი 70 x 108/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდრ.-საგამომცემლო თბილისი 16,58.

№ 00022. ტირაჟი 13,900. შეფ. 1071. საქ. კბ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

## უკანასკნელი უბისი

რომანი

### ბჭობა შაბლის ხის სახლში

საბჭო, ან, როგორც შემდეგ თურქეთში შევეჩვიეთ, მეჯლისი, ჩვენთან, უბისების ქვეყანაში ცამეტი კაცისგან შედგებოდა. ამას ემატებოდა კიდევ ორი წარმომადგენელი აფხაზი ტომების — საზებისა და ახჩიფსებისაგან, რომლებიც მაშინ ჩვენ უფრო გვემხრობოდნენ, ვიდრე აფხაზებს.

თვით უბისების ქვეყანა ცამეტ ნაწილად იყოფოდა თურქეთის ვილაეთებით. ვინც თვითვე ამ ნაწილს განაგებდა, ის საბჭოშიც შედიოდა. ჩვენგან შარდინ ალოუს ძე იყო წარმომადგენელი. ამათ გარდა კიდევ ორი კაცი შედიოდა საბჭოში: საპატქერი და მუსა. მუსა მაშინ ყველაზე უფრო ნაწილად იყო მეგონა. ახლა კი ვხვდები უბრალოდ უბისებს შორის წერა-კითხვის ყველაზე უფრო კარგი მცოდნე იყო მხოლოდ. იქდა და ყველაფერს წერდა, რაც საბჭოზე გადაწყდებოდა. მისი ხმა არასოდეს გამეგონა, მუდამ ჩუმად იყო. თავჩაღუნული მიუჯდებოდა პატარა სამკუთხა მაგიდას, უამრავი კალამი რომ ეწყო ზედ, ხან ერთს აიღებდა, ხან მეორეს და არაბული ასოებით, მარჯვნიდან მარცხნივ პირწმინდად იწერდა ყველაფერს.

საბჭო სოფელ მითხაში იკრიბებოდა, სადაც ჰაჯი კერანტიხი და ბერუკების მთელი საგვარეულო ცხოვრობდა. ზაფხულობით საბჭო ნახევარწრედ შემოჯარული მუხების ჩრდილში იკრიბებოდა, ზამთრობით კი შეერთებული ძალით აშენებულ წაბლის ხის სახლში.

ამ წაბლის სახლში გადაწყდა უბისების თურქეთს გადასახლება, რამაც ბოლოს და ბოლოს იმ ზომამდე მიგვიყვანა, რომ მე უკანასკნელი ვარ, ვისაც შეუძლია უბისურ ენაზე გელაპარაკოს.

გაზაფხული ახალი დამდგარი იყო, წინა დღეს ისევ ყინავდა. დამე კოკისპირული წვიმა მოვიდა და ისევ წვიმდა, რომ დილას აქა-იქ, ხრამებშიღა თუ იყო შემორჩენილი ჭუჭყიანი თოვლის ნაგლეჯები წვიმის მერე ცამოკრიალდა, მაგრამ სანამ ჰაჯი კერანტიხი და მე წაბლის სახლთან მივიდოდით, ისევ დაიწყო თოვლშერეულმა წვიმამ ცრა.

სხვა დროს ასეთ ამინდში ცხვირსაც არავინ გამოჰყოფდა გარეთ, იმ დილას კი წაბლის ხის სახლის გარშემო ასობით კაცი ირეოდა, ისეთი ნალვლიანი სახეები ჰქონდათ თითქოს დაკრძალვამდე არიანო.

წაბლის სახლს რომ მიუახლოვდა, ჰაჯი კერანტიხი აჩქარდა. საბჭოს სხვა

წვერები უკვე ელოდებოდნენ და ყველანი უკან მიჰყვნენ.

ყველაფერი კარგად მახსოვს და ყველაფერს დაწვრილებით ვიამბობ, რაც იქ მოხდა. ჰაჯი კერანტიხი ცალკე იჯდა დიდ სავარძელში, დანარჩენები კი ვრძელ სკამებზე ისხდნენ მარცხნივ და მარჯვნივ. ზურგს უკან უსწავლელი, მაგრამ ჰკვიანური სიტყვითა და ბრძნული რჩევებით სახელგანთქმული კაცები ედგნენ. მათ შორის საულაპიც იყო, ჩვენი სალოცავის ბითხას მცველი.

ჰაჯი კერანტიხი დიდხანია, ყველასგან საბჭოს თავმჯდომარედ იყო არჩეული და აღიარებული და მეც, როგორც მის პირად მცველს, უფლება მქონდა დავსწრებოდი სხდომას. მოშორებით ვედექი ხოლმე უკან.

იმ დილას ყველაზე ბოლოს მოლა საპატრიარქო შევიდა წაბლის სახლში. ნელა მიდიოდა, ისე ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს თავზე მალალი ჩაღმა კი არა, წყლით სავსე თასი დგმოდეს. ისე წაიარა, არავისთვის შეუხედავს და ჰაჯი კერანტი ხის გვერდით დაჯდა.

საზეზისა და ახჩიფსების წარმომადგენელთა ადგილები ცარიელი იყო, საბჭოზე არ მოვიდნენ. სამაგიეროდ იქ იყო ყველა: ბრძენი, მოხუცი და ვისაც საერთოდ სიტყვის წარმოთქმის უფლება ჰქონდა. ისინი ჭკუფად იდგნენ საბჭოს წვერების უკან. ჰაჯი კერანტიხის უცქეროდნენ და მღუქმარედ ელოდნენ, რით დაიწყებდა სხდომას. ჰაჯი კერანტიხმა ისე სწრაფად იცოდა ხოლმე სხდომის დაწყება, თითქოს თოდის გასროლა უნდა მოასწროსო ყველას. იმ დღით კი დიდხანს დგმდა, ხელისგულებით მუხლებს დაყრდნობოდა და იტაკს ჩასცქეროდა. უძილობისაგან თვალები შეშუპებოდა. როგორც იქნა თავი ასწია, ყველანი შეათვალა; სწრაფად წამოდგა, შავი ბოხონი კეფაზე გადაიწია. ორივე ხელი თავისი დიდი ხნაქლის ტარს ჩამოაღო და თქვა:

— ომის ამბავი როგორაა, უკვე

იცით და გუშინდელ ნათქვამს ველარაფერს დავამატებ. რუსები ყოველი მხრიდან გვიტყვენ. ახლა მარტო ზღვიდან კი არა, ჩრდილოეთიდანაც სულ ახლოს მოვიდნენ. ეს უკვე ლამით მომახსენეს ჩვენმა მზვერავებმა. თქვენი თანხმობიდან მესამე დღეს ვენერალ გვიმანთან ვავგზავნე მოსალაპარაკებლად ჩემი მკვიდრი ბიძა და დღემდე არაფერი ვიცით მის შესახებ. ვინ იცის იქნებ მოჰკლეს კიდევ, ან ტყვედ წაიყვანეს. ცარიელ ადგილებს კი თვითონაც ხედავთ, სახეები და ახჩიფსები ალბათ იმიტომ არ მოვიდნენ, რომ მერყეობენ.

ჩვენმა მეზობელმა შაფსიღებმა, როგორც უკვე ნახეთ, ამდენი ხნის ბრძოლის შემდეგ იარაღი დაჰყარეს. ნატუხელები ზღვის იქით ესახლებიან, დანარჩენები კი მერყეობენ. ვიმედოვნებ რომ ფსუხებში, დალელები და წებულდელები მოცემულ სიტყვას არ უღალატებენ და მოსაშველებლად მოვლენ, თუ ჰამუთბეი ჩაჩამ არ შეუშალათ ხელი. ვანა საჭიროა იმის ვახსენება, რომ ასეთი შიშე დღე უბიძებს არასოდეს ჰქონიათ? უბიძები გველოდებიან, რას გადავწყვიტოთ, საით წავიყვანთ მათ. ჰოდა, გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ, დავვიანება აღარ შეიძლება, დრო არ ითმენს.

ჰაჯი კერანტიხმა ძლიერი და ქუსი მზერა მოავლო ყველა იქ მყოფს და ისევ დაჯდა. ხელისგულებით ისევ მუხლებს დაეყრდნო და იატაკს ჩააცქერდა. ყველანი დიდხანს დგმდნენ და მე ვცდილობდი ვამომეცნო, ვინ ამოიღებდა პირველად ხმას. ვფიქრობდი იქნებ შარდინ ალოუს ძემ დაიწყოს-მეთქი ლაპარაკი, მას ხომ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა თურქეთს გამგზავრება, მაგრამ გაბედავდა კი, ხმამალა ეთქვა ეს აქ, ჰაჯი კერანტიხთან? თუ იტყოდა, ალბათ სისხლიც დაიღვრებოდა. ასე ვფიქრობდი და შარდინს, ალოუს ძეს მივჩერებოდი. ის კი ისე მშვიდად იჯდა ვითომაც აქ არაფერი იყო და თითქმის შავი წვერის ბოლოს იჩიჩავდა.

მოკლედ ვერ გამოვიცანი, ვინ ამოი-  
ღებდა ხმას პირველად.

მოლა საპატქერი წამოხტა უტბად  
ჯერ ხელისგულები შეაწვება ერთმან-  
ეთს, მეჩხერი წვერის წინ დაიკაფა და  
აკანკალებული ხმით ლოცვასავით წაი-  
მღერა:

— ო, ალაჰი ნუ მოგვაცლებ შენს წყა-  
ლობას, დაგვლოცე შენი ცოდვილი  
მონები, — შემდეგ გულხელი დაიკ-  
რიფა და ყველას თვალი მოავლო. კი-  
სერი დაიგრძელა, რათა ისინიც დაენა-  
ხა, ვინც უკან იდგნენ. — ბედისწერა  
დიდი ალაჰისაგან გვაწერია შუბლზე.  
შეიძლება სამუდამოდ არა, მაგრამ  
დროებით, ამ მიწის მიტოვება უწერია  
ჩვენს ხალხს. ასეთი ყოფილა ჩვენი  
ბედი და ბედის ურჩობა, როცა ის ალაჰის  
სურვილია — დიდი ცოდვაა! ვიპურები  
გვაიძულებენ ამ გზას დავადგეთ და ეს  
გზა უკიდევანო ზღვის გავლით თურ-  
ქეთში მიგვიყვანს, ნახევარი მსოფ-  
ლიოს მპყრობელი სულთანის კურთ-  
ხულ საბრძანებელში. ეს აღთქმული  
ქვეყანა სულთანის ბრძანებით ხელგა-  
შლილი იწვევს ყველა მუსლიმანს.  
მინდა გკითხოთ პატივცემულო საბჭოს  
წევრებო, რაკი ასეა, რაღას ვუდგე-  
ვართ აქ? რას ველოდებით? რუსეთის  
გენერლების ვერაგული განზრახვა —  
ჩვენი უტბანში გადასახლება მხოლოდ  
ზიზღს იწვევს. როგორ გავძლებთ ჩვენ  
მართლმორწმუნენი ვიპურების იმ  
ბუნავში? ვის ენდომება ჯოჯოხეთში  
შთავარდნა, როცა წინ ჭეშმარიტი სა-  
მოთხის გზა გვაქვს გახსნილი?

წაბღის სახლში შეკრებილთაგან  
ბევრისთვის ახალი არ იყო საპატქერის  
სიტყვები ასე ამკარად და ხმაძალა მას  
არასოდეს ეთქვა საბჭოზე, მაგრამ ხან  
ერთიან და ხან მეორესთან, რახანია,  
თურქეთში გადასახლებას ქადაგებდა.

შევნიშნე, რომ ზოგიერთს, ვისაც  
ადრე ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, კმა-  
ყოფილება გამოეხატა სახეზე, მაგრამ  
ყველა როდი იზიარებდა ამ აზრს.

პირველი ნაურიზ ბარაკათი ძე წამო-  
ხტა გველნაკებნივით, დაუოკებელი

ხასიათით რომ იყო ცნობილი. დაბალი  
იყო, მაგრამ ღონიერი და მკერდფარ-  
თო. ბოხოხი მოიგლიჯა და იატაკზე და-  
ხეთქა, შავი, სქელი თმა უკან გადაეყარა  
და გულის გამგმირავად წამოიძახა:

— ეს მამაკაცების კრება კი არა,  
ბებრუხუნებისა და მკითხავების თავ-  
ყრილობაა. რა გვიანდა სამი დღე რომ  
ვზივართ აქ და ვმკითხაობთ, როცა ნამდ-  
ვილი ვაეკაცები იმობენ? ბრძოლის  
ნაცვლად ისევ თუ უნდა ვიმარჩიელ-  
ოთ, მაშინ შერგვლები ვავიზადოთ და  
ქალის კაბები ჩავიცვათ, ღომი ვა-  
კეთოთ და გიპურების სუფრას ვემსა-  
ხუროთ. გლეხები უარს გვეუბნებიან  
გადასახადზე და იციან რატომ? იმი-  
ტომ რომ ჩვენ — თავადები მეომრე-  
ბი აღარა ვართ. ცხენის პატრონი სხვი-  
საგან არ ითხოვს ცხენს. ჩვენ ჩვენი  
მიწა გვაქვს და სხვისი რატომ უნდა  
ვითხოვოთ? ჩვენი სახლი აქაა და არა  
თურქეთისა და უტბანში, მხდალებს საცა  
უნდათ იქ წავიდნენ, მამაკები კი აქ  
დარჩებიან და იომებენ, სანამ თუნდ  
უკანასკნელ უბიხს ედგმება სული.

იატაკიდან ბოხოხი აიღო, გაბერტყა  
და გვერდით მოიღო.

— ნაურიზი სწორია, — გაისმა რა-  
მდენიმე ხმაძალალი წამოძახილი.

— მონები არც როდის ვყოფილ-  
ვართ და არც ვიქნებით, — დაიძახა  
მურათმა, ზირინდისს ძემ მალა-შალა-  
ლმა და გამხდარმა კაცმა. მას შავი  
წვერი და პირწმინდად გაპარსულყო  
თავი ჰქონდა, — ჩვენ თუ არ დავენე-  
ბდებით, ყველა გამოგვყვება ბრძოლა-  
ში.

— მოითმინეთ ვინც დაუფიქრებ-  
ლად წყვეტს საქმეს, ტყვიის გასრო-  
ლასაც ვერ ასწრებს, ისე ილუპება, —  
მშვიდად და ხმაძალა გაისმა მოხუ-  
ცი სითის სიტყვები. სითი ჩვენი ნა-  
თესავი იყო — ჩემი უფროსი მამი-  
დის ქმარი. გლეხები ჰკვიან და სამე-  
როთლიან კაცად მიიჩნევდნენ. მიწის  
საკითხისა და მკვლელობის ყველაზე  
სამინელი დავის გადასაწყვეტადაც კი  
იწვევდნენ ხოლმე. თვით პაჯი კერან-

ტიხიც კი უწევდა ანგარიშს მის აზრს. სითის ხმა რომ გაიგონეს, ყველამ მიისკენ მიიხედა, მაგრამ მას აღარაფერი დაუმატებია.

— შენ ბრძენი კაცი ხარ, სით, — უთხრა ჰაჯი კერანტიხმა, — და რაღა დაიწყე, განაგრძე, გავაგებინე რა აზრისა ხარ.

— ჩემი მოკლე ჰკუა ასეთ საქმეს ვერ გადაჭრის, — თქვა სითმა, — ჩემი სამი ვაჟი რუსებს ებრძვის და არ ვიცი რა სჭირთ, მაგრამ ცოცხლები თუ დაბრუნდნენ, ოთხივენი თქვენი გადაწყვეტილების მომხრენი ვიქნებოდა, როგორც არ უნდა იყოს იგი. ერთს კი გთხოვთ: ნუ აჩქარდებით, დაფიქრდით, არ შეცდეთ! ალიონსა და მწუხრს ერთმანეთში ნუ არევთ. ჩემს თვალს ვარდისფერი ალიონის ხილვა სწყურიათ და სისხლისფერი ცას კი სჭვრეტენ, ცივად რომ იცრემლება.

მხოლოდ დიდხნის შემდეგ ჩაუფიქრდი მოხუცი სითის ამ სიტყვებს. მაშინ მათთვის არ მცხელოდა, ორ კაცს მივჩერებოდა, ვისზეც ყველაზე მეტად იყო დამოკიდებული ჩვენი ბედი, ერთზე საერთოდ უბიხების ბედი და მეორეზე — ჩვენი ოჯახის ბედი.

შარდინი, ალოუს ძე. ჩუმად და მორიდებულად იჯდა. მისთვის თითქოს ყველაფერი სულერთი იყო, რაილა დიდხანია ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა.

ჰაჯი კერანტიხიც დუმდა. ის აუღებელ ციხესიმაგრედ მეჩვენებოდა, არასოდეს რომ არ ჩაბარდებოდა არავის. ამის თქმა ცოცხაა, მაგრამ იმ დღეს მე ალაჰზე უფრო ჰაჯი კერანტიხის მჯეროდა...

მოხუცი სითის სიტყვების შემდეგ ერთ წუთს დუმილი ჩამოწვა. მერმე აჰმეთი წამოდგა, ბარაკის ძე, დაუოკებელი ნაურბის უმცროსი ძმა. ისიც მძასავით ბეჭებგანიერი იყო, მაგრამ ისეთი მოხდენილი, რომ მაკრატლით გადაჭრიდა კაცი მის ვიწრო წელს. წერი მოკლედ ჰქონდა შეკვეცილი და შავი მათდის ჩოხიდან თოვლივით

ქათქათა აბალუხი მოუჩანდა, ვიცოდი, რომ ჰაჯი კერანტიხს სძულდა ეს კაცი, მაგრამ ფარავდა ამ სიტუაციას, ეშინოდა, ერთმანეთს რომ შეჯახებოდნენ, აჰმეთი შეიძლება რუსების მხარეს გადასულიყო.

აჰმეთმა, ბარაკის ძემ უცბად არ დაიწყო ლაპარაკი. ჯერ ხანჯლის მოვერცხლილ ქარქაშს გადაუსვა ხელი, შემდეგ ოქროს საათი ამოიღო, დახედა, სახურავი გაატაკუნა, ისევ შეინახა და მხოლოდ შემდეგ დაიწყო დახვეწილი, მაღალი და მკაფიო ხმით:

— უკვე დიდხანია ვდავობთ, როგორ მოვიქცეთ და იქამდე მივაღწიეთ, რომ ხმელ ტოტზე კვიდივართ უფსკრულის თავზე და უკვე ამ ტოტის პრიალიც გვესმის. ვინ არის დამნაშავე? ყველაზე მეტად თვითონ ჩვენ. მე არ შეშინია და ხმამალა ვიტყვი, რაც ყველასთვის ცხადია: არ უნდა დაგვეწყო ომი რუსეთის შეფის ურიცხვი ჯარის წინააღმდეგ. ჩვენი წინაპრებიცა და ჩვენც თვალმდახუჭული ვიბრძოდით, გვეშინოდა მტრის ძლიერების დანახვა და მისი შედარება საკუთარ ძალებთან.

— შენ რა, დღეს გაიღვიძე აჰმეთ, ბარაკის ძე? — ფეხზე წამომხტარმა უყვირა ჰაჯი კერანტიხმა. — შენ არ იყავი ჯერ კიდევ ჰაჯი ბერაქეის წინამძღოლობის დროს ყველაზე ხმამალა რომ მოუწოდებდი ხალხს ომისკენ? თვითონ შენ არ იყავი ინგლისსა და თურქეთს დახმარების სათხოვნელად? შენ არ მოგქონდა ჩვენთვის გემებით ზარბაზნები და იარაღი? დღეს კი რა ჩივილი ბავშვივით ლაპარაკობ?

— კურდღლევივით იქცევა, თავისი კვალის დაფარვას რომ ცდილობს! — დაიძახა საპატქერიმ.

აჰმეთი ბარაკის ძე გაუნძრევლად იდგა, სანამ არ შეწყდა ყვირილი და ბუზღუნა.

— შენ სწორი ხარ, ჰაჯი კერანტიხ, — თქვა მან, — მეც ისე ვცდებოდი, როგორც თქვენ. არც თქვენზე იშვიათად

გამიშიშვლებია ხმალი რუსების წინააღმდეგ და მიუხედავად ჩვენი სიმაჰაცისა, ყოველივე ეს მაინც დალუბვას გვიქადის. პირველი გასაროლის დღიდანვე დალუბვას გვიქადდა. ქვას ვახლიდით თავს ქვა მრთელი დარჩა და თავი კი გავვიტყდა. არ შეიძლება, ყველაფერი მართო მეფის გენერლებს რომ დავაბრახლოთ. იყო დრო, როცა ჩვენ, უბიხების ბელადებს მშვიდობიანი ურთიერთობა გვქონდა მათთან. მათგან ვიღებდით ოფიცრების ჩინსა და ხელფასს. შემდეგში კი სულთანის ძლიერების იმედით თვითონ დავიწყეთ რუსების წინააღმდეგ ბრძოლა. უბედურებაც სწორედ ისაა, რომ თვითონ სულთანს, ვინც თავისი უძლეველობის რწმენა ჩავვიტყვებდით და ვინც თავისი გულისთვის გვალერვივებდით სისხლს, ეშინია, ჩვენს დასაცავად რუსებთან ომის დაწყებისა. აი რატომ ვართ ასეთ განსაცდელში. ეს დიდი ხანია ვიცით და უნდა შევრიგებოდით რუსებს.

აქ ნაურისმა ველარ მოითმინა და შეაწყვეტინა თავის უმცროს ძმას:

— ჩვენში თუ ვინმეს გატეხია თავი, ეს შენა ხარ, — დაუყვირა მან, — შენ მოხვედი თავგატეხილი და უბადრულ რჩევას გვაძლევ — პატიება ვთხოვთ ვიურებს. იქნებ აქ დამსწრეთაგან სხვამაც მოიწონოს ეგ ლაჩრული რჩევა, მაგრამ ამაზე მიპასუხე, ძმავო აჰმეთ, მე და შენ, ერთი დედისაგან შობილნი როგორ უნდა შევუროგდეთ რუსებს? ვინ ააგო ჩვენი ორი ძმა ხიშტზე? ვინდა აიღოს იმათი სისხლი, თუ ჩვენ ვიურებს დავუმეგობრდებით? მამის სულს ვფიცავ, კიდევ თუ იტყვი ვიურებთან შერიგების მომხრე ვარო, ჩემი ხელით აგჩეხავ! ძმის სისხლში ნუ გამასვრევიანებ ხელს. წადი დაგეტოვე! ნახევრად ამოწედილი ჰქონდა ხანჯალი ნაურისს და ძლივს დააწოშმინეს.

— დამსარულებიანე სათქმელი, — მიმართა ჰაჯი კერანტიხს აჰმეთმა, ბარაკის ძემ. ისევე გაუნძრევლად რომ იდგა და ძმისკენ არც მიუხედავს. —

სიკვდილიც რომ მჭონდეს მისჯილი, წესის თანახმად, საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მაინც მაქვს.

— შენ უკვე ყველაფერი თქვი! — დაიძახა ნაურისმა.

— მოითმინეთ, ბოლომდე მოვეუსმინოთ, — უთხრა ჰაჯი კერანტიხმა.

— კარგად მოგეხსენებათ ქართველები გაცილებით მეტი არიან ჩვენზე და მაინც არ ეომებიან რუსეთის მეფეს.

— აჰმეთმა, ბარაკის ძემ დაჩუმება აღმოვა შეკრებილთ. — დიახ, ისინი შეურიდნენ რუსებს, მეფის ქვეშევრდომები გახდნენ, მაგრამ თავიანთი მიწა და ენა შეინარჩუნეს. ვინ იცის, იქნებ თავისუფლებაც დაიბრუნონ ოდესმე.

— მე ყველაფერს მოველოდი შენგან, აჰმედ ბარაკის ძე, მაგრამ ის კი არ მეგონა, რწმენის შეცვლა თუ შეგეძლო. — უთხრა მოლა საჰატქერამ, — ვის გეადარებ? ქართველები და რუსები ქრისტიანები არიან, ერთი სარწმუნოება აქვთ და ამიტომაც შერიგდნენ. ჩვენ კი მუსლიმანები ვართ, ოდითგანვე ვიურების მტრები ვიყავით და ასეც დავრჩებით.

მოლა საჰატქერი ფეხზე წამოდგა ამის სათქმელად. თქვა თუ არა, მაშინვე დაჯდა, თითქოს საწინააღმდეგო პასუხის გაგონება აღარ უნდოთ.

მაგრამ აჰმეთი ბარაკის ძე მაინც შეეპასუხა:

— ღრმად პატივცემულ საჰატქერი, შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რომ ასი წლის წინათ ქრისტიანული სარწმუნოება მივიღეთ. ეს ღღემდე ახსოვს ხალხს. თუმცა დიდი ხანია მუსულმანებად ვთვლით თავს, მაგრამ შობასა და აღდგომასაც ვდღესასწაულობთ. ჩვენ საუკუნო მტრობა არ გვქონია წარსულში ვიურებთან და შეგვიძლია არც მომავალში ვიქონიოთ იგი.

ახლა კი ძირს დაახეთქა ნაურისმა ბოხოხი და ხანჯალი იშიშვლა:

— ჰაჯი კერანტიხ, ხომ გაიგონე, როგორ დავიფიცე მამის სული? ახლავე თუ არ გააგდე აქედან, იცოდე პირუტყვივით დავკლავ, აქვე, ამ სახლში.

დღეიდან შენ აჰმეთ, მამაჩემის შეილი არა ხარ და არც ჩემი ძმა. შენ რუსების მონათლული ხარ და სარწმუნეობის უარყოფელი. შენ მოლაღატე ხარ და ცოდვილი. გავეშორდი!

ნაურჩის ყოველი მხრიდან მისცივდნენ და ძლიეს გააჩერეს. ჰაჯი კერანტიხი კი ადგა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა. შემდეგ ნელა მივიდა აჰმეთთან, ბარაკაის ძესთან.

— კიდევ რას გვეტყვი, აჰმეთ, რაო, გაცდუნეს რუსმა გენერლებმა? ინგლისში რომ იყავი, მოთქოვილი ხმალი მოგართევს, რუსებმა კი რითი მოვისყიდეს? ინგლისიდან რომ დაბრუნდი, დაგვიმედე. ინგლისელები დაგვხმარებინაო და რუსების წინააღმდეგ წაგვაქეზე. დღეს კი, შენი აზრით, გამხმარ ტოტზე ვკიდევართ და შენ არაფერ შეაში ხარ, არა? მართლა მოსულა შენი აღსასრული.

— ყველას აღსასრული მოვიდა და პირველ რიგში შენი, — კვლავინდებურად მშვიდად, ხმის აუწყევლად განაგრძო აჰმეთმა, ბარაკაის ძემ. — ვანა ჩემი ბრალია რომ ინგლისელებმა მოგვატყუეს? დიახ, მე ბევრი ინგლისური იარაღი ჩამოვიტანე, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო ვხვდები, რომ ისინი ჩვენი გულისთვის რუსეთს ომს არ დაუწყებენ. ვინა ვართ ჩვენ მათთვის? ერთი მუქა ველურები! ლონდონში რომ ვიყავი, ისინი ჩემს უცნაურ ჩაცმულობას უფრო აქცევდნენ ყურადღებას, ვიდრე ჩვენს უბედურებას. ნურც რუსი გენერლებით მაშინებ. ძალით დაპყრობილ ადგილებშიც კი არ მოუკლავთ არავინ; ვინც დაწებდათ, და არც მათი ცოლ-შვილი აუწიოკებიათ. მათ შამილი და მისი ცოლებიც კი დაინდეს, კი არ დაუხოცავთ, რუსეთში წაიყვანეს მხოლოდ. დაღესტნელები რუსებს დაწებდნენ, მაგრამ კი არ დაღუპულან, თავიანთ სახლებში ცხოვრობენ კვლავ. ჩვენი მეზობელი შაფსიდებიც არავის დაურბევია, ცხოვრობენ თავისთვის. მე შენზე ნაკლებად როდი ვიცი რუსი გენერლების სიმკაცრე ომის დროს, მაგ-

რამ მე ისიც გავიგე, რომ მათ შორის ვილაცას ჩვენთვის, მთელელებსთვის ასოები გამოუგონია და ანბანას გამოცემა უნდა. მე მხოლოდ ორ გამოსავალს ვხედავ ჩვენი ხალხისთვის: ან უკლებლივ ყველანი ბრძოლაში უნდა დავიხოცოთ, ან უნდა შევიგნოთ, რომ მტერმა გვძლია და დაე, ისე მოიქცეს როგორც უნდა, როგორც სინდისი უკარნახებს, მე იმათი უფრო მჯერა, ვინც ხმალომწვდილი უღიოდა ჩვენზე, ვიდრე იმათი, ვინც იარაღს კი გვაძლევდა ფარულად, მაგრამ თუნდ ერთი წვეთი სისხლის დაღვრაც კი არ უნდოდა ჩვენთვის. ბევრჯერ ვყოფილვარ თურქეთში და ვიცი, ჩვენ, მამაკაცებს არაფერი კარგი არ გველოდება იქ. ჩვენ ვაქცალები გვქვია და არ ძალგვიძს ჩვენი დებივით პარამხანის ხარჭებად ვიქცეთ. ვინც მშობლიურ მიწას მიატოვებს, მთელი სიცოცხლე ტანჯული იქნება. მე ერთი რამ მჯერა, თუ უბიხები მშობლიურ მიწა-წყალს მივატოვებთ, ჩვენი ჯიშიც გადაშენდება. ახლა კი რაც გინდათ ის მიქენით. გინდ ვამაყვეთ და გინდ მომკალით.

ეს რომ თქვა, აჰმეთი, ბარაკაის ძე თავის ადგილს არ დაუბრუნდა, გარშემო შემოჭარულ ხალხს შეუერთდა. უკვე თვითონვე აღარ თვლიდა თავს საბჭოს წევრად.

მისი ბოლო სიტყვები ისეთი ძლიერი გრძნობით იყო ნათქვამი, რომ ხმას ვერცინ იღებდა. უცბად გარედან ცხენის თქარუნი და აჩქარებული ნაბიჯების ხმა მოისმა და ჰაჯი კერანტიხის ბიძა ბერზეც არსალან ბეი შემოვიდა. არც მიბრუნებულა, ისე მიუდრო სველი ნაბიდი პირად მცველს და თავჩაჩინდრული დადგა საბჭოს წევრების წინაშე. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, თითქოს მხოლოდ ასე გაუძლებდნენ იმ საშინელ სიმძიმეს, ახლა რომ უნდა დასწოლოდათ მხრებზე.

— რა ამბავი მოგვიტანე? — ჰკითხა ჰაჯი კერანტიხმა.

— ცუდი, — უბასუხა ბერზეც არსალან ბეიმ. — გენერალმა გვიმანა

დიდხანს არ მიგვიღო და ჩვენც პატიმრებით ველოდებოდით. ბოლოს როგორც იქნა ჯარისკაცმა მიგვიყვანა, მაგრამ მან ჩვენი მოსმენაც კი არ ისურვა, ისე თქვა:

— უკვე გვიანაა, ჩვენს შორის მშვიდობა ველარ იქნება. ვისაც უზბანში გადასვლა უნდა, გზა ხსნილი ექნება. იმათთვის კი, ვინც თურქეთში აპირებს გადასვლას, სამ გზას ვათავისუფლებთ. ამ სამი გზით გაემგზავრონ და გემებში ჩასხდნენ, რომლებიც უკვე ელოდებიან. ამ მიწა-წყალზე კი, სადაც ოდითგან ცხოვრობდით, კაციშვილს არ მივცემთ დარჩენის ნებას.

ჩვენ გამოგვაბრუნა, თვითონ კი ბრძოლა განაგრძო. წვაეს და ანადგურებს, რაც გზაზე ხვდება. სწრაფად მოიწვეს წინ და ორ-სამ დღეში აქამდეც მოადგვეს.

მე კიდევ არ მქონდა შეგნებული რა მოხდებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რაღაც საშინელება გველოდა და უკანასკნელი იმედით შევცქეროდი ჰაჭი კერანტიხს.

ის მოწყვეტილი დაეშვა სკამზე, თითქოს რაღაც უხილავი ძალა ქვევითვე ექაჩებოდა და თავზე ხელები შემოიქირა.

ზოგიერთები დასხდნენ, სხვები კი გაოგნებული იდგნენ. ალბათ გინახავს ქარიშხლით დაღეწილი ტყე, აი ისეთი სანახავი იყვნენ იმ დღეს საბჭოს სახლში შეკრებილი უბიხები.

გარედან ისევ მოისმა ცხუნის თქარუნი და სახლში აჭოშინებული მხედარი შემოვარდა. ხელში სველი ყაბალახი და მთარახი ჰქონდა ჩაბლუჯული.

— ჰაჭი კერანტიხ, თურქეთის გემების უფროსმა კაპიტანმა ეფენდი სულეიმანმა დაგვაავალა გადმოგვეცა შენთვის — უკვე სამი დღეა ნაპირთან გელოდებით და ამის საფასურს არავინ გვაძლევს. ამაღამაც თუ არ შეგვატყობინეთ, საჭირონი ვართ თუ არა თქვენთვის, ჩვენი გემები ინგლისელი კონტრბანდისტების გემებთან ერთად გავლენთ ზღვაში.

— აქედან მოწყდით! — იყვირა გაცეცხლებულმა ჰაჭი კერანტიხმა, მემომარი თავი აქინდრულს გამოიყვანა მან დააშავა, ყველას თანდასწრებით რომ თქვა ის რაც მხოლოდ ჰაჭი კერანტიხისათვის უნდა ეთქვა. მან გამეღაგნა, რომ ჰაჭი კერანტიხს საბჭოს მოწვევამდე ჰქონდა ყველაფერი გადაწყვეტილი. მაშინ ვერ მივხვდი, რას ემართლებოდნენ იმ კაცს, ეს მხოლოდ შემდეგ გავიგე.

— საბჭოს წევრების გარდა ყველანი გარეთ გავიდნენ. — თქვა ჰაჭი კერანტიხმა. — შენც გადი აშშ-ით, ბარაკის ძეგ, აქ უკვე აღარაფერი გესაქმება.

ჯერ უფროსებს დაუთმეთ გზა, მერე ყველანი ერთმანეთს მივყევით. ყველაზე ბოლოს აშშ-ით, ბარაკის ძე გამოვიდა.

უკვე მოსალამოვდა, ღრუბლები გაიფანტა, მაგრამ ისეთი სუსხიანი ქარი ჰქროდა, თითქოს თვითონ მზეც კი სცივებს აეტანა. მთელი მინდორი გაქვდილი იყო ქვევითებით თუ ცხენოსნებით. მამაჩემი არ შეშინებულა. მხარზე რომ მომკიდა ხელი და ხალხიდან გამომიყვანა, მაშინდა დავინახე.

— რა გადაწყვიტა საბჭომ, მივდივართ თუ ვრჩებით? — მკითხა მამამ.

— ჯერ კიდევ კამათობენ. — ვუბახუხე მე.

— ვის რაში ჰქირდება ეს კამათი, დრომ უკვე გადაჭრა ყველაფერი, — თქვა მამამ — ჩვენი ძეძუმტე სწორი იყო. შენ აქ დიაციადე საბჭოს წევრების გამოსვლამდე. მე კი შარდინთან წავალ სახლში, უკვე ვიყავი და გასამგზავრებლად ემზადებიან, მოხმარება მოხოვეს. მეზობლებსაც ველაპარაკე, ზოგიერთები არ არიან თანახმა, მაგრამ ახლა თვითონ შარდინი, ალოუს ძე მოელაპარაკება მათ.

გაოგნებული ვიდექი. მამა ისე მელაპარაკებოდა, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი ყოფილიყო. ნუთუ მართლა ყველაფერი გათავდა? შემფოთებული ღობეზე ვიყავი მიყრდნობილად, სახლიდან საბჭოს წევრები რომ

გამოვიდნენ, წინ ჰაჭი კერანტიხი მოუძლოდათ.

ხალხი სახლებისკენ დაიძრა.

— მოისმინეთ ჩვენი გადაწყვეტილება, — თქვა ჰაჭი კერანტიხმა. მისი ნაცნობი ომახიანი ხმა რომ მოჰესმა, მეგონა საბრძოლველად მოგვიწოდებდა, ისევე ბრძოლა ეწადა. — დღეს შუადღისას რუსებთან ომს ვწყვეტთ. გვძლიეს და დაე, დაუფლონ ჩვენს შიწა-წყალს, ჩვენ კი ვერ ვემონებთ. ხვალ შუადღისას ჩვენს სალოცავ ბითხასთან შევიკრიბებით და ფიცს დავდებთ, რომ ყველანი ერთად ვიქნებით, დაე, შეჩვენებულ იყოს, ვინც სხვა გზას აირჩევს. ცხენები შეკაზმეთ და ჩვენი გადაწყვეტილება უბიძგების ყველა სოფელს შეატყობინეთ. ჩვენ მალე მსრბოლელს გავგზავნით ახჩიფოსში, პოხაში, დალშა და წებელდაში. დიდხანს ვიბრძოდით გვერდი-ვერდ ახლაც ჩვენთან ერთად წამოვლენ ხვალ დავდებთ თუ არა ფიცს, ზღვისკენ დავეშვებით და გემებზე დავსხდებით.

სიმართლე ვითხრა, სიკვდილს უფრო ადვილად შევხვდებოდი, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას. სად არის ის ჰაჭი კერანტიხი, მამაცთა შორის უშმაძეცხი, მუდამ წინ რომ მიგვიძღვოდა სისხლმღვრელ ბრძოლებში? ვისი გვეწამდა, რომ არასოდეს დაიჩოქებდა მტრის წინაშე, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. გოლიათის პირადი მცველი მეგონა თავი, ახლა კი ჩემს წინ ჩვეულებრივი კაცი იდგა და გვირჩევედა მტერს გავექცეოდით.

უცბად ვილაყამ ხალხში გზა გაიკვლია, მხარი გამკრა და ჰაჭი კერანტიხის წინ დადგა. ეს რუსი ათანასე იყო. ასე ვეძახდით. ოდესღაც მართლა რუსი ჯარისკაცი იყო, მაგრამ ოცი წლის წინათ თავისი სურვილით გადმოვიდა ჩვენთან, უბიძგ ქალი შეირთო ცოლად და ჩვენი ენა და ჩვენი ადათები შეისისხლხორცა. მან ნაბდის ქუდი მოიხადა და მდამლად დაუჯრა თავი ჰაჭი კერანტიხს.

— მხოლოდ ერთი სიტყვის თქმის

ანამდენს თქვენ იმეორებდნენ

ნება მომეცი! — როცა ჰაჭი კერანტიხმა არც „ჰო“ უთხრა და არც „არა“, მოხუცი სალდათი ჩვენ მოგვანჩერდა და სუფთა უბიძგ ენაზე გვითხრა:

— სისხლითა და სარწმუნოებით მე ერთერთი იმათგანი ვარ, ვინც ამჟამად გეომებათ. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ როცა რუსი გენერალი მოვა, პირველად მე ჩამომედებს ამ ხეზე, ამიტომ უნდა მერწმუნოთ. თქვენთან ომი რომ არ მინდოდა, იმიტომ მივატოვე რუსეთის მეფის არმია, თქვენი და ჩემი ცოლი გახდა და ორი ვაჟიშვილი გამიჩინა. ამათი გულისთვის ამ ცისა და მიწის გულისთვის, ღვთისა და ყველა წმინდანის გულისთვის, ნუ აჩქარდებით, ნუ წახვალთ თურქეთში. ჯერ ხომ არ იცით რა გელოდებათ იქ... ნუ წახვალთ, რაც მოხდება, მოხდეს.

— გაჩუმი, ვიკურო! — დაუყვირა მოლა საპატქერამ და ისე მომუშტა ხელები, თითქოს უნდა დაარტყასო.

— ეგ რუსია, და უნდა, რომ ხიშტებზე ავგავონ სალდათებმა. — დაიძახა ხალხიდან ვილაყამ.

ჩემს გვერდით პატარა რკალივით მოხრილი კაცი სველ მიწაში ღრმად ჩარჭობილ კვერთხს დაყრდნობოდა. მან მძიმედ ამოიოხრა და ჩაიხურჩულა:

— ბედნიერი არიან ჩვენი წინაპრები, ამ საშინელ დროს რომ არ მოესწრნენ.

— თივა მოიტანეთ! — ბრძანა ჰაჭი კერანტიხმა და რამდენიმე ახალგაზრდა ცხენის საბმურის ფარდულისკენ გაიქცა თივის მოსატანად.

ჰაჭი კერანტიხი აჩქარებდათ მათ და ისინიც ვარბი-გამორბოდნენ თივის ბლუჭებით. როცა თითქმის მთლიანად მოზიდეს თივა, ჰაჭი კერანტიხი სახლში ავიდა და თივას ცეცხლი წაუკიდა.

ჰაჭი კერანტიხიც დაბრუნდა და შესქელებული ბოლიდან ცეცხლის ენები ამოგზავნიდა. გაშვებული ხალხი ამოძრავდა და ახმაურდა.

— ამ სახლმა რაღა დაამთავრა?

— აბა ვის უნდა დავუტოვოთ?

— ო, ალაშ შეგვიდნე!

— აქ სიკვდილი გვერჩინა ზღვაში დაბრძობას.

— ასე მამაცი თუ ხარ, აქ რას უდგებარ? იარაღი აისხი და გენერალს დახვედი.

უცებ ამ ყაყანში ერთი ხმაც გაისმა, გამგმირავი და განწირული:

— ჩვენი სახლებიც დავწეათ?

ხანძარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ეზოებში ჯერ იყვებოდნენ მერე კი აყმუვლდნენ ძაღლები.

ჰაჯი კერანტიხი ცხენსაბმურისკენ წავიდა, სადაც თავისი ცხენი ეგულდებოდა და შუა გზაზე გაჩერდა. ალბათ იცდიდა, ეგონა, როგორც ყოველთვის, სასწრაფოდ მოვევრიდი ცხენს და უზანგებს დავუშვარდი.

მაგრამ მე ადგილიდან არ დავძრულვარ, ვიდრე ხალხში და ვუცქეროდი, როგორ იწვოდა წაბლის სახლი ალბათ სხვა ვინმემ მიაჩნოდა ჰაჯი კერანტიხს ცხენი, ხანძრის შუქზე დავინახე როგორ მიქროდა. სახლი კი ისევ იწვოდა: ცეცხლის ალს სახურავისთვის თავა დაეღწია და ბინდდაკრულ ცას ბლუჯა-ბლუჯა აფრქვევდა ნაპერწკლებს.

ხალხი არ იშლებოდა. თითქოს უნდოდნათ ამ მოგონებებზე ხანძრის ერთი ბეწო სითბოც არ დაეტოვებინათ და თან წაეღოთ უცხო მხარეში. მე კი მეჩვენებოდა, თითქოს უძირო უფსკრულისკენ მივექანებოდი. ხანდახან შიშისა და ტკივილისაგან დასახიჩრებელი სახეები, დაბნეული თვალები, აჩურჩულებული ბაგეები და აცახცახებულნი ნიკაბები გაიღვებოდა ხოლმე ცეცხლის შუქზე.

ვიღაც მხარზე შემეხო, მოვტრიალდი და შარდინი დავინახე, ალოუს ძე, თავის ჯორზე იჯდა.

— ჩქარა შეჯექი ცხენზე და გამოძევი. მადლობა ალაშს, ბოლოს და ბოლოს რომ გაიგე შენი ბატონის ჰაჯი კერანტიხის ფასი, ვისთვისაც მაგ სულელი თავის გაწირვას აპირებდი, — ბოროტად გადაიხარხარა და ჯორი დაძრა.

„აბა შენ გული გაქვს, ასეთ დროს სიცილი რომ შეგიძლია?“ — გავიფიქრე მე. სასოწარკვეთილებინაგან სისხლი მეყინებოდა. უკვე აღარ მიყვარდა ჰაჯი კერანტიხი, შარდინ ალოუს ძე კი ამ წუთებში მძულდა.

### ერთი მუჟა მისა

მეფის გენერლები რომ დარწმუნდნენ, უბიხები თურქეთში მიდიანო, ბრძოლა შეწყვიტეს. თურქები კი ახალი გემების გამოგზავნას შეგებობდნენ. ჩვენმა გადასახლებამ თითქმის ორ კვირას გასტანა. არ ვიცი ასე ჯობდა თუ არა მე კი საშინელებად მეჩვენებოდა. თუკი იცი რომ სიკვდილი არ ატყდება, უცბად სიკვდილი სჯობია წამებით სულის ამოხდომას.

იმ დღეს ჩვენი სალოცავი ბითხას მინდორზე რომ შევევროვდით, ბითხას მცველმა საულაჰმა რამდენიმე თეთრი თხა დაკლა. თბილის შამფურზე ახალი მოხარშული ოხშიერიანი გულ-ღვიძლი წამოაგო და ლოცვა დაიწყო. ჩვენც მის გარშემო დავიჩოქეთ და ვლოცვლობდით. საულაჰს ხანდახან ხმა უწყდებოდა და დაწვებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. ის ჩვენ სალოცავს არ უმკლავნებდა, მშობლიურ მიწა-წყალს რომ ვტოვებდით, მაგრამ თვითონ წუთით არ ავიწყდებოდა ეს, ცრემლებად იღვრებოდა.

— დასალუბად ნუ გაგვწირავ, ბითხა! — ტირილით შესძახა მან ლოცვის დასასრულს.

— ამინ, ამინ! — რამდენჯერ გავიმეორეთ ყველამ ერთად.

შემდეგ რიგრიგობით მივდიოდით სალოცავთან და ფიცს ვღებდით, ვინც ჩვენთან ერთად არ წამოვიდოდა, შეჩვენებული ყოფილიყო უკუნიითი უკუნიისამდე, შეჩვენებული ყოფილიყო მისი შთამომავლობაც.

ლოცვის შემდეგ მსხვერპლად შეწირული თხების მოხარშული ზორცი რომ შევქამეთ, საულაჰმა გვითხრა:

— ჩვენ ყველანი უცხო ქვეყანაში

მივდივართ, ამ სალოცავზე კი ვინდამ უნდა ილოცოს? ვანა შეიძლება უბატრონო წისქვილივით რომ მივატოვოთ? მე გთხოვთ, ნება მომცეთ, თან წავიღო მისი მცირე ნაწილი, რათა შორეთში გადასახლებულებს მისი მფარველობა არ მოგვაკლდეს.

ჩვენი უბუცესები ჯერ არ თანხმდებოდნენ სალოცავის შეხებას, ცოდვად მიაჩნდათ, შემდეგ კი დაფიქრდნენ და დაუჭერეს საულაჰს. სამმა ასწლოვანმა მოხუცმა საულაჰთან ერთად ამოიღო ბითხა მისი მიწისქვეშა სავანიდან, მას აქამდე არავისი ხელი არ შეჰხებოდა.

პირველად და უკანასკნელად ვიხილე მაშინ იგი. ქვისაგან იყო გამოკვეთილი და არწივის მიაგავდა. თვალები ოქროს ფირფიტებისა ჰქონდა, ნისკარტი, ფრთები და კლანჭები კი — ვერცხლისა.

ლოცვის შემდეგ ისევ მიწის ქვეშა სამყოფელში ჩავსვენეთ ბითხა. ეს იყო დიდი ანუ, როგორც საულაჰი უწოდებდა, უფროსი ბითხა. იქვე, მასთან ერთად იდო პატარა ბითხაც. ისიც ოქროსი და ვერცხლისა იყო, ოღონდ მტრების ხელა თუ იქნებოდა.

მოხუცებმა და საულაჰმა კარგად გაახვიეს იგი გასანთლულ ტილოში და გამძლე ტყავის ჩანთაში ჩადეს. გადასახლების დღეს ეს ჩანთა საულაჰმა ქამარზე გამოიბა და ყველგან, ყოველთვის რა გავირევაბაც არ უნდა გვდგომოდა, უმცროსი ბითხა ჩვენთან იყო. მრავალი წლის შემდეგ კი უბედურება დაატყდა თავს, მისი გულისთვის დაიღუბა კაცი, ვინც ჩვენი ხალხის იმედად გვეგულებოდა. მაგრამ წინ არ ვაუქსურებ ამბებს, როცა ამისი დრო მოვა, მაშინ მოვითხრობ...

...იმ საღამოს შუაზე გაწყვიტა ზაურყანმა სიტყვა, ლაპარაკი აღარ ისურვა და მეორე დილასაც კარგა ხანს იყო ჩუმად. ხის კუნძზე იჯდა და მღუმარედ ფშვნიდა ბირამის მოტანილ თუთუნს. მე უკვე შევამჩნიე, რომ თუთუნთან ჩალიბი უყვარდა: ჯერ გრძილა-გრძილად

დაჭრიდა, მერე მზეზე გააჩმობდა და ბოლოს დაფშვნიდა. ზაურყანი თუთუნს ფშვნიდა, მე კი მის გუშინდელ ნაამბობს ვისხენებდი ბითხაზე და ვაღარებდი, რაც აღრე გამგონა თუ წამეკითხა მის მსგავს სხვა სალოცავებზე. ვაღარებდი და ვიწერდი ჩემს მოსახრებებს.

სიტყვა „ბითხა“ მარტო იმ საგანს კი არ აღნიშნავს, რომელზეც ლოცულობენ. რა თქმა უნდა, საგანს ის თავისთავად მოიცავს, მაგრამ მასშივე იგულისხმება ყველაფერი, რაც ხალხისთვის ძვირფასია: ადგილი სადაც ის იწახება და ის ცივი წყაროც, აუცილებლად რომ უნდა მორაკრავებდეს იქვე. ყოველივე ეს მთლიანი და განუყოფელია. ამიტომაც არ მოსვლიათ აზრად არც საულაჰს და არც სხვა უბუცესებს უფროსი ბითხას თან წაღება. უფროსი ბითხა ხელუხლებლად დატოვეს, უმცროსი წაიღეს და ეს უმცროსი ბითხა გახდა მათთვის უფროსი ბითხას სიმბოლო, ყოველივე ამის სიმბოლო, რაც მშობლიურ მიწაზე დარჩა.

ახლა რაც შეეხება „ბითხას“ ეტიმოლოგიას, ნაწილებად თუ დავშლით ამ სიტყვას, მისი მეორე ნაწილი „თხა“ შეიძლება აღიღუფრ სიტყვას „თხას“ — ღმერთს აღნიშნავდეს. მაგრამ რას უნდა აღნიშნავდეს მაშინ მისი წინა ნაწილი „ბი“? მოხუცისთვის არ მიკითხავს ეს, ან შესძლებდა კი ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემას?

ჩვენ, აფხაზებსაც გვყავდა ასეთი უძველესი ღვთაებები და მათა სახელები იმ ადგილებთან იყო დაკავშირებული, სადაც ისინი იყო დასვენებული: ლიძა, ლიხნი, დიდრიფში, ინალ-ყუბა, ილორი, ლაშკინდარი...

თვითონ ღვთაება აფხაზურად ასე წარმოითქმის „ანია“. „ან“ — ღმერთი და „ხა“ — თავი... „ღვთის თავი“. ეს სიმბოლოები ფორმით ღვთის თავს არ გვანან. ერთ შემთხვევაში ეს ქვები შიის არწივს წაგავეენ, მეორეში — თხის თავის ქალას, მესამეში კი რაღაც გაურკვეველ არსებას.

ბიზანტიელმა მისიონერებმა, ჯერ კი-

დევ IV საუკუნეში რომ ავრცელებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. თავისი მიზნისათვის გამოიყენეს ძველი წარმართული წმინდა ადგილები და სწორედ იქ ააგეს ქრისტიანული ეკლესიები: ლიძაში, ბიჭვინთაში, ლიხინში, და ილორში, ეტყობა უბიძებთანაც ასე იყო. ძველი წარმართული რელიგიის გვერდით ქრისტიანულიც არსებობდა თავისი აღდგომით მოგვიანებით კი, როდესაც მუსულმანური რელიგია ოფიციალური გახდა, ბოლომდე არ აღმოუფხვრია ორი წინანდელი რელიგიის ნაშთები.

რატომ შეგროვდნენ უბიძები „ბითხასთან“ და არა მეჩეთთან, უკანასკნელად რომ ეთხოვებოდნენ მშობლიურ მიწა-წყალს? — ვფიქრობდი მე. იქნებ იმიტომ, რომ მათ ცნობიერებაში ალახი შორის იყო, ეს სალოცავი კი იქვე? უხსოვარი დროიდან მოდიოდნენ აქ უბიძები წელიწადში ორჯერ სალოცავად. მოდიოდნენ ერთად თუ ცალკე. ლოცვა-კურთხევა რომ მიეღოთ გრძელ გზაზე დამდგარ აღამიანებს. აქ, ბითხას წინაშე იმართლებდა ხოლმე თავს უწმინდურ საქმეში ბრალდებული კაცი. აი, რატომ ვერ წავიდნენ უბიძები მუსულმანურ აღთქმულ ქვეყანაში უმცროსი ბითხას გარეშე. მე არ ვიცი, რას მიამბობდა მოხუცი შემდგომ მოვლენებზე, მაგრამ წინასწარ ვხვდებოდი, რომ ჰაზავათის იდეებს უბიძების მიწაზე არც მაინცა და მაინც მყარი რელიგიური ნიადაგი უნდა ჰქონოდა. ეს იდეები სულთანის თურქეთიდან მოდიოდა და სწორედ ამ იდეებმა წაიყვანეს უბიძები თურქეთში.

ახლა, ათეული წლების შემდეგ, უაზრობად გვეჩვენება, რაც მაშინ მოხდა; ოქროსა და ვერცხლის ფირფიტებიანი ქვის გარეშე ვერ წავიდნენ უბიძები თურქეთში და საკუთარი სისხლით მრავალჯერს მორწყული წმინდათაწმინდა მიწა კი მიატოვეს.

ზატყანაში თამბაქო დაფშენა, პაპიროსი გაახვია და მომიახლოვდა. დაინტერესებული მიყურებდა, რა სწრაფად

მიმოდინდა ფანქარი ქაღალდზე. ერთმენლობა არ ეტყობოდა, ედგენ და მიცქეროდა, მაგრამ როგორც ვიქნებოდა, ეჩერდი, მაშინვე დაიწყო (ლაპარაკი, თითქმის მხოლოდ ამას უცდიდაო.

— მე უკვე გითხარი, ჩემო ძვირფასო შარახ, რომ უბიძი თავადებიდან ყველაზე ადრე შარდინს, ალოუს ძეს ჰქონდა თურქეთის ვადასახლება გადაწყვეტილი. მაგრამ ვინა შეეძლო მართლმართო წასვლა ძეთ კაცს, როგორც შარდინი იყო? რაკი მიემგზავრებოდა, ჩვენ უნდა გავეყოლოდით — ძიძიშვილები, ჩვენი ნათესავებიც უნდა გაეყოლოდნენ, მეზობლებიც და ის გლეხებიც, მის ხელქვეითებად რომ ითვლებოდნენ და ისინიც ვინც დავალებულნი იყვნენ შარდინისაგან. ჩვენ სულში ვიმარხავდით მშობლიურ მიწას, ფეხქვეშ რომ გვეცლებოდა, ჩვენი თავადები კი ერთმანეთს ეღაცებოდნენ, ვინ ვის უნდა გაეყოლოდა თურქეთში.

ჰაჯი კერანტიხს მისი ხელქვეითი თიხას შეიდი გლეხის გარდა, კიდევ ორმოცდაჩვიდმეტი კაცის წაყვანა უნდოდა, მათ შორის ჩვენი ოჯახისაც. ეტყობა, არც მაინცა და მაინც სჯეროდა თურქეთზე გაგონილი ზღაპრებისა და უნდოდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი ჰყოლოდა იქ სამსახურის გასაწევად თუ დასაცავად. ორჯერ გამომიგზავნა შიკრიკები და მისი დანაბარები ვადმომცეს: „რატომ მიმატოვა ჩემმა პირადმა მცველმაო“.

მაშინ ღონიერი ვიყავი, ძვირფასო შარახ, მთელი თავით მაღალიც ვიყავი სხვებზე. ბევრჯერ დავუშტკიცე ჩემი სიამაყე ჰაჯი კერანტიხს ბრძოლებში, და ამიტომაც მიგზავნიდა შიკრიკებს; ამის მიხვედრა ძნელი არ იყო, მაგრამ თვითონ ჰაჯი კერანტიხი მკვდარი იყო ჩემთვის. იმ დღიდან, მე რომ ვიამბე, არ მინდოდა მასთან ერთად წასვლა...

შარდინი, ალოუს ძე მატუხვდა ჰაჯი კერანტიხს და არც ჩვენს თავს, უთმობდა და არც სხვა ხელქვეითებისას.

იმ დღეებში ორივენი გლეხების

ეზობთან დაძრწოდნენ, თანაც მოსის-ხლეებივით ერთდებოდნენ ერთმანეთს, ეშინოდათ, სისხლი არ დადგრილიყო.

ხან ერთი მიდიოდა გლებთან და ემუქრებოდა, ჩემთან უნდა წამოხვიდეო, ხან მეორე უბრძანებდა ვინდა თუ არა, მე უნდა გამოყვეო. თავგზაბუნეულმა გლებებმა აღარ იცოდნენ, ვის უნდა გაჰყოლოდნენ ბოლოს და ბოლოს.

ერთხელ შუადღისას, როცა მთელი ოჯახი სადილად დაესხდით, თავისი ფიცები ცხენი შემოაგელვა ეზოში ჰაჭი კერანტიხმა. მარტომმარტო იყო, მხლებლების გარეშე. მამა და მე წამოვხტით და უხანგები დავუპირეთ, ჩამოქვეითებაში რომ შევშველებოდით ჰაჭი კერანტიხს არასოდეს უცია ამხელა პატივი, ჩვენი კარის ზღურბლისთვის რომ ვადმოებოჩებინოს და მამაჩემი ჩემზე უფრო გაოცებული იყო მისი სტუმრობით. ჰაჭი კერანტიხი როგორც ჩანდა, ჩამოქვეითებას, არ აპირებდა, ცხენი ადგილზე ბრუნავდა და ლაგამს ღრღნიდა ჩვენ კი ისევ უხანგები გვეპირა ხელში და ცხენთან ერთად ვტყეპნიდით მიწას.

— სულ ცოტა ხნის წინათ ხმლებს ატრიალებდნენ ერთმანეთში, ჩემთან საშახურის უფლება რომ მოეპოვებინათ, — თქვა ჰაჭი კერანტიხმა, ისევ რომ ბრუნავდა თავის ბედაურთან ერთად. — ახლა კი, როგორც ხედავთ, მარტომმარტო ვარ! ყველა ყველა და, შენ არ გეკადრება, ზაურყან, ჩემი მიტოვება! ვინა შენ არ დადე ფიცი: სანამ ჩემი ბატონი ცოცხალი იქნება, გვერდიდან არ მოვშორდები, ხოლო სიკვდილი თუ უწერია, უწინამც მე მომეღოსო ბოლო?!

ჰაჭი კერანტიხი მსაყვედურობდა და, მის ხმაში წყენა და ჯილბიანება იგრძნობოდა. მამაჩემი კი თითქოს ვერაფერს ატყობდა, თხოვდა ჩამოქვეითებულიყო და შინ გვეწვეოდა.

— არასოდეს ყოფილხარ ჩემთან. პატივი დასდე ჩვენს ოჯახს. ღომი ამოხელილია უკვე. უარს ნუ გვეტყვი ღატბულ პურმარცხე.

მე ხელი შევეუშვი ჰაჭი კერანტიხის უხანგს, მამაჩემს კი ისევ ეპირა და ისევ ერთი და იგივე ადგილს ტყეპნიდა, თან მე მიყურებდა.

— თუ ჩამოქვეითდა, იმწამსვე გაიქცეო და ცხენაო დაკალო, ვერა ხედავ, როგორი სტუმარი გვეყავს? — მეუბნებოდა მისი თვალები.

ვერ გეტყვი, ჩამოქვეითდებოდა თუ არა ჰაჭი კერანტიხი, მაგრამ სანამ მამა ეაჭებოდა ეზოში შარდინა შემოვიდა, ალოუს ძე. როგორც ყოველთვის, თავის ჯორზე იჯდა. ის შინაურად თვლიდა თავს და შეპატივებისათვის არ დაუცდია, სწრაფად ჩამოხტა ჯორიდან და ჰაჭი კერანტიხთან მივიდა.

— შენ ჩემი ძიძიშვილის ეზოში არაფერი გესაქმება. რა გზითაც მოსულხარ, იმ გზით წაბრძანდი, თავი დაანებე ამ ოჯახს.

ჰაჭი კერანტიხმა გაბრაზებულმა ჩამოხტა შარდინის, ალოუს ძეს:

— სადაც არ უნდა მივიდე, კვალში მომდე. შიფრთხილდი შარდინი, ალოუს ძე! გეტყობა დაგავიწყდა, ვინა ვარ მე და ვინ შენ. მე უფლება მაქვს იქ ვიყო, სადაც მომესურვება და ჩემი სიტყვა ისევ კანონია.

— შენ საკუთარი ხელით დასწვი ოს, რაც შენს სიტყვას კანონად აქცევდა. — მკვებელ მიახალა შარდინმა, ალოუს ძემ.

— აქამდე ყველაფერზე კვერს მიკრავდი და ახლა გზაზე მელობები? იცოდე, ამ ოჯახს ჩემთან ერთად უნდა წამოსვლა და თუ სიცოცხლე არ მოგებურება, ჩვენ შორის ნუ ჩადგები.

შარდინი, ალოუს ძე დათმობას არ აპირებდა.

— სინდისი რომ დიდი ხანია დაკარგული გაქვს, ვიცი, მაგრამ ალაპის მინც შეგეშინდეს! ჰამირზა ჩემი ძიძიშვილია და ისიც და მისი უზიხე მხოლოდ მე გამყვება. ასე გვევალეს მეც და მაგასაც დედის ძეძუსადმი პატივისცემა.

აქ კი ველარ მოვითმინე. იმ წუთებში...

ში ორივენი ერთნაირად მეზიზღებოდნენ.

— თოჯინაბმულ პირუტყვსაც კი არ უშლიან თავის მიბრუნებას, იქითკენ. საითაც უნდა, — დაუწყვირე მე იმათ, — და ჩვენ ხომ პირუტყვები არა ვართ, აღამიანები ვართ. ცოდველ არ ჩაგვეთვლებათ, თუ გვკითხავთ რომელ მხარეს გვჯიჩქვინია, თავის მიბრუნება.

— გაჩუმდი! როგორ ბედავ ასეთი ხალხის წინაშე... — დამიყვირა მამაჩემმა.

— შენ ოჯახს თუ არ უნდა, ძალას ვერ დეატან, მარტო შენ გამოიყვები, — ჩამომძახა ჰაჯი კერანტიხმა ცხენიდან.

პირის ვალებაც ვერ მოვასწარი, შარდინმა, ალოუს ძემ დამასწრო პასუხის გაცემა:

— ჰაჯი კერანტიხ, შენთვის პირველი არ არის დელებისა და შვილების დაშორება. ერთი მითხარი რამდენი ჭაბუკი გყავს თურქეთში გაყიდული და რა ფასად?

— ამას ნამუსიანი კაცი მაინც ამბობდეს! — გაიძინა ჰაჯი კერანტიხმა, — იქნებ შენ გვიტობრა რამდენი ბაჭი გაყიდე თურქეთში, ჩვენი კი არა, აღიდლელები და აბაზინელებიც, ჯერ რომ თყიდე და მერე გაყიდე. რამდენა გაყიდემეთქი, მიპასუხე.

ორივენი გაჩუმდნენ. ეჭვბდნენ რა უფრო უარესი ეთქვათ ერთმანეთისათვის.

— გიმეორებ, გზაზე ნუ მიდგები, — ღუმლის შემდეგ უთხრა ჰაჯი კერანტიხმა.

— კაცმა არ იცის სად გადაიყრები, — უთხრა შარდინმა, — ალოუს ძემ. — მზესუმზირასავით იქითკენ ატრიალებთ თავს, საითკენაც სიტბოა.

— გაჩუმდი, სისხლი არ დამალვრვინოს!

— მართლა? რიდაც ვერ ვხედავ აქ ასეთ ვაყვაცს, სისხლის დაღერა რომ

შეეძლოს. — უპასუხა შარდინმა, ალოუს ძემ და უტიფრად გაუსწორა თავი ჰაჯი კერანტიხს.

— შენ ეი, გადაგვარებულო, ახლა ვხვდები, რატომ უფრთხილდებოდი თავს მტერთან ბრძოლაში, ალბათ შე უნდა დამელგავრა შენი სისხლი. — დაიძახა გაცოფებულმა ჰაჯი კერანტიხმა. ცხენიდან ჩამოხტა, ხანჯალი იმიშვლა და შარდინ ალოუს ძისკენ გაიწია.

შარდინ ალოუს ძე არც განძრეულა, ისე დაიძრო ხანჯალი, მაგრამ სანამ შე და მამაჩემი ჩავდგებოდით შუაში, დედაჩემმა იყვირა:

— ნუ დავავიწყებთ, რომ ორივენი ქალისაგან ხართ ნაშობი! — თავსაფარი მოიძრო და სწრაფად ჩაუგლო შუაში მოჩხუბართ.

წუთის წინ მზად იყვნენ სასიკვდილოდ კვეთებოდნენ ერთმანეთს, ახლა კი ზიზღი ჩასდგომოდათ თვალებში და ხმას არ იღებდნენ. ჩოხის ქილები მძიმე სუნთქვისგან ზევით-ქვევით აუღიოდათ და ჩაუღიოდათ.

— იცოდე, ინანებ, ზაურყან! — დამიყვირა ჰაჯი კერანტიხმა, უზანგის დასაჭერად რომ მივედი. ცხენს მოახტა, ყალუზე შეაყენა და გაფრინდა. შარდინ ალოუს ძე კი კიდეც კარგა ხანს მიდიმოდიოდა ეზოში წინ და უკან.

— ასეე... მზად ხართ გასამგზავრებლად? — ჰკითხა ბოლოს მამაჩემს.

— რა მომზადება გვინდა, — მამამ სახლს გადახედა, — ამას ხომ ვერ წავილვებთ თან. როცა შეგვატყობინებ, ჩვენც შენთან ერთად გამოვემგზავრებით.

— ჩვენ თურქეთის დიდი გემით „ნუსრედბახრით“ წავალთ. ამბობენ იმხელა გემია, ოთხიათას კაცს დაიტევსო. კაპიტანი იაფად წაყვანას დაგვიბრდა — სულზე ექვს მანეთს გვეყარდება, მაგრამ ფულს წინასწარ ითხოვს. ფულის საქმე როგორა გაქვს? — ჰკითხა შარდინმა მამაჩემს.

— არ ვიცი შევძლებ ამდენს თუ არა, მაგრამ ვეცდები. — უპასუხა მამამ.

— ხედავდნენ თქვენს მავიგრად მე

გადავიხდიდი, მაგრამ თვითონ უფულოდ დავრჩი. — ხელები გაშალა შარდინმა და ჯორისკენ წავიდა.

ღედა თხოვდა სადილად ღარჩენილიყო, მაგრამ საქმეები მაჭვსო — თქვა.

— ჰაჰი კერანტიხი ახლა ცოფიანი ძაღლივითაა, — თქვა მან, ჯორზე რომ ჯდებოდა, — ვშიშობ, შენი მეზობლები არ გადაიბიროს. თავი მოუყარე ყველას ამ საღამოს ვინმესთან და მეც მოვალ... — უკვე ჭიშკარს გასცდა, მაგრამ მაინც მოაბრუნა თავი, უკანასკნელი დავალება რომ მიეცა მამაჩემისათვის: — საღამოსთვის ვისაც შეუძლია, ფული შეაგროვონ. — დაიძახა და წავიდა, ჩვენ კი შუა ვზოში ვიდექით აღვლებულები. გონზე ვერ მოვსულიყავით, იმის გამო, რაც ვნახეთ და რაც გავიგონეთ.

ძირს ისევ ეგდო ღედაჩემის თეთრი თავსაფარი. მამამ აიღო გაბერტყა და დედის უთხრა:

— დაე, მუდამ ფარავდეს შენს ქალაჩა თავს ეს თეთრი მანდილი, ნუშეც გაგშავებოდე ისი. მან სულ ახლახან იხსნა ორი ჩვენი სტუმარი სისხლისღვრისაგან. მართალია, სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ მე მაინც მეშინია: მშობლიურ მიწა-წყალს ეტოვებთ და გრძელ გზას ვადგებით, რომლის ბოლოც არავინ უწყის როგორი იქნება. ჩვენი მფარველები კი ისე ჩხუბობენ ერთმანეთში ჩვენი გულისთვის, თითქოს პირუტყვეს იყოფდნენ. კინალამ აჩხეს ერთმანეთი. ო, ალაჰ! ნუთუ ასე გავცვირე?!

მამა ნელა მიუახლოვდა დედას და თავსაფარი მიაწოდა. მე კი ჰაჰი კერანტიხის სიტყვები მედგა ყურებში: „იცოდე, ინანებ, ზაურყან!“ და შემფოთებამ გული შემეკუმშა მთელი საღამო და მთელი ღამე ვერ დავაღწიე თავი ამ შემფოთებას. ინათა თუ არა, წყაროსკენ ვავიშურე, სადაც ფელდში მოდიოდა ზოლმე დილდლობით წყლის წასაღებად. ჩვენი საბლიდან ძალზე შორს იყო წყარო, სამაგიეროდ ფელდის სახლთან იყო ახლოს და ვიცოდე, როდის და სად უნდა დავლოდებო-

დი. უკვე ორი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს იმ ადგილას. ახლაც იქ შევეხვდით წყაროსთან დიდ წაბლის ქვეშ. თითქოს მწვანე კარავიაო, ისე ვეფარებოდით ზოლმე ამ ხეს — არც წვიმის გვეშინოდა და არც შშის. ახლა კი ხეს ფოთოლი დასცვენოდა და ერთნაირად გვეიპაუნებდა წვიმა ჩვენცა და მის გაღუმულ ტოტებსაც. მაინც არ გვინდოდა წასვლა. ფელდშია რამდენიმეჯერ თქვა — შინ მელოდებიანო, მაგრამ მე მაშინვე ხელებში ვწვდებოდი და ისიც იცდიდა.

— როგორ მოვიქცეთ, ფელდში? — ვეკითხებოდი მე, — მართალია, რასაც თქვენს მფარველ ჰაჰი კერანტიხზე ამბობენ?

— მამამ მოთხრა — მართალია. გუშინ მეზობლებს ეუბნებოდა, რომ ჰაჰი კერანტიხმა მეფის გენერლების თანხმობა მიიღო და სახელმწიფო ხარჯზე გადაიყვანს მის ქვეშევრდომ გლეხებსო.

— სხვი რა გაიგე კიდეე?

— ისიც გავიგე, რომ ჰაჰი კერანტიხს გაუნაწილებია, ვინ რომელი გემით უნდა გაემგზავროს. ყველას აუკრძალა გამგზავრებამდე თავისი სოფლიდან სხვა სოფელში სიარული. ქალშვილებს სხვა სოფელში გათხოვება აუკრძალა, ქაბუტებს კი სხვა სოფლიდან ქალის თხოვა.

— კიდეე რას ინებებს ეგ შეჩვენებულნი! — წამოვიძახე სასოწარკვეთილმა. ფელდშია ნახაუ მომიჭირა ხელი.

— დღეს მამა დამპირდა, რომ ჰაჰი კერანტიხთან წავა და დამოკილი შევედრება, თქვენთან ერთად წასვლის ნება რომ დავგროსო. მამას არ უნდა ჩვენი დამორება.

როგორ უნდოდა ჩემი დამშვიდება! როგორ მტყენდა გულს, იმის მოსმენა, რომ მამამისი მზად იყო მუხლი მოეყარა და ამო ხეწინა-მუდარა დაეწყო ჰაჰი კერანტიხისთვის.

— მამაშენს უთხარი, ტყუილბრალად ნუ დაიმცირებს თავს. ჰაჰი კერან-

ტიხი არაფრით არ დათანხმდება ჩვენი ტუტუტუტის შარდინის, ალოუს ძის ჯიბრზე.

ფელდში ხმას არ იღებდა, ჩემმა ნათქვამმა თავზარი დასცა. ამ დროს დედამისის შეშფოთებული ხმა გაისმა, ქალიშვილს უხმობდა. ფელდში შეკრთა, სურას წამოავლო ხელი და წყაროსკენ წავიდა.

— არავის არაფერი თხოვო, — დავეწიე და ვუთხარი მე. — ზეგ მზის ამოსვლამდე აქ მოდი, წაბლის ხესთან. მშობლებს გავაფრთხილებ და ცოლად წავიყვან. ზეგ ერთად გავემგზავრებით აქედან.

— მერე ჩემს მშობლებს რა მოუვთ? — ტირილი დაიწყო ფელდში.

პირველად მივიყარი იგი მკერდზე და ცრემლები შევუმშალე. ფელდში გამისხლტა და სურას დასწვდა, მაგრამ დავასწარი და თვითონ იფუცე წყლით. ჩვენი ადამის მიხედვით სავსე სურა სიკეთის მომასწავებელია. რა ვიცოდი მაშინ, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი ბედნიერი დღე იყო!

სურა მე თვითონ შევუდგი მხარზე, უკან არ გავყოლივარ. ისე ვუყურებდი, როგორ შეუყვა ბილიკს, როგორ ირხეოდა მისი მოქნილი ტანი, როგორ სრიალებდა ზურგზე დაშვებული ორი წაბლისფერი ნაწნავი.

— სადა ხარ ფელდში? — მოისმა ზემოდან დედამისის ხმა.

— მოვდივარ, მოვდივარ, ნუ გეშინია დედა! — გაეხშიანა იგი.

რა ვიცოდი, რომ უკანასკნელად მესმოდა მისი ხმა!

თუმცა არა, ერთხელ კიდევ გავიგონე მისი ხმა, მაგრამ ამაზე შემდეგ, შემდეგ ჩემო ძვირფასო შარას! მანამდე ჯერ ბევრია საამბობი.

გამგზავრების წინა დამე თეთრად გავაოხნეთ ყველაფერი ჩავაწყვეთ, რაც უნდა წავგველო და მღუმარედ ვისხედით კერის წინ, უკანასკნელად რომ გიზგიზებდა. მამამ დედაჩემს ტირილი აუკრძალა, სჯეროდა, რომ გამგზავრების

წინ ცრემლებს უბედურება მოაქვს. დედა თავს ვეღარ იკავებდა.

— ოჰ, ალაჰ, რამდენი ცრემლი დაღვარა იმ დამეს დედაჩემმა. მაინც სად ეტეოდა ამხელა ზღვა? დედაჩემი ჩვენზეც ტიროდა, თავის წებულვლ ძმებზეც, თავის გათხოვილ შვილებზეც უკვე გემით რომ მიცურავდა თურქეთისკენ.

ასე გავიდა ის დამე. დილას ეზოში გავედით. ჩემი ძმაც გამოვიდა, მამამ ძალად გვასაუზმა. ქალები კი ისე გააფრთხილა რაც შეიძლება მეტი საგზალი წამოედოთ. ძროხები არც მოგვიწველია და არც გავვირეკია, ეზოში დაეტოვეთ სანამ ჩვენები უკანასკნელ საქმეებს აწესრიგებდნენ, მე პირობის თანახმად წყაროსკენ გავემუტრე ფელდის შესახედრად.

არც არავის შევუჩერებია და არც არაფერი უქითხავთ. წინა დღით ვაცნობე დედას და მამას, ფელდში რომ უნდა მომეყვანა და ვიცოდი მზად იყვნენ ამისთვის.

ისე სწრაფად გავრბოდი ტყე-ტყე, რომ ალბათ ცხენიანი კაციც ვერ დამეწეოდა. ახალგაზრდობა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იმედითაა სავსე და მეც თავქუდმოვლევით გავრბოდი, არად მივიჩნევდი ტოტები რომ მიკაწრავდა ტანს. უკვე წარმოდგენილი მქონდა, როგორ მივიყვანდი ფელდში ჩვენ სახლთან, დღუძახებდი დებს და ვეტყვოდი: „აი, თქვენი რძალი“.

ვიცოდი, რომ ჰაჯი კერანტიხს ბევრი საქმე მქონდა; ოთხასი ოჯახის თავისმოყრა და გამგზავრება არც ისე ადვილი იყო. და სწორედ იმის იმედი მქონდა, რომ ამ არეულ-დაჩეულობაში ვადავარჩენდი ფელდში.

მივირბინე ჩვენს წაბლის ხესთან, მაგრამ არავინ დამხვდა. სასიკვდილოთ დაპირილივით ვტრიალებდი ერთ ადგილას და არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. წყაროს წინ ახლად ამოზინებულ ბალახზე დამსხვრეული სურა ეგდო.

„რამ დაამსხვრია სურა? იქნებ მხარზე რომ იღვამდა, მაშინ დაუფარდა? ან იქნებ ამით მინახა, რომ ვეღარა-

სახელმწიფო რესპუბლიკა

სოდეს შევხედებით?“ მივხვდი, რაღაც საშინელი და გამოუსწორებელი იყო მომხდარი. უკვე აღარ მრცხვენოდა ფელდშის მამის და დედის და მათი სახლისკენ გავიქეცი. ერთ წუთში ტიშკართან ვიყავი.

ეზო ცარიელი დამხვდა, არც პირუტყვი იყო შიგ და არც ძაღლები. სახლი მაგრად ჩაეკეტათ. სიჩუმე და სიცარიელე მეფობდა ირგვლივ. მხოლოდ სახურავზე ამძვრალმა შავმა კატამ დაიკნავლა, როცა შემამჩნია. თითქოს მეუბნებოდა „აქამდე სად იყავი, ახლა რაღა გინდა, როცა ყველაფერი გათავდა?“ ისინი უფრო ადრე გადგომოდნენ გზას, ვიდრე მე მოველოდი. ყველაფერს მივხვდი და მზად ვიყავი კბილებით დამეგლიჯა ჰაჯი კერანტიხი, ვისთვისაც სიცოცხლესაც კი გავწირავდი ცოტა ხნის წინ. ახლა რა უნდა მექნა, როცა გემი რომელზეც ფელდში იმყოფებოდა, შუა ზღვაში მიცურავდა ალბათ.

შინ დავბრუნდი და ჩემი ცხენი ბოლუ გამოვიყვანე. ერთადერთი ეს-ლა გვყავდა, მამაჩემისა და ჩემი ძმის ცხენები ბოლო ბრძოლებში დაიხოცნენ. წყაროზე ჩავიყვანე ბოლუ, დაებანე და უკან დავბრუნდი. უკანასკნელად ვაჟამე სიმინდი და ისევ გავიყვანე ეზოდან. ეს რომ დაინახეს, დედაჩემმა და ჩემმა დებმა თვალეზზე ხელები აიფარეს და აქვითინდნენ. ჩემმა ბოლუმ კი არაფერი იცოდა, მხიარულად მოაბიჯებდა ჩემს გვერდით და ხანდახან ალერსიანად გამინახუნებდა თავს მხარზე, თითქოს მეუბნებოდა: შემაჯეყო.

— ჩემო ერთგულო ბოლუ, რამდენჯერ გადამარჩინე დალუპვას და ახლა ჩემი ხელით უნდა მოკვდე, — ვუთხარი მე, კისერზე მოვეხვეე და ავტირდი. მერე აღვირი შევხსენი და მინდორზე მივუშვი. ვაღაწყვეტილი გვქონდა, რომ ჩვენი ცხენები მტრისათვის არ ჩავვეგდო ხელში. ასე რომ ყველას თვითონ უნდა მოეკლა თავიხი ხელით გამოზრდილი ცხენი.

ნაგანი ფეხზე შევაყენე და ჩახმას

თითი გამოვდე. ბოლუ არ მშორდებოდა, იქვე ძივდა და კმაყოფილე იქნედა თავის გრძელსა და ლამაზ კულს. „მერჩია, მგლებს დაეგლიჯე,“ — ვიფიქრე მე. გასროლას ვერა და ვერ ვახერხებდი. ბოლოს როგორც იქნა ყურში დავუშვიზნე და ჩახმას თითი გამოვკარი, მაგრამ მიმტყუნა, არ გავარდა.

ყველაზე უარესი ნაგანის ფეხზე მეორედ ფეხზე შეყენება იყო. სასიყვდილოდ დაჭრილი ცხენი რამდენჯერმე შესტა, თითქოს სიკვდილს უნდა გადაახტესო და მინდორზე დაცემულს ჩემსკენ მოედრიცა თავი. შორიდანაც მოისმა სროლის ხმა — იქაც ცხენებს ზოცავდნენ. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი, რომ შეუბრალებელი ვიყავი.

მერე ჩემივე ხელებით დავმარჩე ბოლუ, ჭვა დავადე და ჩვენი სასაფლაოსკენ გავემართე. ვიცოდი, ჩვენი ოჯახი იქ იქნებოდა. შორიდანვე მომესმა ხალხის მოთქმა და გოდება ყველა თავისი ახლობელის საფლავს ეთხოვებოდა. მამაჩემი თავისი დედისა და მამის საფლავების წინ დაჩოქილიყო, ჭილარა თავი დაეხარა, ტიროდა და მჭილს იცემდა მკერდში. გვერდით ჩემი ყავარჩნებიანი ძმა ედგა, ჭრილობა დაჩოქების საშულალებას არ აძლევდა. დედაჩემი და დები პატარა საფლავს დადგომოდნენ თავს. იქ ბავშვობაში გარდაცვლილი ჩემი უფროსი ძმა იყო დამარხული. თმა გაეშალათ, მოთქვამდნენ და თან გაზაფხულზე მომძლავრებულ სარეველას გლეჯდნენ საფლავიდან. ჩემიანებს ბავშვობაშიც იშვიათად ენახათ ჩემი ცრემლები, მაგრამ გვერდით ამოვუდღეკი და იმ დღეს მეორედ ავტირდი.

ძვირფასო შარახ, გინახავს ოდესმე ერთად ატირებელი მოხუცები და ბავშვები? თუ არ მოგასმენიაა ლმერთამ ნუმც მოგასმენინოს; ამაზე საშინელი ჭვეყანაზე არაფერია. მიკვირს, ან მთებმა როგორ გაუძლეს, როგორ არ ჩამოიქცნენ ან ჩვენი მდინარეები და

წყაროები როგორ არ დამლამდნენ იმ დღეს დაღვრილი ცრემლით?!

ტირლით რომ გული ვიჭერეთ, საფლავებზე მიცვალულთათვის მიტანილი ღვინიანი ღოჭები და საჭმელები დავეტოვეთ. რაღაცნაირად თითქოს გულზე მოგვეშვა და ყველანი ჩვენი ჩვენი სახლებისაკენ გავემართეთ.

სახლში ციოდა. კერაზე ცეცხლი ჩაბუტულიყო. მამამ ცივი ღომიანი ქვაბი აიღო, ეზოდან გავიდა, ძაღლებს დაუძახა და სახლს უკან დაუყარა მთელი ღომი, უკან რომ არ ავდევნებოდნენ, მამა შინ შემობრუნდა. ყველანი გაშეშებული ვიდექით. ვიცოდით, რომ ახლა იქით წავიდოდით, საიდანაც ველარასოდეს დავბრუნდებოდით. რა საცოდავია კაცი, როცა არ იცის რა მოელის!

— აბა, დროა, — თქვა მამაჩემმა. — მეზობლები უკვე გადიან ეზოებიდან.

მამამ თავი მოიშვიშლა, სახლის შუაგულში გაჩერდა და ისე ახედა ქერს, თითქოს ცას უცქერისო.

— ო, ალაპ, შეგვიწყალე გაჭირებულები.

შემდეგ კერასთან მივიდა მამა.

— შენ ათბობდი ჩემს წინაპრებს, ჩემს დედას და მამას, მეცა და ჩემს შვილიშვილებსაც შენ გვათბობდი. მაპატიე, რომ ჩაგაქრე. — ესა თქვა გამჭვარტლული ოჯინჯალი მიიწია და ამთხვია. მერე ხანჯლით კერის წინ მიწა ამოჭრა და მუჭით ჩაიყარა ქამარზე გამობმულ ტილოს პარკში.

— როცა მოვეკვდები, ეს მიწა დამყარეთ გულზე, — გვითხრა მე და ჩემ მამას, — ახლა კი წასვლის დროა.

მამა ბოლოს გამოვიდა სახლიდან გამოხურულმა კარმა ისე ჯულგამგმირავად დაიჭრიალა, თითქოს ჩიოდა: „რას ჩადიხართო“.

— ეს კრიალი კეთილს არ მოასწავებს, — თქვა მამამ და ისევ ლოცვა დაიწყო.

— ო, ალაპ, უსახლკაროდ ნუ დავგვადებ, სახლის კარი გამოკეტილი

ნუ დაგვხვდება, სადაც ახლა მივდივართ.

რაც უფრო ვმორიდებოდით სახლს, მით უფრო მეტი და მეტი ხალხი გვიერთდებოდა. ჩვენ მეზობლებს ავადმყოფი დედა მიჰყავდათ ურმით, ხუთი წელი საწოლს მიჯაჭვული მოხუცი.

— რისთვის მიგყავართ? — იცრემლებოდა და კვნესოდა იგი — აქ დამარბხეთ და ისე წადით.

ხალხი კი მოდოდა და მოდოდა გზაზე, ბოლო არ უჩანდა. მოდიოდნენ ჩუმი და თავჩაქინდარული. რამდენიმე საათის შემდეგ გზების შესაყართან ყვირილი შემომესმა. მე და რამდენიმე ახალგაზრდა წინ გავიქეციეთ, მოხუცებსა და ქალებს გავუსწარიეთ. გზაზე შეტბორებული უამრავი ხალხის წინ ხმალამოწვდილი აპმეთი იღვა, ბარაკაის ძე. მისი თეთრონი კი იქვე ხეზე იყო გამობმული და ტორებს სცემდა.

— თუ ვინდა მომკალით, ცოცხალი თავით კი აქედან არ გაგიშვებთ! — ყვიროდა იგი და ხმალს იქნევდა. — სანამ გვიანი არ არის, დაუბრუნდით თქვენ დაობლებულ სახლებს, გააჩაღეთ კერები, სადაც ისევ ცხელია ღადარი.

— გზიდან ჩამოგვეცალე აპმეთ, ბარაკაის ძე, გემები გველოდება.

— გემები კი გელოდებათ, მაგრამ როცა გათვებთ, რომ მოგატყუეს, უკან ველარ დაგაბრუნებენ ეს გემები. ბევრჯერ ვყოფილვარ თურქეთში და ვიცი, იქ შიმშილი, მონობა და სიკვდილი გელით. სულთანს ვაქიშვილებს წაგართმევთ, იარაღს დააჭერინებთ ხელში და საომრად გაუშვებთ. მორჩა, ველარასოდეს იხილავთ მათ. ამისთვის ვინმობთ იგი, მხოლოდ ამისთვის სტირდებით.

აპმეთი, ბარაკაის ძე ყვიროდა და ხალხიც რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იღვა, მოსმენით კი არავინ უსმენდა.

— რას მოითხოვ ჩვენგან, ვინდა რომ ვიპურებმა ძალად მონათლონ ჩვენი შვილები? ჩვენ მუსულმანება ვართ და მუსულმანების მიწაზე მივდივართ.

— უფსკრულში მიექანებით, უფსკ-

რულში. — შეშლილივით გაპყვიროდა აპმეთი, ბარკაის ძე.

— ხალხო, ნუთუ ამ გიეს პატრონი არა ჰყავს, რომ დააწყნაროს?

— მაგისი ძმა ნაურბი უკვე კარგა ხანია, ზღვაში მიცურავს.

— არ მომეკაროთ! — ისევ ხმალს იქნევდა აპმეთი, ბარკაის ძე — სულერთია, სანამ არ მომკლავთ, არ გავიშვებთ. ვინც წავიდა, წავიდა, მაგრამ თქვენ მაინც დარჩით, ნუ ვაღაამენებთ უბიხების მოდგმას.

— ეი, აპმეთ, ბარკაის ძე, შენ რომ ჩვენი სიკეთე გინდოდეს, განა შენ ხალხს ჩამორჩებოდი? განა მათთან ერთად არ წახვიდოდი?

— ნუთუ თქვენში ვინმე ვაყვაცი არ არის, რომ მომკლას და ჩემი თვალით არ ვუყურო, როგორ იღუპება ჩემი ხალხი? — ერთი ნაბიჯითაც არ იხვედა უკან აპმეთი, ბარკაის ძე.

ხალხმა ქალები და ბავშვები წაიძლოლია წინ, აპმეთმა ახლა კი დაიხია უკან; ვერ შეეხო მათ. ხალხი მიაწვა და ნელა დაიძრა. ისე ჩაუარეს, ზედაც არ შეუხებდავთ აპმეთისთვის, ბარკაისძისთვის.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ზღვას, მით უფრო იზრდებოდა ჩვენი რიცხვი. ჩვენს ახლოს ბრმა საკუტს შვილიშვილები შედგომოდნენ მხრებში და ისე მოჰყავდათ. რაც თავი მახსოვს, დღესასწაულს არ ჩაუვლია ისე, რომ საკუტს არ დაეკრას თავის აფხიარცაზე. პირველად ვერ შევნიშნე იგი, მაგრამ ზღვას რომ მივეუახლოვდით, ქამრიდან აფხიარცა ჩამოიხსნა, ააწყო, და ქამანი გაუსვა. ჯერ მხოლოდ უკრავდა, შემდეგ კი სიმღერაც კი წამოიწყო.

მიდიოდა და ფეხებს ძლიავს პიათრევედა, ხმა კი ძველებურად ისეთი სუფთა და ძლიერი ჰქონდა, ვერც დაიჯერებდი, მოხუცი თუ მღეროდა.

ღმერთო, რა შწაზე ხვედრი გვარჯუნე! ღმერთო რა შწაზე ხვედრი გვარჯუნე! შვი ზღვა ჩვენი დარდს ხელაა, ჩვენი სამშობლო კი ერთი მუქა. მთესაფარი და მარტომარტო გაიყინება ჩემე გავაღო

და ვინ რამდენ წელს ვიცოცხლებთ კიდე, ვის უმეოხაოს, არცინ ვრჩებოთ. ძმებო მკვლარებს უნდა გამოვეთხოვოთ, დავეშვედომოთ ძვირფას საფლავებს და გამოვეტყუდეთ: მათ სანახავად ველარსოდეს ვერ დავბრუნდებით. ცოცხლებო, მკვლარები არ მოვბრუნოთ, სიმაართლე ვუბოხროთ, შწაზე სიმაართლე!

ყველას ესმოდა საკუტის სიმღერა და აფხიარცის ხმა, ყველას ვინც წინ იყო თუ უკან.

შეეჩრდეთ ძმებო, და მოგს მივხედოთ, მათ არ იცან, საით მივდივართ.

გამოვეთხოვოთ და დავუტოვოთ ჩვენი სიმღერა და ჩვენი სუნაქა როცა შვილები დღდას ტრევენ, განა შშობელი დამნაშავეა? განა ეს მიწა დამნაშავეა?

დამნაშავეა განა ეს ზეცა? ჩემო შვილებო, რატომ მიდიხართ, რა დავიშავეთ ჩემო შვილებო? — მოთქვამს, მოგვტობის შშობელი მიწა და გვეფარდება ფეხქვეშ ქვათინით.

ო ვებატო, მიწაე ტანჯულო, ვხაბანუტლებს და უბედურებს. ველარ დავრჩებოთ, ბედით დევნილი, ჩვენ სამუდამოდ გტოვებთ, გმორდებთ, გტოვებთ, გმორდებთ და სულს გიტოვებთ, ის სამუდამოდ დარჩება შენთან.

ო, ალაჰ, რამდენმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ და მე კი ისევ ყურებში მიდგას ის ტანჯული სიმღერა. ბევრჯერ მინახავს, მიწაში ჩაღვებულ მიარცვლისგან როგორ ამოიზრდება ხოლმე ღერო, ბევრჯერ მინახავს სიცოცხლის დაბადება, სიმღერის დაბადება კი ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე. ის იმ საშინელ დღეს დაიბადა, ზღვისკენ რომ ვაღეჭით გზას და სამარადისოდ დარჩა ჩვენთან. როცა ჩვენი მხრები ნალევს ველარ ზიდავდა, წრეს შევკრავდით და ჩავეყენებდით შუაში, ვინც ყველაზე უკეთესად იცოდა ეს სიმღერა და ვმღეროდით, ვმღეროდით სანამ არაქათი არ გამოგვეცლებოდა და თუ დაიჯერებ, ძვირფასო შარახ, ეს დაღლილობას, დარდს გვიქარებდა.

სანაპიროზე რომ მივედით, ფეხის დასადგმელი ადგილი არსად იყო. ერთმანეთში არეულიყო ადამიანები და

პირუტყვი. შარდინმა, ალოუს ძემ წინასწარ გაგვაფრთხილა რისი წაღება შეიძლებოდა და რისი არა, მაგრამ ზოგიერთებს მაინც ჰქონდათ იმედი, რომ პირუტყვის წაყვანასაც მოახერხებდნენ და სანაპიროზე მოერეკათ.

ზღვაში კლდოვანი სანაპიროს მოშორებით, ხომალდები და აფრიანი გემები იღვნენ. ნაგები აქეთ-იქით მიდი-მოდიოდნენ და ნაპირიდან ხალხი გადაყავდათ გემებზე.

ჩვენს ძუძუმტეს შარდინს, ალოუს ძეს თავისი ოჯახიცა და მთელი ბარგი-ბარხანაც ერთ აფრიან გემზე მოეთავსებინა. გვიპირდებოდა, თქვენც დიდი ხომალდით იმგზავრებთო, მაგრამ არ გამართლდა. თვითონ ნაპირზე მობრუნებულყო, ბოლო წუთებში ქვეშევრდომთაგან ვინმე რომ არ მოეპარათ, გვიცდიდა იქა თან კრიალოსის მარცვლავდა. თავზე უკვე ბოხონი კი არა, თურქული ფესი ეხურა და მე შართალია, ხმაშიაღა ვერ ვუთხარი, მაგრამ ვულში კი გავიღვი: „აქვე თუ გვაქირს შენი ცნობა, იქ როგორღა უნდა გიცნოთ?“

ნაგებში ჩასხედითო, გვითხრა შარდინმა, ალოუს ძემ.

— ცოცხალი არაფერი წამოიყვანათ ადამიანების გარდა. — ისევ გაგვიმეორა ნათქვამი.

ჩვენც საქმეს შევუდგეთ. ერთიმეორეს მიჰყევბოდა ხალხით გაქვდილი ნაგები და უკან ცარიელი ბრუნდებოდნენ, ისევ მიდიოდნენ და ისევ ბრუნდებოდნენ. თურქები გვიყვიროდნენ და გვანჩარებდნენ. ეჰ, ძვირფასო შარახ, ხომ გახსოვს, როგორ ამბობენ თქვენში. აფხაზეთში „ამყოლს აჰყევი და დამყოლს დაჰყევიო“ მარტო ლანძღვავინებას კი არა, პანდურსაც უსიტყვოდ ვიტანდით.

მე რომ ჩავიდა, ნაპირზე უკვე ეაციშვილი აღარ იყო, მიტოვებული მშვიერი პირუტყვი ბლაოდა მხოლოდ. მე და რამდენიმე ახალგაზრდა უკანასკნელები წავედით. სანაპიროს ქვეშს ვემთხვიეთ, ნაგებში ჩახვტილ და ზღვაში შევედით. რატომ მაშინ არ მოვკვდი,

რატომ მაშინ არ გამისკდა გულს, როცა ცალი ფეხი ისევ მშობლიურ მიწაზე მედგა და ცალი ნაგის ქიშზე! რამდენ უბედურებას ავცდებოდი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე!

ჩვენი უკანასკნელი ნაგი ქანაობდა და უფრო და უფრო შორდებოდა ნაპირს. უცბად ნაპირთან თეთრცხენიანი მხედარი მოიჭრა, მაშინვე ვიცანი, აჰმეთი იყო, ბარაკაის ძე. ცხენიდან ჩააოხტა და აღვირი მიუშვა თვითონ კი ზღვაზე გადაიკიდებულ კლდის ქიშზე შედგახელებს გვიჩვენედა და რალაცას ხმამაღლა გვეძახდა, მაგრამ ქარს ჩვენამდე არ მოჰქონდა მისი სიტყვები.

— მოდი, დაებრუნდეთ და წამოვიყვანოთ, მარტო ხომ არ უნდა დავტოვოთ კაცი, — ეთქვი მე.

თანამგზავრები სდუმდნენ, მერყეობდნენ, მაგრამ თვითონ აჰმეთმა გამოუტანა თავის თავს განაჩენი. ნაგანის გასროლის ხმა გავიგონეთ. ის კი არა და თითქოს პატარა ნაცრისფერი ბოლიც დავინახეთ. სროლის ხმა კი გავიგონეთ, მაგრამ აჰმეთი, ბარაკაის ძე ისევ იდგა კლდის შვერილზე, მერმე შექანდა და ზღვაში გადაეშვა. დამფრთხალი ცხენი კი უკაცრიელ ნაპირზე მიჰქროდა. ჩვენ აღელვებულები ვიყავით. გზა რომ გადაგვიღობა, მაშინ არც კი მოვუსმინეთ, ახლა კი მისმა სიკვდილმა შეგვაშფოთა და ავგაფორააქა. „რაკი ასე მოიქცა, ეტყობა ისეთი რამ იცოდა, რაც ჩვენ არ ვიცით.“ — გავიფიქრეთ ჩვენ, მაგრამ ფიქრი უკვე გვიანდა იყო. უბიხების მიწა უკაცრიელი იყო, აჰმეთის, ბარაკაის ძის საბრალოსხეულს კი აქეთ-იქით ახეთქებდნენ ტალღები, თითქოს აქეთ ზღვა და იქით ნაპირი ექანებოდა.

ხალხით გატენილი ჩვენი აფრიანი გემი ცალ მხარეს გადაიხარა, შემობრუნდა და გეზი ზღვისკენ აიღო. რაც უფრო ვშორდებოდით ნაპირს, მით უფრო მკაფიოდ ისახებოდა მშობლიური მთების კონტურები ჰორიზონტზე. რა შეჩვეული ვიყავი ამ მთებს, მე ხომ მათ გულზე გავიზარდე. დღემდე ისე მახ-

სოცს თვითთული მწვერვალი, როგორც იმ წუთებში ვიხილე.

რაც უფრო ღრმად შევიღიოდი ზღვაში, მით უფრო სქლად ეფარებოდა მთებს საღამოს ცისფერი ბინდი. ცოტა კიდევ და საცხებით მიეფარნენ თვალს.

უსინათლო საკუტმა ისევ დაუკრა აფხიარცა. ახლა აღარ მღეროდა, უკრავდა მხოლოდ აფხიარცის ხმას ხან ზღვის ხმაური ახშობდა და ხან ანძის ქრიალი, მაგრამ მე მყისვე ვიგრძენი მისი დაღუძება, აფხიარცა გაჩუმდა და მეც რატომღაც გული გამეყინა. მოხუცთან მივედი. ბაქანზე იჯდა. ვაცვეთილი ჩოხა ეცვა, ნაბადი ქვეშ დაეგო. შველიშვილებს აქეთ იქით დაედოთ თავი პაპის მუხლებზე და ეძინათ. „აღბათ თვითონაც ჩაეძინა“, — გაეფიქრე მე, მაგრამ უფრო მიეუახლოვდი და... არ ეძინა, დაბალუბით ცვივოდა ცრემლები, ტადარა წვერს ჰსველებდნენ და მშობლიური მიწის ნაგულჯავით გულში ჩაჭრულ აფხიარცას ეწვეებოდნენ.

„ო, ილაპ, — გაეფიქრე მე. — ნუთუ ის თავისი ჩინდაკარგული თვალეზით ზღვის ნისლით დაფარულ მშობლიური მიწის ბუნდოვან გამოსახულებას ხედავს, სადაც აღარასოდეს გვიწერია დაბრუნება?“

### სად არის აღმოჩენილი სამოთხის მიწა?

ღამე არ მიძინია და დილადრიანად უბის წიგნაკითა და ფანქრით ხელში უკვე გარეთ ვიქევი და მოხუცს ველოდებოდი. ნეტა რას მიაპობს დღეს?

ცა მთელი დღე ღრუბლებითაა დაფარული, გარშემო კი შიშველი დაბლობაა, ისეთი ჩუმი თითქოს მასაც ჩემსავით სწყუროდეს უკანასკნელი უბიზის ნაამბობის მოსმენა, გაიგოს, რა ბედი ეწიათ უცხო მზარეს გადახვეწილებს.

რას წარმოვიდგენდი, რომ საღდაც თურქეთის ვანაპირას შევხვდებოდი უბიზურ ენაზე მოლაპარაკე ერთადერთ კაცს. კიდევ კარგი, რომ დედა აფხაზი

ჰყავდა; ჩემი მშობლიურ ენა ის წვრილი ძაფი გამოდგა, რომელმაც უკრთინეთს დაგვაკავშირა.

რაკი უბიზური ენა სუსტად ვიცოდი, ისევ თურქულისთვის უნდა მიგვემართა, სხვა რა გზა გვქონდა. აქაც მწარედ დაგვეცინოდა ბედი.

ო, ეს მაჰაჯირობა, მაჰაჯირობა! ბავშვობიდანვე მესმოდა ეს სიტყვა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი მისი მნიშვნელობა.

ამ წყევულმა სიტყვამ სამჯერ გაატიპლა აფხაზეთი. როცა ჩვენი მოხუცები წარსულის რაიმე საკითხზე კამათობენ, ერთი ამტკიცებს, ეს პირველი მაჰაჯირობის დროს იყო, მეორე ამტკიცებს — მეორე მაჰაჯირობის დროსო. მამაჩემს ლუშმანს რომ ჰკითხოთ, როდის დაიბადეო, უსათუოდ გიპასუხებთ, მესამე მაჰაჯირობის მეორე წელსო.

ჰო, მაგრად გაგვიჯდა მეხსიერებაში ეს სიტყვა! ხალხი მაჰაჯირობაში მოჰყვაო, რომ ამბობდნენ, ჩემი ბავშვური გონება ასე წარმოიდგენდა ამას: ვითომც რაღაც საშინელი მღვრიე წყალი მოვარდა და ხალხი გაიტიპა...

ამ მღვრიე წყალმა მართლა შთანთქა ათიათასობით აფხაზი, მაგრამ ჩვენი ხალხს ბედი ბოლოსდაბოლოს მაინც სხვაგვარად აეწყო. კი არ ჩამქრალა, უფრი და უფრო გიზგიზებს სამშობლოში დარჩენილი აფხაზების კერა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა სხვანაირადაც მომხდარიყო. ხომ შეიძლებოდა, ჩვენი ხალხიც, ვინ თავისი ნება-სურვილითა და ვინ ძალდატანებით, უბიზების დამლუპველ გზას დადგომოდა.

საკითხავია, ვინ მოვიდოდა მაშინ ამ სისხლიან ნაკვალევზე უბიზური თუ აფხაზური ენების შესასწავლად? ვინ იქნებოდა ის კაცი? ყოველშემთხვევაში მე არ ვიქნებოდი. ის კი არა და მე საერთოდ არც გაგჩნდებოდი აღბათ ქვეყანაზე.

ყოველივე, რაც დღეს გამაჩნია — განათლება, პროფესია, ჩემი სამშობლო, ჩემი მასწავლებლები და მოსწავლეები

უბრალოდ არ იარსებებდნენ და მეტი არაფერი.

რაც ამ მარტო შთენილი მოხუცისაგან მოვისმინე, ამ უკანასკნელი ციციხალი უბნისაგან, თითქოს მეუბნება, რომ უბიხების დამლუპველი გზა განსაზღვრული იყო, რომ მათ არ ძალუძდათ სხვა არჩევანი. მეც ხომ მრავალტანჯული ხალხის შვილი ვარ, უბიხების მსგავსი წარსულის მქონე ხალხისა, მაგრამ სხვა ბედი გვარგუნა განგებამ. ისეთი ქვეყნიდანა ვარ აქ მოსული, რომლის წარსულიც ღალატებს: დიახ, თითქოს ჩვენც ისეთივე ბედი უნდა გვწვევოდა, როგორც უბიხებს ერგოთ. შეიძლებოდა, მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა! და რაკი ეს ასეა, მაშინ ლოგიკა, რომელიც უბიხების გადაშენების აუცილებლობას ამტკიცებს, უაზრობას, ჩემთვის მიუღებელ რაღაც შეუსაბამობას შეიცავს.

მეხსიერებაში ვქექვ უველაფერს ჩვენი ისტორიიდან, რაც უბიხების ისტორიის მსგავსია და არა და არა, არ შემიძლია დავიჯერო, რომ უბიხებსაც არ ჰქონოდათ სხვა არჩევანის საშუალება. ისიც კი, რომ მე — აფხაზი აქ ვზივარ, ამ უიმედო ლოგიკის უარყოფელია.

— რამ ჩაგაფიქრა?

მიეტრიალდი და ზაურყანი დავინახე. წამოვხტი, მივესალმე და კეთილსა და მშვიდ კითხვებზე ვუპასუხე: როგორ გეძინათ, მოხერხებულად თუ იწყიო, ხომ არ მოგშვიდაო.

შემდეგ ნელა დაეშვა თავის ნახელავ სკამზე და ზეს მიეყარნო. მისმა მზერამ მაშინვე გადაინაცვლა შორეთში. არცერთი სიტყვა აღარ დაუხარავას არც ჩემზე და არც არაფერზე, რაც ჩვენს ვარშემო იყო. იქ დაბრუნდა, გასულ საუკუნეში, სადაც ისევ განაგრძობდნენ სიცოცხლეს მისი ფიქრები...

ტალღები მთელი გზა მონდომებით ერეკებოდნენ თურქეთის ხომალდებს, სამშობლოს საზღვრებს გვაშორებდნენ. არ დავგმალავე, შარახ, და შიშთან ერთ-

თად იმედიც გვექონდა ვულში ჩაბუდე-ბული.

ო, ძვირფასო შარახ, ჩვენი დაღუპვა იმ საბედისწერო ნაბიჯიდან დაიწყო, მწვანე ნახევარმთვარით შემკულ გემთან რომ მიგვიყვანა. წყეულმც იყვნენ ეს გემები!

ჩვენ გემით — „ნესრედ-ბახრიო“ მივდიოდით. იმ დროისათვის ის დიდ გემად ითვლებოდა. ასეთი სამშლიანი გემები ცოტა იყო. რამდენი წელი ვავიდა და მათი სახელები ისევ მახსოვს: „მაჰმედიუ“, „ასსარი-მეფქეთი“, „ოსმანიუ“, გემის კაპიტნებს გადაყვანისთვის სულადობის მიხედვით ვუხდიდით, როგორც პირუტყვის გადაყვანისთვის. ტყუილად კი არ ამბობენ: ძუნწი კაცი ქვასაც კი გაადენსო წყალს. გემები ცოცხალი ტვირთით იქედებოდა. ჩვენმა კაპიტანმა სინანული გამოთქვა: „ჩაძირვის რომ არ მეშინოდეს, მეტს წავიყვანდიო.“ დიდხანს ვცურავდით, წყლისა და სურსათის მარაგი გავვითავდა. ზღვის ლელვა დაიწყო. ხალხი ზღვის ავადმყოფობამ გააწამა. მამაცებიც კი შიშმა მოიცვა. ლოცვას წყევლა-კრულვა ცვლიდა, წყევლა-კრულვას — ლოცვა. დახმარება კი არსიდან ჩანდა. თუ ამტანი არ იყავი, უნდა მომკვდარიყავი, მე შენ გეტყვი და დამარხვას დაჭირდებოდა ხლაფორთი. საფლავის გათხრაც არ იყო საჭირო.

და აი ყველამ, ვინც ასეთი ბედი ავირჩიეთ, ახალგაზრდამ და მოზუცმა, ქალმა და კაცმა, ყველამ, ვინც ზღვაზე სიკვდილს გადაურჩით, ღვთისაგან დავიწყებულ მიწაზე დავდგით ფეხი. მცენარის ნასახიც არსად ჩანდა, საჭურისის სახესავით დანაოჭებულიყო მიწა. კაცი-შვილიც არ დავხვედრია, თითქოს მოულოდნელად მოვსულიყოთ, სულთანის თბილი მოწვევის გარეშე. მთელ სანაპიროს მოვედეთ უბიხები. გზაბანჯული ფრინველების გუნდს ვგავდით, ქარიშხლით გაწამებულნი, არაქათ გამოცლილნი რომ დამგებულან უცხო მიწაზე.

შარდინის, ალოუს ძის შინაყამებში ჩვენი ოჯახიც შედიოდა. გემიდან ვაღ-

მოვედით თუ არა, ყურის მახლობლად დაებნაყდით, ქალაქ სამსუნის განაპირას. ვცდილობდით, ჭკუფ-ჭკუფად ვყოფილიყავით. იმ ცბენების მსგავსად, საფრთხე რომ უყნოსავთ. ჩვენი ბარგობარხანა ბევრს არაფერს წარმოადგენდა, აუცილებელი საგნებისაგან შედგებოდა. ამის შემხედვარეს სახლ-კარ დამწვარი ვეგონებოდით, ცეცხლიდან გამოვარდნილებს მხოლოდ ის რომ გამოგვეტანა გაბეთ, რისი მოხელთებაც მოგვესწრო.

ო, ღმერთო ჩემო, რა უბედური და განწირულია კაცი, როცა განგება უტყობი მიწაზე სიცოცხლესა და სიკვდილს მიუსწის.

გაზაფხულის პირველი თვე ის ის იყო იწყებოდა მიწა, რომელზეც ფეხი დავადგით, უკაცრიელი და გაუღებურებელი იყო. თითქოს ჰაერი არ გვეყოფნიხსო, ისე გვიკირდა სუნთქვა. იქნებ იმისი ბრალიც იყო, რომ გულზე ლოდით გვაწვა ნადველი. როგორც კი ღრუბელს მიეფარებოდა მზე, სუსხავდა, გამოჩნდებოდა თუ არა — პაპანაქება იდგა. იცა ავხედავდი და ისე გამოთეთქვილი იყო, თითქოს გახუნებულყო.

არაფრით არ წაავადდა ეს მიწა ჩვენგან მიტოვებულ მარადმწვანე სანაპიროს. ჭეშმარიტად მაშინ ვიკვებ კაცი შენი ჭონების ფასს, ჩემო შარახ, როცა დაკარგავ. აბა, როგორ არ ვაგვხსენებოდა ჩვენი ექოიანი ხეობების ხელშეუხები ტყეები, სადაც თვითთული ქადრის ფოთოლიც კი კვერნის ტყავივით ბზინავს, სადაც ყინულივით ცივი ნაკადულები ბირაკრავებენ, ტყის ნაპირებზე და მინდვრებზე კი ინებე რამდენიც გინდა სურნელოვანი მარწყვი, მოგვიანებით კი ეკლიან ბარდებზე მომწიფებელი ყოლო და მყვალნი. შემოდგომის პირს, ხომ ნულარ იკითხავ, რას აღარ გვაძლევს ჩვენი მადლიანი მიწა: ველური ლღვი გინდა თუ კაკალი და ლაპლაპა წაბლი, ხის ფუღურებში თეთრი სარხებიდან ველური თაფლი მოწვეთავს, კაცის ძალისა და ღონის შემმატებელი ყველაფერი შენია, აიღე და პი-

რი ჩაიტბარუნე, ღმერთმა შეგირგოს ახლა იარაღს თუ ატარებ. დე ჰაფანგის დაგება შეგიძლია! ნადირკობისაგანს უკეთეს აღგიღს ღუნიაზე ვერ შეხვდები. რა გინდა სულო და გულო იქ რომ არ იყოს: ჭერიანი და შველი, გარეული ღორი და დომბა. ჭაობის ფრინველს მართლა ვერ აუხვალ კაცი, საითაც გინდა იქით გაიხედე. თუ არ გინდა და ძალს ვინ დაგატანს, წყლის პირას კოცონი დაინთე და თუ გინდა ხელით დაიჭერ ოქროსფრად დაწინწლულ კალმახს. მზის ქვეშეთში არ მოიძებნება მსგავსი სამოთხე, მაგრამ კაცი თვითონ თუ გარბის სამოთხიდან, მაშინ ყველა გზა ჭოჯოხეთში მიიყვანს მას. ეს აქ ჩამოსვლის მერე გავიგეთ, ძვირფასო შარახ, გავიგეთ და გონსაც მოვეგეთ, მაგრამ გვიანდა იყო. ჭოჯოხეთის კარები შეხხვალ თუ არა, მაგრად მოგვეკეტება ზურგს უკან.

ქარი ისე როდი ქრის, როგორც შენ გინდა. აფრიანი ვეშებითაც მოემგზავრებოდნენ უბოხები აქეთკენ. ერთი ასეთი გემი ქარიშხალმა შორს ვაიტაცა, დასავლეთისაკენ. დიხხანს იყო გემი ზღვაში; წყლის მარაგი გამოელიაო, სიბინძურეც დაგროვდა ზედ და მუცლის ტიფმა იფეთქა. სიკვდილი ცელავდა ხალხს. როცა გემი სამსუნის ნავსადგურს მიუახლოვდა, ერთი მუქა ცოცხალი ადამიანებილა იყო ზედ ნაპირზე ჩამოსვლის ნება არავის მისცეს, იმის შიშით, რომ სენმა ქალაქში არ შეაღწიოსო. გემმა ღუზა ჩაუშვა. საწყალი მაპაჯირები! ნაპირზე ჩოხიანი ხალხი რომ დაინახეს, საშველად უხმობდნენ. რა უნდა გვექნა? მივეცურდებოდით გემთან და ჩამოშვებულ თოკებზე წყლიან სურებს მივამბოდით, ეს იყო და ეს. სანაპირო დაცვა ამისთვისაც გვეგინებდა, ტყვიის დაშენით გვემუქრებოდა.

ღმერთმა ერთნაირი გააჩინა ადამიანები, ოღონდ ქისები მისცა სხვადასხვანაირი. ჩვენმა ბატონმა შარდინმა, ჩამოვედით თუ არა, ადვილად იპოვა თავის ნაცნობ მცირე აზიელი ვაჭარი და აბილი თავშესაფარიც იშოვა მის სახლ-

ში სამსუნის მახლობლად. ჩვენ კი უბრალო მოკვდავებს რა უნდა გვექნა? სად უნდა შეგვეფარებინა თავი ავღარში? გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია. შორიასლოს რიყის ქვით ნაშენები ფარდულები დავლანდეთ, ერთი ათამდე იქნებოდა, კავკასიის სანაპიროებიდან მოტანილ სიმინდს ინახავდნენ შიგ თურქე თურქი ვაჭრები. ერთი ფარდულის გარდა ყველა ცარიელი იყო. კუთხეებში იმ სისქე აბლაბუდის ქსელები იყო გაბმული, რომ კაცის სიმძიმეს გაუძლებდა. სიბნელეში კედლებსა და ქერზე კალიის მსგავსი ბუკლები დაბობდავდნენ და დაბორიალობდნენ. ყოველგვარი ნებართვის გარეშე დავიკავეთ ეს პირქუში შენობები და ესეც კი ბედის გაღიშებად ჩავთვალეთ. წვიმისა და ქარისაგან მაინც დავიფარავდით თავს. ჩვენი ბატონი და კეთილისმყოფელი შარდინი, ალოუს ძე, გაოგნებული იყო, ასე გაჭირვებულები რომ გვცნა.

— ეტყობა რაღაც გაუგებრობაა, — გაგვახსენებია მან, — გავიგებ, რაშინა საქმე და ვეცდები, ყველაფერი მოვაგვარო. თქვენი კი გამაგრდით და ჩემს მამოსვლამდე მოთმინება იქონიეთ.

იმედის ნაპერწკალი ჩავცისაბა და სტამბოლს გასამგზავრებლად მოემზადა. მოგვხსენება, ქონებას უპატრონოდ არ ტოვებენ და შარდინმაც გამგზავრების წინ მკაცრად დაუბარა ცოლს: თვალყური გეჭიროს ჩემს მზეთუნახავ დაზეთ, ალაპის ქვეყანაში ქალი ძვირფასი საქონელია. ვინმემ თუ აცთუნა ან მოიპარა, ცოტა ფულს როდი იშვავს. შანდას რომ რაიმე შეემთხვას, იცოდე პასუხს აგებ.

შარდინს არ გაემტყუნებოდა: ჯერ კიდევ უბიძების ქვეყანაში მთასა და ბარს იყო მოდებული შანდას არნახული სილამაზის ამბავი. ბევრი აფხაზი, ადიღელი თუ ყაბარდოელი ვაჟკაცი უგზავნიდა შუამავლებს. ზოგიერთი მოსწონდა კიდევაც შანდას, მაგრამ მის სიტყვას ვერ გადავიდოდა, ამიტომაც ზრდილობიანი უარით ბრუნდებოდნენ უკან დაბრახსელა შუამავლები. ზედმიწევნით

ამაყი და პატივმოყვარე იყო შარდინი, ალოუს ძე. დის ბედს წყვეტდა და თავის ინტერესებსაც ვერ უფლიდა გვერდს. ყოვლისშემძლე სიძე ეზმანებოდა, ვისი დიდებულების ანარეკლსაც ვერცხლზე ამოტვიფრული საკუთარი სახელით ატარებდა. ბავშვობიდანვე გონებივრებულ მომხადადობელ შანდას უყვარდა უბიძი თავადების წრეში კეკლუცობა. კოპწია იყო და სამკაულებს აღმერთებდა. თავისი ფასი კარგად იცოდა, მაგრამ თავყვანისმცემელი მამაკაცების მიმართ საოცარი მიმნდობი იყო. ეს კი ძალზე აშფოთებდა რძალს, რომელსაც მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა ქმარმა.

შანდას სახელი კარგად დაიხამე, ძვირფასო შარახ. მალე გიამბობ, როგორ უმტყუნა ბედმა, ბედნიერება და უბედურება მშები არიან. ეჰ, შანდა, შანდა, მომხადადობელო შანდა! თენ იფიქრებდა, რომ ის გასდებოდა თავისი დვიძლი ამის დაღუპვის მიზეზი და ჩვენი ისედაც გამოუვალ მდგომარეობას კიდევ უფრო უსამველოს გახდიდა.

სადაც სიტოცხლეა, იქ უკეთესის რწმენაცაა. წაეიდა შარდინი, ალოუს ძე სტამბოლში, ველოდებით ერთი კვირა, თორი, ის კი არა და არ ჩანს...

შიშშილი ქვასაც დაღეჭავსო, — ამბობენ... რაც შინიდან გექონდა წამოღებული, პირველ დღეებშივე გაქრა. კიდევ კარგი, ცოტაოდენი ფული გავგაჩინდა და ახლომახლო ფურნეებში პურს ვყიდულობდით. ჯიბეები რომ ამოვიფხიკეთ, ოჯახის ძვირფასეულობას მივადექით. ცოტა ისიც მოგვეძვევებოდა. გროშებზე ვყიდდით, მოგვხსენება, მშვირები არ ვატრობენ. შეშინებულმა ნოქრებმა და მედუქნეებმა სავაჭროები დაკეტეს; კარგად იცოდნენ, რომ შიშშილი შეგლსაც კი ერეგება ტყიდან.

სულთანის მთავრობა რომ დარწმუნდა, მაპაჯირები შეიარაღებული არიანო, დაიბნა და უარი თქვა დაპირებაზე — თქვენი სურვილით აირჩიეთ საცხოვრებელი ადგილებიო. შიშმა გადწყვეტი

ლებაც უკარნახათ: დავექსაქსეთ და ქვეყნის სხვადასხვა მხარეს დავესახლებინეთ. აღვიღები კი შორი-შორ იყო, უკაცრიელი, უნაყოფო და გამოფიტული. სწრაფად გადახმა დაპირებული სამოთხის ბუჩქებზე, სწრაფადვე აორთქლდა დაპირებული რძის მდინარეები. არც დაპირებული პირუტყვი მოუციათ და არც რაიმე დახმარება ვაუწყებიათ.

უბიხები დღევანდენ: შეასრულეთ პირობა! შეთანხმებაში ნათქვამი იყო, რომ ხუთი წლის განმავლობაში თავისუფალი ვიქნებოდით მიწის გადასახადისაგან, თქვენ კი მოითხოვთ! ლამის ყურანზე იფიცებდით, რომ ჩვენ შვილებს ჯარში არ გაიწვევდით, თქვენ კი ასეკრებად მიგყავთ! ასე როგორ შეიძლება, ვის მოვთხოვთ პასუხი „სულთანის ხელმოწერილი ქაღალდი სადა გვაქვს? სიტყვა მოგვცეს“, „სიტყვას ბაჟს არ ადებენ. სიტყვა საბუთი როდია“.

ერთი კი იგრძნობოდა, ეშინოდათ ჩვენი. მოდი და ნუ შეეშინდებოდათ, გამწარებული კაცი რას არ ჩაიდენს.

იქნებ ამის გამო იყო, რომ პირველ ხანებში თავი მიგვანებეს; იფიქრეს, გაუფლით გაცოფება, დადუღდებიან და დაწყენარდებიანო. ჩვენი სულიერად დაცემის იმედი ჰქონდათ, ეგონათ თამასავით დავვიხვევდნენ.

ერთ-ერთი ფარდული, როგორც გითხარით, სიმინდის მარცვლით იყო საესე. ეპ, ძალით არ ინატრებდა ჩვენს ბედს. კარებს ურდულები მოვავლიჩეთ და საცავი დავაცარიელეთ. ვისაც რამდენი შეგვეძლო, იმდენი წავიდეთ. ახლო-მახლო წისქვილი არ იყო, შიმშილი კი ყველანე უკეთესი მზარეულია. ზოგი ქვით ნაყავდა მარცვალს, ზოგი კი უფრო იიოლებდა საქმეს — პირდაპირ ღამს ხარშავდა. მაგრამ ნადავლი მალე გამოგველია და ახლო-მახლო სოფლებს მოვედეთ. რაც მართალი მართალია, თურქი გლეხები, როგორც შეეძლოთ, ხელს გვიმართავდნენ. ძონძებში გახვეულ აცახტახებულ კაცს რომ დაინახავ-

დნენ, ნახმარ ტანსაცმელს აძლევდნენ პურსაც გვაძლევდნენ, მაგრამ ისე კი არა, როგორც მათხოვრებს, უბრალოდ გვეწილადებდნენ. მშვირი ხალხის ბრბო აღიდებულ წყალს ჰკავს, კალაპოტში რომ ვერ ეტევა. ჩვენს უნებურად მძარცველებად ვიქცით. თითონ ჩამოტონძილები ვიყავით, იარაღი კი მოვერცხილილი გვეტონდა ახალგაზრდები ყაჩაღებს უერთდებოდნენ, წინამძღოლად შიმშილი ჰყავდათ. პირუტყვს იპარავდნენ და ხორცს თვისტომებს უნაწილებდნენ. ქალაქებში დათარეშობდნენ და ქსოვილებისა და ფეხსაცმელების ფარდულებს ძარცვავდნენ. რა დასამალია, შარახ, და ორივე მხარეს სისხლი იღვრებოდა. ცუდი ხმა დავვივარდა, ყაჩაღებად მოგვნათლეს. ბავშვებსაც კი აშინებდნენ ჩვენით. მათხოვრებებით დაძრწოდნენ მძიელები სამსუნის ქუჩებში. დაფხრეწილი ჩოხებიდან გაძვალტყავებული მხრები და ლავიწები მოგვიჩანდა, დაგლეჯილი ქალამნებიდან კი ჩაბინძურებული თითები. შეშლილებით აცეცებდნენ თვალებს სასაუზმეებსა და კაფეებში შესულები და შიმშის ზარს სცემდნენ მეპატრონეებსა და სტუმრებს. ავამყოფები და მოხუცები ღონეგამოლულნი, დაუძლურებულნი და განწირულნი ხეების ჩრდილში იწვნენ დაგლეჯილსა და მტვრიან ნაბდებზე. სახეები დაგრძელებოდათ, ყბები ჩაცვენილათ და ბუზებსაც ძლივს იგერიებდნენ.

გადაფერენის დროს ერთი ფრინველი რომ დაეკარგავს მეორეს, ისე დავკარგე ფელდიში. ვინ იცის, იქნებ ზღვაზეც მოკვდა, უცხო ქვეყნისკენ რომ მიდიოდა გემით, ვინ იცის, იქნებ... მწუხარე სურათები ერთმანეთს ცვლიდა ჩემს გავარვარებულ გონებაში. აშოლტილი იყო ფელდიში, ნაწნავები კოჭებამდე სცემდა, თვალბი ნუშვივით წაგრძელებოდა და ასეთ მომზიბლავს აბა ვინ არ შენიშნავდა თურქეთის სანაპიროზე.

თურქი ფაშებისა და ვაჭრების პარამხანები უმეტესად უცხო ქვეყნების შვილებით იყო საესე. ფელდიში უბიხი ქალწული იყო და ეს ბევრს ნიშნავდა.

უბიხი გოგონებისა და ქალების მიმზიდველობისა და ღირსების ამბავმა ჩვენს ჩამოსვლამდე გაცილებით ადრე მოაღწია თურქეთის ნაპირებს. ვინ იცის, იქნებ შიმშილისაგან გაწამებული, ჩამოძონძილი ფელდში აქვე, ჩემს ახლოს დაფარუბატებს და ეშმა არ მიძღვეს მისი ხილვის საშუალებას.

„ფელდში, ჩემო საყვარელო, ხმა გამეცი, გამოხეხმაურე.“ — ვყვიროდი მე გუნებაში.

ვის ვკითხო, ვისგან გავიგო, ვის ეცოდინება მისი ამბავი, — ვფიქრობდი მე. ჩამოვედი თუ არა, იმ დღიდანვე, იმ დღიდანვე კი არა, იმ საათიდანვე მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი, გამეგო საით გაემგზავრა უბიხების წინამძღოლი ჰაჯი ბერზეკ კერანტიხი. ჯანდაბას კერანტიხის თავი, მისი ამბავი სულაც არ მადარდებდა, მე ფელდშიის ბედი მალეღვებდა. იგი თავის დედ-მამასთან ერთად კერანტიხის ხალხში უნდა ყოფილიყო. ხმებს თუ დაეუჭერებდი, გემი რომლითაც ჰაჯი კერანტიხი მოვიდა თავისი ყმა-გლეხებით, ცოტა ხანს სამსუნის ყურეში მდგარა, შემდეგ კი სტამბოლისკენ აუღია გეზი. ხშირად ვიდექი ხოლმე დაღონებული ზღვის სანაპიროზე. ერთხელ ნაპირს ფელუკა მოუახლოვდა. ბორტიდან ყვირილი მომესმა და დავინახე, ოთხმა თურქმა მეზღვაურმა როგორ გადმოაგდო გათოკილი ჩოხიანი კაცი.

— ალღია! — ყვიროდა ის და თან მაგარ ვინებასაც აყოლებდა ზედ.

ფელუკა ნაპირს მოშორდა. მივედი კაცთან და ადგომაში შევეშველე. რა უსაზღვრო იყო ჩემი გაოცება, როცა ჰაჯი კერანტიხის ძიძიშვილი საიდ დაშანი ვიცანი.

— რა ამბავია საიდ, რატომ გადმოგადგეს ნაპირზე გათოკილი? რა დაგემართა?

— რა დამემართა? — ექოსავით გამომეპასუხა იგი, სიბრაზეს კიდეც არ გაეფლო — ის დამემართა, რაც ყველას დემართა, ზაურყან, საშინელება.

ერთ ღროს გოლიათი იყო საიდი; ხელის ერთი გაქნევით გაწყვეტდა ბაგ-

ირს, რქაში წააგვლებდა ხელს და მიწაზე დაახეთქებდა ხარს. ახლა კი ძველდისაიდ დაშანის აჩრდილიდა იყო დასტეხილზე ძლივს იდგა.

— ყელი გამიშრა, — ენა მოისვა და ფიცხებულ ტუჩებზე, — თუ კაცი ხარ ერთი ყლუბი წყალი მაინც მიშოვე.

— ახლავე, საიდ, ახლავე, — ვამხნევებდი და თან ხანჯლით თოკს ვჭრიდი, რითაც ხელები ჰქონდა გაკოჭილი. სანაპიროს ვაუწყევით. საიდი მეყრდნობოდა და ისე მოდიოდა. მზე ჩავიდა. ბინდდებოდა. ქალაქი უკან მოვიტოვეთ. საიდი უფრო და უფრო მძიმედ მაწვებოდა მხარზე. მივხედი, სულმთლად გამოეცალა არაქათი და ფეხებს ძლივს მოათრევდა. მწირ ჩირგვნარში მივაწვინე და წყლის საძებნელად წავედი. რის ვივაგლახით ვიშოვე პურის ნატეხი და ერთი ბოთლი წყალი. ყოველ ყლუბზე აუღ-ჩაუღიოდა ხვინჩი, წყლის ბუყბუყიც ისმოდა გამშრალი ხორხიდან. წუურვილი რომ მოივალა და სულაც მოითქვა, ჰაჯი ბერზეკ კერანტიხის ძიძიშვილმა ნაღვლიანი თვალები მომაპყრო და ცრემლები აუკიაფდა.

— ჩვენი აღსასრული მოვიდა, ზაურყან, ყველა უბიხის აღსასრული. თვითმკვლელები ვართ ყველანი. — ჩაიხურჩულა მან.

საიდის სიტყვები ქამანდევით წამეჭირა გულზე. მერე და ვინ მეუბნებოდა ამას, ერთ ღროს უმამაცეი კაცი, არა-რა მდგომარეობაში რომ არ კარგავდა იმედს.

შორს, ზღვისა და ცის შესართავთან მეწამულად ღვივოდა უკანასკნელი სხივი. და წამით ჩვენებასავით გამომეცხადა ფელდში, მაგრამ მისი ხატება მაშინვე გაღნა და სიფრცეს შეუერთდა. გამოვერკვიე. იმედის უწვრილესი ძაფი მეპყრა ხელთ და ამ ძაფს მოვეჭიდე.

— საიდ, ვერ შეტყვი, სად იმყოფება ახლა შენი ძმუძუტე ჰაჯი ბერზეკ კერანტიხი?

— ამ კეთილი ქვეყნის სტუმართმოყვარე ხელისუფლებმა კუნძულ ჩოდოსზე მისცეს მიწა. ჩვენი ოჯახს გარდა

მთელი მისი შინაყმები მასთან არიან. — მწარე ღიმილით მითხრა მან.

სისხლი მომაწვა საფეთქლებში, სული ამიფორიქდა, თითქოს მეშინოდა არ გაწყდესო, ისე ფრთხილად მოვწიე იმედის ძაფი.

— საიდ, ერთი ეს მითხარი გენაცვალე, კერანტიხის ხალხში ვინმე აბიჯ ვარდანი ხომ არ ყოფილა?

— რა, შენი ძმობილია?

— ჰო, — გამიხარდა მე.

საიდმა ყურადღებით შემომხედა და თითქოს ჭრილობას მიხევესო, აუჩქარებლად თქვა:

— მე რომ წამოვედი, აბიჯი ოჯახის წევრებიანად ცოცხალი და ჯანმრთელი იყო. ლამაზი ქალი ჰყავს აბიჯს, ძალიან ლამაზი... ისინიც კუნძულზე გაემგზავრნენ... მერე თავი ჩაღუნა და დაუმატა. — ლამაზ ქალებს სიკვდილამდე შერცხვენა ელით.

მაგრამ მე მისი უკანასკნელი სიტყვები არ გამიგონია. მხრებიდან სიმძიმე მომშორდა. გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცი დღევანდელი დღით ცხოვრობს. პატარა ნაპერწყალიც კი სიხარულით იანთებს. იმ სიბოროტესა და საშინელებას კი, რაც ხვალ უნდა შეემთხვას, ვერ შეიგნებს, ან უბრალოდ არ უნდა, რომ შეიგნოს, რადგან სულის მოთქმა უნდა გუშინდელს განცდილსა და იმას შორის, რაც ხვალ უნდა განიცადოს.

«ფელდში, ჩემი საყვარელი ფელდში ცოცხალია! ახლა ვიპოვი, ვიპოვი, თუნდაც ცურვით რომ დამჭირდეს კუნძულამდე მისვლა». — სიმტიციეს გვრძნობდი და ვახარებულნი ვიყავი.

საიდს თავი ჩაეღუნა და ისევ ისე იჯდა ჩემ წინ, ეტყობა ჩემი მოულოდნელი საბრალო სიხარული ვერც კი შენიშნა. გამხმარ პურს ნამცეცხვს აფშვნიდა და უაზროდ იყრიდა პირში. შევხედე და საკუთარი თავის შემრცხვა, არც კი მიკითხავს, რატომ ვაღმთავადეს თურქმა მეზღვაურებმა ვაკოქილი აქ, როცა ჰაჯი ბერბეკ კერანტიხის მთელი ხალხი სხვაგან იმყოფებოდა. ამის შესახებ რომ ვკითხე, საინდმა პურის ნამცეცხვის პი-

რში ჩაყრას თავი ანება, — დაჭრილი შევარდენივით აიფხორა და შორიდან დაიწყო:

— ხომ არ დაგეიწყდა, ზაურყან, ერთხელ ხანჯლები რომ ვიშისვლეთ და თითქოს მოსისხლენი ვყოფილყავით, კინაღამ რომ დავხოცეთ ერთმანეთი. ჩხუბის მიზეზი ჩემი გაბრაზება იყო. — საიდი მოხერხებულად დაჯდა, ისე რომ ზურვით ბრეკს მიყრდნობოდა, ჩამავალი მზის მიმჭრალ ნათელს მიაჩერდა და განაგრძო: — პატივი დაგდეს და უბიხების წინამძღოლის, ჩემი ძუძუმტის ჰაჯი კერანტიხის ერთ-ერთ პირად მცველად ავირჩიეს, შენ კი უარი თქვი. შენი უარი შეურაცხყოფას უდრიდა. სისხლი ამივარდა თავში და ძალით რომ არ დავეშორებინეთ ერთმანეთისთვის, არ ვიცი რითი დამთავრდებოდა ყოველივე.

მე შევახსენე:

— შენ ხომ იცი, საიდ, რომ სიყრმიდანვე პატივს ვცემდი ჰაჯი კერანტიხს. ის ჩემი ღმერთი იყო. არც კი დავფიქრდებოდი, ისე ვაფიქრავდი მისთვის სიცოცხლეს, მაგრამ არ შეიძლება, საიდ, ერთსა და იმავე დროს ცად აღვლენდე ლოცვას და ფეხით თელავდე მიწაზე ყოველივე წმინდას. როცა ჰაჯი კერანტიხმა იპარალი დაჰყარა და თურქეთში გადასახლებას დათანხმდა, მისმა საცოცხლემ ჩემთვის ფასი დაჰკარგა. ამიტომაც ვთქვი უარი მის დაცვაზე. გვირგვინით თავს იმკობენ და არა ფეხებს. მაპატიე და ეგ შენი ძუძუმტე გაქცევს წინამძღოლია.

მაშინვე მოვევე გონს, საიდი რა შუაში იყო, ის სულაც არ აგებდა პასუხს მათ ოჯახში ვაზრდილ თავადიშვილზე, ვისაც აღმერთებდა. ასეთი სიტყვებით შეიძლება მარტო გული კი არ მოუკლა, საერთოდ მოკლა უღანაშულო ადამიანი. მაგრამ საიდმა გაქვავებული სახით მოისმინა ჩემი აგდებული ნათქვამი ჰაჯი კერანტიხზე, მხოლოდ ერთი წამით დაუღრიაჯა სახე მწუხარებამ.

— ჩემთვის კერანტიხი მოკვდა — და ვუმატე მე და ჩემი ხმა შემრიგებლუ-

რად გაისმა. — ღმერთი იყოს მისი მსა-  
ჯული, ჩვენ კი წარსულს. ნულარ ავაფო-  
რიაქებთ, — მაგრამ მოულოდნელად  
საიღმაც დამიკრა კვერი:

— ის ყველა უბიხისთვის მოკვდა. სა-  
ფლავის პირას აგვეხილა ბრძენს თვა-  
ლები!

მე დავიბენი კიდევ, ეს ვინმე ვიგი-  
ნდარამ კი არ თქვა, არამედ საიღმა, ვი-  
სთვისაც ჰაჯი კერანტიბი ყველა ნათე-  
სავზე უფრო ახლობელი იყო.

— მომისმინე, ზაურყან, წყნარად  
თქვა მან — ამას შენს გარდა ალბათ არ-  
ავის ვეტყვი...

და თითქოს მათრახი გადამიჭირათ:

— მე ვიცი, რომ ჩვენ ყველანი სარ-  
ფიანად გავყვიდეს ცხვრებივით. უნდა  
გადავსახლდეთო და ყურები დავცქვი-  
ტეთ, სადაც წინამძღოლები, ჩვენც იქ...  
უგულური ვირები ვიყავით და მეტი არ-  
აფერი!. იმათში ვინც გვარიანად მოი-  
გო, ჩემი ძუძუმტე ჰაჯი კერანტიბიც  
იყო, პირსაც წაუღია მისი თავი.

— გეყოფა, საიდ, სიბერემდე სიჭაჩ-  
ლეს ელოდეთო, ესაა. ნატყენ გულს გა-  
ცეცლება ვერაფერს უშველის, — მე-  
შინოდა, არ დამაჯეროს მეტეი და გა-  
ვაჩერე საიდი.

ის არ დამნებდა:

— წმინდა ბიბიას ვფიცავ, სიპართ-  
ლეს ვამბობ. ბევრ ჩახლართულ ამბავს  
აეხდება შენთვის ფარდა. შენ გგონია  
ამქვეყნიური გაჭირვება მალაპარაკებს?  
არა, ზაურყან, არა. ვაფეცავთა მოიკრიბე  
და მისმინე. რა მოგივიდოდა, მამაკო  
მთიელო, რომ გავგეგო, რუსმა გენერ-  
ლებმა უბიხების წინამძღოლი მოისყი-  
დესო, ა?

შეირწუნებული ვიყავი და მინდოდა  
ეკვი გამომეთქვა, მაგრამ საიღმა ხმა  
არ ამომალებინა:

— გაჩუმდი, გაჩუმდი! რუსებმა ასე-  
თი რამ შესთავაზეს ჰაჯი კერანტიბს:  
„სისხლისღვრა რომ შეწყდება და შენს  
ხალხს თურქეთში გადასახლებაზე დაი-  
ყოლებ, ჩვენი ხელმწიფისგან იმდენს  
მიიღებ, რომ შენს შვილთაშვილებსაც  
კი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეყო-

ფათ. იმის შეწყვეტა ორივე მხარის-  
თვის სიკეთეა და ყველაფერი ისე მოე-  
წყობა, უკეთესს ვერც ინატრებ“.

— ეს ვარაუდია, მაგრამ საბუთი სადა  
გაქვს? — ველარ მოვითმინე მე.

— პირდაპირი საბუთი არ გამაჩნია,  
მაგრამ არც არაპირდაპირია ნაკლები. მე  
ჩემი ცნობილი ძუძუმტის პირადი მცვე-  
ლი ვიყავი და ერთი ნაბიჯითაც არ ვშო-  
რდებოდი არასდროს. იმ დღეს გემზე  
რომ ესტდებოდით, რუსების შტაბიდან  
ორი ოფიცერი მოვიდა ჰაჯი კერანტიბ-  
თან და ჩემი თვალთ დაფინახე მეგო-  
ბრული საუბრის შემდეგ როგორ გადას-  
ცეს ძვირფასი ყუთი. იმის მტკიცება არ  
შემიძლია, გინდა თუ არა, იმ ყუთში  
იჭრო იყო-მეტეი, მაგრამ ვერც შენ მე-  
ტყვი ცხვრის კურკლი იქნებოდითო შიგ-  
გარდა ამისა, ჩემი ყურით გავიგონე,  
ჩვენმა წინამძღოლმა როგორ თხოვათ  
მალლობა გადაეცათ მეფის ნაცვალისთ-  
ვის. იქნებ არცეს გიჩვენება უცნაურად?

ისეთი შეგრძნება მქონდა, შარახ, თი-  
თქოს მთის ბილიჯზე ზვავმა დამიტანათ,  
ჯერ ერთმა ქვამ გადამიარა თავზე და  
შემდეგ წამოვიდა და წამოვიდა. საიდს  
უნდოდა ბოლო მოეღო ჩემთვის. კერა-  
ნტიბის დანაშაული საიდის თვითეული  
სიტყვის შემდეგ უფრო და უფრო და-  
მაჯერებელი ხდებოდა და მოვლენათა  
შემთხვევითი მსვლელობით უკვე აღარ  
აიხსენებოდა.

— ჩვენ გემს, — განავრძობდა საიდი,  
— როგორც ყველა დანარჩენს, პირვე-  
ლად სამსუნისკენ ჰქონდა გეზი აღებუ-  
ლი. როცა რამდენიმე ვერსილა გვაკლდა  
სანაპირომდე, გემზე თურქი ამოვიდა  
ფელუკიდან, პორტის ჩინოვნიკს ჰგავდა.  
ის სულთანის წარმომადგენელი აღმოჩ-  
ნდა. მანვე შესთავაზა ჰაჯი კერანტიბს,  
მთელი თავისი ხალხით სტამბოლისკენ  
გამგზავრებულყო. „იქ გელოდება დი-  
დი ვეზირი“. — აცნობა თურქმა ბედნი  
თუ არ გწყალობს, ხმელეთზეც დაიხრ-  
ნობი კაცი. ბოსფორი გავიარეთ და ქა-  
ლაქს მივადექით, რომლის თავზეც ცის-  
ფერი მეჩეთის გუმბათი აღმართული-  
ყო. ნაპირზე გადასვლის ნება მხოლოდ

წინამძღოლს დართეს, მაგრამ ჩვენ მოვითხოვეთ, პირადი მცველები რომ ხლებოდნენ თან. პირადი მცველები კი ჩვენ ვიყავით — სამივე ძმა, ვისმა დედამაც შვილივით აწოვა ოდესღაც ძუძუ ჰაჭი კერანტიხს.

დიდი ვეზირის მისაღები „არზ ადასი“ მომრგვალო ფანჯრებიანი მდიდრული სახლი იყო. კარებთან მცველები იდგნენ. ნაყშებიანი ხალიჩებით მოფენილ მოსასვენებელში მიგვიყვანეს. ნაბაჯების ხმაც კი რისმონდა, თითქოს ფრინველები მიფრინავდნენ. რბილ წითელ ტახტზე ფეხმოკრთხმული იჯდა შავწვერა მოხუცი. თავზე წოწოლა ფესი ეხურა. ჩვენ წინ დიდი ვეზირი იყო! არც ამდგარა, არც ხელი ჩამოურთმევია ჰაჭი კერანტიხისთვის. ხელისგულები მკერდის წინ ერთმანეთს მიატყუპა და ოდნავ დახარა თავი. საიდანღაც ჩრდილივით გამოვიდა მოხრილი მსახური, ფინჯნით ყავა შემოიტანა და დიდ ვეზირს დაუდგა წინ პატარა შავიდაზე. ერთი ყლუბი მოსვა დიდმა ვეზირმა ქუთუთოები ნახევრად მოკლუტა და ჰაჭი კერანტიხს მიუბრუნდა. ჰაჭი კერანტიხს თექვსმეტ კილიან ჩოხა ეცვა, ხელისგული ვერცხლის ტარიან ხანჯალზე ედო.

— დიდი ალაჰის მოციქული მიწაზე, ყველა მართლმორწმუნე მუსულმანის წმინდა მამა, გულმოწყალე სულთანი და ჩვენი ხალიფი თავის უდიდეს კმაყოფილებას გამოხატავს, რომ შენ გიაურების ზიზღი და ჯოჯოხეთის ცეცხლი ააშორე ხალხს და ჩვენი შეუდარებელი მბრძანებლის სამოთხეში მოიყვანე, მიიღე მისი მფარველობა და ქვეშევრდომობა...

დიდმა ვეზირმა სიტყვა შეწყვიტა და თვალები დახუჭა.

ჰაჭი კერანტიხმა შუბლზე ხელი მიიღო და თავყვანი სცა დიდ ვეზირს, რომელმაც მელიასავით ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა და განაგრძო:

— რუსეთის ელჩმა თხოვნით მოგვმართა, რომ შენ — კეთილშობილი ჰაჭი ბერზეკ კერანტიხი განსაკუთრებული პატივით მიგვედეთ. ყოვლისშემძლე სულთანმა, მპყრობელმა ნახევარი მსო-

ფლიოსი სულგრძელობა გამოიჩინა და თხოვნა შეასრულა. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღო რა შენი დამსახურება, ნახევარი მსოფლიოს მპყრობელმა ალაჰისა და მისი მოციქულის მაჰმადის საღიღებლად, გამოამტკიცა შენი პიროვნებისადმი კეთილგანწყობილება და თურქეთის ფაშის წოდება მოგანიჭა. ხელფასს მაღალი ჩინის შესაფერისად ხაზინიდან მიიღებ. გარდა ამისა, გასაჩუქრებს მამულით კუნძულ როდოსზე. შენი გლეხებიდან ოთხასს სულს წაიყვან თან და გაემგზავრები, რათა სიხარულითა და ნეტარებით აღავლინო ღოცვა დიდი სულთანის სიკეთისა და სულგრძელობის პატივსაცემად.

ჰაჭი კერანტიხმა მადლობა გადაუხადა დიდ ვეზირს. ჩემმა უფროსმა ძმამ, როგორც მჩრეველმა ჩუროხულით გააფრთხილა ჰაჭი კერანტიხი:

— თანამემამულის უფლებით გვევდრები დაფიქრდი. ცოტა გასაჭირი როდი გადაგიტანია ხალხის გულისთვის, ყოველთვის აბრეშუმის დროშასავით მიგვიძღოდი წინ და ასეთ დროს გულხელის დაკრეფა არ შეგფერის. უბიხები იმედის თვალით შემოგვცქერიან და მათი იმედის წარკვეთა დიდი ცოდვა იქნება. შენ უფლება არა გაქვს, პირადი კეთილდღეობისათვის თანამემამულენი რომ გაწირო.

კერანტიხი ვაბრაზდა, არ გამოუმტკიცებია, მასსა და ჩემს ძმას შორის ვანხეთქილება რომ ჩამოვარდა და დიმილით გამოსცრა:

— მოეშვი ჭკუის სწავლებას. აქ მაგის ადგილი არაა! მკედარს უფრო ადვილად გააცოცხლებ, ვიდრე მე წინამძღოლობას დამიბრუნებ. ის ჯერ კიდევ იქ, ზღვის იქით დაიწვა მეჯლისთან ერთად. რაღა სხვისი ღმერთი და რაღა შენი ეშმაკი, ორივეს ერთი ფასი აქვთ.

და თითქოს ჩემი ძმა მიახვედრა, რომ ვეფხვს თუ ეთაპაშები, არც ნაკაწრების უნდა გეშინოდესო, ჰაჭი ბერზეკ კერანტიხი მოწიწებით მიუახლოვდა დიდებულ ვეზირს, ცალი ხელი შუბლზე

მიიღო, მეორე — გულზე და მდებლად დაუქრა თავი.

— განუზომელია სულთანის წყალობა! ამ დღითი კურთხეულ კერპვეშ მიწა დაგარწმუნოთ, დიდო ვეზირო, რომ ჩემი რწმენით და სიმართლით აღმოსავლეთის პირველი ვარსკვლავის დიდებული სულთანისა და თქვენი მსახური ვიქნები.

დიდი ვეზირი გამოცოცხლდა, შავი თვალები გაუბრწყინდა.

— დიდებული სულთანის ფაშობა დიდი პატივია, — წარმოთქვა ვეზირმა, — ნახევარი მსოფლიოს მპყრობელის ნდობა და სტუმართმოყვარეობა რომ გავაძირათლო, ორი პირობა უნდა შეასრულო... — ტახტიდან იქვე მდგარ სავარძელში გადაჯდა და განაგრძო — ისინი ჩვენს რწმენას შეესატყვისება.

კერანტიხმა ყურადღების ნიშნად თავი დახარა, მაგრამ არ უკითხავს რა პირობებია.

ჭკვიანმა ვეზირმა უბიხების მეთაურის სიფრთხილე შეაფასა და წარმოთქვა:

— არა არს ღმერთი თვინიერ ერთიანი ღმრთისა და მისი მოციქულის მამადლისა. ვისაც ფაშის წოდება აქვს ბოძებული, მან ყურანის შესაფერისი სახელი უნდა ატაროს. ჩვენ ქრისტიანებისაგან განსხვავებით გვარი არა გვაქვს. დღეიდან შენ ჰაჯი ბერზეკ კერანტიხის ნაცვლად ჰაჯი სულეიმან ფაშა დაგერქმევა. სახელმწიფოს ფაშების წიგნში შენი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება. ეს ერთი! ყოველ ფაშას იმისი წოდების შესაფერი სამოსი უნდა ეცვას, ამიტომ თქვენებურ ტანსაცმელთან განშორება მოგიწევს, ეს მეორე!

ჰაჯი ბერზეკ კერანტიხი გ-ფითრდა. იგრძნობოდა, რომ უბიხების წინამძღოლის სულში ქარიშხალი ბოზოქრობდა. წინ ვეზირი ედგა და უკან ჩვენ — მშობლიური ხალხის სამი ვაჟიშვილი. ჩვენგან უფროსმა ველარ მოითმინა:

— სიძველითა და დიდებულებით ვერცერთი თავადის გვარი ვერ შეედრება შენს გვარს და მისი რაღაც ზედ-

მეტი სახელით შეცვლას გთავაზობენ? გონს მოდი! მოახსენე მაგას, რომ შენ არც მონა ხარ და არც ტყვე.

— გაჩუმდი! — ძლივს გასაგონად გამოსცრა ჰაჯი კერანტიხმა.

ჩემი უფროსი ძმა არ დაემორჩილა: — გაიხსენე, როგორ გიბოძა მეფემ პოლკოვნიკის წოდება, მაგრამ შენ გუყო სიამაყე, უარყავი ასეთი პატივი და ცეცხლში მოისროლე ოქროს ეპოლეტები. ახლა კი მებრძოლი შევარდენი ბატად უნდა გადაგაქციოთ. ვაი, სირცხვილო! შენ ჰარამხანის მძევალი კი არა ხარ, თურქული შარვალი რომ ატარო. მაგათ თუ დაუთმე, ჩადრსაც დაგხურავენ. უთხარი მაგ შაფვერას, რომ მამაკაცისთვის ჩოხაზე უკეთესი ჩასაცმელი არ არსებობს.

დიდ ვეზირს უბიხური არ ესმოდა, მაგრამ ალბათ ჩემი ძმის სახემ მიახვედრა, რომ მისი სიტყვები თოფის წამლით სავსე კასრთან მიტანილ ცეცხლს ჰგავდა. სულთანის პირველი მინისტრი ბეგური მელა იყო და შემფოთება დაფარა, პირიქით, არხეინად მარცვლავდა ქარვის კრაილოსანს.

— მე ვუცდი შენს გადაწყვეტილებას, — წარმოსთქვა ვეზირმა.

მაგრამ ვისაც ეს კითხვა ეხებოდა, მან არაფერი უპასუხა, თითქოს ვერ გაიგონა ნათქვამიო.

ვეზირმა თვალები მოწყურა:

— წინასწარმეტყველის წმინდა წიგნში ნათქვამია: „შესძელ სამადიერო გადაუხადო მას, ვინც ბედნიერება გარგუნა“. — და უცბად მისმა ხმამ სიმკაცრე შეიძინა — მე მინდა ვიცოდე, შენს ხალხთან დათათბირების შემდეგ — ვეზირმა გამანადგურებელი მზერა გვესროლა, — ღებულობ თუ არა ყოველდღიურ წყალე სულთანის წინადადებას, თუ მაგათ უნდა გადაწყვიტონ, როგორ მოიქცე.

ჰაჯი კერანტიხს სიბრაზის კოპეზი დაასხა დაწვებზე, კბილები გაახრჭიალა, და სწრაფად შებრუნდა კედლისკენ, მაგრამ თავს მოერია და დიდ ვეზირს მიუახლოვდა:

— მე მინდა, თვით სულთანი ვნახე!

ვისი ქვეშევრდომობაც მივიღე ჩემ ხა-  
ლხთან ერთად.

— ახლა მუსულმანური კალენდრის  
მეცხრე თვეა, რამაზანი, დიდებული  
დღესასწაული. ალაჰის მოციქული,  
ბრწყინვალე სულთანი ამ დროს მიწი-  
ურ საქმეებზე ხელს იღებს, ლოცვებს  
აღავლენს მხოლოდ. ლოცვები განწმენდს  
აღამიანს. ლა ილლაჰა, ილალაჰი ვა მუ-  
ჰამედ რასულაჰი!

ვეზირის ხაფანგს რომ დაძვრომოდა,  
ჰაჯი კერანტიხმა გაახსენა :

— დიდებული სულთანის დედა წარ-  
მოშობით ადილია, სისხლითაა ახლოს  
უბინებთან, ის უფრო ადვილად გაიგებს  
ჩვენს დარღსა და ადათებს. დიდ ვეზირს  
შუქძლია, მოახერხოს, რომ ამ წმინდა  
ქალმა ერთი წუთით მაინც მიმიღოს.

დიდმა ვეზირმა ხელისგულები შეა-  
წება ერთმანეთს და თითქოს ნამაზს ას-  
რულესო, ისე წარმოთქვა:

— „დადექით ლოცვად და განიწმინ-  
დებით და თავყანი ეციოთ ალაჰს. როცა  
მთელი მუსულმანების მბრძანებელი ალ-  
ჰთან საუბრობს, მისი ახლობლებიც  
თავს ანებებენ ამ ქვეყნიურ საზოგადოებს  
და მთელი გონება ცისკენ აქვთ მიმარ-  
თული!

დიდმა ვეზირმა ისე დახუჭა თვალე-  
ბი. თითქოს ჩასთვლინაო.

ჰაჯი კერანტიხი მიხვდა, რომ მოხუცი  
არ დაუთმობდა, სიჯიუტე კი და ისიც  
ჩვენი თანდასწრებით, წინდაუხედაობა  
იქნებოდა.

— თქვენ წადით, პირისპირ რომ და-  
ვრჩები, უფრო მოვდრეკ ამ მელას. —  
გეითხრა ჰაჯი კერანტიხმა.

— გულისწყრომას აღვირი ამოსდე,  
ნუ აიწყვეტი განრისხება ვერაფერიშვი-  
ლი მრჩეველია — გავაფრთხილეთ ჩვენ.

— ნუ გეშინიათ, მე თავს არ წავაგებ  
და მხოლოდ ღირსეულ პირობებზე დავ-  
თანხმდები. — დაგვამშვიდა ჰაჯი კერა-  
ნტიხმა.

წავედით და მთვარის ამოსვლამდე ვუ-  
ცდილთ ნავსადგურში. დამიჯერე, ზა-  
ურყან, ეს ყველაზე უფრო შევბნელი  
დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

შენი აზრით როგორ მოიქცეოდა ჰა-  
ჯი კერანტიხი, კაცი, რომელიც ისეთ  
ვაჟკაცებს უძლიოდა წინ, გენერალ ევ-  
დოკიმოვის მთელ არმიასაც რომ არ უხ-  
რიდნენ ჰედს, ვისი სახელიც ადენხანს  
პირზე ეკერა ყველა უბიხს, ვისზეც უმ-  
ღეროდნენ დედები აკვანში ჩაყრულ ბი-  
ჭუნებს. გვიღალატა! მლიქვნელურად  
შეიცვალა სახელი, თურქეთის ფაშა გა-  
ხდა და თურქული შარვალი ჩაიცვა. დე-  
დაჩემს რომ ეს ღალატი გაეგო, ზღვაში  
გადახტებოდა გემიდან, თავის თავს დაა-  
ბრალებდა, ღირსეულად ვერ გამიზრდია  
შვილობილიო.

მეორე დღეს, ნაშუადღევს გემი სტამ-  
ბოლის სანაპიროს გაშორდა და კუნძულ  
როდოსისკენ აიღო გეზი. გემზე, რომე-  
ლსაც დიდი ვეზირის ქათქათა აფრები-  
ანი ზომალდი მიაცილებდა, ყველანი იყ-  
ვნენ ჩვენი ოჯახის გარდა. საწყალი დე-  
დაჩემი წინასწარ გადაიყვანეთ ნაპირზე,  
როდოსისკენ გამგზავრებულ უბიხებს  
ეგონათ რომ უკან დიდებულ ზომალდზე  
მათი აბრეშუმის დროშა — ჰაჯი კერა-  
ნტიხი მოყვებოდათ. არვინ უწყოდა, რომ  
მის ნაცვლად ახლადგამოძვარი ფაშა  
ჰაჯი სულეიმანი მიდიოდა როდოსზე.  
დედაჩემმა არაფერი იცოდა ამის შესა-  
ხებ, ვერ გაგებდეთ თქმა: წარამარა  
ერთს გვეუბნებოდა საბრალო:

— შევიღებო, ნუ მიატოვებთ ჰაჯი კე-  
რანტიხს, როცა მოგვედები, ის მიმაბა-  
რებს მიწას პატივით.

ყოველივე ამის შემდეგ ერთი აზრი  
მიბურღავდა ტვინს — სამშობლოში და-  
ბრუნება. ამას თუ ვერ მოვახერხებ,  
თავს მოვიკლავ-მეთქი. განზე გავიხმე  
ძმები და ვთხოვე თადარიგი დაქირაოთ,  
არ დამეთანხმნენ.

— თუ სიკვდილია, ერთად მოგვედეთ.  
— ასე მიპასუხეს ძმებმა.

მაშინ ჩუმიად მივატოვე ისინი. სამ-  
სუნისკენ მიმავალ გემზე აქვდა მოვა-  
ხერხე, ერთი მეზღვაურისგან შევიტყვე-  
რომ სამსუნთან მეორე დღეს უნდა  
გასულიყო რომელიღაც გემი ადღერი-  
სკენ. ერთი მუქა აჩიბასელები უნდა  
გადმოეყვანა იქედან. მზად ვიყავი, თუ-

ნდაც თოკებით მივბმორი ამ გემის ან-  
ძანს, ოღონდ შინ დაგბრუნებულყოყავი.  
მაგრამ თურქმა ჩაფრებმა იყნოსეს, თქ-  
როს რქიდან გასულ გემზე რომ ავძვე-  
რი, გამკოქეს და ნაპირზე ვადმომავდეს.  
პრვეალი მთუარე მოჭრილი თავივით იწ-  
რიტებოდა სისხლისგან და უფრო და  
უფრო მალა იწვედა.

საიდის ნაამბობს ყრუ ღმეილით უქ-  
რავდნენ კვერს ტალღები.

— იცოდე, ტყუილ-უბრალოდ დაი-  
ლუპავ თავს, ისევე თუ იფიქრებ გემზე  
აძრომას. ჩვენ შემოგვიერთდი, ღვთის  
წყალობით უკეთესი დრო დაგვიდგეს  
იქნებ. — ვეუბნებოდი საიდს, მაგრამ  
მას ჩემი დარიგება არ ესმოდა. ყაბალა-  
ხი შემოიხვია, წამოდგა და მითხრა:

— აშეითი, ბარაკაის ძე ვაეკაცურად  
მთიქცა. სწორედ ვანჭვრიტა მომავალი.  
მშვიდობით, ზაურყან, იქნებ კიდევ შეე-  
ხედეთ ერთმანეთს... — და მოგვიანე-  
ბით დაუმატა — სამშობლოში, უბიხე-  
ბის მიწა-წყალზე...

საკუთარ ჩრდილში გამდნარი პაჯი კე-  
რანტიხის ძუძუმტე ნავმისადგომისკენ  
წვიდა.

დიდი ხნის შემდეგ ჩემს უნებურად  
ჩემი ხელით დაილუპა საიდი. მთელი სი-  
ცოცხლე სულს მიმძიმებს ეს უნებური  
ცოდვა. ამასაც გაიგებ, როგორ მოხდა...

**მთავი იწვის**

მცირე აზის შავი ზღვის სანაპიროზე  
ტრაპიზონიდან სტამბოლამდე ყველა  
სოფელში იყვნენ დაბანაკებული შიმში-  
ლისაგან თვალეზანთებული, ჩამოძონძი-  
ლი მავაჭირები. სანაპიროს ქარქვეტასა-  
ვით მოდებულ ამ ხალხში უბიხების ვა-  
რდა ნათუხაელებიც იყვნენ, ბეეთუხე-  
ლებიც, შაფსილებიცა და ყაბარდოე-  
ლებიც, მართალია, ოდესღაც დამოუყ-  
რებოდნენ რუსეთის მეფეს, მაგრამ მა-  
ინც კარგა ბლომად მოეყარათ აქ თავი.  
აფხაზების მონათესავე საზები და ახჩი-  
ფსები პირწმინდად ვადმოსახლებული-  
ყვნენ.

ჩრდილოეთიდან ვადმოსულე ბი ს

თვლას ვეღარ აუვიდნენ თურქები და  
აფორიაქდნენ. ხალხის შემოსევის შე-  
ჩერებაც კი სცადეს, მაგრამ ვეიან იყო  
ვისაც ჩვენს ვაჭირებმა არ ეწვნია, არ  
იცოდა, რა უბედურება ტრიალებდა იქ.  
სიკვდილმა მოცდა არ იცის... მშვიერ  
კაცი ავადმყოფობასთან ისევე უძლუ-  
რია. როგორც უიარაღო — მტრის წი-  
ნადმდეგ, ტიფი და ქოლერა სამართალს  
არ დაგიდევდათ, შავი ღრეობა ჰქონდათ  
გამართული. ხანდახან იმდენ ხალხს ცე-  
ლავდნენ, რომ დამტირებელი და დამ-  
მარხველი აღარ იყო. და განა გასაკვი-  
რია, რომ ამ უცხო მიწაზე უპატრონო  
ძაღლივით განწირულებს მშობლიურ მი-  
წას მიბარებული ადამიანებისა შურ-  
დათ? სიკვდილს ვერავინ გაექცევა, მაგ-  
რამ სიკვდილი სიკვდილს გააჩნია. ბრძო-  
ლის ველზე დაცემული ვაეკაცი სახელს  
ტოვებს ქვეყანაზე — ტყუილად კი არ  
მღეროდა სასიკვდილოდ დაჭრილი უბი-  
ხი ვაეკაცურ სიმღერას. მშობლიური კე-  
რისი ახლოს სიკვდილი კი, როცა ახლო-  
ბლებს ემშვიდობები და ხანგრძლივსა  
და ბედნიერ სიცოცხლეს უსურვებ, ჰე-  
მშარიტად ბედნიერება, შარახ!

საცოდვე მავაჭირებს ოცნებაც არ შე-  
ეძლოთ სიცოცხლის ასეთ დასასრულზე.  
ერთსდა ფიქრობდნენ საცოდავები —  
მიწისთვის მიებარებინათ და ტურებისა  
და ყვავების საიჯგნი არ გამხდარიყო  
მათი ძვლები. ქვის ფარდულში განწი-  
რულად შეჭუჭკულებმა სხვებზე აღრე  
აღმოგაჩინეთ საბედისწერო სენი. მოხუ-  
ცების აზრით, ქოლერა თავის ცურც-  
ლით დაბინძურებულმა, აობებულმა სი-  
მინდმა გაგვიჩინა, სააწული მეგონა მსა-  
ხერალი სენი, ჩვენს ოჯახს რომ არ ეხე-  
ბოდა ჯერ, დედა, მამა, მატა და ორივე  
და ჯერჯერობით ჯანმრთელები იყვნენ.  
ეს იყო რომ ცრემლი არ უშრებოდა დე-  
დაჩემს, სანთელივით დნებოდა ჩემი  
უფროსი დის აიშას დარდით. „ეაი ჩემი  
ბრალი, — შიშისგან დაფეთებული ვა-  
იძახოდა იგი — გული მიგრძნობს, რომ  
საბრალო აიშა ჩვენს თავზე დატეხილ  
უბედურებას ვერ გადაიტანს. ნეტავი იქ  
მოვმკვდარიყავი, ჩემს სახლში და შვი-

ლის უბედურებას არ მოვსწრებოდი. ფეხძიმე მიინც არ იყოსა.

მართლაც აიშა ბავშვს ელოდა. ამა იფიქრე, შარახ, გარშემო სიკვდილი და უბედურება ტრაილებს და ქალი დღე-დღეზე მოსალოცინებელია. ამაზე მძიმე ხვედრს თვით ეშმაკ ვერ მოისაზრებდა. აიშა და მისი ქმარი ჩვენსავით სამსუნის ახლოს ჩამოვიდნენ, მაგრამ შემდეგ ფეხით გაუყენენ სანაპიროს დასავლეთისკენ. სად დაბინავდა, სად იყო ახლა ჩვენი ძვირფასი წყვილი, არ ვიცოდით.

სანამ სიცოცხლეა, იმედიც ცოცხლობს. დედაჩემის ცრემლებს ვეღარ გავუძელი და გადავწყვიტე აიშას საძებნელად წავსულიყავი. მამაჩემსა და ჩემ ძმას ასე შევეუთანხმდი: თუ აიშასა და მის ქმარს ვიპოვიდი, ვეცდებოდი ჩვენთან მომეყვანა. გავუდექი გზას ზღვის სანაპიროს გასწვრივ. მზე ჩემს ზურგს უკან იწვევებოდა.

რაც გზაში ვნახე, მისი აღწერა შეუძლებელია, ძვირფასო შარახ! პურის მადლს გეფიცები, რაც არ უნდა სანდო ბავთსაგან გამეგო ასეთი ამბავი, არ დავიჯერებდი. არც ისე დიდი ხნით ვიყავ წასული და ქალარა დაებრუნდი უკან. საწყალი მამაჩრები, მიმდობი მამაჩრები. ყველა უბედურებაზე უფრო მწარე იყო ის ხვედრი რაც იმათ არგუნა განგებამ. მომაკვდინებელი სენი, საჭმელსა და წყალთან ერთად რომ აღწევდა ადამიანის სხეულში, ბობოქრობდა. მთებში შობილი უბიხები მდინარის წყალსაც ზიზღით არიდებდნენ ხოლმე თვალს, მხოლოდ წყაროებით იკლავდნენ წყურვილს, ღომს არ შეაზულდნენ ფქვილს, ორჯერ თუ არ იქნებოდა გაცირილი. გაფუჭებულად თვლიდნენ გოგრას ყუნწი თუ ექნებოდა მომძვარალი. ახლა კი მაწანწალა ძაღლებივით დაძრწოდნენ აყროლებულ ნაყარ-ნუყარებთან. ჩამოქნძილი გოგონები და ქალები თვალს რომ მომკრავდნენ, ზურგს მაქცევდნენ და თვალზე ხელს იფარებდნენ, თავიანთი სიშისვლისა და უმწეობის სრცხვენოდათ. ფეხშიშველა და ქუქყიანი ბავშვები — ცოცხალი ჩონჩხები ჩემს შესახვედრად მორბოდნენ და ხელს მიწვდიდნენ:

— პური მოგვეცი, პური!

ქვის კაციც ვერ გაუძლებდა ამ ბავშვების ცოდვას, მასაც კი გულა შეუქანდებოდა. ერთხელ ჩემი დისა და სიმის ძებნაში ბაზარში აღმოჩნდი. არ დამიჯერებ, შარახ და იქ ადამიანებს ჰყიდდნენ. ჩემი ძველი ნაცნობის კაზირჰანის ქვრივი დასიებულ ფეხებს ძლივს მიათრევდა, ხელი ორი მოზარდი შვილისთვის ჩაველო და გაპყვიროდა:

— ბიჭებს ვყიდი, ბიჭებს!

შედრწუნებულმა ხელი ხანჯლის ტარს ჩავავლე და მივევარი:

— ღმერთმა დაწყევლოს შენი სიბერე, შვილების გაყიდვას როგორ ბედავ. მან მწუხარებით აღსაყვ ჩალურჯებული თვალებით ამომხედა და თითქოს მამაბა ჩემი გაცეცხლება, თავი გადააქნია:

— სიბერეს ვინ ეღირსება, ზაურყან? რას ამბობ, — ბავშვებზე მიმითითა და დაუმატა — ნეტავ იყიდდეს და გამოკვეთავდეს ვინმე. ეს არ ჯობია, ჩემ თვალწინ შიმშილით სიკვდილს?

ხანჯლის ტარზე ჩაბღუჯული ხელი დარცხენილი გაიშალა.

— მეხი დაეცეს ქოლერამ მოუღოს ბოლო ჰაჭი კერანტიხს, უბიხების მოღვმის დამღუბველს! — მესროლა ქვრივმა გამოშვილობებისას და ბავშვებიანად გამშორდა.

— ბიჭებს ვყიდი, ბიჭებს, ბიჭები ვის უნდა!

სული არ ენანებოდა თავისი ბიჭებისათვის საწყალს და თუ გაპყვიდა, ერთ დღესაც ვერ იცოცხლებდა უიმართოდ ალბათ. აყყანებულ ბაზარში ბაჭბაჯით შემოვიდა გასიებული ტყირპივით ჩალურჯებული დონდრობა ბეი. უკან კაფანდარა, თაყვანისცემის ნიშნად წელში მოხრილი მსახური მოპყვებოდა. ბეი კაზირჰანს მიუახლოვდა, ანიშნა, გაჩერდით და ბიჭებს დაუწყო სინჯვა. მერე თითებთ ფასი აჩვენა. კაზირჰანი არ ეეპყრებოდა, ამიტომ მყიდველმა ჰიბიდან ფული ამოიღო და ფეხებთან მიუგდო

ქალს. კაზირჰანს მიწისფერი ტუჩების კუთხეები აუცახცახდა, აკანკალებული ხელით აკრიფა ფული და მხოლოდ ერთხელ შეხედა თავის სანუჯვარ ბიჭებს სამუდამო განშორების წინ. მაგრამ ნუ იტყვი, რა გამოხედვა იყო ეს, შარახ! მხოლოდ დედას შეუძლია, ასეთ სატანჯველში ჩაივლოს თავი შვილების გულისთვის. ბეის მსხურმა ბიჭები წაიყვანა და თითო-თითო ნაჭერი პური მიანჩენა ხელში. თვალღებუ იდაყვში მოხრილი ხელი ავიფარე და ისეთი ტიყვილი და დარდი მეტაკა გულში, თითქოს შიგთქრული იატაკანი გამიყარესო.

თავისუფალი უბიხები, ამაყი უბიხები იოჯახში ბიჭი რომ დაიბადებოდა, ბედნიერი მამა მთებს, მზეს და ყველა მეზობელს ატყობინებდა, რომ მემკვიდრე შეეძინა. ექოსავით გაისმოდა პასუხად: „ღმერთმა ამრავლოს უბიხთა მოდგმა“.

დაჭრილივით ბარბაცით გამოვედი ბაზრიდან, სამ გზის წყუელიმც იყოს იგი. ოტომანთა პორტა ცოცხალი საქონლის ვაჭრობდა და იმ წყუელ დროში ყველაზე უფრო ლამაზი მთიელი ასულის ფასიც კი არაფრით აღემატებოდა ცხვრის ფასს. გაყიდულ ასულებს ტყვეობა ელოდათ სტამბოლის, ანგორის, ტრაპიზონისა და სხვა ქალაქების პარამხანებში. ბიჭების ფასი კიდევ უფრო დაბალი იყო, ნეტავ არც გაჩენილიყვნენ ეს უბედური უბიხი ბიჭები. გული მებზინება ველში, როცა მახსენდება, როგორ ეცეოდნენ მათ. არამზადა ჩარჩები კოდვდნენ ბაჟმებს და შემდეგ იმათი ხვედრი საქურისობადა იყო ამა ქვეყნის დიდი თუ პატარა მპყრობელების პარამხანებში.

გზაზე შეხვედრილი თანამემამულენი ჩრდილებსლა ჰგავდნენ. ზოგიერთს იმისი თავიც აღარ ჰქონდა, ჩემს სალაშზე რომ ეპასუხა უსახლკაროდ შთენილები ფაცი-ფუციით იშენებდნენ კარებს, ქარისა და წვიმისაგან რომ დაეფარათ თავი. ცოცხლების ტირილი და გოდება, მომაკვდავების სიციხიანი ბოდვა ისმოდა ყველგან. იქაურობა მოლიავებულ

ჯოჯოხეთს ჰგავდა, სადაც უამრავი ხალხი შთავარდნილიყო. ზოგიერთი ნაცნობი მიჩნევდა შინ დაებრუნებულობდა: „შენი სიკვდილი დედაშენს არაფერს შემატებს და სანამ სიარული შეგიძლია, უკან დაბრუნდი“.

ყურს არ ვათხოვებდი მათ გაფრთხილებას. ჩემი დისა და მისი ქმრის ბედი მადელვებდა. სიკვდილი მუსრს ავლებდა ჩემს თანამემამულეებს. შიშისაგან დამფრთხალი თურქები ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს დაეჭირათ თავი მათგან და სავაჭროებს ეტავდნენ, მაგრამ ხარბებს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. მუცელი კია მაძლარი, მაგრამ თვალღებამ შეიერი. კაფების, ლუქნების და ქარაუნის ფარდულების მეპატრონეებმა წამსვე იყნოსეს, რომ გავკირვებაშიც შეიძლება ხელის მოთბობა. ყველაზე უფრო ბინძური სამუშაოებისთვის ქირაობდნენ ისინი ერთ დროს ამაყსა და ქედმოუხრელ კავკასიელებს და მხოლოდ წყალწყალა შექამანდით უხდიდნენ საფასურს. არაქათამოცილილი მშვიერი ხალხი მზად იყო, დილიდან დაღამებამდე ემუშავა ამ უბადრუკი კერძისათვის. მაღლობასაც უხდიდნენ დამპირავებლებს, როგორც მწყალობლებს. სიმდიდრე მადას აღვიძებს, ჩემო შარახ! მახარის მარჯვე უფროსები ბაზრიდან ბაზარში დაეხეტებოდნენ და ჯიბეს ისქელებდნენ უბიხი გოგონების ყიდვა-გაყიდვით. მუეძინი კი დღემ სუთჯერ აღიოდა მეჩეთის მინარეთზე და ნამახის შესასრულებლად მოუწოდებდა მართლმორწმუნე მუსულმანებს: „დიდად მოწყალე და მწყალობელი ალაჰისათვის“.

მუეძინის ომახიან ხმას არ ჰალუდდა მოტყუებული და განკიცხული უბიხების კენესისა და წყევლა-კრულვის დახშობა. ასე მეგონა, შარახ, რომ ქალების ოხვრა ღრუბლებად ქცეულიყო და ზღვაზე მიცურავდა დაობლებული სამშობლოსაკენ, რათა ცხარე ცრემლებით დაეტერა თვითეული ჩამქრალი კერა.

რაც უფრო მეტად ვმორიდებოდი ქალაქ სამსუნს, მით უფრო აუტანელი ხდებოდა ჩემი ხალხის უბედურების სუ-

რათები. უკვე გზადაგზა ჩემი თანამემამულეების გახარული გვამებით მხედობოდა. ჰაერში მოტეხო მყრალი სუნი ტრიალებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აქ დაბანაკებული მაპაჭირები ერთიანად ამოწყვეტილიყვნენ. ავისმაუწყებელი წინათგარნობა უფრო და უფრო ცხადად მეპარებოდა გულში. კენჭებით დაფარული მალღობი გადავიარე, დაბლოზზე დავეშვი და მღეროე მდინარესთან გავედი. დაღლილობისაგან ისე დამიმძიმდა ფეხები, თითქოს ფუთიანი გარები მეკიდა ზედ. მანძილი კი არც ისე დიდი მქონდა გავლილი. სხვა დროს ასეთი მანძილის გავლას არად მივიჩნევდი, ისეთი მყეხები მქონდა, ქურციკსაც კი შეშურდებოდა. ჩაფიქვლზე, ხელები დავიბანე, პირზეც შევიხი წყალი და მაინცა და მაინც არ მწყუროდა, მაგრამ მაინც შევახე ტუჩები მდინარის თბილ ნაკადს. ყველა წყალი ერთნაირი არ არის, შარახ! სადაც ჩვენ წინათ გვცხოვრობდით საუკუნოვანი ქაღალდების ქვეშ. ცუდად თუ გახდებოდა ვინმე, თიხის დოქით ყინულივით ცივ ანკარა წყაროს წყალს მიუბრუნებდნენ და შორახ, უკვე ფეხზე იდგა მთიელი. და ასეთი სასწაული საწაულად არ ითვლებოდა. ყაბალახში გახვეული გამხმარი კვერის ნატები ამოვიღე, წყალში დავასველე და წავიხმესე. ხანმოკლე იყო ჩემი დაფერხება. ყაბალახი ზურგზე მოვიგდე და დამიმებული გულით განვაგრძე გზა. მალე მოშორებით უბადრუკი ქოხი გამოჩნდა. ეტყობოდა მეთევზის ქოხი იყო — ზღურბლთან ბადეები შრებოდა. ქოხისკენ გადავმართე და უცბად ბილიკის პირას პირქვე დაწოლილი ქალი დავინახე, გულში ბავშვი პყავდა ჩაკრული. იქვე, ჯერ კიდევ ამოუშრალ გუბეში დოქი ევდო. ადვილი მისახვედრი იყო, ქალს მდინარის წყლით ავესო დოქი და უკან რომ ბრუნდებოდა, წაქეუულიყო. თავტუდმოგლეჯილი მივვარდი, წამოდგომამი რომ შევშველებოდი და მოულოდნელობისაგან შევყვირე. ჩემ წინ იმეა იყო, ჩემი და.

— ო, ღმერთო ჩემო, რა დავემართა, თვალი გაახილე, ხმა ამოიღე.

ხელში ავიტატე იმეა და ვამაცხვია, მივხვდი, ცოცხალი აღარ იყო. ეტყობა ახალი ამოსული ჰქონდა სული, ისევ თბილი იყო. ბავშვი ცოცხალი იყო, არ ტიროდა და ხარბად წოვდა მიცვალებულის ძუძუს. ერთი წამით სულიერად დავეცე, არ ვიცოდი რა მექნა. შებლი ტყვიასავით მძიმე ოფლით დამეცვარა და ხელები უღონოდ ჩამომიცვივდა და მბლადაცემულივით. როგორც იქნა თავს მოვერიე და ფრთხილად მოვწყვიტე ბავშვი დედის მკერდს. ტუჩებზე თეფრად უბრწყინავდა რძის წვეთი. ო, შარახ, მას შემდეგ მგონი საუკუნე გავიდა, მაგრამ ჩვილის ტირილი, დედის რძის უკანასკნელი წვეთი კიდევ რომ არ შეშრობია ტუჩებზე, დღემდე მიღვას ყურებში. იცი, ძვირფასო, დღეს ვიფიქრე, რომ აზრი ჰქონა ჩემს ასე საოცრად ხანგრძლივ სიცოცხლეს. ვილაცხს უნდა ვაეძლო შენს მოსვლამდე, რომ უბიხების დაღუპვის ამბავმა იცოცხლოს დედამიწაზე. გემი ნაპირამდე აღწევს, სიმართლე კი ადამიანებამდე.

ეტყობა სენი ყმაწვილსაც ვადასდებოდა, სიცხით იყო გათანგული. მომუშტული პაწია თითები ორ კაკალს მიუგავდა და ისე ტიროდა, საცაა ვაიგულებოდა. ბავშვი გულში ჩავიკარი და თითქმის გავიქეცი თიხით ნაშენები ქოხისაკენ. ზღურბლთან არ ვიყავი მისული, რომ შველა ვითხოვე:

— გამომხედეთ ვინმემ!

მაგრამ არც არავინ გამომხმეაურებია და არც ვინმე გამოსულა გარეთ. ზღურბლს რომ გადავბიჯე და დაქონილ თავშესაფარში შევიხედე, გატანჯული კვნესა მომესმა. ფეხი გადავდგი და სწორედ გაღებულ კარებიდან შესული შუქის პირდაპირ კედელზე მიყრდნობილი და წელში სამად მოკაცული ჩემი სიძე გარუნი დავინახე. ხელები გადაეჭვარეღინებინა და მაგრად იჭერდა მუცელზე. თვალები ანთებული ჰქონდა და ქუთუთოები ჩანახშირებულნი. კეხიანი ცხვირი წაწვეტილებოდა და

გაუპარსავი დაწვევა ჩასცვენოდა, შუბ-  
ლზე სიკვდილის ჩრდილი ედგა. ოდეს-  
ღაც მთელ უბიხეთში ცნობილი ცხენო-  
სანი, სწრაფი, ღონიერი, ნახევრად ვე-  
ლური ცხენების გამხედნელი, იღბლია-  
ნი და ჩაუქი ჭაბუკი იყო გარუნი. ახლა  
კი ნაკლულ, მომჩვარულ ტომარას და-  
მსგავსებოდა.

ძლივსძლივობით მიცნო და წამოდ-  
გომას შეეცადა.

— ო, ზაურყან, მაპატიე, წამოდგო-  
მის თავიც არა მაქვს რომ მოგესალმო.  
აიშა წყალზე წავიდა, საცაა მობრუნ-  
დება, — დახშული ცვენსა ლაპარაკს  
აწყვეტილებდა, ძაფზე ეკიდა მისი სი-  
ცოცხლე. დაბინდული გონება პირვე-  
ლად ვერ მისწვდა, ხელში მისი ბიჭი რომ  
მეჭირა, შემდეგ ყველაფერს მიხვდა  
და ამოიხრიალა:

— ვაქცაი თუ ხარ, ზაურყან, გა-  
მათავე! სიკეთე ჰქენი და გამათავე! აი-  
შა აღარ არის და მეც ვახვითქული  
ცხენებით გავიგულდები. ცოცხალი რომ  
გადავრჩე... არა, არ მინდა... მე შენზე  
უფროსი ვარ... და გიბრძანებ, გამათა-  
ვე... მესროლე.

სახე მოეკრუნჩხა, ფეხები დაეკიმა,  
ტუჩებზე კი სისხლი აუქაფდა... მაპატიე,  
შარახ, ალბათ დაგდალე ჩემი მწუხარე  
ნაამბობით, მაგრამ ბოლომდე თუ აპი-  
რებ ჩემს მოსმენას, მაშინ ნუ დამემ-  
ღურები და ჩემი მონათხრობი სისხლიან  
ჭრილობასავით იქნება, ბოროტი ხე-  
ლი შარახს რომ აყრის ზედ. ძველ  
დროში ამბობდნენ ხოლმე: წამალი მწა-  
რეთა.

მოკლედ, ჩემი სიძე გარუნი მოკვდა  
და ხელში ავადმყოფი და მშვიერი ჩვი-  
ლი შემრჩა.

ბავშვი ტახტზე დაეაწვინე, სიძეს  
თვალეში დაუხსტქე და აიშასკენ წაე-  
და. ფრთხილად ავიყვანე ხელში, კუბ-  
რითთ შავი ნაწნავები ფეხებამდე ჩამ-  
წვდა. გახსენებაც კი შემშარავია. ნა-  
მცეცა დისშვილი, ვისი სახელიც კი არ  
ვიცოდი, სულ ცოტა ხნის წინ რომ ჩხა-  
ოდა და ტირილით იფხრიწებოდა,  
უცბად ჩაჩუმდა. საცოდავი, უგუნური

პაწია, ვისი სიციოცხლეც სანთლის ალო-  
ვით ფარფატებდა ქარში, გაყურდა. სი-  
ცხისაგან გავარვარებულ სახეზე ხვითქი  
გადასდიოდა. ჩემი შურეა ბავშვის თვა-  
ლებს წააწყდა და გამაყრეთლა. აზრიან-  
ად იხედებოდა და თითქოს შეველას  
მთხოვდა. აიშას რომ დავარდნოდა, იმ-  
დოქით მდინარის წყალი მოვიტანე, ბიჭს  
დავალევიე, მერე რაღაც ჩვარი დავა-  
სველე და სახე მოვწმინდე. ხელისგული  
ვახურებულსი ლოყის ქვეშ ამოიღო და  
დაიძინა.

— რა ექნა? — ვფიქრობდი მიცვა-  
ლებულების თავთან გაჩერებულსი. იქ-  
ნებ მსახვარალმა ბედმა ეს ახალშობილი  
მამიც შეიბრალოს და ძიძის შოვნა  
მოვახერხო სადმე, მაგრამ სად? მანამდე  
კი მიცვალელებსი უნდა მივაბარო  
მიწას — წესი მოითხოვდა, რომ დამა-  
რხულიყვენენ და ახლობლებს დავტირათ,  
სად მომეძებნა მაცნე, აიშასა და გარუ-  
ნის სიკვდილი რომ შეეტყობინებინა  
ნათესაეებისათვის? ნუთუ კაციშვილს  
ვერ ვნახავ ახლომახლო? ქოხის კარებს  
ჯობი გავუყარე, ძაღლები რომ არ შე-  
სულიყვენენ და ზღვის ნაპირისკენ წა-  
ვედი. ცოტა რომ ვავიარე, დავიძახე,  
მერე სამჯერ დავცალე ჰაერში ნაგანი.

— ჰოთუ, — მომესმა პასუხი ცოტა  
ხნის შემდეგ და დამტვერილ ბუჩქნარი-  
დან სამი კაცი და ხანშიშესული ქალი  
გამოვიდა. ყველანი გატანჯული იყე-  
ნენ და ფეხებს ძლივს მოათრევდნენ.  
კაცებს ბარები ვადოთ მხარზე, ქალი  
კი თავიდან ფეხებამდე შეგებში იყო  
გახვეული და თმა გაშლილი ჰქონდა.  
მაშინვე მივხვდი, რომ ესენი მორწმუ-  
ნენი იყვენენ და თავისი ნება-სურვილით  
ეტვირთათ კატორღული მოვალეობა-  
მიწისთვის მიებარებინათ უპატრონო  
მიცვალელებსი. ვუამბე ჩემი დისა და  
სიძის სიკვდილი, სიციხისაგან ერთიანად  
გათანჯულ ბავშვსეც მოვუყუევი.

— ეჰ, ჩემო ძვირფასო, — მითანა-  
გრძნო ქალმა, — შენი კეთილშობილი  
ნათესაეების ბედი ბევრს არგუნა-გან-  
გებამ. — თითო ცისკენ აიშვირა და  
თქვა, — ჩვენ, უბიხებს' დამტრამაზებულნი

გი შეგვიქცია. სამშობლოს მიტოვება დიდი ცოდვაა და აი, გვიწია კიდევ ამ ცოდვამ.

— ვიზიარებთ შენს მწუხარებას, გენაცვალე! მიცვალბულების დაკრძალვაში დაგხმარებით, სხვა კი არაფერი შეგვიძლია. — და ბარი დაჰკრეს მიწას კაცებმა.

ქობთან მივიდით, ბავშვი ისევ ტიროდა, ტუნებს აწკლავუნებდა და სუნთქვა ეკროდა. ქალმა აიყენა, გულში ჩაიკრა და მწუხარედ გადააქნია თავი:

— არც ამას აქვს სასიცოცხლო პირობა.

ქალი ბავშვის ნანაობით გავიდა გარეთ. კაცებმა მოხერხებულად დააწვინეს მიცვალბულები. მე ყაბალახი მოვიხადე, გულში მჯიღს ვიცემდი და ვტიროდი. ჩემი, დედაჩემის, მამაჩემის და ჩემი დების სახელით დავიტირე საცოდავები, უბიხების დაობლებული სამშობლოს სახელით დავიტირე. მზე ჩადიოდა, შუბის ტარზელა იყო, ბორცვის ძირას რომ მივიყვანეთ მიცვალბულები. იმათ დამარხვამდე ბავშვმაც დალია სული, თითქოს უდღემამოდ დარჩენა არ უნდოდა. ამ ეშმასაგან გამოორჩეულ მიწაზე. ბიჭიც იქვე დავმარხეთ, მშობლების გვერდით.

— მშვიდობით, ზაურყან, მოთხრეს კეთილმა აღმავანებმა, — ღმერთმა გაშოროს ასეთი უბედურება, რაც დღეს დაგატყდა თავს, უკანასკნელი იყოს. მეტი ვერაფრით დაგხმარებით, ჩვენ თვითონაც განწირულები ვართ. ვერსად გავიქცევით სიკვდილის ცელს. — ახალ საფლავებზე მიმითითეს და თითქოს შურობით მოთხრეს, — ბედნიერები ჩვენ უფრო მწარე ხედრი გველის, დამმარხელიც არ გვეყოლება და ყვავები ამოგვკორტნიან თვალეზს, წაათრევენ ჩვენს ძვლებს. ჩვენი სულების სახსენებლად ილოცე, ზაურყან!

ყველანი წავიდნენ და მარტოდმარტო დავრჩი სამარისებურ სიჩუმეში. მზემ პორიზონტი სისხლისფრად შეღება და ჩაესვენა. ცა დაიბინდა, ჩრდილები დაგრძელდნენ. გადავწყვიტე, პი-

რველი ღამე გამეთია, როგორც ჩემმა წინაპრებმა იცოდნენ, რომელიმე მხეცს საფლავები რომ არ წაებნილწა.

რომ დაღამდა, კოცონი დავანთე მიცვალბულების თავთან. მალე მცხრალი მთვარე ამოვიდა. მიწაზე უფრო ნათელ ცაზე სავანებით მიცურადნენ ღრუბლები. დალილობისაგან თვითებული კუნთი მიბუტუნებდა, ფიჭრები მერეოდა და თვალები თავისთავად მხუტებოდა. ყაბალახი თავქვეშ ამოვიდე და მაშინვე დამეძინა. ბაბუაჩემი დამესიზმრა. ბაბუა ცოცხალი არ მინახავს, ჩემს დაბადებამდე მოკვდა, მაგრამ მამაჩემი ხშირად მიამბობდა ხოლმე მასზე და ვიცანი ბაბუა იყო. თეთრი ჩოხა ეცვა, ისეთი ქათქათა, თითქოს პირველი თოვლისგან შეუქერავთო. თავიც თეთრი ჰქონდა ბაბუას. ხელში უზარმაზარი შავი ქვაბი ეჭირა. ქვაბი წყლით იყო პირამდე სავსე.

— ზაურყან, — საყვედურით მოთხრა მან— ვინ მოგცა ნებივრობის უფლებება, როცა მთელი ხალხი ფეხზეა, რათა ხიფათი აიცილოს.

— რა ამბავია? — ვკითხე მე.

— შენ რა, დაბრმავდი? მიიხედ-მოიხედე, მთები იწვის, — ხელი მწვერვლებისკენ გაიშვირა და ჰაერში რკალი მოხაზა.

მის შემოხაზულ სივრცეს გავხედე და დავინახე, მთები იწვოდა. გაწეწილი ცეცხლი, ცოცხლად გატყავებულ დომბების ნახიროვით მიუყვებოდა ფერდობებს. მისი შუქი მარად თოვლიან მწვერვალესაც წვდებოდა უკვე და ანათებდა. ღრუბლები წითლად იღებებოდა და ცა ხმელი ფიჩხივით ტყაცუნებდა. არნახული სიდიდის იალქნიანი გემები ნაბერწყლებს აფრქვევდნენ.

— რა ხდება, რა ამბავია? — ჩავიჩურჩულე შეძრწუნებულმა.

— ღვთის წყრომაა. ღმერთმა ხელი აიღო ჩვენზე და გადაწყვიტა პირისაგან მიწისა აღგავოს უბიხების მოღვმა. მთელი ღამე თქვის თოვლი მოდიოდა. იმდენი მოთოვა, რომ მთები დაიფარა. მერე ღმერთმა უწყის საიდან და მხ-

იც გავარდა და ცეცხლშიც იწვითა. ჭიქეცი, ზურყან, გაიქეცი, ჩემო შადისო, გადაარჩინე მთები.

მოხუცს უხანძრავარი ქვაბი გამოვტაცე და ცეცხლის ჩასაქრობად გავიქეცი. ამ დროს ვამთმეღვიძა კიდვე. უცბად ვერ ვამთვრკვეფი, სად ვიყავი, შემდეგ დილის ბინდ-ბუნდში ახალი საფლავეები დავინახე და ყველაფერი გამახსენდა. ზურგს უკან რაღაცამ დაიწკებტუნა. მივიხედე და ძალლი დავინახე, ნეკნებს დაუთვლიდა კაცი. ბირკებით იყო ვაბურტგლული, კული დაეშვა და წკაეწკაეებდა.

— მოშორდი აქედანი — დავუსტვიწე და ხელიც ავუქნე, თითქოს ქვას ვესროდი. შეშინებული ძალლი იქით გაიქცა, ჩაცუცქდა და ყმული დაიწყო. რამდენჯერ არ ვსცადე მისი გაგდება, მაგრამ ამაოდ. ძალლი რამდენიმე ნახიჯით გაიქცეოდა და ისევ ვაბმით ყმუოდა. „იქნებ მეთევზის ქოხის პატრონების ძალლია — გავიფიქრე მე, — მაშინ ესაა აქ მასპინძელი და მე — სტუმარი“.

ჩემი ახლობლების დასაფლავება, საშინელი სიზმარი, ძალლის ყმული, ყველაფერი ამერ-დამერია თავში. „ნეტაე ისინი მაინც თუ არიან ცოცხლები, ვინც შინ დავტოვე? რომ აღარ დამხვედნენ?“

თვალები დაეხუჭე და თითქოს მზეს ვუყურებდი: ყველაფერი სისხლივით წითელი იყო. წამოვდექი და ჩქარა გავბრუნდი უკან.

**„არა არს ღმერთი, თვინიერ  
ალაჰისა“**

ჩვენს ბინას რომ მივუახლოვდი, შორიდანვე შევინახე მაპაჩირების რუხი გროვა. ყაყანიც შემომესმა. თავყრილობისკენ მიმავალ მოხუცს დავეწიე და ვკითხე:

— რა ყრილობაა, რატომ არიან შეგროვილი?

— სამსუნის გუბერნატორი ომერფაშა უნდა მობრძანდეს. ჩვენთან ლა-

პარაკი განუზრახავს, — კვერთხით გეტყვებულ მიწას ჩიჩქინდა და ასე მძასუნობდა მოხუცი, ბრბოს გავუსწორადით. შარდინის, ალთუს ძის ხალხის გარდა, იქ უცნობი მთიელებიც იყვნენ. აღელვებული ლაპარაკობდნენ, კამათობდნენ, ხელებს იქნევდნენ ზოგი უიმედოდ იყო განწყობილი, ზოგი — იმედინადა. თვალები კი ყველას კოკონის ნაპერწკლებივით უელავდათ, ცეცხლში ქვის ჩაგდებით რომ ამოჩინჩხლულან. კაცების გვერდით შაოსანი. ქალები იდგნენ. მოხუცებს პირი თალხი თავსაფრების ბოლოებით დაეფარა და წამდაუწმიდ ოხრავდნენ. ხალხს თვალი მოვაგლე და მამაჩემი დავინახე, მზის ჯოხს დაყრდნობოდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს წააწყდნენ. „ყველაფერს მიხვდება ჩემი შემხედვარე“, — გავიფიქრე მე.

— ჰამირზა! — დაუძახა ვიღაცამ მამაჩემს და იმანაც იქით მიაბრუნა თავი. ქოშინით მოვარდა ჩემთან მატა.

— მადლობა ღმერთს, ცოცხალი და ჯანსაღი რომ დაბრუნდი — წამოიძახა მოსალმების ნაცელად. მხარზე ამეკრა, თვალეში ჩამხედა და მკითხა:

— აიშა ნახე?

პირდაპირსა და მოუთმენელ შეკითხვაში ცუდად დაფარული შიში იმალებოდა. ვაი თუ იმედი მოვუტკლა?

— ვნახე, ვნახე, — კეთილად მოვიტყვილე მე, — ყველაფერი რიგზეა.

— და ახალი შეკითხვა რომ არ მოეცა, თვითონ დავასწარი:

— თქვენ როგორღა ხართ?

— არა გვიშავს, ზურყან. დედა ძალიან წუხდა, რომ დაიკარგე. სამი დღე მოვინიდან არ ამდგარა. დღეს წამოდგა მხოლოდ. თითქოს გულმა უგრძნო, რომ დაბრუნდებოდი.

ხალხი ჭადარაშერთულმა, მაგრამ მაინც ახალგაზრდა მხარბეკიანმა დაბეჭვილ ჩოხიანმა მთიელმა გაარღვია და გესლიანად იკითხა:

— ერთი ეს მითხარით, სად დაიკარგა ჩვენი სულიერი მოძღვარი, ღვთისმოსავი საპატქერი? — ყველას ერთად

მიმართავდა მითელი, — გადმოსახლებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ეს წმინდა მამა სოფელ სოფელ დადიოდა და ჩვენ, სულელებს ლამაზ ზღაპრებს ვეიყვებოდა, წამოსასველლად ვაქებებდა. — საპატქერის ხმას მიბაძა და ნეტარებითა და ტკბალიდ წარმოთქვა — გაიგეთ კეთილო ხალხო, თურქეთი ეს მწვენი ვილლისტანია, წმინდანთა სამოთხის ბაღია. ამ სურნელოვან ბაღში არც სიცხე იცის და არც სიცივე. ბაგეთაგან არავის დასცდებია იქ წყევლა-კრულვა, მხოლოდ სამადლობელ ლოცვებს წარმოთქვამენ: „სად არის ახლა ეს საზოზლარი მატყუარა? ხელში თუ ჩავიგდე, წაშვი ამოვხდი სულს! — და გოლიათმა ისე გაიქნია ჰერში მომუშტული ხელები, თითქოს უხილავი საპატქერი უჭირავსო.

— მიდი და სდიე ქარს მინდორში — ჩამოვიდა თუ არა გემიდან, ისე გაქრა, მისი ალი-კვლი არაფერს იცის.

— ამბობენ მექას წავიდა მოსალოცადო.

— შავი ქვა დაეცეს იმას! — მოხუცმა ჰამიდიამაც შეაწია ხმა კაცების ყაყანს და თავსაფრის წვერით ცრემლები მოიწმინდა.

— თურქეთი დიდი ქვეყანაა... იქნებ სამსუნთან გადმომსხდარნი ქათამივით ჩვენი საკუთარი ქანდარის გარდა ვერაფერს ვხედავთ? ვინ იცის იქნებ საპატქერი მართლა წავიდა ჩვენთვის აღთქმული მიწის საქებნელად? ჩვენი წინამძღოლი შარდინი, ალოუს ძეც ხომ არ ჩანს, — ხავსს ჩაეჭვიდა კეთილი საზი შრინი.

— ვისაც ფული აქვს, იმისთვის ჯოჯოხეთიც სამოთხე იქნება. ჩვენ სულს ვლაფავთ, კეთილო შრინ, შენ კი იმედოვნებ, რომ მოვლენ ჩვენი კეთილისმყოფელები და სამოთხის ბაღში წავგიყვანენ. თავს ნუ იბრმავებ! — მთარაზივით გადაქრა შრინის იმედის ვარდისფერ ტოტს გაცეცხლებულმა მთიელმა, გაიძვერა საპატქერიზე რომ ლაპარაკობდა.

აქეთ იხედებოდა, თითქოს ვილაცას

ემებსო და ხალხს მიარღვევდა ძიპაშხ ნაურიზი, ბარაკაის ძე. ას ყოველთვის ფიცხი იყო, ფეხზე შეყვინებულ ნაგავს ჰგავდა. ძიპაშხ ნაურიზი ფეხზე კი არ დგებოდა, წამოხტებოდა ხოლმე და ისე აწყვეტივებდა სიტყვას მოსაუბრეს.

— ლოგინიდან ადგა, — მითხრა მატამ. ბარაკაის ძე მართლა მომაკვდავივით ფერწასული იყო და ისე იკაკვებოდა, სიბრაულის გარეშე ვერ შეხედავდი კაცი.

— იმაზე დავა, თუ ვინაა ჩვენი უბედურების მიზეზი, ხერის ვერ მოგვიტანს, — დაიწყო მან ჩახლეჩილი, თითქოს ვაცივებული ხმით, — ერთი რამ კი ცხადია, ცხვრებივითა ვართ მოტყუებული და გაყიდული. სად გაქპრა ჰაჯი კერანტინი? ა? არ იცით, არა? დავიფიცებ, რომ ის ახლა ვანცბრომანია. ასეთი კაცისთვის უცხო ქვეყანაც სამშობლოა. აქ მეკლესი არაა, სადაც ენას იფხანენ და ხარის შუბლს უჯახუნებენ ერთმანეთს. მოკლედ გეტყვი: ნათესაეებს, ძიძიშვილებსა და მეზობლებს განვუცხადე, რომ მზადა ვარ სათაფრში ჩავუდგე იმათ, ვისაც სამშობლოში დაბრუნება სურს. ამ საქმეს მშვიდობიანად თუ ვერ მოვაგვარებთ, იბრალს მოვკიდებთ ხელს. მე მგონი ჯობია ისე დავეცეთ, რომ სამშობლოსაკენ გვეკონდეს პირი, ვიდრე აქ უცხო მხარეში შიმშილით ამოვწყდეთ. დროა, ვიმოქმედოთ! — ხელი ზღვისკენ გაიქნია და დაიძახა: — ხვალ გზას გავუდგებით!

უმრავლესობისთვის ნაურიზის, ბარაკაისძის სიტყვები მოულოდნელი იყო და თუმცა შეჩვეულნი იყვნენ ნაურიზის ნაჩქარეუ გადაწყვეტილებებს, „ხვალ გზას გავუდგებითო“ — ამ სიტყვებმა მაინც ჩააფიქრა ისინი. ყველას ჰყავდა ქალები, მოხუცები და ბავშვები. ადგილი სათქმელია, მთელი ოჯახი წამოიყვანეთ, ბედის ანაბარა კი ვინ მიატოვებდა ჯალაბს უცხო მხარეში? ძიპაშხ ნაურიზმა იცოდა ეს.

ხალხი ყოყმანობდა, მაგრამ ნაურიზმა ისიც კარგად იცოდა, რომ პურა

მანამ უნდა მიავრა თონეს, სანამ ცხელია — თქვენშიც იყენენ წესიერები და მამაცები, რომლებიც გვაფრთხილებდნენ, ხაფანგში არ გავვებით, მაგრამ ვინ დაუჭერათ. ცხვრებივით გამოგყვით გზაბნეულ კაცს ამ ქოლერიან სორთში ცოლებითა და შვილებით.

— რაც მართალი მართალია, ძვირფასო ნაურის, — ვერ მოითმინა მოხუცმა სითმა და ყბალახი უკან ვადაიგლო — შენი ძმა აჰმეთი ცდილობდა შეჩერებინა ხალხი, უშლიდა დამღუპველი ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ მაშინ ხომ შენც...

— ფაშა მოდის, ფაშა!

ამ ყვირილმა აღარ დაამთავრებინა მოხუც სითს სათქმელი.

სამსუნიდან მომავალ გზაზე ათი ასკერისაგან შემდგარი ბაღრაგის თანხლებით მხედარი გამოჩნდა. მალე ხალხს გაუსწორდა. შეგუფფებულები გაიყვნენ და ფაშა ხალხის შუაგულში გაჩერდა. უზარმაზარი კაცი იყო, შავგვრემანი. ასპიდის ფოჩვიანი ფეხი ეხურა ზეთისხილივით. მოლურჯო თვალებით შეგათვალისწინებდა. ზორბა სისე ბედაურზე იქდა. უზანგები ბოლომდე ჰქონდა ჩაშვებული და გრძელფეხება მხედარი თითქმის მიწას წვდებოდა ფეხის წვერებით. ბევრმა უბინმა იცოდა თურქული, დად მარახ, ჩვეულებრივად კი თავადებმა, მათმა შინაყმებმა, ვაჭრებმა და კონტრაბანდისტებმა. ჩვენაირ უბრალო ხალხთან ლპარაკი უთარჯიმანოდ არ შეეძლო ომერ ფაშას. ამიტომ მარცხენა უზანგთან გონიერი ახალგაზრდა, წერა-კითხვის მცოდნე მზაუქ ახუბა დაუდგა ფაშას თარჯიმანი. იგი საზაფხაზი იყო, გაგრილან.

მოსალმების შემდეგ ფაშამ იკითხა:

— აქ ყველანი მუსულმანები ხართ?

— ყველანი მუსულმანები ვართ, გუბერნატორო! — უპასუხა მოხუცმა სითმა.

— თუ მუსულმანები ხართ, რატომ მეჩეთში არ დადიხართ? რატომ არ ასრულებთ ხუთ ნამაზს, როგორც მართლმორწმუნეთა წესია?

საუბრის საყვედურით დაწყება, ყველაფერს რომ თავი დაეხებოთ, უბრალოდ თავაზიანი საქციელი არ იყო.

— პატივცემულო ფაშა, ნება მიბოძეთ, აღნიშნო, რომ ალაჰმა შიშველი კაცი საცვლების რეცხვის აუცილებლობისაგან გაათავისუფლა. მეჩეთში კი წავიდოდით, მაგრამ იქ პური არ არის, შიმშილი რომ მოვიკლათ, წამალი არ არის, სახადის ცეცხლი რომ ჩაეჭროთ, რომელიც ასე უწყალოდ გვეფრფლავს.

მე თვითონ გამიკვირდა ჩემი ხმა, ფოლადივით ეღერდა, მარჯვენა ხელი კი ხანჯლის ტარს ბლუჯავდა. თითქოს ბურანში ვიყავი, ისე იღლაბნებოდა ჩემ წინ ფაშას სახე. ზედ მოჩვენების ჩრდილივით მიცურავდა მკედარი აიშა, მკერდზე მიკრული ჭერ კიდევ ცოცხალი ბავშვი ტუტუს წოვდა. აიშას კუპრივით შავი ნაწინაგები ცხენის ფეხებს სცემდა, რომელზეც ფაშა იყო ამხედრებული. მატა მყისვე წინ ამეფარა. თარჯიმანმა გამხეცებული ხარი თვინიერ ეხვარად აქცია:

— ჩვენ ვვშია, ბატონო ფაშა, — ასე გადასცა მან ჩემი ნათქვამის შინაარსი.

— ხვალთან თითოეული ოჯახი ერთ გოგორა პურს მიიღებს. — ისე დიდის ამბით გამოაცხადა ომარ ფაშამ, თითქოს ხვალთან სამოთხის კარებს გვიღებდა.

ვერ გაიგონა ფაშამ მზიარული შეძახილები. პირიქით, ავადმყოფი ფრინველივით მიხანხალდა მისთან მოხუცი პამიდა და ჩაჩიფიფიდა:

— მარტო გამზმარი პური რას გვიშველის, ბავშვები გვეხოცება ურძიოდ.

„უმაღურები“ — უკმაყოფილებამ გაიელვა ფაშას თვალებში.

— ეს მუსულმანური წესი არ არის. სადაც მამაკაცები იკრიბებიან, იქ ქალებს არაფერი ესაქმებათ და ისიც უჩადროდ. დროა, დაივიწყოთ ვიაურების აღათები. აქ რუსეთი არ გეგონოთ აბა, ახლავე წავიდნენ ქალები აქედან!

— მოიღეთ მოწყალება და მომისმინეთ, ბატონო, — ქალაჩა წვერდხანმა

საულამა ხელისგულები ერთმანეთს მიადო და თაყვანი სცა ზორზოხა მხედარს. — ჩვენ, უბიხებს გვაქვს ყოვლისშემძლე ბითხა. მე პატივი მაქვს, მისი ქურუმი ვიყო. ჩვენი წმიდათაწმიდას სადიდებლად რომ ვლოცულობთ ხოლმე, ქალებიც ჩვენ გვერდით დგანან. ასეთია ჩვენი ადათი. წინაპრებისაგან გვაქვს ეს ნაანდერძევი.

როცა მზაურ აბხუბამ სიტყვა-სიტყვით უთარგმნა ქურუმის ნათქვამი, ფაშამ მათრახი უნაგირზე გადადო, ხელები ცისკენ აღაპყრო და ლოცვა აღავლინა:

— ლა ილლაპა, ილლა-ლ-ლლაპი! — შემდეგ ლოცვა შეწყვიტა და მუქარით დაუყვირა ხალხს: მეჩეთში წადით უწმინდურებო, ყველანი მეჩეთში წადით! ლოცვით გამოისყიდეთ თქვენი ცოდვები. სხვანაირად სამოთხის ნახვას ვერ ეღირსებით.

ბრაზი მომანწვა ყელში.

— ამ მიწაზე აღმამიწური ცხოვრების საშუალება მოგვეცით და სამოთხე თქვენი დავითი.

მატა ისევ დაიძაგრა და ისევ ამეფარა. მამაჩემის უკმაყოფილო მზერაც დაეინახე: „სად არის შენი თავდაპყრა, შვილო?!“

ომერ ფაშამ, ვისი მჭერმეტყველებაც მე შეეწყვიტე, მოიხედა. ასკერმა მათრახის ტარით ჩემზე მიუთითა.

— შაითანი!.. — შეიგინა სამსუნის გუბერნატორმა, ქველმოქმედის ნიღაბი მოიშორა და გამოაცხადა: — დედა-მიწაზე ალაპის ერთადერთი ნაცვალის სულთანის სახელით ვბრძანე, სიაში შეეტანათ ახალგაზრდები, ვისაც სამხედრო სამსახური შეუძლიათ. სიაში მოხვედრილებს ჯარში გაიწვევენ, ვინც მოხალისედ წავა, ჯილდოს მიიღებს, მისი ოჯახი კი — მთავრობის მფარველობას.

სიჩუმე გამოეფდა. პირველმა მამაჩემმა დაარღვია იგი:

— ჩვენი შვილების წაყვანას აპირებენ, ყოველგვარი იმედ და საყრდენი უნდათ გამოგვაცალონ.

— ეპ, ჰამირზა, — სულმოკლეობა

გამოიჩინა ვილაყამ. — დღეს თუ შენი ნებით არ მიეცი, ხეალ ძალით წავაგრობევენ. ძალა აღმართსა ხნავს.

ხალხი ვაოგნებული იყო, მაგრამ ამ დროს ომერ ფაშას წინ ნაურბიზი აღიმამართა. მოკლე კვერთხი მიწაში ჩაარჭო, ხელ ქულდი ჩამოჰკიდა და პირდაპირ, გადაკრულ-გადმოკრულის გარეშე ჩაუჭიკვია თურქულად:

— მომისმინე, უფროსო, ჩვენ თქვენი სამოთხის მიწის ღირსნი არა ვართ, ან თქვენი მიწა არ არის ჩვენი ღირსი. აქ ჩამოსულების ნახევარი უკვე მიწაში წევს. დანარჩენებსაც ეს ბედი ელის. იცი რა უფროსო, ჩვენ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეთ. მოგვეცით გემები! თუ არა და... ფეხით წავალთ; ოღონდ საზღვარი გავვიხსენი. გამოიჩინეთ ასეთი მოწყალება და მთელი საუკუნე თქვენი სულთანის ჯანმრთელობისათვის ვილოცებთ.

ხალხი გაისუსა. მაგრამ ნაურბიზის, ბარაკის ძის სიტყვებმა ომერ ფაშა არ შეაშფოთა. ეტყობა მზად იყო მამაჩივების ასეთი მოთხოვნისათვის და არც დაფიქრებულა ისე უპასუხა:

— ეს შეუძლებელია, ჩემი ნება რომ იყოს კი ბატონო, მაგრამ ვანა მე შემეძლია ორი დღი სახელმწიფოს — თურქეთისა და რუსეთის შეთანხმების პირობების შეცვლა? ნუ გეშინიათ, ჩვენი ნახევარი მთავარის ქვეშ არ ვაგვიქირდებათ. ლა ილლაპა, ილა-ლ-ლლაპი! არ დაგაეიწყდეთ ყოველ პარასკევს მეჩეთში იარეთ, განიწმინდეთ თქვენი სულები... — ასეთი დალოცვის შემდეგ ცოტა გაინავარდა ჩვენ წინ, მერე მათრახი უცხუნა ცხენს და თოხბარივით გაგვეშორდა. ბადრაგიც უკან მიჰყვა. მტერის კორიანტელმა დაფარა მხედრები. დაღონებული ხალხი დაიშალა. მალე მე, მამაჩემი და ჩემი ძმა პირისპირ აღმოვეჩნდით. მამამ პირდაპირ შემომხედა, ვერ გავუქელი და თავი დაველუნე.

— თვალბზე გატყობ, რომ იშვას თავს უბედურებაში... — ხელი მატას დაადო მხარზე და დაუმატა — სანამ მა-

რტო კაცები ვართ, ყველაფერი ისე მო-  
თხარი, როგორც არის.

და მეც ყველაფერი დაუფარავად  
ვუამბე. მამაჩემს უბა აუცახცახდა, ეს  
იყო და ეს. ამ საშინელმა ამბავმა გუ-  
ლი რომ გაუგმირა, სხვა რაიმეთი არ  
გამოუხატავს. ის კი არა და ხელიც კი  
მოაშორა მატას მხარს და მხოლოდ  
ბზის კვერთხზედა იყო დაყრდნობილი.  
ჩემი საცოდავი ძმა კი, ცხადია, სიყმა-  
წვილის გამო, პატარა ბიჭივით აღრიალ-  
და. ვაცალეთ ცრემლის ღვრა და შემ-  
დეგ მამამ, უბედურება გადატანილი კა-  
ცის ხმით გვიოთხრა:

— კბილი კბილს დააპირეთ და ეს  
საშინელი დარდი საიდუმლოდ შეინა-  
ხეთ. არც ღედათქვენმა და არც თქვენმა  
ღებმა არაფერი გაიგონ. თუ გაიგვს,  
იცოდეთ ეს გახდებდა მათი დაღუპვის  
მიზეზი. შენ კი, ზაურყან, წადი და ეცა-  
დე იმედის ნაპერწკალი გაუღვივო მათ,  
წადით, ჩემო ბიჭებო!

მამამ დაგეტოვა მე და მატა. ის ჩემს  
უკან მოლოლიალობდა. აღარ სლუკუნე-  
ბდა, ოხრავდა მხოლოდ. ჯერ კიდევ  
აღრე, სანამ აიშას სამებნელად წაი-  
ლოდი, შევნიშნე, რომ მატა ვახდა, სი-  
მშვიდე დაკარგა და ხშირად წამოიყვი-  
რებდა ხოლმე ძილში. ვხედებოდი, რომ  
მას ხორცი კი არა, სული ტკიოდა...  
ჩვენი მთები, ჩვენი ვეო, ჩვენი მიწა, —  
მხოლოდ ეს ეკერა პირზე.

— ბოლო დროს — გამომიტყდა მა-  
ტა, — ცუდი სიზმრები მაქვს. წუხელ  
მესიზმრა, ვითომ გამთენიისას სიმი-  
ნდით სავსე ტომრით მივედი ჩვენ ძველ  
წისქვილში. ვხედავ კარები ღიაა, ზღუ-  
რბლთან კი ვიღაცის რუხი ძაღლია. სა-  
ცაა დამეტაკება და ყელში მწვდება.  
ყფს წყეული, მაგრამ ხმა არ ისმის,  
მუნჯია. ქვას ვტაცე ხელი და ძაღლს  
ვესროლე, ძაღლი გვერდზე გახტა. წი-  
სქვილში შევედი და გავგოცდი: ქვედა  
ბორბალი გამწარებული ბრუნავს, დო-  
ლაბები კი უძრავდება. და სამი თითის  
დაღება მტვერი აღევს ზედ. ხის გო-  
ბის ნაცვლად სადაც ფქვილი უნდა იყ-  
რებოდეს, შავი კუბო დვას, შიშმა ამი-

ტანა და გარეთ გამოვევარდი. გარეთ კი  
ბნელა, თუმცა წუთის წინ ზე ზახ-  
ჩახებდა. თოფის წამალივით შეეცახე  
მზის ნაცვლად შებოლილი წითელი  
ყველის მსგავსი დაბინდული წრე ჩანს...  
აღბათ ვყვიროდი ძილში და მამამ გა-  
მალვიდა...

„ერთს ბრძოლაში ხელი წააცალეს,  
იმას კი ეჩვენებოდა თითები მოძრაობ-  
სო და ტკიოდა კიდევ“. — გავიფიქრე  
მე.

— მოითმინე, მატა, იქნებ ყველაფე-  
რი გამოსწორდეს.

— ზაურყან, — მითხრა მან ცოტა  
ხნის სიჩუმის შემდეგ. — იცოდე,  
სამშობლოში დაბრუნება თუ ვერ მო-  
ვახერხებ, მოკვდები.

სიცოცხემ დამიარა, ვიცოდი, ეს ლი-  
ტონი სიტყვები არ იყო

— ნუ სულელობ და მოეშვი სულთა-  
თანას. — შევარცხვინე მე.

მაგრამ მატამ ჩემს ნათქვამს ყური არ  
ათხოვა:

— ნურბიზი და მისი მეგობრები უკ-  
ვე ემზადებიან სამშობლოში დასაბრუ-  
ნებლად, ვიცი, ღედა და მამა სიკვდილს  
ამჯობინებენ ჩემს გაშვებას, მაგრამ  
გვხვეწები, ზაურყან, მიშუამდგომლე!  
ამბობენ, ეს საარისკო საქმეაო, შეიძლე-  
ბა ტყუილ-უბრალოდ წავიგოთ თავი,  
მაგრამ გაჭირვებამ კანონები არ იცის.  
ყველაფერი იღბლის საქმეა, ძმაო, მა-  
რთალია, ცოდონი არიან ღედა, მამა,  
ღები, მაგრამ თუ დავიღუბე, შენ ხომ  
მაინც იქნები მათთან. თუ გამიმართლა  
და ჩვენს მიტოვებულ სახლამდე მივა-  
ლწოე, გაცივებულ კერას გავაჩაღებ,  
მეურნეობას მოკვიდებ ხელს, დავხნავ,  
დავთესავ, მოსავალს მოვიწვევ; შეჩვე-  
ული ვარ შრომას. პირუტყვს მოვამრა-  
ვლებ, ვინადირებ, შემდეგ კი რაღაც  
არ უნდა დამიჭდეს, სანდალს დავიჭი-  
რავებ და თქვენს წასაყვანად ჩამოვალ.

ჩემს წინ შევარდენის მსგავსი მთიე-  
ლი ჭაბუკი იდგა, ვისაც თავისუფლება  
წაართვეს, მაგრამ ცაში აჭრის ოცნება  
კი — ვერა.

— სულ ახლა მოვისპო ომერ-ფაშამ

გვ. შენი იმედი. მისი ბავით თურქეთის ხელისუფლება ღაღადებდა. მერე და რომ დაბრუნდეთ კიდევ ჩვენს მიწა-წყალზე, მოგცემენ კი იქ ცხოვრების უფლებას? ასკერ უნდა გაზომო. მე კი ხელს არ შეგვიშლი, შენი ნებაა... ამ დროს მე თვითონ ვგრძნობდი უსაზღვრო სურვილს, ნაურიზის, ბარაკაის ძის გულად ბიჭებში ვყოფილიყავ და ჩემი წარმოსახვა ნაირ-ნაირ წარმატაც სურათებს ხატავდა: ჩვენს კერიაზე ცეცხლი წითელი შამალივით აფთქუნებს ფრთებს, კარები სტუმართმოყვრულადაა მოღიაებული. მაგრამ ჩემი გრძნობები არ გამოძიმებულანებია, ერთი კუნთიც კი არ შემრხვევია სახეზე. სამსუნის ვუბერნატორმა ალბათ სწორი თქვა ორი სახელმწიფოს შეთანხმების შესახებ და ეს დასაღუპავად სწირავდა იმით, ვინც ნაურიზს მიჰყვებოდა და იმათაც ვინც აქ რჩებოდა. როგორ უნდა დაგვეღწია თავი ამ ჯაღოსნური წრისათვის? ვის, რომელ ადამიანს შეეძლო იძულებული გაეხადა რუსეთის მეფე და სულთანს ეს ძველისძველი მტრები, მაჰაჯირების საქმისათვის რომ გადაეხედათ. თავი სკას მიმიგადა, სიღანაც ფიქრები ფუტურებივით გამოდიოდნენ, მაგრამ თაფლი არ მოჰქონდათ. სინამდვილე ძალზე მწარე იყო. ჩვენს ბინას ვუახლოვდებოდით, აჯალღამას რომ წაგავდა, მატა რომ შემეხო მხარზე:

— მოიცა, ზაურყან, ნუ ჩქარობ...

— რა იყო, დაილაღე?

მან თავი გააქნია და მოხოვა:

— წამოდი, მოხუც საკუტს მოვესმინოთ, ცოტა ხნით წამოდი...

— კი მაგრამ დედაზე და დებზე ხომ უნდა იფიქრო...

— მოესწრები, ლამაზი ზღაპრის მოყვალს. თანაც მე კიდევ ვერ მოვსულვარ გონს, შემატყობენ...

— ახლა ჩვენ მუსიკის მოსასმენად არ გვეცლია, მატა!

— არა, ზაურყან, სწორედ ახლაა საჭირო. მხოლოდ აფხიარცა თუ ვაგვიქარწყლებს ნაღველს, ოღონდ მაინც დავამშვიდებებს. წამოდი, ძალიან ვთხოვ.

ზღვისპირას მარტოდ-მარტო მღვარი ხისკენ გავემართეთ. ჰალარა წვერიანი საკუტი ზეს მიყრდნობოდა და უსინათლო თვალები თეთრ ფაფარიან ტალღებისთვის მიეშტერებინა.

საკუტს ვარშემო თავყრილობიდან დაბრუნებული ხალხი შემოხვეოდა. ერთი თხუთმეტი კაცი იქნებოდა. ბრმა მომღერლის გვერდით გახუნებულ ასალზე აფხიარცა და ქამანი იღო. ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო, რომ ყოველდღე, შზის ჩასვლისას ასტანს თავისი ბაბუა ამ ერთადერთ ხესთან მოჰყავდა ხოლმე. მალე შეგროვდა ხალხი აშუღის სიმღერის მოსასმენად, ჩუმად რომ დაეღვირათ ცრემლი და ოღონდ მაინც გაუქარვებინათ გულზე მოწოლილი ნაღველი. საკუტი თავის სიმღერას ორჯერ არასოდეს იმღერებდა. ყოველთვის ახალ სიმღერას მღეროდა მხოლოდ. თითქოს ხალხს ასაჩუქრებდა და ერთსა და იგივე საჩუქარს, მოგხსენებთ, ორჯერ არავის უძღვნიან. მოხუცი საკუტი თავის ჩინის დაკარგვის შემდეგ ადამიანებს ხმით ცნობდა. ვინც არ უნდა მისალმებოდა, საკუტი საღმითვე უბასუხებდა და სახელითაც მიმართავდა...

— დღე შვიდობისა, საკუტ, — მივეუბნედი მე.

— ო, ზაურყან, დურთმა ვაუმარჯოს ჰამირას უფროს ვაყიშვილს. დიდხანს სიკოცხლეს ვისურვებ, დადი კარგი ჰქენი, რომ მოხვედი, რალაც უნდა დავავალო. ჩემი შვილიშვილი ასტანი ძალზე ყმაწვილი და გამოუცდელია, დანარჩენი ნათესავები კი დაიხოცნენ. სიკეთე ჰქენი და ჩემი სიკედლის შემდეგ ჰქუა დაარიგე ხოლმე. უფროს ძმასავით ეძმე. მე ცოდვილი კი ამ ხის ქვეშ დამმარხეთ. უკვე ვუთხარი სხვებსაც. პირი მშობლიური მთებისაკენ მაქნევიანეთ. ამ ქისაში, — მან ქამარზე გამობმულ ტყავის ქისაზე მიმითითა, — ერთი მუცა მშობლიური მიწა მაქვს, სამაღა. ოთხ წამს შემთ, გულზე დამაყარეთ. აგაი აფხიარცა კი ამ ხეზე ჩამოკიდეთ. ხანდახან ქარი ჩამოკრავს





შახტანავ ჯახანაძე

წიგნიდან:

# მარტი, აპრილი, მაისი

• • •

ბოლოში ვდგავარ,  
 სეხნიებო,  
 და ყველას გხედავთ,  
 თქვენი თბილისი მელანდება  
 და თქვენი მცხეთა.  
 მეცნობა  
 თქვენი ქუთაისი,  
 თქვენი ჩარგალი,  
 თქვენი თელავი —  
 ყვაველივით მთებში ჩარგული.  
 მაფიქრებს  
 თქვენი ისპაჰანი,  
 თქვენი კალუგა,

ინევ მომესმის მოსკოვიდან  
 თქვენი გალობა,  
 მალონებს  
 თქვენი ასტრახანი,  
 თქვენი უჰარმა,  
 და თვალი აღარ მემეტება  
 დასახუჭაუად...  
 და როცა დილა გათენდება  
 ხმაურიანი.  
 ხმაურიანი  
 მოფარდება  
 ჩემი რიონი,

• • •

ავიღოთ პური,  
 შიფუმატოთ მზე და ღიმილი,  
 ცისარტყვლები  
 ვარსკვლავებზე გადავამრავლოთ,  
 ცრემლი და ეჭვი გამოვაკლოთ,  
 თანაბრად გავყოთ,

დავანაწილოთ,  
 დაფარივით,  
 და მერე ინევ  
 ავიღოთ პური,  
 შიფუმატოთ მზე და ღიმილი...

პირი ქალაქი. „თავისუფლება“. 1942.

რადგან ლექსი ვერ შეიპყრო,  
 ირიქრაფა თუ არა,  
 პოეტის გვარს დაედევნა,  
 სახლებს ჩამოუარა,

გვარს ეძებდა,  
 დაჰყვა სენას,  
 გადალახა ლუარა,  
 არაერთხელ,

საქართველოს  
საბჭოთაო რევოლუციური  
კულტურისათვის

არაერთხელ  
გარემომოუარა.  
არაერთხელ გადაბუგა  
ქუჩა და ტროტუ  
გვარს დადევდა  
როგორც ვფხვი

როგორც იაგუარი,  
მაგრამ ყველგან შეაგებეს —  
ნაღდი და უტყუარი —  
არაერთხელ  
არაერთხელ,  
არაერთხელ უარი.

. . .

ჯერ არ ჩასულა მთვარე,  
ჯერ არ დაძრულა ჭორი,  
ჯერ არ დახრილა ამწე —  
არა ერთი და ორი.  
ჯერ არ დადღლილა ლიფტი —  
არა ათი და ოცი,  
არ ავსებულა ქუჩა — ხმებით,  
რკინით და  
ხორციით .  
ჯერ კიდევ დილის ეშხი  
რ დაჰკლებიათ ბაზრებს,  
არ ჩაძვრენია სულში  
ბენსიონერი გაზეთს.  
ჯერ არ უწირავს ხუცებს,  
ჯერ არ დამთვრალა ლოთი,  
არ მოღებია ბოლო  
შენაკესეთა ლოდინს.  
არ დაუკარგავთ ჩრდილი — ძეგლებს,  
სახლებს და  
ტაქსებს,  
არ გაუმლიათ დურგლებს სამხარი იატაკზე.  
არ გამოსულა კინო,  
არ გამოსულა ცირკი,  
არ დახურულა მწუხრის უკანასკნელი წიგნი.  
არ ჩაუვლიათ სტვენით დაგვიანებულ მთვრალებს,  
არ ამოსულა  
ისევ  
ჯერ არ ჩასული მთვარე.

. . .

თოვლისფერი ეტლები შეაგებეს კარებთან,  
ყველაფერი წყალობდა:  
ბედი,  
ღმერთი,  
სამება, —



რუსთაველის გამზირზე  
 გაზაფხული გამეფდა,  
 რუსთაველის ჭადრებში —  
 ბელურების სამეფო.  
 იწყებოდა მერცხლების უჩვეულო დეკადა,  
 ხეებს შორის ბრწყინავდა ფილაქნების დეფიზი,  
 რუსთაველის  
 მესამე შესაბვეთან ეკიდა  
 დიდი ფოტოპორტრეტი  
 პოეტების მეფისა,  
 გაიელვა ბურუსმა,  
 მაგრამ ვეღარ შებედა,  
 უსუსტესი ფერებით იყო შეხამებული:  
 რუსთაველის თეატრის  
 ოდიპოს მეფე და  
 რუსთაველის მოედნის  
 ბრწყინვალეობა მეფური.  
 რუსთაველის კინოდან  
 რუსთაველის ძეგლამდე  
 ისრებოდნენ ტოტები ყოველ მისალმებისას,  
 ირწუოდა ნაავი  
 და ჩრდილები ცეკვავდნენ  
 ხან მნათობთა მეფის და  
 ხან ყვავილთა მეფისა.  
 ისევ სდუმდნენ კედლებზე  
 მხედრები და რაშები,  
 ისევ სდუმდნენ ბოძები ხეივნების ნაპირთან,  
 რუსთაველის მეტროში  
 ვეღარ დათარეშობდნენ  
 ჯერც ფრინველთა მეფე და  
 ვეღარც მეფე ნადირთა.  
 გაზაფხულის ყვილი ყველას კარგად ესმოდა,  
 გაზაფხულის ყვილი ყველას ერთად ეღიბდა,  
 რუსთაველზე  
 მეფურად ნაიარა ესკორტმა:  
 მეფე იყო  
 აფრიკის რომელიღაც ქვეყნისა.

• • •

ითვლის და ითვლის გონება,  
 სწრაფი და დაუცხრომელი, —  
 რომელი დაფიშასოვრო,  
 რომელი ერთი ნომერი?  
 სახლის თუ ბინის ნომერი,



რომელი,  
მაინც რომელი —

ფოსტის,  
პასპორტის,  
მანქანის,

მანქანის ფერის ნომერი?!

მეასედი მეზობლიშვება მეზობლის თანამშრომელი,  
იზრდება

მომრავლებული ტელეფონების ნომერი.  
და რუსთაველზე წრიალებს უცნობი მილიონერი,  
დავიწყებია,  
არ ახსოვს

სასტუმროს ნომრის ნომერი.

არც უმეცარი არა ვარ,  
არა ვარ არც ფენომენი,  
არასოდეს არ მემშლება ფეხბურთელების ნომერი,  
მაგრამ მემშლება ხანდახან:

ნაღდი და ანონიმური,  
მატარებლის და ვაგონის,  
რიგის და სკამის ნომერი.

წამოიჭრება უცებ და  
ზუზუნებს,

როგორც ზუმერი,

ძაღლის,  
ფეხსაცმლის,  
მოკრივის,  
ღვინის,

საფლავის ნომერი...

და ვეშგაგებები

ციფრებით თავმოფხრებულ კომერსანტს,  
მალე გამიმხვებს უფალი ჩემს უკანასკნელ ნომერსაც.  
მესამე ათასწლეული გვიასლოვდება ღიღინით  
და თავისქალა მძიმდება  
ტელეფონების წიგნივით.

• • •

პატარა სიხარულებო,  
მადლობა!  
დიდი მადლობა!  
თქვენ რომ მადლობა არ გითხრათ,  
იქნება უსამართლობა,  
მაგრამ დღეიდან მშვიდობით!  
ველარ შემაცდენთ,  
მშვიდობით!  
ნელ-ნელა აგიხირდებით  
და აღარ შეგიშინდებით.

მე დასავლეთით მივდივარ.  
აღმოსავლეთისაკენ კი —  
თქვენ წადით,  
სხვები მონახეთ,  
სხვებს დაუყარეთ საყენკი.  
სხვებმაც იგრძნონ და იგემონ  
ჩემი წილი და ულუფა,  
პატარა სიხარულებო,  
პატარა სიხარულებო!

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

საქართველოს ბუღბუღივით  
ვერ ისწავლა გალობა,  
პოეტების პოეტივით  
ვერ მოიგო გულეზი.  
ვერ ავიდა მთაწმინდაზე,  
ვერ ამხედრდა მერანზე,  
კვარცხლბეკიდან ვერ გახედა  
მოუდნებს და ტერასებს.  
ვერ ამაღლდა,  
ვერ გალალდა,  
როგორც მთების მეღვესე,  
ველარც ცაში ინაგარდა,  
ვერც ზღვაზე და ხმელეთზე.  
ამუღივით ვერ უმღერა  
ლამაზებს და მამაცებს,  
ვერც ჭალარა მგოსანივით  
ვერ მოერგო სავარძელს.  
პოეტების მეფესავით —  
ქვაში გამლკვეთილი —  
ვერ აღზვედა,  
ვერ გამეფდა  
პოეტების ღმერთივით...  
გრანულივით ჩაიარა  
ქაშვეთთან და სიონთან,  
გრანულივით იცინოდა,  
გრანულივით — სცილოდა.

## ანონიმის მოწოდებებიდან

გუშინ აჩვენა მეზობლის მამის  
სახლი და კარმიდამო —  
ამან და ამან  
ამას და ამას  
ამის და ამის გამო.  
დღეს ერთად სვამდნენ კაფეში ყავას,  
ერთად უსმენდნენ მკითხავს, —  
ამა და ამ დროს  
მაფანს და მაფანს  
შეხედნენ ვილაც და ვილაც.  
ხვალ კი ერთმანეთს ტაქსების რიგში  
არ შეხედავენ ზედაც —  
შავი იგრეკი,  
შავტუბა იქსი  
და შავგრემანი ზეტა...

არ გუფრათ?!  
ჩვენთან მობრძანდით მაშინ,  
აქვეა ბინა ჩვენი,  
ა ქუჩის ბოლოს  
ბუ ნომერ სახლში  
უნდა იკითხოთ ენი.

• • •

დაშიშვლებულან ნუშები,  
დაჩონჩხებულა სამთავე,  
ვერც შემოდგომა უშველის,  
ვერც ზაფხული და ზამთარი.  
ვერც ლეგა,  
ვერც მეწამული,  
ვერც მებტი,  
ვერც საკმარისი...  
მე ვიფი მაგის წამალი:  
მარტი,  
აბრილი,  
მაისი.





# ბოსლესი

მოთხრობა

I

მატარებელი ვიხერდა. ახალგაზრდა კაცმა თავი გაპყო ფანჯარაში. ყვირილის ხეობას ეძინა. მთაში კი თენდებოდა. ორი დედაბერი წივილ-კივილით გამოზრბოდა ვაგონების ვასწვრივ. ქაქანი და ხრამბარუში თანდათან მოახლოვდა და ისევ თანდათან მიჩუმდა. ტომარაწამოკიდებული დედაკაცები სულმოუთქმელად გარბოდნენ.

ანდროს პირდაპირ სადგურის თეთრი შენობა იდგა, რომლის მარცხნივ ასიოდე მეტრის მოშორებით იმფერივე პატარა, ირბ სახურავიანი ნაგებობა ჩანდა. მასზე ცარციით ორი ნოლიანი ეწერა შორახლო წითელი მამლაყინწა დსეირონობდა. სმენადქცეული კაცი მდინარის შესილს ვაიგონებდა.

წითელი მამლაყინწა შედგა, კისერი წინ წაიგდო და როდესაც ანდრომ ვადაწყვიტა, რომ ახლა ყურისწამლებ ყვირის ვაიგონებდა, ფრინველმა ისევ მხრებში ჩარგო თავი. მავრამ მიიხურა თუ არა სადგურის ფხისადგილის კარი, მამლაყინწამ თავი კვლავ წააგდო და ოთხჯერ ზედიზედ „ყიყლიყო“ დაიძახა.

მამლაყინწას დამაფრთხობელი რკინიგზელი ზართან მივიდა. მან კეფა მოიფხანა და მეორე ხელით ორჯერ შემოჰკრა ზარს. ანდრომ ვაიფიქრა, რომ მას კვლავ მკვლელის თვალები ჰქონდა.

— რას მომიჩერებინარ, ბიძია? ანდრომ თავი შეპყო ვაგონში.

— ამბაკო! — დაუძახეს ჩასისხლიანებულ თვალეზიან სადგურის მორიგეს, — ჯოყოეთი გეძახის.

ამბაკო ზღაზვნით წავიდა. მატარებელი დაიძრა. ახალგაზრდა კაცმა თავი გაპყო ფანჯარაში. ამბაკომ სადგურში მოწრიალუ პატარა ბიჭს ქეჩოში წაატანა ხელი და პანდური უთავაზა. პატარა ბიჭი შეხტა. შემდეგ ორივე ახვანხვალდა, რადგან ამბაკო ხელს არ უშეებდა, იმხს კი ვაქცევა სურდა და ორთავენი ასე ძიძგილ-ძიძგილით მატარებლისაკენ შემოტრიალდნენ. ანდროს და ამბაკოს თვალეზი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, ანდრომ გაუძლო. ბიჭს კი ორი პანდური ამოჰკრეს ზედიზედ.

მატარებელმა სგლას მოუმატა. სულ ახლოს ჯერ ბეჭობი ვამოჩნდა, შემდეგ ყვირილა. მალე ისევ კლდეებს შორის აღმოჩნდა ვაგონი და შავი მდინარე დიდი ხნით დაიკარგა. მთების კორტოხები ალაგ ვამიშვლებულნი ჩანდნენ, ალაგ ხეებით შემოსილიყვნენ. მეორე მხარეს, ზედ კლდის ძირას ძველი ვიწრო ლიანდაგიანი გზა მიიკლაკნებოდა. კლდეზე ეკალბარდი ვადმოკიდებულეყო. კლდის შემდეგ ყანა დაიწყო. ახალგაზრდა კაცმა თავი მოაბრუნა და ისევ დაინახა ყვირილი. მდინარე ვებურთელა ლოდებს შორის მიიბარე-

ბოდა, უღრუბლო ცა შვის მოლოდინში გატრუნულიყო.

მატარებელმა მკვეთრად მოუხვია და მთელი უკანა ვაგონები გამოჩნდნენ. ერთ-ერთი ფანჯრიდან ათიოდე წლის გოგო იყურებოდა, ხოლო იმავე ვაგონის საფეხურზე ანდრომ იმ ორ დედაბერს მოჰკრა თვალი, თავქედმოვლუჯილი რომ გარბოდნენ წელან სადგურზე. გაქვავებულნი ჩაბღუებოდნენ სახელურს და მუცლით აწვებოდნენ ტომრებს. ხოლო სულ იქით, უკანასკნელი, ფანჯრიანი ვაგონის იქით, ორ მთასა და ცას შორის მომწყვდეული ზემო იმერეთის ერთი პატარა ნაწილი ჩანდა, შავი მდინარე, ალაგ ფიცარიანი ბონდი, რიყე, დეღეები, ცივი წყაროები, დაკლავნილი ბილიკები, ტყიანი ფერდობები, სადაც შემოდგომობით წვიმების შემდეგ ყველაზე გემრიელი სოკო-ნიყვი მოდის ხოლმე...

მატარებელი გვირაბში შეგრიალდა და წუთით ირგვლივ წყვილიად დასადგურდა. როდესაც ისევ გამოჩნდა შვის სინათლე, ანდრომ სარკმელს მოშორდა. მან გაიფიქრა, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მოსაბეზრებელი ხდება, სილაშაზეც კი.

მამიდა ფულუნის პირდაპირ ჩამოჯდა. ქალს ანგელოზის სახე მიეღო. ახლა მშვიდად, უშფოთველად, უღრტიხველად ეძინა. იმისმა შემხედვარე ანდრომ გაიფიქრა, რომ ამბაკო ტყუილუბრალოდ გაუჟავრდა. ამბაკოს ის გამოძინებული ეგონა და, თავად უძილოს, მის მიმართ დიდი ზიზღი აღედგა.

„რა უსამართლოა ზოგჯერ ადამიანი. ალბათ ოჯახში ამბაკო გულთბილი მამა იქნება, ათიოდე ბაჭყაყანას შშობელი; როდესაც შინ ბრუნდება და დალილი ტახტზე წამოწვება, ყველაზე პატარა ალბათ თავზე წამოაქდება, მეორე ფეხზე ექიჩავება, მესამე ალუბლის კურკით უტენის ყურებს... და ასეთი ადამიანი ზოგჯერ მაინც გულღვარძლიანი და უსამართლოა“.

ვაგონში ისევ ვაისმა მამიდა ფულუ-

ნიას ფსტკენა, დუღუნი და ღრუტუნ-ანდრომ შეხედა და გაიფიქრა, რომ ამბაკო მაინც სადაც მართლედ იყო დიდი უსინდისობაა, როცა ერთს ძინავს, ხოლო მეორეს კი ლეიძავს იმისი ხმების გამო.

— ეე, ეს შენ იყავი, მეგობარო? ძლივს ვიპოვე.

ვაგონის გამცილებელს ბავშვივით წრიბინა ხმა ჰქონდა. სამ ვაგონს ემსახურებოდა ერთდროულად. ახლა ცოცხით შეიარაღებული მიდიოდა თავის ძირითად ვაგონში.

— დიახ, პატონო, — უპასუხა ახალგაზრდა კაცმა.

— ეე, შემდეგი სადგური ბოსლევია. გამცილებელი წავიდა. ახალგაზრდა კაცმა მამიდა ფულუნია შეანჯღრია.

— ღმერთო მომკალი, ხომ არ გავცდით ბოსლევს?

— ეე, არა, ბოსლევია ახლა იქნება.

მამიდა ფულუნამ დაამთქნარა, თვალელები მოიფშვინტა და გაიღიმა.

— არ ვიცი რა დამემართა, ძლივს ჩავიძინე გათენებისას.

ანდრომ ნაღვლიანი თვალეებით შეხედა მას.

## II

სიმონიკა ეზოდან ვასცქეროდა მატარებლის დიდებულ შემოსვლას სოფელში — უპერანგოდ იდგა ნორჩ ატმის ხესთან, გახერეტილი ჩალის ქუდი ეხურა. მას შემდეგ, რაც მასწავლებლობას თავი გაანება, დრო საკმაოზე მეტი რჩებოდა. მარცხენა ხელით თოხს ეყრდნობოდა სიმონიკა, მარჯვენათი ხეანჯარს ათამაშებდა. ძველი ნიშანსვეტთან მოჰკრა თვალი მატარებლის კუდს, როცა ელშავალი თითქმის მის ცხვირწინ გაჩერდა. სიმონიკას ისევ ახალგაზრდულად უკრთოდა თვალეები, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ის გარემოება, რომ მატარებლიდან მგზავრები ახლა ნახევრად შიშველ ადამიანს დაინახავდნენ. „ხომ არ დაეკუყანო? შიგრამ ისინი ამის ღირსნი არ არიან, ვერ მიხვდებიან. ხომ შეიძლება, რომ უცებ შეურაცხყოფილადაც იგარძნონ

თავი. მაშინ ამას საჩივრები მოჰყვება, საჩივრებს სასამართლო. მერე მოსამართლე თავს წარმოიდგენს ამ მატარებელში და მის რისხვას სად გავუქცევო. პატრეცემული მოსამართლე თავისი პატრეისა და ღირსების შეზღაურებას ჩემს ქისას აზღვევინებს... მაინც რატომ უშლიან ზოგჯერ კაცს თავისუფალ მოქცევას, რაც ყველაფერზე უკეთესი, ძვირფასი და მიშვიდველია ამ ქვეყანაზე?"

— ბატონო სიმონ, როგორ ბრძანდებით?

— ღობეს იქით მაყვალას გაბერილი სახე გამოჩნდა. მაყვალა ვისასიას ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ, ბებია ვისასია ეს ორი წელი იყო, როგორც ამ სოფელში ამბობენ, რაც ვალმა გავიდა, ესე იგი გარდაიცვალა. მაგრამ მან ერთი საიდუმლოება დატოვა, რის მეოხები-ფაც ჰქუაზე შეცდენილს ისევ უბრუნებდნენ ჭანმრთელობას, ნათელ გონებას. მაყვალა ყველა მატარებელს ხედებოდა, რათა ჩამოსულ გაპირებულისათვის თავისი კარის გზა ეჩვენებინა და მერე გულმოდგინედ მომსახურებოდა.

— დილა შვიდობისა, — უთხრა სიმონმა, — ვცოცხლობ.

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს.

უშველებელი ქალი შემპარავი ხმით ლაპარაკობდა და თითქმის ფეხის წვერებზე დაიარებოდა.

— რაზე შეწუხებულხარ დილადრიანად, მაყვალა?

სიმონიკამ კარვად იცოდა, რატომაც იყო ის შეწუხებული, ისიც მშვენივრად იცოდა, თუ რას უპასუხებდა ქალი.

— ჩემი ქალიშვილი უნდა ჩამოსულიყო, ბატონო სიმონ, ხომ არ გამოჩენილა? თქვენ უკეთ დაინახავდით მაქედან.

სიმონიკამ გაიხედა.

— შენ ქალიშვილს რაცხა ვერ ვხედავ.

სიმონიკამ მატარებლიდან ჩამოსული ორი ადამიანი შეამჩნია, ისინი დღეს იქითა მხარეს იდგნენ ერთ ხანო-

ბას. ერთი ტიქორასავით გაბერილი ქალი იყო, მეორე კი ახალგაზრდა ვაჟი. ყმაწვილი კაცი ოდნავ ვიქლობდა. სიმონიკამ ვერ იცნო ფულუნია. ანდროს კი პირველად ხედავდა. ქალს შუა ღელეში ფეხი დაუსხლტა და ჩაჯდა. ფულუნია წელსკვეთად ერთიანად დასველდა, სველი კაბა ტანზე მიეკრო. «ეს მე დავთარსე იგი. მაგრამ მაინც სამაგიერო მიზლო. დილიყოურელ ილიასავით ცრუმორწმუნე რომ ვიყო, დღეს მძიმე დღე მექნებოდა».

— კაცალი კაცი არ ვადმოსულა მატარებლიდან, — დაუძახა სიმონმა მაყვალას.

მაგრამ მაყვალა ბეჭობზე შემდგარიყო, საიდანაც ყველაფერი ჩანდა. მან გაიფიქრა, რომ ყოფილ მასწავლებელს არ ეკადრებოდა სიცრუე — თბილისიდან ორი ადამიანი ჩამოსულიყო. ერთ მათგანში მაყვალამ ფულუნია ამოიცნო.

— მაშინ შინ დაგბრუნდები, — თქვა მაყვალამ, — უპ, რა საზიზღარი გოგო მაყავს.

მაყვალამ სასწრაფოდ იბრუნა პირი, არ უნდოდა ზედმეტად შეჩხობებოდა სოფლელებს თვალში. აი, უკვე მერამდენედ ბრუნდებოდა იმედგაცრუებული შინ.

როდესაც მაყვალამ კვლავ სიმონიკას ღობესთან ჩაიარა, მეზობელს უთხრა:

— ბეჩა, რატომ არ ვადმოხვალ ერთხელ მაინც ჩემთან?

ამ დროს სიმონიკამ შარავალი ჩაიწია და ჭიბი მოიფხანა მაყვალა ბროწეულივით გაწითლდა.

— ამ დღეებში აუცილებლად გამოვივლი, მაყვალა.

მაშიდა ფულუნია და ანდრო ბლაცფორმას უახლოვდებოდნენ. ანდრო აქეთ-იქით იყურებოდა. მიუხედავად რკინიგზის ორი ხაზისა, სოფელს მაინც შერჩენოდა სოფლის სახე, ძროხები ბლაოდნენ, ძაღლები ერთმანეთს ეხმაურებოდნენ და მამლები ყიოდნენ. ხოლო ადამიანებს, რომელნიც სადგურის ბაქანზე იდგნენ, გულუბრყვილო სახეები ჰქონდათ.

— უი, დედა, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! — იწივლა დიმიტრი მასწავლებლის ცოლმა რუსიკომ.

— აგი, ფულუნია არ არის?!

— რომელი ფულუნია, იასონის ქალიშვილი?

— ხო, ქალი.

— უი, ღმერთო მომკალი! — ახლა შავებით შემოსილმა დარკომ იკივლა.

ჩამოსულები და სოფლელები ერთმანეთში აირივნენ. რუსიკომ პირველმა ჩაიგდო ფულუნია ხელში. მათ უთვალავერ აკოცეს ერთმანეთს.

— უი, შენი ჭირიმე, რა კარგია რომ ჩამოდი, — ხელი მოკიდა ფულუნის სიმონის ცოლმა ბაბილინამ და მაშინვე გველის ნაკბენივით ვავარდა რუსიკო.

— შუშანა... ჩემო კატო... თებროლე.. ღმერთო, მალაქიაც აგერ ყოფილა.. ვალიკო.. ეს ვისი ბიჭია?

— ეგი ბიკენტის ვაჟია.

— უიმე, — დაიყვირა ფულუნამ, — რამხელა ვაზრილია!

თავე გადაუსვა ბავშვს ხელი. უთხრეს, რომ ის ბიკენტის ვაჟი არ იყო, ბიკენტის ბიჭი მეორე იყო, ცხვირში რომ იყოფდა თითს.

— უი, უი, მოდი გაკოცო, ჩემო ბიჭო!

ბიჭი აბრიაზა მამინ მუჯლუგუნს უთავაზეს:

— მიდი, შე გლახა... — შერე ჩუმად უთხრეს, — შეიძლება კამფეტიც მოგცეს.

მამინ ბიჭმა ფეხი წინ წადგა, ფულუნამ აკოცა.

სოფლის საბჭოს დეპუტატი მალაქია ხალხს გამოეყო.

— ა, სალახანავ, გაფუჭებულო, იკადრე ჩამოსვლა? — დიდი ხმით თქვა მალაქიამ, — არა, როგორ არ გრცხვენია, გოგოვ!

მათაც გადაკოცნეს ერთმანეთი.

— გამარჯობა, ამხანავო, — უთხრა ანდროს ბრივადირმა ბიჭტორამ. ის ცალყურა იყო ერთი ყური შეტაკების დროს წალდით ჩამოათალა კარის მეზობელმა.

— გამარჯობა, ამხანავო, — ხელი ჩამოართვა ანდროს აგრონომმა კუსიამ.

— გამარჯობა, ბიძიკო, — მიესალმა კბილებჩაიკვენილი მოხუციც.

ამასობაში თეთარწვერა მალაქიას გული აუჩუყდა. ფულუნამ კი ითმინა, ითმინა და შერე მანაც ვადმოყარა ცრემლები, ხოლო სოფლელები აქეთ-იქით დაიფანტნენ. ისინი დროებით იშლებოდნენ.

როდესაც ზემოდან მატარებლის ჩამოსვლის დრო მოაღწევს, ბოსლეველები კვლავ შეიკრიბებიან წყაროსთან, პლატფორმის გვერდით.

მამიდა ფულუნია წინ წავიდა. ანდრო, რომელსაც პატარა ჩანთა ეჭირა ხელში, უკან დაედევნა. ერთ კიშკართან მამიდა ფულუნია შეჩერდა.

— მგონი ეს უნდა იყოს. ხედავ, ჩემო ანდრო, — მიუბრუნდა ახალგაზრდა კაცს, — საკუთარი სახლის გზაც კი დამავიწყდა. ნურასოდეს ნუ მიატოვებ მშობლიურ კერას.

მაგრამ მათდა საბედნიეროდ ფულუნია არ შემცდარა.

ეზოს შუაგულში ბებერი მსხლის ხე იდგა. ტოტეზჩამომტერეული ალუბალიც კბილებჩაიკვენილ დედაბერივით არც ამ ქვეყნად იყო, არც იქით, აიგნიდან ყვირილა ჩანდა.

— აი, ეს ალუბალი, ექვსი წლის ვიყავი, როცა დარგეს, გუშინდელ დღესავით მახსოვს.

მალე მამიდა ფულუნამ ისევ დაიძინა. ანდრო კი ეზოში ჩავიდა და ცაცხვის ქვეშ დაგდებულ ლოდიანზე დაჯდა.

სულ ოდნავ ტოკავდა ნიავი და მზე მის ვიწრო მხრებს ევლებოდა. მიწაზე დაღო ქალაქიდან წამოღებული წიგნი. ანდრო ოცდათორმეტი წლის გახლდათ. უკვე აღარაფერი არ აკვირებდა, უკვე ისეთი ენთუზიაზმით აღარ ვარბოდა ახალი ფილმის სანახავად, უკვე ისეთ აღტაცებაში აღარ მოჰყავდა ქალის ფეხებს, ნორჩ ტარხუნასა და ბატკანს. მაგრამ კოკლი ყმაწვილის თავგადასავალმა მისი ყურადღება მიიბყრო. ძლიერ

ხომ ნახევრად ხეიბარი იყო და, მეორეც, მან უკვე იცოდა, თუ რა იყო ტკივილით, სიყვარულით გამოწვეული სევდა, შიმშილი, მარტოობა, სასოწარკვეთა, სიკვდილის გარდა თითქმის ყველაფერი იცოდა. ამქვეყნად დამტვრეული ფეხით მოვიდა. იგი ხედებოდა, რომ ხშირად მათაც ძლიერ უჭირთ, ვისაც ორივე ფეხი საღი აქვს. ისინიც ზოგჯერ უცხონი არიან, მარტოდმარტო მღვარნი სადღაც მინდორში, თუ კუთხეში.

ამ წიგნში ანდროს ის ადგილი მოეწონა, სადაც ხეიბარი ყმაწვილის აღმზრდელ ბიძას მწერალი უნებისყოფო ეგონისტს უწოდებს, რომელმაც ცხოვრების მიზნად საკუთარი თავის შეუწყუბელობა დასახა: იმ თავყერძას სიბერე უბატოვებულ იყო.

ანდრომ გაიფიქრა, რომ სინამდვილეში უარესი მოხუცებიც არსებობენ. ახალგაზრდები ყოველთვის მართლანი არიან მათ მიმართ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მტყუანები მაინც ჩვენ გამოვდივართ, რადგან მოხუცებს ისეთი ძაღა იცავთ, როგორცია სისუსტე და სიცოცხლის მოახლოებული დასასრული. უმწიობა და გულღვარძლიანობა კადეც ერთი უკიდურესობაა ამ ცხოვრებაში. უღონობა შებრალებას ან გაწურჩევლობას იწვევს, ხოლო სისუსტე, ამბიციასთან შეერთებული, სისაძაგლეს. ასეთ მოხუცებს არ უნდა ამჩნევდე, ეს ერთადერთი გამოსავალია.

ანდრომ თავი გააქნია, რადგან ყოველთვის ვრიდებოდა მამაზე ფიქრს. გათეთრებული, მოტეხილი, ლატარეის ბილეთის ყიდვით გატაცებული და მანქანის ან დიდი ფულის მოგების მოლოდინით შეპყრობილი, მუდამ ვაღერანის წვეთებით, კოფეინით, ასპირინით, რეზერპინით, პიპოთიაზინით, ანალგინით, სელექსენით მოპარაკებული დაუდგა თვალწინ. ეს კაცი ლატარეის ბილეთებითა და წამლებით ცდილობდა ორი გოლიათის — სიცოცხლისა და სიკვდილის მოტყუებას.

ეს უბერხემლო ადამიანი არასოდეს

იწუხებდა თავს გარემოსთან შეგუების უფრო ვაკეცური გზის გამოსძებნად. თავის მინიმალურად შეწყუბება ყველაზე იოლი გამოსავალია ცხოვრებაში. ასეთ ადამიანებს ყოველთვის დიდი პრეტენზიებიც აქვთ. ისინი უმწიკვლობას, პატიოსნებას ჩემულობენ მაგრამ საქურისზე უბიწო არ ითქმის, ფიქრობდა ანდრო.

უცებ ანდრომ გზისპირზე, ასიოლე მეტროს დამორებით საოცარ სურათს მოჰყრა თვალი. ცნობისმოყვარე ცალყურა ბიქტორას, რომელიც წაყუბული ვთვალთვალეზდა ყანაში მოსიყვარულე გოგო-ბიჭს, იქვე მღვარმა მისმა ვირიკელამ, ამ ერთადერთმა ნორჩმა სახედარმა მთელ ზემო იმერეთში, წიხლი გაუქანა ფერღში. ბიქტორა გაფრინდა. შეყვარებულებმა ყურები ცქვიტეს. დიდყურამ კი დაიყროყინა, რითაც უნდოდა სოფლისათვის ემცნო ზოგიერთი კაცის წვრილმანური, დედაკაციური ბუნების შესახებ. ხოლო ანდრომ გაიფიქრა, რომ რა აბრაკადაბრა არ გვხვდება ამ შარავზაზე და რომ მომოსი არა, შეიძლება მართლა შეგებაროს კაცს ეჭვი სიცოცხლის მრავალფეროვნებაზე, ადამიანის დიდსულაოვნებაზე, შეგობრობაზე, ჭინკების არსებობაზე, სიცივეზე, სიყალბეზე, გაუგებრობაზე, ერთგულებაზე, მუხანათობაზე, ბრბოზე, გმირებზე, გაზაფხულზე და თვით სიყვარულზეც კი. მაგრამ მომოსი, ეს არაჩვეულებრივი ღმერთი...

ანდრო წამოდგა. მოთენთილობამ, უგუნებობამ გაუარა და ბოსლეგში გავლა გადაწყვიტა; როდესაც ჭიშკარში გავიდა, სოფელში მარგანეციით დატვირთული მატარებელი შემოვიდა. ხის ფესვზე მიბმულმა თხამ ყურები ცქვიტა, ორჯერ დაიკვიანა და შემდეგ კოპიტის ტოტს მიწვდა.

ანდრო ოღნავ კოჭლობდა. დიდ ბეოლის ხესთან კოლმეურნე ოლიფანტე მიესალმა:

— გამარჯობა, ამხანაგო!

კვირა დღე იყო და იგი თავის ბატარა კარმიდამოს თოხნიდა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ანდრომ. ოლიფანტემ თავი დალუნა, თოხი მოიმარჯვა და ისევ აამოძრავა ღონიერი მკლავები. ანდრომ გზა განავრძო.

„ან ის ადგილი რა შესანიშნავია, როცა კოკლ ყმაწვილს მომაკვდავი ბიძის სიკვდილის დაჩქარების ცდუნება იპყრობს. ღმერთმანი, გიყვარდება ის ბიჭი მაშინ. ასეთ და სხვა ათასგვარ ცდუნებას ყოველი ადამიანი განიცდის. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა ისე იქცევა, როგორც სხვა: იზრდება, ფიქრობს, შრომობს, თავს იტყუებს ან სხვას ატყუებს, იპარავს, ქმნის, სხვას ბადებს და მერე მიდის. ეს უმრავლესთა გზაა. მხოლოდ ზოგიერთი გადაუხვევს ხოლმე. ერთხელ ყველას ექნება გაფიქრებული თავის მოკვლა, ან ბერად დაუღდება, ან კიდევ სხვა რამე. მაგრამ იმაზე, რასაც ცხოვრება ეწოდება, შენი ნებისყოფის მოხვევა ცოტა ძნელია. ამიტომ უხშირესად იგი სძლევეს კაცსა და ეს უტეთსიცაა ალბათ, მაგრამ მაინც ვილაცას, ღმერთს თუ ბუნებას (რა მნიშვნელობა აქვს ვის?) თავის ტვინის ქერქი რომ არ „მოეგონა“, რა მარტივად იქნებოდა მაშინ ცხოვრება მოწყობილი. ახლა სინამდვილეში ყველაფერი იგივეა. ოღონდ გაცილებით გართულებული და ჩახლადფორთებულია. მაგრამ ეს მგონი იდეალიზმი...“

— დილა მშვიდობისა, ბაბუა.

— დილა მშვიდობისა, — უპასუხა ანდრომ.

— ვისი შვილი ხარ, ბაბუა?

— ალექსანდრეს, ბაბუა.

— რომელი ალექსანდრეს, დილიკორში რომ ცხოვრობს იმისა? ნახვამდის, ბაბუა.

ბერიაცმა გზა განავრძო. იგი წყნარი მოხუცი ჩანდა და რატომღაც ბავშვს მოგაგონებდათ, დღეს თუ ხვალ „იქითა მხარეს“ წასასვლელად გამზადებული ბაბუა. ამ ბაბუას ღამლამობითაც მშვიდად ძინავს ალბათ.

— გამარჯობა! — დაიძახა თებროლეშ.

თებროლეს გათხლარშული მამაკა-

ცური ტერფები ჰქონდა, ჩაჭი შემიოდგა მხარზე.

— გამარჯობა, ამხანაგო, — უთხრა მოწინავე კოლმეურნე ირინემ.

— გაგიმარჯოთ.

ანდრო ორღობეში შევიდა, რომლის შუაგულში წყაროს წყალი ჩამოდიოდა. ანდრო ჯერ მარჯვენა ნაპირს გაჰყვია, მერე მარცხენას. შემდეგ კი შედგა. მის წინ ის ადგილი იყო, სადაც ზამთარ-ზაფხულობით ტალახი იცის მუდამ, უცებ სველმა აყალო მიწამ მიიზიდა ანდროს ხელები, ძალზე მოუწინა შუა წუმბედან პატარა ნაქრის ამოვლეჯა და აქავებული თითებით მისი მოხელვა. და გაიფიქრა, რომ ის, რაც ბავშვობაში გვაკლდა, არასოდეს გვაგვიწყდება, პაწია საშუალება მიეცემა თუ არა, უცებ თავს წამოპყოფს. მაგრამ ანდრომ იცოდა თავის შეკავება და სურვილების დროზე ჩახშობა. ეს საუკეთესო თვისება გააჩნდა. შემდეგ სამშვიდობოზე გასვლაზე იზრუნა — წაღები და წინდები გაიხადა და შიშველი ფეხებით წუმბეში შეტლაპუნდა. ახლავა იგრძნო, რომ ნამდვილად სოფელში იყო.

ორღობე გათავდა. გზა აგურის სახლებს შორის გადიოდა. შორს, ხელმარცხნივ, მთა ჩანდა, რომელზედაც დიდი ხნის წინათ ციხე აღემართათ. ციხე, ბოლოს და ბოლოს, უანგრეულიყო. მთა კი ისეთივე დარჩენილიყო ალბათ. ანდროს ორჯერ მიესალმნენ კიდევ ერთხელ ეზოშიც შეიპატიყეს. მაგრამ მან თავაზიანად უარი განაცხადა.

დიდი მუხის ხესთან ანდრომ შეისვენა.

— პოეტისავეით სეირნობთ? — მომღიძარი სახით უთხრა მაყვალამ, ბეზია ვასასის შვილმა.

ანდრომ შეხედა, ქალს უშველებელი თავი, წითელი ლაქლაქა ლოყები, შელებილი თმა და პატარა თვალები ჰქონდა. სხიდან ერთი წუთითაც არ შორდებოდა დიმილი, ის დიმილია, რომელიც ადამიანთა გულის მოსაგებად ჩნდება ხოლმე.

— ვისვენებ, — მიუგო ანდრომ.

— მე დაგინახეთ, თუ როგორ აკვირდებოდით არე-მარეს, ალბათ ბუნების ხილვით ტყებოდით, არა?

— მითვალთვალებდით?

მაყვალა შეიშმუშნა, მაგრამ მტყიცვდ უპასუხა:

— არა.

ანდრომ ღიღები შეიკრა.

— შშვენიერი ამინდია, — თქვა მაყვალამ.

— თუ არ გავიგუდეთ შუადღეზე.

მეტად ჩავარდნილი ადგილია—

— მართალი ბრძანდებით.

შემდეგ ანდრომ იკითხა:

— თქვენს სოფელში დოღის დამკვრელები არიან?

აღმოჩნდა, რომ დამკვრელება ბოსლევლებს არ ჰყავდათ.

— მთავარიანი მხარეა, — განუმატრა ქალმა.

„უცნაური ხალხია ქალაქელები, — გაიფიქრა მან, — ვერ მიუხვდები, როდის ხუმრობენ და როდის კი სიმართლეს ამბობენ. მას ისე აინტერესებს წვენი დამკვრელები, როგორც მე მარსინგლებთან და-შობა“.

— დიდხანს-ღარჩებით ჩვენს სოფელში!

— მთელი ცხოვრება.

— ოხ, რა ხუმარა ბრძანდებით.

— ერთი კვირა.

— ძალიან გთხოვთ შემობრძანდეთ ჩემს ეზოში. როგორც სამყარო, ისე ჩვენი სოფელიც ორადაა გაყოფილი: ევროპად და აზიად. მაგალითად, ვალაკო აზიელია, პროვინციელია... თქვენ ახლა ევროპაში, ევროპელთან მოხვედით.

ანდრო შეჰყვა. მაყვალამ გაიფიქრა, რომ საჭირო იყო ამ გონებაშახელი ჰაბუკისა და ფულუნისას თავის მხარეზე გადაბრება.

— მეფურად უნდა გავიმასპინძლდეთ.

— დიდი სიამოვნებით მივიღებ თქვენს მიპატივებას.

მაყვალამ ვერ გაიგონა.

— აჰ, უარი არ მითხრათ, ძალიან მაწყენინებთ.

— მაშინ გთანხმდებით, კეთილი!

### III

ანდრომ გაიფიქრა, რომ როცა მსუქანი ღედაკაცი თმას იღებავს, მისი წლოვანების დადგენა შეუძლებელი ხდება.

— რამდენი წლისა ბრძანდებით?

— ოცდახუთის.

ოცდახუთმეტის, უნდოდა ეთქვა მაყვალას, და უცებ წამოცდა.

— თქვენთვის საგანგებო ჭურს მოეხდია.

იგი ზუსტად ბაძავდა სხვა მოკვდავებს. ჩავარდა თუ არა უხერხულ მდგომარეობაში, მაშინვე საუბრის თემის გამოცვლა სცადა მაგრამ აღმური მაინც მოედო მის ისედაც ცეცწლოვან ლოყებს.

— გმადლობთ.

— გეთაყვა, რა ფერისას ისურვებთ?

— პირდაპირ გეტყვით — რომელიც უკეთესია.

— რა გითხრათ, თეთრი ღვინო — ცელქი ვოგონასავით — გიყმაყია, წითელი — მოწიფური ქალია. ამოარჩიეთ.

მაყვალას ლოყებს თავისი ძველებური ფერი დაუბრუნდა.

— მაშინ წყაროს წყალს ვამჭობინებ.

— რას ამბობთ, წითელს მოგართმევთ, მენდეთ.

მაყვალამ დოქი გამოიტანა ოთახიდან და მარნისკენ გასწია. მარანი სახლის უკან იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა. ღვინით სავსე ორშიმო მოჰქონდა.

— გასინჯეთ.

მან ორშიმო მიაწოდა ანდროს.

— ასე პირდაპირ?

— რა თქმა უნდა. სხვანაირად შეიძლება გემო დაეკარგოს.

ანდრომ ორშიმო პირთან მიიტანა. ძალზე ზემოთ მოკიდა ტარს ხელი და მეტად დამაბული ყლაპავდა ღვინოს.

— მოგწონთ? იცოდეთ, ეს ერთადერთი ნატურალური ღვინოა მთელს სოფელში. „შაქრიანი“ ღვინო თქვენ არ გეკადრებათ, მოგწონთ?

— მე მგონი.

მაყვალამ უთხრა, რომ ყოველშემთხვევისათვის ორივე ჭურს მოხდიდა თავს. ანდრომ აღნიშნა, რომ ეს კიდევ უფრო საუცხოო იქნებოდა. დედაკაცი სახლის უკან მიიმალა.

თმახუჭუჭა, მაყვალასავით ლოყებგასიებული პატარა ბიჭი უკანიდან მიეპარა ანდროს და თავში ცოცხი თხლიშა. მაყვალას შვილიშვილი მეტად ჩაფხვნილი გახლდათ და უკვე ძალუმი ღონე ჰქონდა. მან მეორეჯერ უთავაზა სტუმარს თავში. ანდრომ დაუცადა და როდესაც მესამედ ყურში იგემაღარტყმა, გაიფიქრა, რომ ამ შემთხვევაში სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. შემოტრიალდა და ალიყურა აქამა ბიჭს.

— ბეე, — ბეე..

„საერთოდ უნდა მოერიდო ლაწირაკს და თავი არ უნდა გაუყადრო. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიაქციო ყურადღება მის ცელქობას. როცა მოწყინდება, თვითონვე შეგეშვება. მაგრამ აქ სხვა შემთხვევა იყო. ბიჭს თითქმის ჩემოდენი ღონე ჰქონდა. აქ შეიძლება ტრავმაც მიიღო.“

— ბიჭი არ ვიყო, მაგ გოგრა თუ არ გავიზარე, დამაცადე! — დამეუქრა ბიჭი ანდროს და მოაჯირის ფიცარსა და ფიცარს შუა გაძვრა.

ღვარძლიანი ბიჭი ჩანდა. ანდროს უსიამოვნოდ შეეკუშმა გული. იქნებ მოთმენა ჯობდა? ცრტახნის შემდეგ ანდრომ გაიგონა:

— აი, შენ, სკინტლში ამოვლებული ტყემალი.

და ანდრომ ტყვილი და სისველე იგრძნო ლოყაზე. წარბიც კი არ შეუხრია.

— ბამიდორი ცოტა მკუხეა.

მკუხე ბამიდორი კეფაში მოხვდა. აქ კი ანდრო წამოიჭრა. მან შეამჩნია, რომ ცხოველური გრძნობა უღვიძებოდა. ერთადერთი გენი, რომელიც

უშორესმა წინაპარმა გადმოსცა, „ყალბზე დაღვა“ და იგი პირველყოფილ ადამიანს დაემსგავსა, რომელიც მუდამ მზად იყო უსაზიზღრეს მტერთან — მარტორქასთან შესაბამელად თავისი გამოქვაბულის წინ.

— ქლიავს, ქლიავი!

ქლიავი შხუილით წამოვიდა და ანდროს დროზე რომ არ გაეწია თავი, ცუდად იყო საქმე.

საშინელი აზრები დაუტრიალდა თავში. პატარა მარტორქა ამყამად კიდევაც რომ არ გაწუხებდეს, მაინც უნდა მოაშთო, რომ წამოზრდილმა არაფერი გკადროს. მაგრამ თუ ლაწირაკი მარტორქა ახლავე ირქინება, მაშინვე უნდა მოსპო. ყველაზე დიდი საშინელება ისაა, როცა თვით ადამიანის ნაშიერი გადაიქცევა მარტორქად. ასეთმა ადამიანმა — მარტორქამ იცის კაცის სულიერად ყველაზე მტკივნეული ადგილი და მუდამ იქ გმიზნებს. ადამიანი — მარტორქა ფიზიკურ ტრამვას გაყენებს და თანაც შენ სულსაც ბღალავს.

— გრცხვენოდეს!

მაგრამ ეს უაზრობა იყო.

— ესეც შენ ყყეჩ თავს.

ოლონდ ბიჭმა გამოტყორცნა ვერ მოასწრო, რადგან ამ დროს ბებია მაყვალა გამონჩნდა. სამაგიეროდ დაბალ ხმაზე თქვა:

— კიდევ დაგზრუნდები, შე ჩოლახა.

„ბარათაშვილი, ვალტერ სკოტი, ტაღვირანი, ბაირონი და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი დიდი ადამიანი იყო ჩახუნა“, უნდოდა ეყვირა ანდროს.

— მე მგონი მარტო სუნით დავთვერი. თქვენამდე არ მოუღწევია ღვინოს არომატს? — იღიმებოდა მაყვალა.

— ჩემამდე მხოლოდ თხლეს სუნმა მოაღწია.

ანდროს წითელ ღვინოსავით ანთებული თვალები ჰქონდა და გაფითრებული პირისკანი.

„ჯერ ყმაწვილია და უკვე რა ღვარძლიანი გული აქვს უპატივემულო, უმაღური“.

— რამდენიმე წუთის შემდეგ თქვენ სხვანაირად ილაპარაკებთ.

— მართლა?

ანდრომ მთელი ორშემო დასცალა ერთი მოყუდებით.

— პური!

— ახლავ, ჩემო ხელმწიფეო.

დაბალ და გრძელ ტაბლაზე საქამადი გაჩნდა. იმერული ტყეშალი, სიმილით გამოკვებილი შემწვარი წიწილა, კეცზე გამოქცვარა ცხელი მჭადი, ეკალა, რა თქმა უნდა, პრასი, ოხრახუში და სხვადასხვა ბოსტნეული, და ანდროს მალე დაავიწყდა წედანდელი წყენა და ის, რომ მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთების დროს, ცხარე კერძის ჭამა დაუშვებელია. მაგრამ ერთხელ მაინც სიცოცხლეში ხომ შეიძლება თავდავიწყება. მარტო წელთა რიცხვში ხომ არ არის საიდუმლოება. ხომ შეიძლება ერთ დღე-ღამეში მთელი ცხოვრება განვლო... და იმ „ზედამხედველს“, რომელსაც გონება ეწოდება, ხელი რომ არ შეეშალა ამ განცხრომისათვის, ანდრომ ის მამაკაცები მოიგონა, რომლებიც კლეოპატრასთან ერთი ღამის სიამოვნებისათვის თავს სასიკვდილოდ დებდნენ. „ტყეშალი, პრასი, წიწილა.. ჩემი კლეოპატრაა. ჩემო, უმშვენიერესო კლეოპატრავ, მოდი ჩაგეკონო“.

და ათ წუთში მშვენიერ „კლეოპატრას“ სტომაქსიკენ უკრა თავი. მას ოთხი ორშემო წითელი ღვინოც მიაცოლა.

შემდეგ ისევ კლეოპატრაზე დაიწყო ფიქრი. ეს ისტორიული ხასა მისთვის გამოცანა იყო. ექვგარეშეა, კლეოპატრა მარტო სილამაზით ჰკვიდნან ვერ შეშლიდა იმდენ მამაკაცს. მაგრამ იმ ქალში სილამაზე, ძალა და ეტყობა ჰკვიდ იყო გაერთიანებული. წარმოიდგინეთ ასეთი ქმნილება. ჰემაროტი ავხორცი ხომ ყველაფერს გასწირავს მისთვის. მაგრამ აქ ისევ შეეპარა ანდროს ეჭვი: „არა მგონია იმ მამაკაცთან ვეღვა ავხორცი ყოფილიყო. ავხორცი და მრუში ორი ან სამი იქნებოდა დანარჩენები თავის მკვლევლები იყვნენ. მე-რამ მამბებრდეს ცხოვრება და

უცებ თავის მოკვლა გადაწყვიტო, რა თქმა უნდა, ჯერ კლეოპატრას ჩაეუწვებოდი ლოვინში, ან რომელიმე დაუმსახურებლად აღზევებულ ისტორიულ პიროვნებას თავში ჩაეცხებდი ჩაქუჩს. ხოლო ამ წუთში დედამიწაზე რამდენი ათასი კაცი იქნება რომლებსაც ასეთივე აზრები უტრიალებს თავში... აი, რატომ დღეებოდა კლეოპატრას საწოლთან რიგი“.

— თქვენ არ გაგაფრთხილეს? — ჰეითხა მაცვალამ.

— არა, — თქვა ანდრომ. ცოტახნის შემდეგ იეითხა: — რის შესახებ?

— ერთი ბოროტი ადამიანის შესახებ.

— თქვენი შვილიშვილი გყავთ მხედველობაში?

— რას ბრძანებთ, ის თვითონ მეკუთვნის მე მამად.

— ვისზე ლაპარაკობთ?

— საზიზღარ ვალიკოზე.

უცებ რუსთაველის პროსპექტზე მოუნდა ანდროს გავლა. „ეს ყველაფერი იმ აფრიკელი ხასას ბრალია“. ისე ძლიერად წამოუქროლა ამ სურვილმა, რომ იეითხა, თუ რომელ საათზე ჩამოივლიდა მატარებელი. აი, ფოთლოვანი ხეივანი.. ღმერთო ჩემო, იქნებ შემთხვევით მეც შემხედოს ლამაზმა ქალმა. ლამაზი ქალი.. ე, შენ ასეთ წვრილმანებზე არ უნდა ფიქრობდე... ლამაზი ქალი მინდა.. რა დაგემართა, ანდრო, სირცხვილია! სულ ვეღარა გცნობ!.. მთელ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს მივართმევ ლამაზ ქალს.. გაწონასწორდი! დაამტკიცე, რომ მამაკაცი ხარ.. მომიყვანეთ ლამაზი ქალი და დაემტკიცებ... ფუჰ!..

— იცით, ის კაცის მკვლელია ბუნებით.

— რა საშინელებაა ერთი ღამის გულისათვის კაცის მოკვლა.

— რა თქვით?

— არაფერი.

— მაგრამ იცით, იმ შვიონს ამ დღეებში კისერს მოვუგრებ. ოღონდ

თქვენ და ქალბატონი ფულუნია სიმართლის მხარეზე უნდა დადგეთ.

ანდრომ თავი ჩაქინდრა. ცოტა ხნის შემდეგ ჩასჩურჩულეს, ინატრე რამე და ავისრუნდებდა. ვედლიმა. ისევ დასკინდრულ. „ინატრე“, გაუმეორეს დაბალ ხმაზე. მაშინ გაიფიქრა, რომ ზოლოს და ბოლოს არაფერს კარგავდა. ნუ, ჯანი გავარდეს, გამისწორეთ ფეხი.. შორეული წლები მოაგონდა. არც ერთი ნატვრა არ ასრულებია ბავშვობაში, ველოსიპედი, ორთქლმავალი, ახალი პალტო. არასოდეს არაინ უცემია, სულ მას ურტყამდნენ თავში. ვითომ ახლა ეწევა ბედს? არა, ასე ადვილად აღარ მოტყუებდებოდა.. ნუ ურჩობ, ისევ უთბრა ვილკამ. ვახილვ თვალეები და გაიარა ზეზე. წამოდგა. სისწაულის არ წამდა, მაგრამ გული მაინც აუფანცქაღდა. როდესაც მსუბუქად გაიარა, თვალის უბეები ცრემლით აივსო. მერე სხვა სურვილებიც გაუჩნდა. სხვათაშორის სილამაზეც ინატრა, ბერძნული ცხვირი, ხშირი გრძელი თმა, არწივისებური გამოხედვა. ფორმას არასოდეს არ ანიუბდა დიდ მნიშვნელობას, მაგრამ ზოგჯერ ესეც საჭიროა.

გათეცეხული ძალა იგრძნო. მიხვდა, რომ იმ საღამოს მხოლოდ წიგნის წაკითხვით ან ფუჭი ოცნებით ვერ დაკმაყოფილდებოდა და გარეთ გავიდა. დაძაბული მიდიოდა, ხელის თრთავე კუნთები უფროთოდნენ. მისკენ მომავალ ორ უხიავ ახალგაზრდა კაცს სწვდა და ერთმანეთს შეაჯახა, თავგაქუპუცილები სანაგვე ყუთში ჩააყუდა. ოდნავ დაშვილდა, ორსართულიანი სახლის კუთხესთან შურისძიების აზრმა გაუელვა გულში. იმ ქუჩაზე ერთი პრანქია ქალიშვილი ცხოვრობდა, ვერასოდეს რომ ვერ ამჩნევდა ტროტუარზე მომავალ ანდროს, თითქოს ძაღლს გაეგლოს, თითქოს ქარს ჩაეჭროლოს ტრიბალ მინდორში.

ლამაზმა ანდრომ დააკაკუნა. კარი გაიღო. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც გარეთ გამოვიდა, ანდრომ გაიფიქრა, რომ ყველაფერი ძალიან სწრა-

ფად და უბრალოდ მოხდა. გზაში კედევ ორი კაცი შესტყორცნა ერთმანეთს. ასე ვახდა მძლეთა-მძლეთ შესუსნიც, ფილოსოფოსიც. ყველაფერი ჰქონდა, ყველაფერი იცოდა. ოღონდ დიმილოს უნარი დაჰკარგა. რადგან უწყინარი დაცინვის ოსტატს, მომოსს, ძლიერნი ამა ქვეყნისა მაინცდამაინც არ მოსდის თვალში. მომოსმა ზურგი შეაქცია, როდესაც ბევრი რამ გაეღია, ყოველთვის მხიარულ გუნებაზე ხარ (სხვა გზა გაქვს?). ქართველ კაცს უწყინაც და ახლაც სიცოცხლე, სიცილი და კარგ გუნებაზე ყოფნა უყვარდა და უყვარს...

ანდროს გაეღვიძა. მას არაფერი არ შეეძინა, მაგრამ არც არაფერი დაუკარგავს, რადგან როდესაც ყური მოჰკრა მაყვალას ლაპარაკს, რომელიც მას ახასიათებდა, როგორც უადრესად განათლებულ და კულტურულ ადამიანს, აიღო და დაუსტვინა.

და მაშინვე სიმონიკამ ანდროს უთხრა:

— მე შენ მომწონხარ.

ბრიგადირი ბიქტორაც მოსულეყო. კოლმეურნეობის ბრიგადირმა მართლაც ვერაფერი გაიგონა, ხოლო მაყვალამ ისე დაიჭირა თავს, თითქოს ლაპარაკით ყოფილიყო გატაცებული. სიმონიკამ ხელი გაუწოდა.

— ღირსეულ ადამიანს ვართმევ ხელს, — თქვა მან, — ყველაფერი გავიგონე.

— ჩემი მხრივაც დიდად მოხარული ვარ თქვენი გაცნობით.

ბიქტორა სამფეხა სკამზე დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ მარჯვენა ფეხი გაშალა, ოდნავ მარცხნივ გადაიხინჭა და ჯიბიდან ქისაში ჩაჩრილი ყალიონი ამოიღო.

როცა პირველი თალია გააბოლა და სახე კვამლით დაეფარა, სიმონის კითხვაზე, სწამდა თუ არა ლელეში ქაჯის არსებობა, ასე უპასუხა:

— არა.

სიმონს კომპოსტოსფერი თვალეები ჰქონდა და თვალეების ირგვლივ დანაო-

კებული კანი. მაგრამ თვით თვალებს ახალგაზრდული გამოხედვა არ დაეკარგათ, ოღონდ ახალგაზრდობა ერთია, არის კიდევ სხვა რაღაც, რაც უფრო მნიშვნელოვანია იმ საქმეში, რასაც კვრეტა ეწოდება.

„სპილოს ყველა დაინახავს, — ფიქრობდა სიმონი, — თუ დაძაბავ ყურადღებას, რწყილსაც ადვილად შეამჩნევ. მაგრამ რწყილსა და სპილოს შორის უამრავი საგანია. დიდი კაცი იმათ ათასობით ხედავს. კაცუნა — ერთს, ორს ან ოთხს. რა შეუშია სიბერე. ქსოვილი ცვდება, მაგრამ ხარისხს არასოდეს ჰკარგავს, ხოლო თუ თავიდანვე უხეირო იყო, რაღა უნდა დაჰკარგოს. ძლიერი ადამიანი არასოდეს დაჩაჩანაკდება. ის, უბრალოდ, წავა, გაიპარება ამ ქვეყნიდან ერთი მშვენიერ დღეს“.

სიმონმა ისიც გაიფიქრა, ნეტავ სხვა მოხუცები როგორ იცილებენ თავიდან სიკვდილზე ფიქრს. მას ეშინოდა სიკვდილის იმისაც ეშინოდა, რომ ბოლო წუთს ვეღარ გაუძლებდა და სისუსტეს გამოიჩენდა. მან ისე განვლო ცხოვრება, რომ თავის თავთან არასოდეს შერცხვენილა. თუმცა ერთხელ კი გაწითლდა, ოღონდ ეს სამოცი წლის წინათ მოხდა. სიმონს ერთი შემთხვევა მთავონდა. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. კლასის ფანჯრის მინა ჩაამტვრია და მასწავლებელმა დანაშაულზე მიუხსრო. ისე წრაფად მოხდა ყველაფერი, რომ გაქცევა ვეღარ მოასწრო. მასწავლებელს მძიმე ხელი ჰქონდა. დარტყმის მოლოდინში სიმონიკა გატარუნული იდგა. მთელი ტანი უკანაგულბდა. ოღონდ სხეები ამას ვერ ამჩნევდნენ და იგი ამითაც კმაყოფილი იყო. მასწავლებელი ხმადაბლა ელაპარაკებოდა, ადგილიდან არ იძვროდა და სიმონიკა თანდათან საშინელმა შიშმა შეიპყრო. რაღაც მოაწვა ბოქვეყნის არეში. მერე, როცა ძირს დაიხედა, დაინახა, რომ მის ფეხებთან იატაკი დასველებულიყო. შეშინებული მოწაფეები თვალს ვერ აშორებდნენ მის ფეხსაცმელებს შორის მოქცეულ პატარა გუ-

ბეს. ახლა სიმონიკამ მადლობა გადაუხადა ზენარს, რომ მხოლოდ ერთხელ გამოვიდა სიციოცხლში შერცხვენილი. „ხომ შემეძლო სულ ამ როლში დავრჩენილიყავი?“ სიმონიკა ცხოვრების ორდობის ღირსეულად დაბოლოებაზე ფიქრობდა.

მან ანდროს უთხრა:

— მოდი დარჩი ჩვენთან, სულ აქ — არც ისე ცუდი სოფელია ბოსლევო. ხოლო ხალხი ასატანია. რა ბედუნაა, სადასწავლი ისტორიას — აქ თუ იქ, მაინც არაფერი იციან მოწაფეებმა. ვისაც სწავლა უნდა, უშენოდაც ისწავლის.

წელან სიმონმა შეამჩნია, რომ ანდროს სახის კანს მიწისფერი გადაკრავდა.

— კევიანი რომ ვყოფილიყავი, ასეც მოვიქცეოდი. მაგრამ მაინცდამაინც არ მინდა გამოვიჩიოდე სხვა ადამიანებისაგან. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია განცალკევებით დგომა. ერთხელ მე ეს ვცადე.

თავის სიზმარს გულისხმობდა.

— გადმოდი ჩემთან, თანდათანობით ყველაფერი დაგავიწყდება. იცი, მე თხუთმეტ წლამდე ენაბლუ ვიყავი.

— მალე ოცდაცამეტი შემისრულდება.

— შენც გლალატობს ნერვები?

— ალბათ. მაგრამ აქ სხვა ამბავია.

— დარჩი. რა განსხვავებაა, ქალაქში გაატარებს კაცი ცხოვრებას თუ სოფლად? მე მგონია, ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია. უნდა იცოდე განცდა და თავის წვალემა. ბრძევი ყველგან ბრძევი იქნება, ხოლო სოფლად ცხოვრებაში ის განსხვავებაა, რომ აქ სუფთა ჰაერია, ბუნებრივი ცივი წყალი და ტრიალი მინდორიც შენს განკარგულებაშია, როცა დაგჭირდება. დღისით ეღვინტიან ბავშვებს ასწავლი, ხოლო დაბინდებისას წისქვილისაყენ დაიწყებ ყურებას, იქ სიბნელეში ფანრიანი ქაჯი დაიარება.

— სიმონიკა, მე ბევრჯერ მითქვამს კრებაზე, რომ ქაჯი, ალი და ეშმაკი ცრუმორწმუნე ხალხმა მოიგონა. ქაჯი

არ არსებობს. დიდი-დიდი ის ისტორიული პიროვნება იყოს, — თქვა ბიქტორამ.

— ბიქტორა, წისქვილებთან ვიღაც დადის, — მაყვალამ შეშინებული სახე მიიღო, — მართალია, იგი ჭაჭი არ არის, მაგრამ ჭაჭზე უარესია. იმას ადამიანები სძულს.

— ვიცი ვისზედაც ლაპარაკობ, დავიჯერებდი, მაგრამ იმას ისე ეშინია სიბნელის, რომ ქათმებთან ერთად წევბა დასაძინებლად.

— არ დაიჯერო, ქვეწარმავალი თვალთმაქცობს.

ჭიშკარი გაიღო და ეზოში დედაკაცი შემოვიდა. მას შავი თავსაფარი ჰქონდა წაყრული. შორი-შორ ადგამდა ტიტველ ფეხებს.

— მაყვალა! — დაიძახა მან.

— უი, შენი ჭირიმე, რუსიკო!

დემიტრი მასწავლებლის ცოლი რუსიკო მეორე საფეხურზე შეჩერდა. მან თავის მტერს, სიმონს, მოჰკრა თვალი აივანზე.

— მერე გამოვივლი, მაყვალა.

ფიცულავ შემოტრიალდა და თითქმის გაიქცა.

— რუსიკო, რატომ ვარბიხარ? ძალიან ვთხოვ დარჩე.

რუსიკო შემოტრიალდა.

— არა, შენი ჭირიმე, არაფლის გზით.

— უი, შენ დაგენაცვლე, ჩვენ ოთახში შევალთ.

სიმონმა გამოაცხადა, რომ კედლისკენ მიტრიალდებოდა და მაშინ პატიოსან ჭალს საშუალება მიეცემოდა თავმოყვარეობის შეულახავად გაეგლო აივანი.

რუსიკო შეყვამანდა.

— სირცხვილია, ქალო, — თქვა ბრიგადირმა, — დაბრუნდი, ამაზე მეტი რა გინდა, ეს კაცი ზურგიით დაღვება.

ქალი ყოყმანობდა. შემდეგ თქვა:

— არაფლის გზით!

— მაშინ მე შენ ვობრძანებ!

ბიქტორას თვალები დაებერა. შემდეგ

ღვე გაფითრდა და ნიკაპი აუთამაშდა.

რუსიკომ გაჯავრებით ჩაიქნია ხელი და უკან დაბრუნდა. ეტყობა, მან ჭეროვნად შეაფასა ბრიგადირის ნიკაპის ცახცახი. სიმონიკა მიტრიალდა. რუსიკომ ქვის კიბეზე დიწყო ასვლა. ბოლო საფეხურზე შეჩერდა. შემდეგ გაბედა — აივანზე გადადგა ფეხი უცებ სიმონიკა შემოტრიალდა.

— გათახსირებულო! გათახსირებულო! ნამუსგარეცხილო! ასეც ვიცოდი, რომ დაარღვევდა პირობას. გათახსირებულო! გათახსირებულო!

ამ დროს კი ანდროს მოესმა:

— ეს კი შენ, დოყლაბაივ.

და მას ამ აღიაქოთში ლაფში ამოთხვრილი ცოცხი ჩასცხეს თავში. ბიჭს სარზე მიემაგრებინა ის.

#### IV

კაკლის ხეზე ასული ანდრო ერთ-ერთ ტოტზე გადამჯდარიყო. რიყის დასაწყისში მხედარი გამოჩნდა. პირდაპირ მოაგელვებდა ცხენს. როდესაც იმდენად მოახლოვდნენ ცხენი და მხედარი რომ ბეცმა ანდრომ შეძლო მათი გარჩევა, მხედარში ილარიონი იცნო. ილარიონი თვალმდაქვეტილი და ფეხებგაფშეკილი მოაქენებდა ცხენს. ილარიონი ქალაქში დასახლებული ამ სთფლის მკვიდრი იყო. მას მამიდა ფულუნისაგან იცნობდა ანდრო. ილარიონი პოეტი და ბულალტერი ვახლდათ.

კაკლის ხის შტომ მხედარს ქული მოსტაცა. თმაგაჩჩილი და ჰაერის ნაკადით გაბერილ პერანგიანი, გზას აგრძელებდა.

— გამარჯობა, ილარიონ, — დაუძახა ანდრომ, — როდის ჩამოხვედი?

ილარიონი თვალის დახამხამებაში გაჭრა. ანდრო კი ძირს ჩამოტურდა. იმ განზრახვით ავიდა ხეზე, რომ კუნთები გაეფარჯინებინა, ეს კი გულის შეწყუხებად დაუქდა და როდესაც გამორეკვა, გაიფიქრა, რომ მისი ორგანიზმი ძველი დანის პირივით გაცვეთილიყო; მერე სახელდახელოდ შეკოწიწებულ საკაცეზე დასვენებული ილარიონი დაინახა.

იგი სიმონიკას და ბიქტორას მოჰქონდათ. ამ სურათმა უცებ დააფიქრა დარღები ანდროს. წელან მან შურისმსვავსი რაღაც იგრძინო. სწრაფმავალი აღამიანი ყოველთვის ასეთ გრძობას იწვევს რატომღაც. მაგრამ რაოდენ სიმპათიურია იგი ძირს დამხობილი.

„ასეთ რამეებს აღარ უნდა ვანიცდიდე, — უთხრა თავის თავს ანდრომ, — მაგრამ ურთიერთდაპირისპირება ძალიან მოკლე დროში მოხდა. იგი ცხენს მიაპყენებდა, მე კი გული მიმდიოდა. ამაში რაღაც სიმბოლური იყო. თითქოს „ძალა“ და „სისუტე“ ერთდროულად გამოსულიყვნენ რიყეზე. ახლა გამოირკვა, რომ სინამდვილეში ის „ძალა“ უმწეო ყოფილა, რომ ხშირად წარმატება მოხვებოდა და რომ უმეტესობა აღამიანებისა უმწეოა. სინამდვილედა, როცა საკაცზე მწოლიარე ილარიონს გადახედავდა. იგი გვერდით გაჰყვა მსვლელობას. ანდროს კიდე უნდოდა ამ თემაზე ეფიქრა, რათა უფრო მტკიცედ დაერწმუნებინა თავისი ეჭვიანი თავი ყველაფრას არარაობაში. ამ დროს ილარიონის კენესა მოისმა.

— ეს კარგი ნიშანია, — აღნიშნა სიმონმა.

— ჩვენ მკვლარი ვეგვონა, — თქვა ბიქტორამ.

— ცხენიდან ვაღმოვარდა, უბედური შემთხვევაა.

— საგანგაშოა? — იკითხა ანდრომ.

— მე მგონი, არ უნდა მოკვდეს.

ილარიონმა მეორედ დაიკენესა თვალეში გაახილა, მაგრამ ვერაფერი დაინახა და ისევ დახუჭა. სახე დაშფიფილებოდა.

ისინი წელში მოხრილები მიდიოდნენ, წინ სიმონიკა, უკან ბიქტორა. ტყემლის ხესთან ილარიონი მიწაზე დაასვენეს. ბიქტორამ მაშინვე ყალიონი გააბოლა, ხოლო სიმონიკა ჯირკზე ჩამოჭდა.

ილარიონი თანდათან უბრუნდებოდა წუთისოფელს. მოგონებებისათვის გაუფელვა ხუთი წუთის წინ მომხდარმა

ამბავმა. შემდეგ უფრო მიუახლოვდა სინამდვილეს და გაახსენდა, რომ წელან ცხენზე იჯდა. შემდეგ ცა დაინახა. შემდეგ ანდროს ფეხები, ცა ანდროს ფეხებს შორის მოქცეულიყო. ილარიონმა კიდე უფრო გადასწია თავი ნაუნობი სახე დაუდგა წინ, რომელიც არასგზით არ შეიძლებოდა იმყოფად აქ ყოფილიყო და მან გაიფიქრა, რომ ალბათ ისევ დრუბლებში ცურავდა. დახუჭა თვალეები და ისევ გაახილა. ანდროს თავი კვლავ ზეცაში კიაფობდა, ჩამავალი მშის გვერდით.

— ანდრო ხარ? — ყური დაუგდო თავის ხმას.

— ანდრო ვარ. გამარჯობა ილარიონ.

— გავიმარჯოს ანდრო.

— როგორა ხარ, ილარიონ?

— კვლავი?

— არა, ილარიონ, შენ ცხენიდან ჩამოვარდი.

— რატომ მტკივა კულუსუნთან?

— ცუდად დაეცემოდა.

— კი მაგრამ ბარძაყები რაღამ დამისველა?

— ეს შიშისაგან მოგივიდოდა, არა უშავს ილარიონ, იყუჩე.

ილარიონს უკვირდა, რომ ანდროს ლაპარაკს იგებდა, თავისი ხმა კი არ ესმოდა. მაგრამ რახან ანდრო კითხვას აღარ უმეორებდა, როგორც ჩანს, ლაპარაკობდა. რა სულელურად კი მოხდა ყველაფერი. რა აღრეულად ჩაწყდა სიცოცხლის ძაფი. ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. არა, ძალიან სულელურად ვკვდები. რამდენია ანგარებათ ვაქედნთილი, ღვარძლიანი და მანიაკი. სიყვდილი კი მასთან გაჩნდა ისე უდროოდ.

მოეჩვენა, რომ აზრები ერეოდა.

— ვკვდები, ჩემო ანდრო, — წარმოთქვა მან, — შენ აქ რა ვინა?

— ერთი კვირაა, რაც ბოსლევში ვარ, მაშინდა ფულუნას წამოვყვე. შენ როდის ჩამოხვედი?

— დღეს დილით, კეთილი ანდრო.

— დიდი ხნით აპირებ დარჩენას?

— სამი დღით, — წაიჭურჩულა ილარიონმა.

შემდეგ თვლები დახუჭა. და გაიფიქრა, იყო თუ არა მის სიკვდილში რომანტიზმის ნასახი მინც. იყო. უმეტესი ადამიანებისა ლოგინში კვდება, ის კი მინდორში. ნეტავ ამხედრებულს დამართოდა ეს ამბავი. შემდეგ ეჭვი შეებარა. ის ხომ წიხლმა დაამხო. მაგრამ ილარიონი ბუნებით ბოროტი არ გახლდათ და გაიფიქრა, რომ სიკვდილის წინ თავის დამცრება — ამო საქმეა.

— როდემდის ვიჯდებით ასე? — იკითხა ბიქტორამ, — შენ რა გენაღვლება, ბავშვები არ გაწუხებენ. მე ვიკითხო, მივალ თუ არა, შაშვებივით პირს დააღებენ, გვშიაო.

— მერე და რა ვინდა? — აიმრიზა სიმონი.

— ამდენი დროს დაკარგვა არ შემიძლია. ტყეში ვარ წასასვლელი.

— შე დალოკვილო, შენ ამოღებდი ყალიონს, მე კი არა..

— პირველად შენ თქვი დავისვენოთ.

ისინი საკაცეს მიუახლოვდნენ. ანდრომ ისევ დახედა ილარიონს. დანტერესდა; გაუარა თუ არა განურჩევლობის გრძნობამ, ნუთუ ახლა მაინც არ ებრალედა პოეტი.

— არ დამპრათ! — დაიღრიალა უცებ ილარიონმა.

ისე გადმოეკარკლა პატარა თვლები, როგორც მაშინ, ცხენზე რომ იჯდა.

— რაშია საქმე? — ჰკითხა ანდრომ.

— ჩემს გარშემო მტრებია. ორივე ჩემი ძველი მოსისხლე მტერია.

სიმონიკამ გაიღიმა. ბიქტორამ გადაფურთხა.

— ილარიონ, შენს გარშემო მოკეთებია, — უთხრა ანდრომ, — იყუჩე, ილარიონ.

ილარიონმა უარი განაცხადა მათ დახმარებაზე.

— მე დრო არა მაქვს, თუ გინდა წავიყვან, თუ არა და მივიღივარ.

ანდრომ თვალთ ანიშნა, დაეძრათ.

5. „მნათობა“ № 5.

სიმონიკამ და ბიქტორამ საკაცე მუხლებამდე ასწიეს.

— შესდექით, თორემ თავს ვადმოვიგდებ. იცოდეთ, თავს მოვიკლავ!

ისინი შედგნენ, საკაცე ძირს დაუშვეს და ბიქტორა ფურთხაფურთხებით წავიდა. ილარიონს გული წაუვიდა. ის საღდაც დაცურავდა, გაურკვეველ სივრცეში და კარგა ხანი გავიდა, ვიდრე გონს მოვიდოდა. როდესაც თვალები გაახილა, ჯერ ვერ მიხვდა, თუ რა იყო მის წინ და ზემოთ. შეცნობა უცებ მოვიდა და ათრთოლდა. მის თავთან ორი ფუნთუშა ბარძაყი ჩანდა. ამაში დაეჭვება არ შეიძლებოდა. შემდეგ ვიღაც შარვლიანი ჩამოეფარა და მას უნდოდა დაეძახა იმ საძაგლისათვის, რომ ჩამოსცლოდა. ძალაც მოემატა, გონებაც გაუნათდა. ახლგაზრდა თხად გადაიქცა, გაუმადლარ აღგზნებულ ვაჟად, ფიჯის კუნძულის მამაკაცად. თითქოს ახლალა მიხვდა ცხოვრების საიდუმლოებას, თითქოს ახლა მოჰკრა ყური სირინოზის ვალობას. საოცარი გაცემა, არავითარი პატივმოყვარეობა, გაკვირვების წუთები, ღვთიური დამბლა. ის, რაც დიდი ხნის დამარხული ეგონა, ისევ ცოცხლობდა, ბობოქრობდა.. „ჩამომეცალე საძაგელო!“..

ტყემლის ხესთან კი მთელი სოფელი შეკრებილიყო.

— გამიშვით, ჩავჩებო ეგ გათახსირებული!

ვალიკოს წალდი ეჭირა ხელში.

— არ გაუშვავთ!

ეს გუშინდელი აშბის გაგრძელება გახლდათ. გუშინ საღამოს, როდესაც მთვარის შუქზე მთელი სოფელი გამოჩნდა და ირგვლივ არაჩვეულებრივი სიწყნარე და სიღამაზე დამკვიდრდა, უცებ მაყვალამ ხმა გააერცელა, ფული მომპარესო. თუმც ორაზროვნად ლაპარაკობდა, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ ბოროტმოქმედად ვალიკოს თვლიდა.

პირველად ვალიკომ ყური არ ათხოვა ნათქვამს. მაგრამ მას შემდეგ, რაც

ჩაიდუმლოდ ინახულა ილიამ. ხმა აიმაღლა.

— გამძარცველო! — ესროლა მაყვალამ მას სიტყვა.

მაყვალას ირგვლივ ხალხის მცირე ჯგუფი ფუსფუსებდა, ვალიკოს გარშემო — უფრო მეტი ბოსლეველი შეკრებილიყო, განზე კიდევ ერთი ჯგუფი იდგა.

— არ გაუშვათ, არასგზით არ გაუშვათ! — დაიძახა აგრონომმა კუსიამ.

კისერი არ მოუჩანდა და თავი თითქოს პირდაპირ ტანზე ჰქონდა დადებული. ლაპარაკის დროს ზოგჯერ ბგერებს და სიტყვებს ულაპავდა.

— არ გაუშვათ! ძმებო, არ გაუშვათ! — დაიყვირა კიდევ ერთხელ მან.

— რა ამბავია? — იკითხა ლევანტიამ.

მას შარვლის ტოტები აეკაპიწებინა და მხარზე ორი ღერი წაბლის ხე გაეღო.

ლევანტიას აუხსენს.

— გაუშვით, — უთხრა მან დამკავებლებს, — აქ შეურაცხყოფას აქვს აღგლი, გაუშვით.

ლევანტია წავიდა. კუსიამ განაცხადა, რომ ისე, ლევანტია სადღაც მართალი იყო.

— მეგობრებო! — დაიძახა ვალიკომ. — გთხოვთ ნუ დამაკავებთ... მეგობრებო, მიმიშვით მაგ გათახსირებულთან... მაგას ჩემ ძმასთანაც ჰქონია საქმე. მეგობრებო, შენედეთ მას და მერე თქვენ თვითონ აღარ დამაკავებთ.

მალაქია პერანგისამარა მოვარდა თავის ეზოდან.

— რა ღმერთი გაგიწყრათ, რა დაგმართათ, ბოსლევლებო! — დაიყვირა მან, — თანამემამულენო! თავი მოგვეჭრება, ბეგლევლები ვაიგებენ.

— ფეხებზედაც არა მკიღია, თუ გინდა მთელმა ქვეყანამ გაიგოს. მიმიშვით მაგ გათახსირებულთან!

მუყაითი კოლმურნე ქალი ირინე ბეჭობზე შედგა:

— ხალხო, მოგიწოდებთ ყანებში დაბრუნდით!

ის ჩაჩუმეს, ხალხმა კი ჩურჩულს უმატა. საქმე ის იყო, რომ მათი პირით მაყვალას მეტის-მეტად გაუვიდა თავს, მას უნდა აეკრძალოს ექიმბაშობა. მაყვალას ჯგუფს ერთი-ორი დამიანი გამოეყო და ნეიტრალურ ჯგუფში გადავიდა. ნეიტრალურიდან ორი კაცი ვალიკოს მიემხრო.

სოფლის ექიმმა პაქუნამ გამოაცხადა, რომ სიგიჟე მოუჩინებელია და რომ ის თვითონ გიჟია, ვინც პირუკუ იტყვის. თანამედროვე მედიცინა ჯერ არ არის ასული ამ დონეზე, ხოლო ექიმბაშობა თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი. მას ბოლო უნდა მოეღოს. პაქუნამ ლოზუნგი გადაისროლა:

— ძირს ექიმბაშობა ბოსლევში!

— ძირს ექიმბაშობა ბოსლევში!

დაიყვირა ხალხმა.

— მიემართეთ მხოლოდ თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ ექიმს!

— მივმართეთ მხოლოდ პატივცემულ პაქუნას!

ანდრო ფიქრობდა, რომ სახეები ისე მკვეთრად, ნათლად, როგორც სოფელში, არსად არ იხატება. სოფელში აღამიანის ყველა ტიპია მოცემული და ისინი როგორც ხელისგულზე, ისე ჩანან. ქალაქში უფრო ძნელია ზოგადის დანახვა. სოფელი მიკროსამყაროა.

ორ ბეჭობს შორის უცებ მატარებელი გამოჩნდა, რამდენიმე მეტრი გაიბრინა და გაჩერდა. რა წაქს შექუჩებული ბოსლეველები დაინახეს, ბეგლევლები ვაგონებიდან ჩამოცვივდნენ, მალაქია ჯირკზე ჩამომჯდარი ქვითინებდა.

ბეგლევლები კაკლის ხესთან დადგნენ.

— გამიშვით, ჩავაძალღებ! — ყვიროდა ვალიკო.

ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა, მაყვალა გამოეყო თავის ჯგუფს და ბეგლევლებსავე გაეჭანა.

— ბეგლევლებო! — შეჰყვირა მან, — აი, ამ ბოსლეველმა ჩემი ფულები მიითვისა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. წა-

მით დედამიწა შედგა, შეწყვიტა ბრუნვა, როგორც მზის, ისე თავის ღერძის გარშემო. სიცოცხლე ჩაკვდა ერთი წუთით. მერე, როცა ამოძრავდა, ვალიყო აღჩქარებლად განთავისუფლდა და მოღიმარი სახით დაიძრა წინ. მისი ღიმილი თანდათან გაიყინა და მაშინ, როგორც ჩონჩხს, კიდევ უფრო მკვეთრად გამოუჩნდა ისედაც კარგად გამოხატული ყვრიმალის ძვლები. ხალხმა გაატარა და უკან მიჰყვა.

და იმ წამს, როდესაც მაცვალას სახეზე ღვინისფერი რძისფერად შეიცვალა, ანდრო მიხვდა, რაც მოხდებოდა.

— მე მოვდივარ, სანატრელო მაცვალა, — წაიჩურჩულა ვალიკომ.

— ბატონო სიმონ, რას იტყვით? — მიუბრუნდა ანდრო სიმონიკას.

— უკვე გვიანაა, — მიუგო სიმონმა. სიმონის გვერდით პირდაღებული პოეტი იდგა.

— მომყევით! — უთხრა ანდრომ სიმონს.

სიმონი მიჰყვა. ანდრო ტყემლის ხესთან მიიჭრა, სიმონს ხელები გადააჯვარდინებინა და ზედ თავისი ნორმალური ფეხი შესდგა. შემდეგ ტყემალს ჩამოეკონწიალა.

— შესდექით! — დაიჭეჭა მან.

შემდეგ სხვადასხვანაირად ყვებოდნენ ამ ამბავს. მაგრამ იმ წუთს, როდესაც ანდრო ორმოც სტრიქონიან იქვე შეთხზულ ლექსს კითხულობდა, ბოსლეველები გატრუნულები უსმენდნენ. სამჯერ გაამეორებინეს ლექსი, ხოლო ბოლო ორი სტრიქონი ათჯერ. აი, ის ორი სტრიქონი:

„მაცვალას ისე უხდება ტყვილი.  
როგორც . . . . .“

როდესაც სიმონიკამ ძირს დაუშვა ანდრო და ბოსლეველებისაყენ მიტრიალდა, თვალებს არ დაუჯერა. მის ზურგს უკან საოცარი გარდაქმნა მომხდარიყო, გლეხები იჭაპებოდნენ. სიცილი ჰკლავს სიკვდილს, სიცარიელეს, ავადმყოფობას, დახუთულ ჰაერს, მარტობას, უიმედობას, განწირულობას, უაზრობას.

ბეგლეველებიც იჭაპებოდნენ. ეს ოქროს წუთები ვახლდათ ბოსლევების ცხოვრებაში, როდესაც ყველა მთელი სოფელი ერთად იცინოდა, როდესაც ხეები, მდინარეები და კლდეებიც იღრბებოდნენ და მხიარულობდნენ.

ვალიკომ წალიღ დაავლო და ახლას და მაცვალა ერთად იცინოდნენ, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ტყბილი საუბარი გააბეს. ბეგლეველები და ბოსლეველები ერთმანეთს ეხვეოდნენ და მალაქია სიხარულისაგან ტიროდა.

და ანდრომ გაიფიქრა, ცხვარი და მგელი, ანტილოპი და ვეფხვი, კენგურუ და ლომი ერთად არასოდეს იბალახებეს. მაგრამ აღამიანებმა ერთად ყოველთვის შეიძლება ტყბილად იცხოვრონ. ვინმეს ეს წესიერად რომ განემარტა, მაჰმადი და წმინდა ნინო, პლატონი და ეპიკურე, შავკანიანი და თეთრკანიანი, ალექსანდრე მაკედონელი და მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე, აბესალომი და მურმანი, დასავლეთი და აღმოსავლეთი, ქაჯეთის ციხისთავი და ტარიელი, ბაზრის დირექტორი და სამოც ან ასი მანეთის ხელფასის მქონე მყიდველი გადაეხვეოდნენ ერთმანეთს და სამუდამოდ დამკვიდრდებოდა დედამიწაზე ჰარმონია, მშვიდობა, სიკეთე, სიუხვე, კეთილდღეობა.

შემდეგ ანდრომ ამ საოცარი გარდაქმნის მიზეზზე დაიწყო ფიქრი, არაჩვეულებრივ მომოსზე. ვისაც ეს ღვთაება მფარველობს, იგი იოლად გადის თავის ვიწრო ორბობეს. მომოსი, არაჩვეულებრივი მომოსი, ის დაგავიწყებს, რომ კოჭლი ხარ, ის დაგავიწყებს, რომ ფული არასოდეს გექნება, იგი დაგავიწყებს რომ, კრეტნი, რომელსაც მეორე თანამდებობიანი კრეტინი მფარველობს, ხანდახან შენზე წინ ივდება ცხოვრების თეატრში და შეეცდება თავისი კრეტინი თავით არ დაგანახოს ის, შენს წინ რაც ხდება სცენაზე თუ სხვაგან.

მაგრამ იდეალიზმში რომ არ გადავარდნილიყო, ანდრომ აქ ფიქრი შე-

წყვიტა და მაშინვე ზურგსუკან გაი-  
გონა:

— ცეცხლად შეგერგოს ჩემი შებ-  
რაწული ქათამი.

V

მეორე ღამით ორი კრაქის შუქზე  
ბოსლევლებმა მამიდა ფულუნია და  
ანდროს გააცილეს. შთაბრუნებდა, რომელიც  
ხან დაიძალბოდა და ხან ისევ გამო-  
ჰყოფდა თავს, ბოსლევლები არ ენ-  
დნენ.

ანდროს საითათოდ ჩამოართვა ხელი  
ყველას, სიმონიკამ უთხრა, რომ დო-  
ქით ლეინის გატანებას აპირებდა, მაგ-  
რამ იმ ქურქულს ძალმა კული გამო-  
ჰკრა და დოქი გატყდა.

— ცარიელი? — ჰკითხა ანდროსი.

— არა, სავსე, — მიუგო სიმონმა.

მალაქია თითქმის ტიროდა. სიბნელეს  
რომ არ შეეშალა ხელი, ამ მიმზიდ-  
ველ ყმაწვილს აუცილებლად თავის  
კიტრა ვაშლებს გაატანდა.

— ვახსოვდეს, ჩემისთანა კიტრა ვა-  
შლები არავის არა აქვს. აფსუსს, ერთ  
გოდორს ვაგატანდი, რომ უდროოდ  
სიბნელე არ ჩამოწოლილიყო.

— გამაღობთ, — უთხრა ანდროსი.

მასწავლებლის ცოლმა რუსიკომ კი  
თქვა, რომ წამსვლელებისათვის ხაჭა-  
პურები ცხვებოდა და საცა იყო მისი  
შუათანა გოგონა მოარბენინებდა.

რამდენი კეთილი სურვილები ჰქონ-  
დათ და რამდენი გულთბილი სიტყვა  
უთხრეს ერთმანეთს. მატარებელი ჩა-  
მოდგა.

— ეე, ეს ისევ თქვენა ხართ? —  
იკითხა გამცილებელმა.

— ეე, ეს ჩვენა ვართ.

მატარებელი დაიძრა, მალაქია ტი-  
როდა, ბიქტორა იფურთხებოდა. ამ  
დროს სიბნელეში გაისმა:

— თქვენი ხაჭაპურები? უი, ღმერთი  
მომკალი...

— სხვა დროისათვის, ქალბატონო!

— აბა, მაშინ მაინც არ დავგვიწყდეთ.

— ნახვამდის, ბოსლევლებმა  
ანდროს დაინახა, თუ როგორ აპყვა  
აღმართს ორი მბეუტავი სინათლე. მე-  
რე მატარებელმა მოუხვია და საოცარი  
სოფლისაგან აღარაფერი დარჩა. ანუ  
ღრთ კუბეში შევიდა.

— ეე, აი, ეს თქვენი ადგალებია, —  
აჩვენა ანდროსს გამცილებელმა.

გამცილებელი წავიდა. მამიდა ფულუნია დაწვა. ზედა საწოლზე მსუქანი  
მამაკაცი ხერინავდა.

— მეგობარო, ბოდიში შეწუხებისა-  
თვის.

მაგრამ მგზავრი დიდხანს არ იღვიძებდა. როდესაც გაიღვიძა, საერთოდ  
უარი განაცხადა ადგილის განთავი-  
სუფლებასზე.

— აბა, თუ ბიჭი ხარ ჩამომიყვანე.

შემდეგ თვალი თვალში გაუყარა და  
უთხრა:

— თუ კიდევ შემაწუხე, იცოდე ფან-  
ჯრიდან გადაგიშვებ.

მეორე მხარეზე გადაბრუნდა და თავისი  
ხერინვა მამიდა ფულუნისას ხერინ-  
ვას შეუერთა.

ანდროსს ვაიფიქრა, რომ ეს ერთი მა-  
ინც მგელი იყო. მარჯალია, შეიძლება  
როგორც გამოხატოს, მაგრამ მაინც  
მგელი ვახლდათ. „მაშინ გამოდის,  
რომ მე ცხვარი ვარ. არა?“ ცხვრის  
როლში ყოფნა კი არ უნდოდა. ამიტომ  
სათადარიგო მუხრუჭი გადმოს-  
წია და მატარებელი შეაჩერა, და ვიდრე  
ის „მგელი“ ისევ ადამიანად არ აქცე-  
ვინა სხვა პატიოსან ადამიანებს, მუხ-  
რუჭს ხელი არ გაუშვა.

აცოცდა თუ არა ზევით, ანდროსს  
მაშინვე ჩაემინა.

„არაჩვეულებრივი ფუსფუსი, განუ-  
მეორებელი წუთები, დღეები და ად-  
გილები, საოცარი ბოსლევები, არაჩვე-  
ულებრივი ბოსლევები“... ჩურჩუ-  
ლებდა გაოგნებული ძილში.

## მეხუთე პარაგრაფი

არ მიმწყემსია აროდეს ფარა,  
მე კი მგონია ვყოფილვარ მწყემსი,  
ჩემს სხეულს ცისკრის სიაღვრე ფარავს,  
სულს მუდამ ქარის შრიალი ესმის.  
რათა ვგრძნობ ნეტა, სხვადასხვა თვეთა  
მიტყვევასა და მოქცევას ასე?  
კომპასისგვარად გული მიფეთქავს,  
სწორუბოვარი ჩვენივით სავსე.  
თითქოს სამყარო შემორჩილება,  
ჩქამიც უჩემოდ თითქოს არ კრთება,  
როცა ბატკანი თვალზე-ირემა,  
ბაკში თოვლივით გამონათდება.  
მზით გარუჯული, ხელდაკოვრილი,  
როცა მშრომელი შემეგებება,  
მქვია დუმუზი, —  
მწყემსი ორ წილი,  
ენქიდუ, —  
მიწის შემოქმედება.  
თუკი მოწყვნა დამუფლებს,  
ღვთაებრივია სევდის გაჩენაც.  
რადგან ამ ქვეყნად სიტყვაუთქმელად,

დალოცვილია მწყემსის მარჯვენა,  
უცნაურია მათი ფიქრების  
ბგერა,  
წადილი,  
ახმოვანება,  
აშრიანება მინდვრის ჯიქნების,  
თივის ბულულთა ამოქარება.  
საველთა გზათა ერთფეროვნებას,  
ახლავს ყვავილთა ქრელა-ჭრულობა, —  
სხვა მნიშვნელობის აღფა-ომეგა  
და გულის სწორზე გულის ჭრილობა.  
ენახე გაბმული მუხი და ლეშხი,  
ცა მიწას ფეხად ჩამომდინარე,  
ყველაფერს დაკარავს თავისი გუშვი,  
ვით ზღვის ღელვას ან  
ტალღა მდინარეს  
და უპირველეს, ხვალინდელ ვნებას,  
ანდა უკეთუ ფიქრების ჯარას, —  
რაც მთავარია თუკი არ ქრება  
ტრფობა მიწისა,  
მწყემსი ვარ მარად!

## მექანიკური

ხარტ სახელმწიფო მიშველ ჩიტების,  
საბრძანებელი კებრონ ქარების, —  
ჯარისკაცნი ხარტ ევკალიპტებო,  
კოლხურ მიწაზე დიარებით.  
წყალში გიპყრიათ ნედლი ფესვები-  
რომ ნაღდი სისხლი შემორჩეს მიწას,  
მკურნალი ხარტ და შუქის მთესველნი,

ჰო, ზოგჯერ ტოტებს უფური გიწავთ,  
მაგრამ თქვენც ითმენთ, ვით რაინდს  
შენის  
სიკეთისათვის თავის დადება...  
ყოველ გაზაფხულს ტოტები თქვენი  
მზით ივსება და ახალგაზრდდება,  
ყოველ გაზაფხულს ჩქამი კვირტების

მინდვრებს და ტყეებს როცა ედება,  
კოლხურ მიწაზე ევკალიპტებო,  
მაოცებს თქვენი შემოქმედება.  
ათიათასი მდინარის ტალღა,  
რომ გიშრიალვთ სხეულში სისხლად,  
აშადრევენებულ რტლებზე, მაღლა,  
ბროწეულივით მზის ნაყოფს ისხამთ.  
ჭაობზე,  
ჭონჭყზე,

ზღვისპირას,  
მინდვრად  
მუშაკობთ, როგორც ერთგული ხარი...  
თქვენი მოთმენა ვისწავლო მინდა  
და მაგ ფოთლებზე ნოტები ქარის  
უნდა ამოვხსნა —  
ღმერთის მზითვენო...  
(მეც ველოდები მოთმენით იმ წამს).  
ტოტემშიაღა ევკალიპტებო,  
ზეცის ტატნობთან აერთებთ მიწას.

## ღ რ უ ბ ღ ე ბ ი

საით.  
ცის მაწანწალებო, საით?  
ჭვავხართ იალქნებს  
მკერდაშლილ ზღვაზე,  
ვინ გაძლევთ, ვინა  
სიცოცხლის ხალისს,  
ან როგორ ცეკვავთ  
ჭარების ხმაზე?

საკვირველია!  
სად მიგელიან?  
გიყურებთ:  
მიპყრობს ურვა და დარდი,  
მამყოფეთ თქვენთან,  
ნუთუ ძნელია,  
მაწანწალებო, აწ შემოყვარდით!

## ნადეჩინის უმისკობთან

მატეარ ნუგზარ მგალობლიშვილს

აქ ვხედავ ფერი უკვე დასრულდა —  
ღბილი ხაზების ელვარე ფრთებიო,  
ვიხილე იგი — ადრე რაც მსურდა  
და ანგელოსთა ბულულა თმები,  
ქარში შრიალვს  
და... თითქოს კვნესის,  
ყამთა რიალში დაჭრილი ჩელო,  
მღერის მურმე და ცხადად მესმის —  
ჭურისსაკენ მიმავალ ჩელას,  
როგორ მიპყვება წმინდანის ლოცვა,  
როცა ყველაფერს —  
ტყუილს და მართალს,  
არა აქვს წუთით უბრალო მოცდა —  
მითხარით ამ დროს  
ბედს ვინდა მართავს?!  
იქნებ წინაპრის მწველი სულია,  
წმიდა ტაძარო, შენი ფრესკები,  
იქნება ყველა განწირულია,  
ვისაც მიწაში არ აქვს ფესვები.

განწირულია ღმერთების წილი,  
ვისაც არ შეხვდა ცაშიც ქონება,  
წარსული ბრძოლით,  
ცრემლების წვიმით  
და წაწმენის რწმენით! აიწონება,  
აი, ჩემია! ეს საღმრთო ფრესკა,  
მამასადამე, სული მებადა  
და წინაპარი მას უკვდავ ფესვად,  
აჩუქურთმებდა კი არ ღებავდა.  
აჩუქურთმებდა სული გალობით, —  
იწვოდა, როგორც წმინდა სანთელი,  
რათა დროს  
მერე ყალმის წყალობით,  
ქქონოდა მუდამ დროსთან სათქმელი.  
ახლა სხვა მზეა...  
ყამი ურვისთვის,  
ყამი დარდისთვის წამს არ გვიტოვებს,  
მაგრამ მე მაინც, როგორც ტურისტი,  
ვმღერი ფრესკებთან  
„ჩელას“ სტრიქონებს.



სანამ ტყეში ჭიკჭიკებენ ჩიტები,  
 სანამ ისმის სალამურის კენესა,  
 საჭიროა, საჭიროა რითმები,  
 რომ მუსიკა აელვარდეს ლექსად.  
 უსიმღეროდ?  
 ალბათ ბოლმით მოვკვდებით,  
 სევდასაც ხომ უნდა ამღერება, —  
 სულ სხვა არის სიყვარულის ნოტებით,  
 როცა გულის ყინულეთი ღღვება.

სულ სხვა არის ყვაველების ფერი  
 როს საფრენად ბუჩქებს ფრთებად გაშლის,  
 როცა ირგვლივ არემარე მღერის,  
 ზიკვდილიც კი ადვილია მაშინ.  
 სანამ ბალში ჭიკჭიკებენ ჩიტები,  
 სანამ ისმის სალამურის კენესა,  
 საჭიროა, საჭიროა რითმები,  
 რომ მუსიკა აელვარდეს ლექსად.

## ნ ა შ ე ს უ რ ე ბ ი

თქვენც საით,  
 საით მიიჩქარით ნაფეხურებო, საით?  
 მიმოხეულნო მდინარის ქვიშაზე, —  
 იქ სადაც ფიჭვის ტყე  
 ორთქლად ქცეულა?  
 იქნებ მდგელობის გაღმა,  
 სადაც ხატაა მონადირისა?  
 იქნებ...  
 საით მიიჩქარით, ნეტა,  
 ვიცოდე, ასე — თავგამეტებით?

საით მიიჩქარი, ზღაპრის ასულო,  
 ვხედავ, ღბილია შენი ფეხები,  
 ქაეროვანი და ენებიანი...  
 ნეტავი იმას,  
 ვისთანაც მიხვალ,  
 თუმცა კი ახლა მაეჭვებს ფრიად.  
 რომ მას ესმოდეს,  
 რომ მან იცოდეს,  
 თუ რაზე ყოვის  
 შენი სისხლი პირველყოფილი.

დათო ჭანტურაას ხსოვნას

მორჩა!  
 გაქვავდა შენი საათი,  
 მაგრამ ის ჩემთვის აგრძელებს ბრუნვას...  
 ჩამესმის ყურში სჯა-მასლაათი  
 შენეული და...  
 იმ ძმობისუნარს  
 ვერეინ წაგართმევს,  
 შენია უკვე  
 და ჩემი ყრმობის ფერგამხდარ წუთებს,  
 კვლავ ვახშიანებ, ვით მდღუმარ ბუკებს  
 და ხსოვნას შენსას  
 ღამეებს ვუთევ.  
 — თურმე...

პო. კმარა!  
 ეკუთვნის წარსულს,  
 მოგონებები ბედნიერ წამთა...  
 შენ ეს მითხარი,  
 ამეამად რა გსურს,  
 შენ ეს მითხარი,  
 გწამს რაიც გწამდა?  
 შენ ეს მითხარი,  
 მართლაც ძნელია,  
 იყო მარტოკა სულ მუდამ ფიქრთან?  
 თორემ მე ვიცი, უმჭველია,  
 მაგ შენი სულის შენივთვა ფიქტთან!



აეარდა ხტებზე კვამლის ემალი  
და შავ ღრუბლებში ჭრელმა აგვისტომ,  
როს ვერ გაშალა ზე ხერხემალი  
და გზაზე ფეხი ველარ აგვიწყო,  
ცით გადმოაგდო ბურუსის ბადე. —  
ნადის უწვერილეს კვადრატებს შორის  
ვგრძნობდი დაკარგვის უჩუმარ  
დარდებს,  
და მე მელოდა სამყარო თრთოლის.

მზის დასალიერს ნამსხვრევი ბროლის  
ამოფეხარა შეიდღერი გამით  
და გაწოლილი დაისის ზოლი,  
ინთებოდა და ქრებოდა წამით.  
და როცა ბოლო სხივი აენთო,  
ჩაქკა და...  
მერე მიმწუხრის ფარდამ,  
ფერფლად აქცია იგი, საერთოდ  
და მიემატა ჩემს დარდებს დარდად!

ყველაფერი იცვლება,  
(ეს როდია ახალი),  
დედამიწა იცვლება  
და ისევე იცვება,  
სიჩუმით და ჭახანით.  
როგორც მთვარის გაღვევა

და თავიდან გაეცება —  
ჩვენი წამის არენაც  
მთვარის ზნეს ემსგავსება.  
ნაგრამ გეტყვის ვერაფერ  
მუდმივ ფერისცვალებას,  
დროის მსრბოლი მერანიო.  
მაინც რა ევალება?

## ღიჩიქული გაცხელება

სატანჯიოს ნისლი ფერაფს, —  
ახლა აქაც მოვა წვიმა  
და წვეთების მწველ სიმღერას,  
განა წუთით მოეწყინა.

მოზიმზიმე სველი თმები  
ცას ხრამებში ჩაუშლია  
და უსმენენ რუხი მთები  
ლეგენდის და ზღაპრის შრიალს.

უკურებ და გორაკები,  
თითქოს ერთურთს ეწევიან...  
იქვე, ძილშიც მონატრების  
ჩემი ზღდა-ეწერია.

ჩემი სიყრმის აკვანი და...  
მარადმწვანე ოაზისი  
და შრიალებს ირგვლივ ნისლი,  
დედის მერდინივით წმინდა.

დაოსდება ჩემი მტერი,  
ვიცი, ბოლმით დაოსდება,  
როცა საღრმთო ჟრუანტელით,  
აქ, ყოველი გაოცდება;

როს ხუნთქავ და გერიდება  
არ წაერთვას ფერი ტილოს, —  
როცა ფიქრი გარინდდება,  
გული დანაცრებას ცდილობს.

მ დ ი ნ ა რ ე



ემშება ძირს და...  
 სიმღერა ზევით  
 მიფრინავს, როგორც მზისკენ ფრინველი,  
 ტალღების მსხვერველი  
 და ვნების გზებით,  
 ხმა წკრიალა და გასაკვირველი,  
 ანკარაა და ისეთი სუფთა,  
 ვით ანგელოსის ხელის შეხება...  
 და ეს დინება —  
 მდინარის სუნთქვა,  
 როდესაც კრთება ნისლის მხეფებად,  
 თითქოს და თავის სიზმარეთს არკვევს,  
 ირგულავს მზეში სხივების ჩქერალს,  
 ხოლო მთვარეზე დაცემულ სარკეს,  
 კვლავ ესიზმრება ქალწული ქერა.  
 სანაპიროზე ბრჭყვიალებს ქვიშა  
 და ენერგია — ცეცხლის მკვებავი,  
 ისე მჭუხარებს — ქუხილი ნიშნავს —  
 აბრღვლიალებს ღამე დღესავით.

დამუხტულია ყოველი ნერვი,  
 აქორცებული,  
 ზიმიზიმა ჩქერის  
 და ვიცი ახლა  
 ვერ შეტყვის ვერვინ,  
 მდინარე, თითქოს გუშინდელს მღერის...  
 არ იმეორებს ის არც ერთ ბგერას  
 და ასე ტალღაც არ შეორდება, —  
 დაუგდეთ ყური, აქ გულის ძგერას,  
 ცისა და მიწის არის გოდება.  
 და იგი, როგორც მფეთქავი ძარღვი,  
 უკვდავი სისხლი ამქვეყნიური,  
 ისე აცოცხლებს მკვდარსა და დაღლილს  
 და ეს თვისება მარად ღეთიური.  
 არის სათავე პანათა და ფერთა  
 და მიჭიქულა წყლის სარკე მარჯნად,  
 ხოლო მდინარე — იმსხვრევა, ფეთქავს,  
 ჩვენი პლანეტის სისხლი და მჯა!

• • •

რომ არ ამსხვრევდეს წკრიალა ნამგლის  
 ველად სიჩუმეს, მოგვჩვენება:  
 გაიყინაო სამყაროს ძარღვი,  
 საღამოს მწუხარი,  
 ცისკრის თენება;  
 ისე წყნარია ბუნების ჩქამი,  
 გულწითელას და წიწკანას ხეზე  
 შეყურებ —  
 ფოთლებს დააკვდნენ ღამის  
 და ორივე ასე სიმშვიდეს ეძებს.  
 გაკრთება სკვინნა?  
 გაკრთება ლელიც,  
 იქვე კუნელი შეათავას ეწინს —  
 აიმართება მუშლის ღრუბელი, !

როცა ბროწეულს ტოტები ეწვის.  
 აქ ანტიოქსა, მოქმედი მარად,  
 ეძიებსა და...  
 ბუნებას ერწყმის, —  
 ახლა ყველაფერს მზის მაღლი ფარავს  
 და ენერგია კვირტადქმნილ ლერწის.  
 და ეს სიმღერა მარადიული,  
 დაუგდე ყური თავის პანგებით,  
 ვით ბუმერანგის ქროლა წრიული,  
 კვლავ გვიბრუნდება, არ იკარგება.  
 გუბეში ვლიანად ნაფლეთი ზეცის,  
 აღმოსავლეთის ცას მოგლეჯილი,  
 ირგვლივ დაღანებს ვარდები ზეცისს —  
 პირველყოფილი მუქის ჯეჯილი.

მოგვირისტულს ოქროს სირმით —  
 ცხენი ფაფარს აწრიალებს  
 და სიმკვირცხლე ახლა ირმით  
 ელვად გაგწოლია თვალებს.

საით, ნანა, საით მიხვალ,  
 შენი ტანი ვიცი, ბრგვა,  
 მაგრამ დადიანის ჯიხა,  
 ჯერაც მკვრივი სიმაგრვა.

ვინ იბოვოს სამართალი,  
 ნაკეტილა ცხრა ციხეში,  
 უძლურია ჯერაც სხალი,  
 რომ გიპყრია ყმაო, ხელში.

ჩვენი ბედის შავი ქარი,  
 კვლავ სატანას წილხვედრია,  
 ხედნე ისევ გიჟი ხარი,  
 როგორც ადრე გიხედნია.

ჩემო შვილო, თვალსაჩინო,  
 შემოგველე ნანა, სანთლად,  
 რად გინდა რომ გაიჩინო  
 მტრად ის კაცი —  
 ბედს ეინც მართავს?

დაგიზამთრებს, გამზენს ვფიცავ,  
 ის ენგურის ღვართქაფ ზვირთებს,  
 მიგამსხვრევს და...  
 კუბოს ფიცარს  
 შემოახვევს მწვანე ფითრებს.

სიზმარს ნულარ ამიცხადებ,  
 შინ დამირჩი, მახარია,  
 ნუ მიდიხარ თუ გიყვარდე,  
 თორემ ვაი, ლახვარია,

შშობლის გულზე შეილის „ხვალე“,  
 მე კი ძუძუ მიგრძნობს ნანა,  
 თუ იმძლავრე დედის თვალებს,  
 გადასერავს სევდის დანა.

ნუ მიდიხარ გვედრები,  
 გელოდება შენი ყანა,  
 არ გკლებია წამით მტრები,  
 მიიმატო უნდა, განა?

იყურე და... გათენდება  
 და დარეკავს ბრძოლის ზარიც,  
 მაშინ შენი ცხენის ფრთები  
 იყოს განახლების ქარი.



• • •

ვამი ჭადარივით გატოტილა,  
მამულო შენი ტოლი და სწორი  
წლები შტოებრივით დაპობილან,  
ზოგი წარხოცილა ომების თქორით.

ზოგს აგბედითი გრიგალივით,  
რევოლუცია აწრიალებს,  
კვლავ ზოგიერთებს სანგრებში სძინავთ,  
მეომრებივით აბჯრიანებს.

სხვები ფოლიანტში ჩარჩენილან,  
მჭკნარი ფოთოლივით უქმად,

ზოგიც საზეიმოდ აქუერილი,  
იღვრება არნახულ შუქად.

ზოგი სნეულია შიმშილის წყლულით,  
ზოგი სისხლით არი ფერადი,  
ხოლო უმრავლესში მკაცრი და ბრძნული  
სახე ინაკეთება ბელადის.

ვამი ჭადარივით შტომრავალი,  
ირხვევა,  
შრიალებს,  
იბრძვის  
და ქვეყნად ხალხთა მომავალი,  
სულდგმულობს ლენინის სიბრძნით.

## კეპზარის ეღვი

— წყაროსთვალი!

— წყაროსთვალი!

კოშკში წყალი შემწყდარა,  
გაპარულა ამორძალი,  
სიყვარულით შემცდარა;

არცა ვინა ციხოვანი,  
ცარიელი ზღურბლია,  
მოსდებია მწვანე ხავსი  
ლიბო მოუღრუბლია.

— ციხისთავი!

ციხისთავი—თუ კი კითხვას შეგბედავ,

ჩურჩულებენ—წასულია  
საქართველოს მეფეთან.

როდინდელი ამბავია,  
ანუ ვისთან წავიდა.

— ფარნავაზთან!

— მირიანთან!

იქნებ მეფე დავითთან.

გალავანი დარღვეულა  
ჩამომდნარა ცრემლებად.  
ციხე?!—ციხე კიდევ არის  
ერთი თვალის შევლება.

## ხვალის ქალაქი

გაქცეული  
მეზღვრის  
რუსთაველ მშენებლებს

ო, განერიდე მწვანე ბალახო,  
შორს მთებისაკენ,  
მოდის ქალაქი,  
ახალშობილი და ჭირვეული,  
ბოლავს დაისი  
და ქარხნების საკვამურები,  
ნაბიჯი წინ  
და უფსკრულებში ჩაიძირები,

ჩვენ ვაშენებთ ჩვენს ბუდეებს,  
ამწეები  
კისერგაწვდილი,  
მუხლჩაუდრგლად მიმოდიან  
და მოწიწებით,  
ჩამოაქვთ ციდან  
ხვალის პროფილი,  
ჩვენი ბუდე, ჩვენი ქალაქი.

## ა პ რ ი ღ ი

ი. ვაგარინისაღში

ისევ მოირგეს ყურნაცემები,  
ისევ ჩაიცვეს სკაფანდრები,  
წუთილა დარჩა გაფრენამდე,  
მაგრად დახურეთ კარ-ფანჯრები.

ბიჭები წყვილად მიფრინავენ,  
შემდეგ მხარდამხარ ბრუნდებიან,

ცისფერ საფარველს შეურბგვენ  
სამყაროს დილა-უთენია.

ეს მერამდენე აპრილია,  
მიწა სიმწვანით იბურება,  
ის ვინც პირველი გაგაცილეთ,  
ვუცდით და აღარ გვიბრუნდება.

• • •

ენკენიობის კვირბაღსზე,  
მინახავს ხარი, როგორ დაუკლავთ,  
წახვლია სხივი ნაღვლიან თვალებს  
და ტყავი მისი ფართო და მკვრივი,

წამახულ ჭალზე დიდხანს შრებოდა  
და შესცქეროდა მეზობლის ქვრივი,  
თვალცრემლიანი და ფერმიხდილი,  
თურმე საოცრად ჰგვანან ერთმანეთს  
სოფლისკაცის და ხარის სიკვდილი.

• • •

რა წინაპრები გვეოლია,  
ვერ ვიტყვიტ დანაზრახებდად,  
მტერზე იტყოდნენ დაგზდეთო,  
კიდეც იტყოდნენ დახვედრა.

იქმოდნენ ომსა ფიცხელსა,  
სიკვდილზე არვინ ფიქრობდა,

რუსთველიც ასე იტყოდა,  
დავითიც ასე იქმოდა.

ქველნი წასულან ყაბახზე,  
მეოზი მომდგარა მეოზისა,  
დარდი კი არა ქედებზე,  
ჯანღი წვეს ქრისტისობისა.

## ს თ ვ ე ლ ი

დღე მოძალებულ კაეშანს მალაგს,  
სეირნობს სევდა გაკრეფილ ბაღის,  
მწყემსი ბიჭები მისდევენ ჭალას,  
მიბღაღებენ დამშვეულ ნახივს.

მიშქრალ მწვერვალზე გადადის ჯანლი  
და ცა იჭუნეულ მოლოდინს ბადებს,

არაგვს მიჰყვება მეთვეზის ბაღლი  
და ვაჭაკაცივით მიისვრის ბაღეს.

ქვიის ფრინველი დასტად და დასტად,  
იხვევს ნოემბრის უფერულ ნობათს,  
ვზივარო თითქოს დუმილის ზღვასთან  
და ვუთვალთვალვებ მიმავალ ხომალდს.

. . .

უქმე დღე,  
მოჩანს შორი აღგეთი  
და სამხრეთისკენ მიდის არაგვი,  
ხშიანობს ჩემი ძველი ბერდღედა  
და სამრგვლოზე ჩიტთა ქალაქი.

შვეისწარ წამი, რომელიც შედის  
სულში, ამოდ სტოვებს ზაფრანებს,

ფშავლის გოგონა—დამფრთხალი შველი  
და მეწამული მზის სასაფლაო —

ავსებენ მზერის უმკაცრეს ბინდებს  
და ფერმისდილი ნისლის კოტორი,  
მოგვასხლება, გიხილავ ვიდრე  
და ტყეს დასცვივა მწვანე ფოთოლი.

## ს ა ლ ა მ ო

ქანსულ ჩარკვიანს

ნაცნობი მხარის დათოვლილ ქედებს,  
დაუფინება ჩრდილი გვიანი,  
მზე მიდის,  
მიდის ძალზე საოცარ  
და ვნებიანი შუქის ციალით.

გაგვიღება ღრუბელს ღრუბელი  
და გადათქერავს ყველა დანარჩენს,  
და მოვარესავით მაღალი კაცი  
დგას და ვარსკვლავთა გზას უდარაჯებს.



რედაქცია მიხვალაძე

# ნო ვ ე ლ ე ბ ი

## ნაღირობა

— სვამ?

— არა, შენ?

— არც ერთ წვეთს...

მიაბიჯებენ ისინი ნაცნობებით საესე ქუჩაზე. მიაბიჯებენ მოწყენილი სახეებით. იცქირებიან ოდნავ მაღლა და პირდაპირ. ერთმანეთს იმაში ჰგვანან, რომ დაბერილ თვალთა უბებში ორივეს კეთილი ღიმილი უკრთის. ნიკოს უშველებელ კაშნეს შიგნით მოუჩანს თეთრი პერანგის გაცვეთილი საყელო. კოტეს — გულმოდგინედ დაქმუშვნილი პიჯაკის გულისჯიბიდან გაურკვეველი ფერის ცხვირსახოცი. საუბრობენ რბილი, ხავერდოვანი, ოდნავ ხრინწიანი, მაგრამ ვაჟკაცური ბარიტონით. ნაცნობებს სიყვარულით უღიმიან და გულისამაჩუყებელ საღამოს აძლევენ, მაგრამ როდი უჩერდებიან. მიდიან მძიმე და გრძელი ნაბიჯებით, ერთხელაც არ გაიხედავენ მაღაზიების კოაწია ვიტრინებისაკენ. იცქირებიან წინ და ოდნავ მაღლა და ამიტომაც საუბრის დროს ერთმანეთს არ უყურებენ.

— დაინახე? — ყოველთვის კოტე იწყებს.

— კერა.

— ლიზამ ჩაგვიარა.

— რა მნიშვნელობა აქვს, — თავს არ აბრუნებს ნიკო. მაგრამ ხმაში ეტყობა, რომ მისთვის სულერთი არ არის, ვინ ჩაიარა.

— ალბათ დგას და გვიცდის, მიებრუნდეთ?

— არა.

— დაბერებულა.

— ჰოო?

მიდიან ჩუმად. გრძელი საქმიანი ნაბიჯებით. ორივეს დამამშვიდებელი ბუნებრიობის ელფერს აძლევს უკან, კისერში ჩასული თმა და მოშვებული მხრები. კოტეს ეჩვენება, რომ ირგვლივ არანორმალურად ჩქარა და გულმოდგინედ დადიან. დადიან სერიოზული ფუსფუსით საოცრად წვრილმან საქმეებზე. და ამ ზრუნვით დამუხტული ადამიანების ფონზე უფრო თვალშისაცემი ხდება ორი შეგობრის ძალდაუტანებელი, მშვიდი მანერები.

— გული რას გიშვება? — სინჟმის ეშინია კოტეს.

— მუშაობს.

— „სტუკს“ არ გაძლევს ხანდახან?

— რა მნიშვნელობა აქვს.

— არ უნდა დალიო.

— ვიცი.

— არაფერი არ უნდა დალიო.

ნიკო ერთბაშად გაჩერდა და გველ-  
ნაკბენივით შემოტრიალდა.

— წუხელის... ვწვევარ ფიზიკური ბუ-  
ლალტრით. რამ უნდა დაგაძინოს,  
მიოხარი. საათი ხომ მუშაობს, მი-  
ოხარი. ცოლს ხომ სძინავს, მიოხარი.  
ქვეყანა ხომ ტრიალებს, მიოხარი.  
ჩემმა ქვისლამა მგზობელს უჩივლა სა-  
რეცხის თოკს მპარავსო... რამ უნდა  
დაგაძინოს, მიოხარი... წამოვკეჭი.  
ათასნაირად ამუშავდა ტვინი. ყველა-  
ფერი აგერ მოვიდა; კისერში მომაწვა,  
გულში დამიწყო ფათური და ვიფიქრე  
ვიკვლევდი-მეთქი. ასე ჩუმად არ გავ-  
გიჟდე-მეთქი და ვიყვირე, ვიყვირე,  
სხვა რა უნდა შექნა, მიოხარი? — ამ  
სიტყვებს ნიკო ხმის კანკალით ამბობს,  
ახველებს და სამ თითში მოქცეული  
დალეული სიგარეტი ტუჩებისკენ მი-  
აქვს.

— ხომ იყვირ? — კარგა ხნის შემ-  
დეგ ეკითხება კოტე.

— კი.

კარგი ვიქნია

— ჩემი ცოლი მეუბნება ამ დღიდან,  
მიდი და რუბენას ეჩხუბეო.

რუბენას რა ველაპარაკო, მიოხარი?  
ძვლებს მიწონისო-მე საკატლეტ ხორცს  
ვეუბნები და ის საბორშეს შაძლევსო.  
რა გაცივებს, მიოხარი. მივსულიყა-  
ვი რუბენასთან და მეტყვა: რუბენ,  
ეს ქალი ჩემი ცოლია, თუ კაცი ხარ,  
ძვლებს ნუ დაუწონი-მეთქი? მივსული-  
ყავი, მიოხარი?

— დალევ რამეს? — თითქოსდა ნე-  
ბისყოფის შესამოწმებლად ეკითხება  
კოტე.

— არა, შენ?

— ირც ერთ წვეთს...

მოსახვევიდან დაგუდული დიღინი  
ისმის. ტროტუარზე ამოდის მთვრალი  
მოქალაქე და პირდაპირ მოიარწვეა.  
იგი კისერგამეშებული ათვლიერებს  
გამგლელებს და უნდა ყველას გააგო-  
ნოს გაუგებარი სიტყვები სიმღერისა,

რომელსაც უაღრესი მონდომებით გა-  
ყვირის. იგი როდი მღერის, რეკ უტრ-  
ში ჩასძახის ყველას, ვისაც ავადმყო-  
ფურად ფიზიკური სახეებით და სუფ-  
თად გაპარსული ყუბებით მიეჩქარება  
თავის წვრილმან საქმეებზე.

მეგობრები შეჩერდნენ. ისინი დიდ-  
ხანს დაკვირვებით აჩერდებიან მთვრალს  
და თავებს აქნევენ.

— ვინ არის? — ისე კითხულობს  
ნიკო, თითქოსდა ბოდის იხდის, რომ  
ამ ქუჩაზე მისთვის უცნობმა მთვრალმა  
გაიარა.

— ეშმაკმა იცის.

— მთვრალია — დაასკვნა კოტემ.

— არ არის ახლა ის საცემი? მიო-  
ხარი! — თითქოს მთვრალს პირველად  
ხედავსო, გაიკვირვა ნიკომ.

— მთვრალია. — შორიდან, მშვიდად  
მიუგო კოტემ.

— რამ გააგიჟა, მიოხარი? — არ ის-  
ვენებს ნიკო.

— მთვრალია.

— თუ არ შეუძლია, ვინ აძალებს  
მიოხარი.

— მთვრალია. — მსოფლიოს ყველა  
მთვრალი კაცისადმი არაჩვეულებრივი  
მოწიწების და თანაგრძნობის იერით  
ამბობს კოტე.

— დავეწიოთ და სახლში მივიყვა-  
ნოთ, ცოდოა, — მოლბა ნიკო.

— ტაქსის ფული ვაქვს?

ნიკომ ჯიბე მოიქექა.

— მაქვს.

და ისინი მიდიან.

\* \* \*

ეს იყო წინა პარასკევს. მთვრალი  
მოქალაქე, რომელიც ნიკომ და კოტემ  
სახლამდე მიაცილეს (და ამით ვინ  
იცის, რა ხიფათს ააცილეს. იდეალურ  
შემთხვევაში მას გამოსაფხიზლებელ-  
ში მოხვედრა მაინც ელოდა), აღმოჩნ-  
და ლომბარდის თანამშრომელი ბესა-  
რიონ თელია. ბესარიონი მთელს ქა-  
ლაქში განთქმული მოადირე იყო და,  
თუმც იმ საღამოს ფეხზე ძლივს იდგა.

მაგრამ მაინც მოახერხა კვირა დღით ნიკოსა და კოტეს დაპატივება კურდღელზე სანადიროდ. დილას ხუთ საათზე ჩემთან იყავით, არ მომატყუოთ, სინდისს გაფიცებთო, დაანამუსა მეგობრები ბესარიონმა. შინ რომ ბრუნდებოდნენ, ნიკოს თოფის და კურდღლის ხსენებაზე ეცივნებოდა, მაგრამ კოტემ, როგორც იქნა დაიყოლია, მაინც არ ვსვამთ, რა უნდა ვაკეთოთ, მოდი წავიდეთ, ერთხელ მაინც ვნახოთ ნადირობა, ფიცში ჩასაყოლებლად მაინც გვექნებაო.

1976 წლის 11 სექტემბერი იღვანდნავ შეთენებულზე ბესარიონ თელია მეგობრებს ჭიშკართან შეეგება. ვაჟაკები თქვენ ყოფილხართ, არ მეგონა თუ მოხვიდოდითო, შეაქო დამწყები მონადირენი, თითო თოფი ხელში შეაჩეჩა, ზურგჩანთა მოიარო, გრძელყურება ბებერი პოინტერი მოკლე საბელით დაიჭირა და სადგურის გზას დაადგა.

—მატარებლით მივდივართ? — ისე გაიოცა ნიკომ, თითქოს მონადირეთათვის ტრანსპორტის სახეს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

— კიე. თხუთმეტ წუთში გადის ახლა ფოთი. აჯამეთამდე ჩავყვებით და იქიდან ფეხით გავალთ. წუხელის პატარა წამოწვიმა და დაყრიდა მწყერს, კურდღელიც არის. სხვათა შორის წინა კვირას წამოავადო ამან, მაგრამ ახლოს მისდევდა ძალი და არ ვესროლე. შენ მასე მოდიხარ? — ნაბიჯის შეუწყნებლად ჰკითხა ბესარიონმა კოტეს.

— ჰო, რაღა რა უჭირს?

კოტეს საგარეოდ ეცვა — შავი დაუმუქენილი პიჯაკი და ფირმა „სხივის“ მიერ გამოშვებული უშველებელი ძალსტუხი.

— არაფერი, მარა ჩაგეცვა უფრო ხალვათად, სანადიროდ ვალსტუქით წასვლა გამიგონია?

— ვალსტუქს მაგი ლოგინშიც არ იცილებს, — ჩაქილია ნიკომ, თუმ-

ცა არც მის წაემულობაში იყო რაიმე სპორტული და მონადირეული.

ტილოს თეთრი ტუფლები ეცვა, ჭრელი ფართხუნა შარვალი და პარუსინის თეთრი პიჯაკი, თავზე ჩაჩი არ ეხურა, თორემ სხვაშრივ ზუსტად ისე ეცვა, თრმოცდაათიან წლებში კლოუნები რომ იცვამდნენ. ხელში სანოვავის ჩანთა ეჭირა, ეტყობოდა, ჩანთა მძიმე იყო, რადგანაც ნიკოს იგი სიარულის დროს ხელიდან ხელში გადაჰქონდა.

მატარებელმა მონადირენი აჯამეთის ბაქანს შეატოვა. ბესარიონმა ძალი აუშვა თოქი ყოველშემთხვევისათვის ბუდიდან ამოიღო და არხის სანაპიროს ჩაუყვა. ვალმა ნასიმინდარში უნდა გავიდეთ, თვარა აქეთ არაფერი არ არის. ყველა მოხალისე აქედანვე იწყებს თოფის ბათქუნსო. ყურმა ერთი ორჯერ გაშლივინ-გამოშლივინდა ნაყანევში, მაგრამ პატრონმა შეუძახა „უკანო“, და მორჩილად მიჰყვა ბესარიონს იმ იმედით, რომ სარბენი და საქინამაო დღეს საკმაოდ ექნებოდა.

კოტე და ნიკო ასე ჩქარ სიარულს არ იყვნენ მიჩვეულნი. სირბილით მიჰყვებოდნენ ვანთქმულ მონადირეს. მერე სუნთქვა რომ აუჩქარდათ და მუხლებში დაღლა იგრძნეს, ერთიმეორეს თვალი უყვეს და ჩვეულებრივი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ გზაწვრილს. ამოდ ემუდარებოდა ბესარიონი გამოადგით ფეხით.

— კაი ახლა, ბესარიონ ბატონო, იმ ერთი კურდღლის და ხუთი მწყერის გულიზა ნუ დაგვხოცავ დღეს რაც შეგვიძლია მოგყვებით — დააწია კოტემ.

ბესარიონი წინ გაიჭრებოდა, მაგრამ კოლეგებს ხომ ვერ მიატოვებდა და მოსახვევთან კბილების კრაჭუნით უცდიდა ჩამორჩენილებს.

— რა გაცინებს? რა გიკვირს, შე კაი კაცო. როდის იყო რო დავბოდი, ამას რომ თავი დავანებოთ, ბაგ-

შევბი კი აღარ ვართ ორმოცდახუთთბ გავხდი, მე ახლა ოცდაორ გიორგო-ბისთვის. კოტე უფროსია ჩემზე ორი წლით — ქომინით და ცოტა საყვედუ-რითაც უთხრა ნიკომ ნადირობის ტრფილს, როცა ამ უკანასკნელმა კი-დეც ერთხელ მოუწოდა ახალბედა მონადირეებს ნაბიჯის აჩქარებისკენ.

— მე რაღა უნდა ვთქვა მაშინ. ორ-მოცდაშეთვრამეტეში გადავდექი.

— შენი ამბავი სხვაა. შენ ამ საქმეს აღგიხარ შენი დღე და მოსწრება. ჩვენ თოფი მართო ახალ წელს თუ გვისროლია აივნიდან. ვის ქონდა ნა-დირობის დრო და თავი. თითო ცის-ტერნა ღვინო გვაქვს დალეული.

— „სუხოი ზაკონზე“ არც მე ვარ მა-რა, ეს ნადირობა ძან მშველის. მუხლს გამართავ კაცი. სუფთა პაერს გადაყლაპავ. თვარა დაუღვევლად ვინ გაგაჩერებს.

— სვამთ თქვენც? — გაიოცა კოტემ.

— აბა რას შერება — კვერი დაუქ-რა ნიკომ მონადირე — მასპინძელს და ამით კოტეს აგრძნობინა — „შენც ეკითხები რაღა. ამის დალევა და ჩვე-ნი დალევა ერთიანო? ჩვენ რო გადაე-ბამთ ორთვიანს ხანდახან, იმის გამ-ძლებია ესო?“

სველი მიწის სუნი ცხვირში უღიტი-ნებდა მიმავალთ. ნიავი არ იძვროდა. მზე ჭერჭერობით არ იკბინებოდა, მაგ-რამ ეტყობოდა, რომ დღეს გვარიანი სიციხე იქნებოდა.

არხზე გადებულ ორ მორზე პირვე-ლად ნიკომ გადაიარა და პირდაპირ შუა ყანაში განმარტობით მდგარი ცაცხვისაკენ გაემართა. როცა დანარ-ჩენები მოახლოვდნენ, ნიკო პირაღმა იწეა ბალახზე და ლურჯ, სუფთა ცის შეპყურებდა.

ბალახზე კოტეც მოწყვეტილივით დაეშვა. ბესარიონმა ყურებიდან ბირ-კა, ჩამოაცალა აქლომინებულ ძაღლს და ჩაილაპარაკა, — შეიკლავს ეს ბირ-კა, ამ საწყალს ხელში დღეს. არა

და ისე გემოიანად ეხვევა ბალახში, რომ ვაი დედან აძახებინებს, ძაღლმა, თითქოს პატრონის სი-ტყვებს მიხვდაო გაქცაყურად აიტანა ბირკის გამოცლის ტკივილები და ხმა არ ამოუღია.

— ჰე, რაღა წამოგორდით მხართე-ძოზე. რამ დაგვალათ ჯერ. წოლის დროა ახლა? — ბესარიონმა რეზინის ჩექმის თასები შეიხსნა და მუხლს ზემო შუა ბარძაყებზე შეიკრა.

— სამოთხეა გელაპარაკები, რამე სჯობია აქ ყოფნას? — ცისთვის თვა-ლი არ მოუშორებია ნიკოს.

— შეეუწყეთ ახლა, თვარა დაგვა-გვიანდა ისედაც. მზე რომ ძაღლა აი-წევა, კეტი რომ ურტყა ვერ ააგდებ მწყერს.

— რატომ? — ზარმაცი კაცის ინტო-ნაციით იკითხა კოტემ.

— ვერ იბოვის ძაღლი. ახლა დილაა და ყველაფერს დამინდელი სუნი ას-ლის. ძაღლი კვალს ადვილად აგნებს. მზე რომ ვაახურებს და გამოაშრობს ყველაფერს, მერე სუნი ისე აღარ იგრ-ძნობა. ძაღლი ადვილად კარგავს გეშს.

— რას ლაპარაკობ? — სიტყვის მი-საღალ იკითხა ნიკომ და დაკვირვებუ-ლი ყური ადვილად შეატყობდა, რომ მწყერის აფრენის პრობლემით იგი ნაყ-ლებად იყო დაინტერესებული.

— ახლა არ გეწყინოთ არც ერთს და უნდა დამიჯეროთ. მე მეტი კი არა-ფერი ვიცი. თოფთან გვაქვს საქმე და თოფს, გავონილი გექნება, შე-თამაშება არ უყვარს. სამივემ ერთ მწყერებზე ვიაროთ. გვერდი-გვერდ, ასე სჯობს. მარცხის საშიშროება ნაკლე-ბია ერთი მეორეს ოთხი-ხუთა მეტრით დაეშორდეთ. ჩახმახი ფეხზე ჯკონდეთ. ვის მხარეზეც გააკეთებს ძაღლი ნა-ბულს, პირველად იმან უნდა ესრო-ლოს. ნელა ვიაროთ, ძაღლს დევნა არ დაუწყეთ. იცის იმან თავისი საქ-მე. ჯერ პატარა შორს გავარდება, წრეს დაარტყამს და მერე თანდათანობით ჩვენს ახლოს შემოიტიყუებს მწყერს.

ეშმაკს თვალი არა აქვს. აფრენისთანავე არ ესროლოთ. შიდალი სიმინდია. სათოფე მანძილი კარგად არ ჩანს. აცადეთ, ცოტა, აიწიოს მწყერმა მალა და მაშინ ესროლეთ. მე უფრო კურდღლის მეშინია. კურდღელმა ხანდახან უძაღლოდაც იცის გამოვარდნა. თუ მოხერხებულ ადგილზე არ ხართ, არ ესროლოთ ჯობია. მარცხი ერთწამსაა — დამოძვრა ბესარიონმა მონადირენი, სავაზნედან ოთხ-ოთხი ვაზნა ამოიღო და წამოწოლილებს ბალახზე დაუყარა; ჯიბეში ჩაიწყვეთ, უცებ გამოცვლამ რომ მოგიწიოთ, მზად იყავითო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ნიკო უკან გადაიხარა, წამოუდგომლად მიწვდა ცაცხვის ძირში დადგმულ სანოვაგეს, ახლოს მოაჩოჩა და არყით სავსე გრაფინი ამოიღო.

— რას შვრები?! — ელდა ეცა ბესარიონს.

— ბესარიონ, ბატონო, — შევედრა ნიკო — თითო ყლუბი არ გადავკრათ?

— რავე გეკადრება. ნადირობის წინ დაღვევა ჭერ კაცს არ გაუგია ჩადვენი მაგი უკან და წავიდეთ ახლა, დაღვევა მაგის დროც.

ნიკოზე ამ სიტყვებს დიდი გავლენა არ მოუხდენია იგი მრგვალად მოხარულ ღედალს ვაზეთს აცლიდა და სათითურის მსგავს ჰიქებს ბალახებში მოხერხებულად დგამდა.

— ახლა თუ მე ვარ უფროსი დამიჯერეთ. თვარა და წავიდეთ სახლში. არაფრით არ გამოვა მაგ ამბავი!

— რა არ გამოვა? — გულწრფელად იკითხა ნიკომ.

— დაღვევა

— ვინ სვამს მერე? — ჩაერთო კოტე — რას უძახი შენ ბესარიონ ბატონო, დაღვევას? თითო სათითურით ჩვენი დღევანდელი ნადირობის სადღეგრძელო რომ დავლიოთ. პატარა ნასიათზე მევიდეთ. დაღვევას ეძახი ამას შენ?

— მე წავედი აბა და, რავე არ გინდათ თქვენ! — ყანისკენ გააბიჯა ბესარიონმა.

ნიკომ და კოტემ ერთმანეთს შეხედეს.

— ნუ გვიხამ ამას, ბატონო. შენი ხატრით და პატივისცემით, თვარა, მწყერი ვნახე დამწვარი და ამოდაგული. მწყერის საღვენად წამოვიდოლით ჩვენ?

— არ შეიძლებათქვა გელაპარაკებით. იარაღთან გვაქვს საქმე.

— რა არ შეიძლება? — საჭიროზე უფრო მიაშიტად იკითხა კოტემ.

— დაღვევა. — მწყრალად მიუგო ბესარიონმა და ვანზე გაიხედა.

— ეინ სვამს მერე? სმა და უბედურება რომ გვდომოდა, აქ წამოვიდოდით? ვისაც დაღვევა უხარია, შავად ექცეს ეს დღე. ლოთობა და გადარევა სხვისი მეზარება.

— დაღვეთ, აბა, თითო ყლუბი და ადექით. წამევიდა შუადღე. მე წვეთს არ ვავისინჯავ ტყვილა. ვფიცავარ გამჩენს! — მტკიცედ განაცხადა ბესარიონმა.

— ვინ გასწევს კაპლს, ბატონო ბესარიონ? — გაეცინა ნიკოს. — სადა ჰიქებით სასმელი კაპლი. თუ დავაღვეთ დღეს კაპლი, ცოლ-შვილი გამოწყდეს.

— დაღვეთ და მორჩით ჩქარა. წამევიდა შუადღე! — ხუმრობის გუნებაზე სულ არ ჩანდა ბესარიონი.

ნიკომ სათითური გააგსო და ბესარიონს გაუწოდა.

ბესარიონმა ხელები გასავსავა და ზურგი შეაქცია.

— ბატონო ბესარიონ, — წინიდან შემოუარა კოტემ — რავე გეკადრებათ, ბატონო ბესარიონ. გამოწვდილ ჰიქას მტერს გამოართმევენ.

— ვითხარით, არ დავლევთქვა.

— რას ეძახით დაღვევას. ვადავირევი ახლა, ბატონო ბესარიონ, ეს ერთი სათითური, გინდა იქით ყოფილა, გინდა აქეთ. ამაზეა ლაპარაკი!

— წესი არაა, წესი!

— დამელალა ხელი, ბატონო ბესარიონ, — ლამის ტირილით უთხრა ნიკომ.

ბესარიონი გულმოსული შემობრუნდა. ნიკოს ჭიქა გამოვლიჯა, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოსო, თქვა და გადაპკრა. არაყი მავარი გამოვდა. ბესარიონი მარჯვენა ხელით ჭიქას უბრუნებდა ნიკოს, ხოლო მარცხენას ღია პირთან მარაოსავით იჭნევდა.

— მიაყოლეთ რაღაცა, — უთხრა ნიკომ და დაასხა.

— არ მინდა.

— წეიტებე პური. თვარა დაგწვავს, სამნახადია — გაუღიმა კოტემ და ჭიქას სამი თითი შეაგება.

კოტემ მალლა აიხედა და სადღეგრძელო დაიწყო.

— აღამიანი გუნებაა — მეტი არაფერი. ისე, რომ დავეუკირდეთ, ის ჩიტი გვჯობია ევერ ე, ხის წვერზე რომ ზის. „ცხოვრება გაილამაზეო“ — თმარ ხაიამი იტყოდა. რა ვართ? მეტი არაფერი. რა ცოდვა მიგვიძღვის ასეთი? ვინ დაგვწყველა ასე? დედამიწაზე მცხოვრები ოთხი მილიარდი კაციდან სამი-ოთხის გარდა დილიდანვე იწყებს ფიქრს იმაზე, რითი გაიმწაროს ცხოვრება. გამოვუვინეთ ჩვენს თავს ათასი სატიკივარი: კარიერა, ბინა, პოლიტიკა, ფული, რა უსუსურები, რა მასხარები გამოვჩნდებით, ალბათ, სხვა პლანეტიდან ჩამოსული კაცის თვალში. ჩამოვუკეი ერთ წუთს, ბატონო ბესარიონ. ნუ გეჩქარება ყოველთვის. არსად წაგივია, ნუ გეშინია, შენი მოსაკლავი კურდღელი. იცოცხლოს ერთი ნახევარი საათით მეტი, არ დაიქცევა ქვეყანა. ამ სიჩქარემ დაგვლუბა ჩვენ. სად გავრბივართ, სად მივერგეკებით ისედაც დაწყებამდე მისულ ნერვებს? იცოლეთ ყველამ — ერთადერთი ხასიათზე ყოფნაა. მოდიეთ ამდღიანდელ ჩვენს კარგ გუნება-ხასიათს გაუმარჯოს.

— გაუმარჯოსო, — დაუდასტურა ნიკომ და დალია.

ბესარიონს გულის სიღრმეში ძალიან მოეწონა სადღეგრძელო, მაგრამ არ შეიძინა, ცაცხვის ძირიდან მაყვლის ბუჩქამდე ნერვიულად მიმოლიოდა.

ძალდი დაიღალა ლოდინით, ბალახებში წამოწვა და დიდი, წითელი ენა გადმოავლო.

კოტემ ქათამი ოთხად გახლიჩა.

— ერთს მე ვიტყვი და წავიდეთ. — საქმიანად თქვა ნიკომ და სავსე ჭიქა ბესარიონისკენ გაიშვირა.

ბესარიონმა მოიხედა და მისკენ გამოწვდილი ჭიქა რომ დაინახა, ყანაში შეკლოვიჩნდა. კოტე ელვისსისწრაფით მოწყდა ადგილს, გაქცეულს გამოუდგა, დაეწია და თითქმის ძალით მოაბრუნა.

— ისე გამომართვი, ნუ დალევ.

— რა არის ახლა ეს. არ შეიძლება თქვა რომ გეუბნებით, ძალდი ვარ მე? თუ ამ საქმეზე წამოხვედით, მე რაზე მაცდენ, შე კაი კაცო.

კოტემ ჭიქა მიაწოდა და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გაუმეორა. — სიტყვა გვიტხარი მარტო, დალევით-ნუ დალევო.

ნიკომ დაიწყო:

— ჩვენ ახლა შუახანს გადაცილებული გვეთქმის. რას ველით, რაღას ვეიმედებით? დაყაჭდნენ უკვე ჩვენი პებლები. ახლა მალე დაგვეწყება სიბერის გრძელი ღამეები. ეს ყოფილა რაღაცა. ჩვენ რომ სხვა რამ გვეგონა ცხოვრება, ა, ეს ყოფილა სულ. ახლა ქე ვიცით, ახლა ქე ვხვდებით. ბევრმა ჩვენზე უარესადაც იცხოვრა, იშვენმა რაღა თქვან მაშინ. კი, მართალია ჩემგანაც ბევრი დავაკელი, მარა არც ჩემმა წილმა იღბალმა ამაყვავა მაინც-დამაინც რა მოვასწარ? ვერაფერი. მე ჩემს სიბერესაც კარგად ვხედავ. ნუ გეშინია, არაეინ ამიტოლახებს კარს, ავერ ბრძენი მოხუცია და ჰქუვა ვითხოთო. თურმე რაც ახალგაზრდა ხარ, იგი ბერდება. ჰქუას არაეინ

გამოვიცვლოს. მარა, კაცს კაცი იმიტომ ჰქვია, რომ იმედით ცოცხლობს თურმე. მოლოდინით უდგია სული რაღაცა კი მოჩანს იქეთა მხრიდან, რაღაცა კი გეჯღანება. მოდი ჩვენს ხვალეს, ჩვენს იმედებს, ჩვენს მოლოდინს გაუმარჯოს.

სადღეგრძელოს წყალი არ გაუვიდოდა. გენაცვალე სიტყვაშით, თქვა კოტემ და დასცალა. ბესარიონიც ააღელვა ამ სადღეგრძელომ, სხვა გზა არ ჰქონდა, უსიტყვოდ დალია. კბილებში ქათმის ფრთა გამოისვა და წამოდგა.

— ახლა ერთი შენ გვითხარი, ბატონო ბესარიონ. სამობითაა ღმერთი. გვითხარი, რაც გაგებარდება და მე-რე, თუ გინდა, ჯოჯოხეთის კარამდე ედიოთ კურდღელს. ასე არ ჯობია? — თვალბეში არაჩვეულებრივი შუქი ჩაღვროდა ნიკოს.

ბესარიონმა ძაღლს ძვალი გადაუვლო და ჰიქას მიწვდა.

— დაბრძანდით.

— არა, ასე ვიტყვი.

— სადღეგრძელოს სიჩქარე არ უყვარს. დაბრძანდი და ერთად ავდგეთ სამივე — არ მოეშვა კოტე.

ბესარიონმა ასეთი სადღეგრძელო თქვა:

— ახლა, ამ წუთში სადღაც გემის ბოლო ფიცარს ებლაუქება სასწაულით გადარჩენილი მებღვაური და კაცმა არ იცის დადგება თუ არა საშველი. ახლა ამ წუთში, სადღაც, უბედური დედა ზის მომავლადე შეილის სასთუმალთან და თავისი უმწიკობის გამო ტუტებს იხოკავს. ახლა გაურკვეველი მოლოდინით, უდიდესი ტყვილის თმენით მუშტისხელა თვალები ჰერისთვის მიუპყრია მშობიარე ქალს და კენისის. ახლა ამ წუთში რომელიღაც პლანეტას კომეტა უახლოვდება და ზამინე-

ლი ჯახანი გააყრუებს კოსმოსს. ჩვენ აქანა ვერაფერს გავიგებთ, მარა, სადღეოლი შესაძლებელია შუაზე გახლეჩილ პლანეტაზე ცოცხალი არსების ნატამალი ერთ წუთში გაქრეს. ღმერთო! შენ მოუმართე ხელი ყველა გაქირვებულს, ღმერთო შენ შეეწიე ყველა წყალწალბებულს, ღმერთო შენ მოკვარე საწაღმართო ჰქუა ყველა გონდაქარგულს და გზასაცდენილს.

ბესარიონმა თანამესუფრეებს შეხედა. კოტე და ნიკო საოცარი მოწიწებით და სიყვარულით შეჰყურებდნენ.

განთქმულმა მონადირემ დალია და პოროზონტს გახედა. არემარე ესხეფერა. ძაღლს პურის ნაჭერი გადაუვლო. სანადირო ბადე მოიხსნა და ბალახზე დადო.

სანამ მზე გადაიხრებოდა, ცაცხვისძირიდან ულამაზესი სადღეგრძელოები ისმოდა. როცა ხეატი განელდა და ცოტა დაუბერა, ხიმღერა ავუგუნდა. მონადირეთა პირობაზე მღერითად გვარიანად მღეროდნენ.

• • •

აჯამეთის ბაქანს რომ მოადგნებ, ახალი შეღამებული იყო. ფეხზე ძლივს იდგნენ. დროდადრო ერთმანეთს მკლავებს შეაგებებდნენ. ფერხულის მოციკვავებებით წრეს შეკრავდნენ (ამით ერთმანეთსაც ამაგრებდნენ) და მღეროდნენ.

— თოფებს მოკიდეთ ხელი. აბა ჰე... ერთად... ცას დოუმიზნეთ და გავისროლოთ სამივემ. აბა ჰე. ნიარცხვილია. სუფთა თოფებს ვერ მივიტან სახლში. აბა-ჰე... ერთი, ორი... სამი..!

აჯამეთის ბაქანზე სამმა თოფმა ერთდროულად დაიგრილა.

ახლომახლო არაიენ იყო, რომ გავკვირვებით მაინც გაკვირვებოდა.

სტუმარი

საქართველოს  
საზოგადოებრივი

იგორ კვესელავამ ჯერ ჰუმურტანაში შეახვდა და რაეი დარწმუნდა, რომ კარი შიგნიდან იყო დაკეტილი, ზარის ღილაკს თითი დაჭირა. გვერდით მდგომ შუახანგადაცილებულ გრუხათმიან ათლეტს გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

— შინ არის.

— რას შერება? — დაბნეულად იკითხა სტუმარმა.

— შინ არის მეტი?

— ვინ?

— ჩემი ცოლი.

სტუმარი დაშვიდდა. იგორს მოეჩვენა, რომ კარის გაღება დაუგვიანეს და გრძელი, გაბმული ზარი დარეკა.

— რომელი ბრძანდებით? — მოისმა შიგნიდან და ქალბატონმა კირამ კარი იმხელაზე გამოადო, რა საშუალება-საც რკინის მოკლე ჯაჭვი აძლევდა.

— რა მოხდა, ხანძარია? — ჰკითხა ცოლმა, — აბაზანაში ვიყავი შესული ერთწამს.

— კაცი მახლავს, გააღე ჩქარა, — საქმეზე გადავიდა იგორი.

— უი, ჩემი სიკვდილი, ახლავე ხალათს მოვიცეამ! — იყვირა კირამ და გაუჩინარდა.

— რაო, რას ამბობს? — დაინტერესდა სტუმარი.

— ახლავე ჩაიცვამს და გააღებს. ბოდიშს ვიხდით, ძალიან შილიყად იყო. ცხელა, ხომ იცით... — მოიბოდიშა მასპინძელმა.

— არა უშავს, არა უშავს. მე ვთქვი ჩემი მოსვლა ხომ არ ეწყინა-მეთქი, — თქვა გრუხათმიანმა ათლეტმა, მხრიდან ზურგჩანთა მოიხსნა და ხელში დაიჭირა.

— თქვენთან კოლოები არის? — ჰკითხა სტუმარმა იგორს და გეგხარდა, რომ სანამ კარს გაუღებდნენ, საუბრის ასეთი საინტერესო თემა მოძებნა.

— საერთოდ კი, მაგრამ წელს რა-

ლაც ნაკლებად ჩანან. ისე, ნუ გეშინიათ, ჩემს ცოლს, ყოველ შემთხვევისათვის, ფანჯარაზე მარლას ჩამოვადარებინებ.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მაგ მხრივ თავი ქედში მიქვს. — გაიღიმა ათლეტმა, — კოლოები, ახლოსაც არ შეკარებთან, რეზუს უარყოფითი!

— აგაშენა ღმერთმა, — დალოცა მასპინძელმა, თუმცა გადაჭრით ვიტყვი, რომ სტუმრის სისხლის ხარისხი (თუ მიმართულება) იგორს შეხარბებით არ შეხარბება.

იგორი ნახევრადტექნიკური ინსტიტუტის უახლესი ისტორიის კათედრის წევრი იყო და თან საზოგადოებრივი მეცნიერების შემსწავლელ მეორად ფაკულტეტზე დეკანის უხელფასო მოადგილედ მუშაობდა. თავისი ლექციები და კათედრა იმდენ დროს ართმევდა იგორს, რამდენსაც საზოგადოებრივ საწყისებზე დეკანის მოადგილეობა, მაგრამ პროფესორი, ვინც ამ ფაკულტეტის შექმნას გადაყვა, იგორის ახლობელი კაცი იყო და მისი ახალგაზრდა ასისტენტი გარდაცვლილის ხსოვნას არ ღალატობდა. თანაც ამოღ ფიქრობდა უახლესი ისტორიის სპეციალისტი, რომ ამ მეორად ფაკულტეტს ოდენიმე წამდელი ფაკულტეტად გადააკეთებდნენ, ხოლო იგორის და მის მსგავს ენთუზიასტთა ღვაწლი მაშინ მაინც სათანადოდ დაფასდებოდა.

იგორი შეთხლებულ თმას კარგახანია მალა აღარ ივარცხნიდა ენობდა კიდევ, რომ სკოლიდანვე უკან გადავარცხნას მოაჩეია თმა. „თმა საითაც თვითონ მიდის, იქით უნდა ვამეშვა, ძემართულება რომ შევეუცვალე და ძალით ავჭაჩე მალა, სწორედ მაგან გამოვივინა, მეტმა არაფერმაო“, ფიქრობდა იგორი და ვინ იცის, იქნებ მართალიც იყო. ცისფერი ფართო თვალები ჰქონდა, სწორი, ლამაზი ცხვირი და წინ წამოწყული. ცოტა არ იყოს,

დიდი პირი. საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო, მაღალი და წვრილი, ქალური წარბები ჰქონდა. ვაბზარული ხმით შესამჩნევად ცხვირში ლაპარაკობდა. მშობლიური ენის ვარდა, არცერთ ენას არ ფლობდა საფუძვლიანად. წესიერი ჭინსი ვერ იშოვა და რომელიღაც უპატენტო ფარმის მიერ შეკერაილი ფართხუნა ჭინსი ეცვა. ოდნავ წამოხერხილ ლოყებზე და ჭიუტ ღიბზე ეტყობოდა, რომ ფიგურას მიინცდამინც არ უფრთხილდებოდა და დიეტით თავს არ იწუხებდა.

„მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — კარის გაღებისთანავე ისეთი გაბადრული სახით და დაშაქრული ხმით (ცოტა არ იყოს ხმაძალდა) თქვა ქალბატონმა კირამ, რომ უცნობს ჯერ შეეშინდა, რა მოხდა ნეტავიო, პირველად იგორს შეხედა და უკან დაიხია, მაგრამ იგორმაც რომ ხელები გაშალა, თავი დახარა და შესასვლელისაკენ მიუთითა, ეტყობა კარგადაა საქმეო, ივარაუდა ათლექტმა და დიდხანს და გულმოდგინედ უსვამდა ფეხებს მავთულის ბადეზე დაფენილ სველ ტომარას.

ზურგჩანთით ხელში სასტუმრო ოთახში შევიდა, მასპინძელი ნამეტანი არ შევაწუხოვო, სკამზე შემოუთავაზებლად ჩამოჯდა და ზურგჩანთა ფეხებშუა ჩაიღო. იგორმა ძალიან სთხოვა, თუ შეიძლება ამ ზურგჩანთას შემოსავლელში დავვიდებ, ხელი რომ არ შეგიშალოთო და სტუმარიც დათანხმდა. შემობრუნებისას მასპინძელმა ტელევიზორი ჩართო, გრუზათმიან ათლექტს თვალი ჩაუკრა, ერთი წუთით გამანთავისუფლეთ, ახლაც ყველაფერი იქნებოდა და რაკი სტუმარი ამ უკანასკნელ თხოვნას ვერ მიუხედა, სახეგაბადრული გაეკრდა საპზარეულოში. იქ კი დიმილი ელვისისწრაფით მოიცილა და უსერიოზულესი სახე მიიღო.

— მთელი საათი თავდაღმა იდგა, ბაზაზე თავკვეშელებამოდებულნი, აგერ

ზევით, ტბაზე. რომ გამოველაპარაკე, ხმა არ გამოვა. ვუყურე კაი ხანს და წავედი ჩემს გზაზე. ვხედავ, აგერ არ მორბის? ბოღისუ ვისბი ბატონო, წელიდან ხმა რომ არ გაგვეით, მარა იოგის ეარჯიშს როცა ვაკეთებ, ლაპარაკი არ შეიძლებაო. არა უშავს, მე ვუთხარი. თუ შეიძლება მითხარით ცისქვეშა მუზეუმი რომ გააკეთეს, რანაირად მივიდე იქო. მოსული ხართ და ესაა, მე ვუთხარი, მარა ახლა დაკეტილია, ექვსი საათია უკვე და ვინღა შეგიშვებთ აწითქვა. ამხელა კაცმა კინაღამ იტირა, არ ვიცოდი ექვსზე რომ იცეტებოდა, თორემ ვიჩქარებდიო. შე კაი კაცო, გულში ვთქვი, ერთი საათი თავდაღმა რომ იდექი, ჯერ მუზეუმი გენახა და მერე გეკეთებია ეს იოგი-მეთქი, თითქოს მიმიხვდაო, ტყიბულიდან მოვდივარ, მატარებელი გვიან ჩამოვიდა, თანაც ვარჯიშის გადაწევა არ შეიძლება, თორემ დღესვე ვასწრებდი დათვალეირებასო.

— ტყიბულელია? — ჰკითხა ცოლმა ქმარს.

— ტყიბულელს რა უგავს. ვერ ხედავ რა შავი ხუჭუჭია ფაფარი აქვს და ცოცხივით სქელი უღვაშები? ყვავეთიდან არის.

— აუპ, — შეიცხადა ცოლმა — ომ სიშორიდან რომ ჩამოიყვანა. არ გაილახებოდა გზაში საწყალი? — ქალბატონმა კირამ ფარდა ოდნავ გადასწია და სტუმარს შეხედა. გრუზათმიანი ათლექტი სავარძელზე თითებს ათამაშებდა, ტელევიზორს თვალს არ აცილებდა და სულ არა ჰგავდა გზისგან გაღაბულს.

— მოგზაურობს, დადის, აბა ჩვენსავით კი არაა მიბმული სახლზე. ჰკვირანი ხალხია. თავის ორი დღის წუთისოფელს შინაარსიანად ატარებს.

— რა უნდა ნახოს მერე, რაა იმ მუზეუმში. ცარიელი სახლებია, მეტი ზომ არაფერი.

— რატომ არაა, ათასი საინტერესო რამეა. ჯერ სახლები მარტო. საღ ნახავს სხვადასხვა კუთხის უძველეს სა-

ცხოვრებლებს ასე ერთად თავმოყრილს. ასეთი მუზეუმი თურმე მოფლიოში ცოტაა.

— ა კაცი, იმ სიშორიდან ჩამოვიდა და მე, ჩემდა სამარცხინოდ, ჯერ კი არ ვარ ნაყოფი. დღეს ვნახე, ხვალ ვნახე მეთქი და ქე მიმჩა ისე.

— არ გაამხილო, ქე მიინც, ამ უცხო ადამიანთან შენი სივლახე. რას იქვრიტები, კაცი არ გინახავს? ჩქარა ახლა, საქმეს მიხედე, შშიერი იქნება, მთელი საათი თავდაღმა იდგა.

— რა ვქნა ახლა? — შეშფოთდა კირა, — რა გვაქვს ამ უცხო სტუმრის გასაბედი.

— ჭადი გამოაცხვე, შაშხი მოხარშე, უყვართ მაგენს შაშხი, ლობიო გაათბე, ბადრიჯანი უნდა იყოს ქვევით ერთი ქილა, გავგისხენი, ჩემო ბატონო, ყველი, მწვანილი... თქმა გინდა? რაც მოახერხო, ყველაფერი ბოლოს კვერცხი და კარტოფილიც შეგვიწვი, რა ვქნათ აბა. ფული მომეცი და მე გავვარდები, ღვინოს მოვიტან.

— რა ფული მაქვს? — გაიკვირვა ცოლმა, — იმას მოვაკლო?

— მოაკელი აბა რაგა, ხელფასამდე მოითმენს. თერამეტში ვეიღებ და დავამატოთ. არ ეჩქარება ახლა, არა აქვს ისე საქმე.

ქალბატონი კირა საწოლ ოთახში გაეარდა და ფული გამოიტანა. ამასობაში იგორს ბოთლები ჩაელაგებინა და ჭუჭრუტანაში სტუმარს შესცქეროდა. ახლა იდგა ყველაზე რთული მომენტი: იგორი ბოთლებიანი ბადურით ხელში ისე უნდა გაბარულიყო სახლიდან, რომ სტუმარს არ დაენახა. კირამ კარი ოდნავ განოლო, მასპინძელი კედელს აეკრა და გამოცდილი დეტექტივით გაიჩინა კარებისაკენ. სახელური ფრთხილად გადასწია და წაშვი უკვე სამშვიდობოს იყო. სტუმარი ტელევიზორს თვალს არ აშორებდა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი

დიქტორი ლაპარაკობდა და გრუზია. ამიან შავგრემან ათლეტს ახლოტურად არაფერი გაეგებოდა. რაც მთავარია, სტუმარს მასპინძლის წასვლა არ შეუმჩნევია. იგორი მალე დაბრუნდა. შეუმჩნევლად დაბრუნების ოპერაციამაც კარგად ჩაიარა.

ქალბატონი კირა ცოშხ ზელდა. ხანდახან თითქოს რაღაც გაახსენდაო, თითო ფრთხილად გადასწევდა ფარდას და სტუმარს შეხედავდა. სტუმარს ძირს დაშვებული კეხიანი არწივისებური ცხვირი ჰქონდა. დამარღვეული ხელები ნიკაპქვეშ ამოედო და ლომის მაჭებიდან ძალა იღვრებოდა. ნეილონის თეთრი პერანგი ასკდებოდა ბეჭებზე. ფართომომხარების მალაზიაში ნაყიდი ძველმოდურად შეკერილი ბორღოსფერი შალის შარვალი ეცვა და შარვალზე ორფერში დაწნული ქამარი ეკეთა. ფეხზე უწინდებოდ ეცვა იაფფასიანი სამამულო რეზინის სპორტული წილები, რომლის თეთრი თასმები საგულდაგულოდ ბანტისებურად გაენასკვა და ფეხის ზურგზე, აქეთ აქეთ, კოხტად, თანაბრად გაენაწილებინა.

იგორი ღვინოს ბოთლებიდან პატარა კერამიკულ დოქში ასხამდა. იგი სამართლიანად ფიქრობდა, სუფრაზე დოქით მიტანილ ღვინოს სხვა ეშხი და ლაზათი აქვსო.

— მერე? — წელან დაწყებული საუბარი განაგრძო კირამ.

— მე ვთქვი, სტუმარი კაციო, კი საქმეზეა ჩამოსული, შენი ქვეყანა აინტერესებს. ზოგს ფეხებზე კილია შენი მუზეუმი. ჩამოვა და „შაშლიკს“ იძახის მაშინვე. მე ვთქვი, წამევიყვან სახლში და დაველაპარაკები ცოტას თქვა, ამის გაფიქრება და თვითონ მკითხა, თუ იცი სასტუმროში ადგილს ვიშოვიო? რად გინდათ, სასტუმრო, მე ვუთხარი, წამობრძანდით ჩემთან თქვა. ბავშვები სოფელში მყავს, არავინ შეგაუხებთ, მარტო ვართ სახლში თქვა.

გახებარდა, სხვათა შორის, თავბატივი არ გაუღვია, ა ეს იყო სულ.

— რა მოხელე ვარო?

— არ მიკითხავს.

— რა ჰქვია?

— არც მაგი მიკითხავს, ხომ იცი შენ!

— კი მარა, სახელი არ კითხე კაცს? აბა „იმანო“ ვუძახოთ ახლა მთელა საღამო? არ იცი მაინც, არაფერი შენ არ იცი. ჯერ მე რომ კარი გაგიღეთ, ვინ ვგონივარ აწი. არ უთხარი ცოლიათქვა?

— როგორ არა.

— მაგენს ასე უყვართ; უნდა წარმადგინო, გააცნო ჩემი თავი, მეუღლე ჩემი თქვა. მე ჩემს სახელს ვერცხვი და იქნებ იმან თავისი სახელი მითხრას. აბა ჰე, გავედით.

კირამ წინსაფარი მოიხსნა და სასტუმრო ოთახში შეაბიჯა, სტუმარმა მისკენ წამოსული გაღიშებული ცოლქმარი რომ დაანახა, ეტყობა რაღაც რიტუალს ასრულებენო და ფეხზე წამოსტა.

— გაიცანით ჩემი მეუღლე! — თავზიანად უთხრა იგორმა და მარჯვენა ხელით ქალბატონ კირაზე ანიშნა.

— კირა. — ხელი გაუწოდა და თავი დაუკრა დასახლისმა.

— სასიამოვნოა, სასიამოვნო — მასპინძლის ცოლს ხელი ღონივრად ჩამოართვა სტუმარმა.

ცოტა ხანს ერთმანეთს ღიმილით შესცქეროდნენ. ვინ იცის რამდენ ხანს იქნებოდნენ ასე, რომ მდგომარეობიდან გამოსავალი თვით კირას არ ებოკა.

— დაბრძანდით, — სთხოვა მან სტუმარს.

ათლეტმა სკამი ოდნავ უკან დასწია და მორჩილად დაჯდა.

ცოლქმარი ზურგშებრუნებულად და ღიმილმოუშორებლად დაბრუნდნენ სამზარეულოში. სტუმრის სახელის გაგების ამ ზეგნმა არ გაჭრა.

— რა ვქნა ახლა, სუფრასზე რომ

დავჯდებით მერე ვკითხავ, რა მნიშვნელობა აქვს რაცხა ჰქვია! მაგენს უმეტესობას თითქმის ერთნაირი სახელები აქვთ, — საბა, ამბროსი, კვირიანე, ფოცხვერა და შავლეგო. ამ სახელებიდან ერთერთი ერქმევა.

— ვარდუა მიკითხავთ ხომ არ ვიქცე? — იხუმრა ცოლმა.

— მაგი ქენი, მაგი. დაუჩქარე ცოტა დაღამდა კაი ხანია.

მასპინძელთა შიში ამოი გამოდგა. ქალბატონმა კირამ სანაქებო სუფრა გაშალა. გავი ბეუტავდა და მართალია, სარეკორდო სიჩქარით ვერ დაამზადა კერძები, მაგრამ რაც გააკეთა, ყველაფერი გულმოდგინედ და მაღალხარისხოვნად.

ზუსტად ათის ნახევარზე სტუმარს სუფრასთან უხმეს. სტუმარი წამოდგა და პირდაპირ სასადილო ოთახისაკენ გამოიქცა, მაგრამ „ხელის დაბანას ხომ არ ინებებთო“, იგორმა რომ ჰკითხა, მასპინძლის რჩევა ჰქუაში დაუჭრა, აბაზანაში შევარდა ისე სწრაფად გამოვარდა, რომ ვეჭვობ, იმ მოკლე დროში ხელების საპნით საფუძვლიანად დაბანვა მოესწრო.

სუფრასთან ყველაფერი გაიკვია. სტუმარი ენაწყლიანი აღმოჩნდა. მასპინძელთაგან მოულოდნელად მას აბლოთი რქმელდა. ორმოცდაცხრამეტი წლისა ვარ, მაგრამ ორმოცზე მეტს არასოდეს არ მიძლევენო. სისტემატური წვრთნით და წესრიგიანი კვებით მივალწვი ამ ამბავსო. ესთეტიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვარო, საკანდიდატო უკვე მზადა მაქვს და რიგს ველოდებიო. სტატიები კი მაქვს დაბეჭდილი, მაგრამ წიგნის გამოცემა ჯერ ვერ მოვასწარიო. არც ექპარობ, სხვათაშორის, ჩემი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნე ვარო. ცოლს ამ წელიწადნახევრის წინ გავშორდი. ძალიან კარგი მეუღლე მყავდა, მაგრამ სეირნობა უყვარდა და თავისი დაყინების გამო ბევრჯერ ამომავლო ფორმინდნო.

საერთოდ ადამიანი დამოუკიდებელი უნდა იყოფო. დილათ ადგომისას, პირველ რიგში, ნახევარ ჰიქა ცივ წყალს ვსვამო. მერე ვვარჯიშობ, ტანს ცივი ტილოთი ვიზელ და ვსაუზმობო. ერთი კვერციბი, ერთი ჰიქა მაწონი, ერთი ნაჭერი შავი პური და ცოტაოდენი ნაღულია ჩემი საუზმეო. ზუსტად თორმეტ საათზე ერთ ჰიქა მაწონს ვეახლებითო. შუადღისას ბოზბაშით (წვინანი), ზეთში მოშუშული კომბოსტოთი, დღევამოშვებით თევზის კერძით, ორი ნაჭერი შავი პურით და კომპოტით ან კისელოთ ვსადილობო. ხორცს კვირაში ერთხელ მივირთმევ და ისიც მხოლოდ ძროხის ხორცს ვივად მოხარულსო. ექვს საათზე უშაქრო ჩაის ვსვამ კარტოფილის ან ნაღულის ღვეზელით და ექვსი საათის მერე საკვებს არ ვეკარებო. მავარ სასმელებს არ ვსვამ, არ ვეწევი და ღამეს არასოდეს არ ვათენებო. დაწოლილი კითხვა თვალებისათვის მავნებელიაო. პეტიტის კითხვის დროს ასპროცენტიანი მხედველობის პატრონებმაც კი ოდნავგამადიდებელი სათვალე „+05“ უნდა ვაიკეთონო. ძილი ენერჯის აღდგენის უპირველესი საშუალებააო — ეს და სხვა ათასი რამ სასარგებლო უამბო აბლოთიმ იმ ღამეს მასპინძლებს. ღმერთმა შერგოს, მაღიანად ივახშმა და დაღვივითაც კარგად დალია, რომ შეზარხოშდა, სიმღერაც წამოიწყო, კარგა ხანს წამოწითლებული სახით, ხმაშაღლა მართმ იმღერა, მავრამ მასპინძლებმა მის ხმას ვასაღები რომ ვერ მოუტყბნეს, ხელი ჩაქნია და გაჩუმდა.

ვახშამმა, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, ვულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. როცა დღიური შთაბეჭდილებებით ვადაღლილმა სტუმარმა პირველად ჩაჰკიდა თავი, იგორმა თვალთ ანიშნა და ქალბატონმა კირამ სასტუმრო ოთახში ლოგინი გაშალა. მასპინძლები მხარში შეუდგნენ და სტუმარი მის-

თვის განკუთვნილ საწოლზე ჩამოსვენდა. სასთუმალთან სკამი მიუჩარჩნენ, სხაბუქ „ბორჯომი“ და ჰიქა დაუდგეს, სინათლე ჩაუქრეს და თვითონ ვალმობილები საწოლ ოთახში გაიკრიფნენ.

აბლოთი ცოტა ხანს უაზროდ მისჩერებოდა გამორთულ ტელევიზორს, მერე სწრაფად ვახიხადა და საბანი თავზეც წაიფარა. ცოტა ხნის შემდეგ სასტუმროში იგორი შემოვიდა. საბანში ჩაკარგული სტუმარი არ დაიხრჩოსო, ცხვირ-პირი გამოუჩინა, ზეწარა ზურგთან შეუკეცა და ვავიდა.

— გძინავს? — კარგა ხნის შემდეგ ჰკითხა კირამ ქმარს.

— რა იყო? — იგორმაც ვერ დაიძინა.

— მაინც უცნაური კაცი ხარ, რომ ვითხრა გეწეინება.

— რა მოხდა? — იგორი თავდაღმა იწვა და ცოლისთვის პასუხი რომ ვეცა, ტურები ვვერდზე სასაცილოდ უნდა მოეღრცია, თანაც დაარწმუნებული იყო, რომ ამ შუალამევიდასულზე მუსაიფის დრო სრულებითაც არ იყო.

— რომ მოგყავს ეს უცნობი კაცი ოჯახში, ეგება ბანდიტია, ადგეს შუალამისას და გამოგვეკრას ყელი ორივეს, არ ყოფილა შემთხვევა თუ?

— კაი, შე ქალო, რა უგავს ყელის გამოკერვლს, ზომ ხედავ რა წესიერი და კულტურული კაცია.

— საწყალი. ყაჩაღი კი ვერ მოგაჩვენებს თავს ორი საათით წესიერად.

— რაღაცაში მაინც ვაიყიდება. ზომ ხედავდი, რა კარგად ერკვეოდა ხელოვნებაში. ზეპირად ჩამოთვალა მიქელანჯელოს და ლეონარდოს ნახატები.

— და აქედან დაასკვენი, რომ დიდი მოწინააღმდეგე კაცია?

— არა აბლა, ქურდი, მეტი არა აქვს საქმე, შენი ვაძარცვის გულისთვის მსოფლიო ცივილიზაციას ეზიარება.

— რავე ჩამორჩი მთლად. შენ ქურდი მართო კალისტრატე მამაგეიშვი-

ლი გგონია, სარდაფებში რომ დაძვრებოდა და კვერცხს იპარავდა საბუღარიდან.

— ერთს ვიტყვი ახლა მე, — გადმობრუნდა იგორი.

— თქვი.

— რატომ თვითონ არ შეეშინდა? მე, უცხო კაცს, რომ მომყავს სახლში და მომყვება ცხვარივით, ეგება მე ვარ ბანდიტი და მე ვჭრი ყელს.

— შენ ბანდიტიც რომ იყო, რისი ხათრით გამოჭრიდი ყელს. — კირას გაეცინა — დამწნილი ქაშარი რომ უკეთია? თუ ფოსტლები რომ აცვია უწინდებოდ?

— ნუ იერიჰები. კაცია ქვეყანაზე და იმიტომ გვენდო. ხალხის ცნობა იცის და იმიტომ წამომყვა. იცის მაგან — ჩვენმა კაცმა სტუმრად თუ მივიღო, თავს განაცვალებს.

— მაინც არ შეიძლება ასე, უცხო კაცის შემოშვება სახლში. რომ რამე მოუვიდეს ეგება ბნედიანია. ეგება ღვინომ აწყინოს და ჩაგაკედეს ხელში, მერე? ამტკიცე შენი სიმართლე.

— კაი ქალო. დამაძინე. საქმე არაფერი გაქვს? არ წამჭამა ყურები? — იგორი ისევ მუცელზე დაწვა, რითაც ცოლს აგრძნობინა, საუბრის საათი დამთავრებულიაო.

ოჯახის მამას მალე ჩაეძინა. კირამ კი ერთხანს იწრიალა ლოგინში. მერე როცა დარწმუნდა, რომ ქმარს ღრმად ეძინა, ფრთხილად, ფეხაკრეფით წამოიღდა და საწოლი ოთახის კარები ყოველ შემთხვევისათვის, შიგნიდან გადაკეტა.

დილით ცოლ-ქმარს ადრე გაეღვიძა, მაგრამ კაი ხანს არ ამღვარან, სტუმარს კარის ჭრილზე არ გაეღვიძოსო. ცხრა დაწეხებული იყო, კირამ რამდენადაც მოუხებრდა, შეუმჩნეველად რომ შეაღო სასტუმრო ოთახის კარი, რაშია საქმე რომ არაფერი ისმისო. სტუმარი საწოლსა და სერვანტს შორის ედღელთან თავდაღმა იდგა. მან მორცხვად გაუღვიძა დიანახლისს, აქაოდა

ბოდის ვინდი, რომ ასეთ უხერხულ პოზაში შემომისწარიო, მაგრამ რა ვქნა, მეტი გზა არა მაქვსო. შეეცლით კი, რაც მართალია თავისი სხეულის მდგომარეობა არ შეუცვლია. კირამ ბოდიში მოიხადა და კარი გაიხურა. რაკი ყველაფერი რიგზეა და სტუმარიც კარგად არის, რა ვქნა ახლა როგორც გაეხარდება, ისე იდგესო.

კირამ ახალი ხორცი მოარბენინა. სუკები შეწვა. გუშინდელი მონარჩენიც შეათბო-შეალამაზა და გემრიელად ისაუბმეს. სტუმარმა ნასაუბმევს იგორის ბინის გულმოდგინედ დათვალეფრება გადასწყვიტა. იგორს სამოთახიანი დაბალჭერიანი საუწყებო ბინა ახალი მიღებული ჰქონდა. აბლოთი კმაყოფილი დარჩა. რა სჯობია ცალკე ბინას, ამდენი წელია ყვავეთში ვცხოვრობ და იზოლირებულ ბინას ვერ ვეღირსე, ოთახი მაქვსო. როგორ მსიამოვნებს, რომ თქვენ ასეთი კარგი ეკონომიური პირობები გაქვთო. როცა კაცს ბიუჯეტი საშუალებას აძლევს, სტუმარიც მაშინ უხარია, თორემ გაუთვალისწინებელი ხარჯები ოჯახს წელში ტეხავსო — ამაზე მასპინძელს გაეცინა და თავის მხრივ მოუგო, მართალია ბინას არა უშავს, მაგრამ ქუჩის პირასა და ხმაური ძალიან გვაწუხებსო. სტუმარს სახე გაუნათდა, ხმაურის პრობლემა უკვე გადაიჭრაო, თქვა მან. ჩვენთან, ყვავეთში, ყველა მალახიაში შეიძლება იყიდოს ყურსაცობი. ეს გაბლავთ რბილი, ხმაურგაუმტარი ქაღალდი, ოცდაათობეტი კაპიე ღირს ორმოცდათი ცალი. დაწოლის ღროს შეიტენეთ ყურებში და გარეთ ბომბიც რომ გავარდეს, ვერ გაიგონებთო. ცოლ-ქმარს გაეკვირვება და მუდარა ერთად რომ გამოეხატათ სახეზე, აბლოთმა მაშინვე დაუმატა: ერთ კვირაში ყვავეთში ვიქნება, ჩავალ თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნითო. მასპინძლები ამ დაპირებით უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ.

იგორმა სამსახურიდან თავი გან-

თავისუფლა და მთელი დღე არ მო-  
შორებია ძვირფას სტუმარს. რისი  
ჩვენებაც ერთ დღეში შეიძლებოდა,  
ყველაფერი აწვევა, მოატარა მუზეუ-  
მები, საგამოფენო დარბაზები, მატე-  
რიალური კულტურის ძეგლები. გო-  
გირდის აბანოებშიც ჰყავდა მზე კარგა  
გადასული იყო, როცა შინ დაბრუნდ-  
ნენ, ისადილეს. სტუმარმა ერთ საათს  
წავიძინებო, ვანაცხადა და მასპინძელს  
სთხოვა, რვა საათზე გამალვიძეთ, ყვა-  
ვეთის მატარებელს უნდა მივესწროვო.  
გამომშვიდობებისას ქალბატონმა კი-  
რამ მისამართი და ყურსაცობის ფუ-  
ლი გამოუტანა სტუმარს, აბლოთმა მი-  
სამართი გამოართვა, ფულზე კი უარი  
თქვა, რაღაც კაპიკები ღირს, ერთი  
სამი ცალი ჩემს ხარჯზე იყოს, თუ მო-  
გეწონათ, მერე გამოგზავნეთ ფული  
და რამდენიც ვაგებხარდებათ, იმდენს  
გიყიდიოთ. იგორმა ლიფტით ჩააცილა  
სტუმარი და როცა ამობრუნდა, ცოლი  
კარებთან ელოდებოდა.

— კი მარა თავისი მისამართი არ  
დატოვა? — იკითხა კირამ.

— არა.

— ვერ უთხარი?

— თვითონ არ გაახსენდა და მე ხომ  
არ ვეტყობი. ყურსაცობებს რომ გა-  
მოგვიგზავნის, ალბათ მისამართსაც მა-  
შინ გაგვაგებინებს.

კირამ გაიფიქრა, რაკი ფული არ გა-  
მოგვართვა, მეტი არაა ჩემი მტერი,  
მაგან ყურსაცობი არ გამოგზავნოსო,  
მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს, იქ-  
ნებ ვცდები და რატომ დავიღო ცოდ-  
ვა, რატომ ვავლანძლო ეს პატიოსანი  
კაციო.

• • •

ამის შემდეგ ორი წელი გავიდა.

— მოკლა პირდაპირ ამ ხმაურმა,  
ადარ ვარ ქალი — ლოგინში წამოჯდა  
სისხამ დილით ქალბატონი კირა — ჩა-  
კეტავ ყველაფერს და უპაერთობა მო-  
გვლავს, არადა ეს გრუხუნე ვაგაგო-  
რებს. გადავცვალოთ გადავიდეთ აქედან,  
თუნდაც ამის ნახევარი ბანა იყოს,

ოლონდ წყნარად, ჩემს გემოზე დავიძი-  
ნო.

— გახსოვს, კაცი რომ მოვიყვანე  
რომ დაგვიპირდა, ყურსაცობს გამო-  
გიგზავნითო?

— კი.

— რა ერქვა?

— ადარ მახსოვს. ისე შეურცხვა  
ცხვირი, მაგი კაცი იყო და ქუდი მა-  
გის ეხურა?

— სულ ვფიქრობ. ალბათ რაღაცით  
არ მოვეწონეთ, ალბათ რაღაცაში შეე-  
ცდით. ვერ ვეციოთ იმ კაცს ისეთი პა-  
ტივი რაეარც ეკადრებოდა და გულ-  
ნაკლული წავიდა მეოქი.

— რაც შეგვეძლო, არ დაგვიკლია  
და თან ვერ გადავყვებოდით.

— არა, რატომ მოიქცა ასე ღორუ-  
ლად? იმ წუთში მივხვდი ყველაფერს,  
თავისი მისამართიც რომ არ დატოვა.

— რა მისახვედრი ვა იყო, შე კა-  
ცო. იფიქრა იმ კაცმა — გადამაყო-  
ლებენ ახლა ამ ერთ პატივისცემასო.  
რამდენჯერაც ყვავეთში ჩამოვლენ, მე  
მომაკითხავენ და გაიხდიან ჩემს ბი-  
ნას სასტუმროდო. არ უნდა დღეს შემ-  
წუხებელი, არავის არ უნდა.

— ვინ იყო, ქალო, მაგის შემწუხე-  
ბელი. პირიქით, იქით ვცემდი პატივს.  
სასტუმრო გაწყდა ყვავეთში, მაგის  
ერთ ოთახში რომ არ შეეტენილიყა-  
ვით? მეტი არ გვესმის ჩვენ?

— იმან რა იცის შენ რა გვესმის, იმ  
კაცს, ასე ეგონა.

— ჩვენ მაინც ჩვენი საქმე ვაგავე-  
თეთ, ჩვენ ასე უნდა მოვექცეულიყა-  
ვით. დღეს რომ შემხვდეს ჩამოსული,  
უბინაო კაცი დღესაც ასე არ ვიზამ?  
აბა რაი, სად ვარკვიო, ვის ეკუთვნის და  
ვის არა, ღმერთმა ყველას თავის ჭკუ-  
ში და ვაგებაში მოუშართოს ხელი.

პერანგისამარა ქალბატონი კირა იჭდა  
საწოლზე და ტანსაცმლის კარადის  
თავზე დადგმულ ღეთისმშობლის ხატს  
შეჰყურებდა. იგი ღრმად იყო დარწმუ-  
ნებული რომ უსაზღვროდ კეთილი,  
მაგრამ მაინც ცოტა გულუბრყვილო  
და უცნაური ქმარი ჰყავდა.



# ბ ა რ ო პ ო რ ზ ი

მეორე დღეა სარბენ ბილიკზე არ დაფრენილა რკინის ფასკუნჯი,

მეორე დღეა ნამჭერები მისძოვენ მინდორს —  
ერთფეროვანი გულმოდგინებით მიიჩქარიან  
თოვლის ტალღები  
უხილავი ნაპირისაკენ.

მეორე დღეა შუშის კედელი  
ატრიალებს მოსაწყენ კადრებს  
გახმოვანებულს აუწყობელ გიტარის სიმით —  
ფლრიალებს ქარი.  
არაფერი არ ისმის ციდან.

ცა გაიპარა,  
სამართავ პულტთან  
ჩათვლემილა გაურკვეველობა...  
გვერდით განწყობის „აბებს“ იღებენ  
ტუნშობრეცილი სპილენძის ჭიქით  
და ებრალებათ თვეზების მოდგმა  
უკვე შეჭმული ქაშაყის გამო.

საბრალო თევზი! მხოლოდ იმიტომ იცურა რომ  
აეროპორტის ძელსკამზე დაეტოვა ჩონჩხი და სიბრალული...

არ ჩანს ფასკუნჯი,  
არ მოისმის ფრთების შრიალი,  
არ იხლიჩება შუალამე  
რეაქტიული ძრავის კივილით —  
და მტკივა ხორცი —  
ფასკუნჯის ლუკმა...  
დარბაზს კი სძინავს უდარდელ ძილით —  
რა ენაღვლებათ —



სახლში არიან —

თოვლის ზეწარზე თოვლის სიზმრებს აგუნდავებენ.  
 ესენი ყველა სახლში არიან  
 და შეუძლიათ მშვიდად იძინონ...  
 მათ სახეებზე არ აგორდება  
 მონატრების მძაფრი გრიგალი,  
 არ ჩაემსხვრევიათ თვალის გუგუბში  
 უძილო ღამე —  
 რამეთუ თავის სახლში არიან...  
 ჩემო სამშობლო,  
 შენი სახელი  
 ვერ დატეულა კედლის რუკაზე —  
 ნომრის მიხედვით სქოლიოში უნდა გეძებო, —  
 მყარად იდგეჭი,  
 ეგ ნომერიც არ დაგვეკარგოს,  
 მზე, მზე აინთე —  
 დიდმა თოვლმა არ გადაგშალოს...

დინამიკები ახრიალდნენ.

მოდის...

გამოჩნდა

ფასკუნჯის ჩრდილი...

და სადაც, შიგნით დამინახვლიტე ყრუ ტკივილებით  
 მთელი სხეული,  
 თითქოს ქაშაყის ხერხემალი გადამეყლაპოს...

## ბ ა ზ ა ფ ს უ ღ ი

ამოდის მიწა,  
 სიყმაწვილის ნაფეხურებით  
 გადაკეცილი  
 ფერადი მიწა.

ო, ფრთხილად,  
 ძველმა სიყვარულმა არ გაგიტყუოს,  
 არ დაიჯერო —  
 ცისფერ სარეცელს  
 შენთვის შლის ნიშნა გაღმით მზმობელი —  
 მისი რჩეული ზერდაგია შეიდფეროვანი  
 აწყვეტილი რომ მოარღვევს ტყეებს  
 და ინთებიან ნალის ბწკალები  
 ტოტზე კვირტებად...

განათდა ღამე —  
 ღუთაებრივი ორგის წამი,

თავს დასტრიალებს

ფუტკარივით ნედლ მზესუმზირებს —  
 ათრთოლებულ ნიშფას ძუძუებს...

იბრუნე მზარი,

გაისხენე რაღა მარ ასლა:

დიდ ქალაქზე გამოზმული ღამის მყეფარი,  
 მოკლე ჯაჭვით მობოროიალე  
 საკუთარი თავის გარშემო...

ო, ფრთხილად,

ძველმა სიყვარულმა არ გაგიტყუოს.  
 იქითკენ,  
 სადაც გაზაფხულის გნება მძუნაობს...

ბელა ახმადუღინამ

იდგა წითელი ხავერდის ფონზე  
ფერმერთალი, როგორც მარტის ამინდი.  
და მობეზრებულ წვიმების გამებს  
იმეორებდა სველი კრამიტი.

იმეორებდა ჩურჩულით:

„მოდი,

მოდი, მოეწვი ჩაქცეულ გუმბათს...“

და მკლავებს—ლოცვით დაზნექილ ტოტებს  
ფეხშველა წვიმის აყვანა სურდათ...

გარბოდა წვიმა

— ბავშვი კეთილი,

მღვროდა:

მოვიდნენ წვიმები... —

ლარნაკში რტო არი —

ხსოვნაში შემტკნარი

ივლისი ხატია.

დაწყნარდი,

გაივლის,

დაცხრება ქორალი

(წვიმების),

ჯერ მხოლოდ

სექტემბრის ათია...

სექტემბრის ათია.

ივიწყებ აგვისტოს —

აძინებ გარდაცვლილ

ახლა ლომისის აღმართებისკენ

მიიზღაზნება ცოხნით კამეჩი,

ფერდებზე —

ნახევარსფეროებზე

ჩიხშიბია ყვითელი ლაფი —

წარღვნამდელი სამყაროს რუკა...

მიდის კამეჩი.

ფეხებშუა მოფლდება ფხვიერი მიწა.

„თბილი დარები მოვლენ...“

მაგრამ შორეულ მრავალწერტილებს  
სტეპების სევდა მოჰქონდათ ფორნებს.

მოჰქონდათ მწვანე დღეების შუკი,  
მოსდევდათ ველურ ხილვების კოლტი.  
და მოქანცული ცხენების ზურგზე  
მონაცვლეობით წიოდა შოლტი.

ზარები რეკდნენ  
(ჩათავდა წირვა)...

იდგა სარკმელთან,

არ ჩანდნენ დები.

და უმიზეზო ნაღველით სწყინდა

დაბადებამდე ჩავლილი წლები.

ფერების დედოფალს...

რა კარგი იყავი,

ხილვების ბალიდან

სტვენდი და

პატარა თთახი თბებობდა...

კიბესთან ჩერდება

ნამგზაერი კარეტა.

კაკუნი კარებზე!

ოთახი ყრუ არი...

სექტემბრის ათია.

შეხედე კალენდარს!

ემშვება ღრუბელი —

მწუხარე ვუალი.

მიდის კამეჩი.

მორკალურ რქებში

წამიერად გაილანდება

პირამიდა —

კაკასიონის თეთრი მწვერვალი...

მიდის კამეჩი.

ლონიერ ლაჯებს

ესეთქებიან დაბერილი ცურისთაგები...

მ ო ხ უ ც ე ბ ი

საქართველოს  
საბჭოთაო

აუკრუფიათ ჩინჩხვარი და მიბრალუნებენ.  
სათითაოდ ეთხოვებიან:  
მოწყენილ სახლებს,  
მზითვეში მოყოლილ აბაჯურებს,  
ფოსს,  
სათონეს,  
პეკმოგდებულ სამწინილე ქილებს.  
ეთხოვებიან პირმოკუშულნი,

მხარზე გადაგდებული თავსაფრებით  
ორი დამჭკნარი ფოთოლივით  
ჩკერდზე მოუჩანთ  
დაკრუფილი ხელის ნებები..  
მიდიან უხმოდ,  
ორღობეზე გადმოფენილა  
კომშის ყვავილი —  
მათი საქორწინო კაბები.

ს უ რ ა თ თ ა ნ

ვინ გამოუშვებს  
ჩიტებივით დამწყვდეულ ბგერებს.  
კლავიშების თეთრ ბილიკზე აღარ დარბიან  
შენი თითები —  
აღერილი სატაცურები...  
რაც იყო გაქრა.  
ჩაქრა ჭალი.  
ჩაქრა შანდალი —  
რეჟიემის მსუბუქი ფრებით  
გაფრინდა სული  
და შერჩა კედელს შენი სურათი,  
როგორც ნოტის ბოლო ფურცელი.

\* \* \*

მე გადავთვალე ფიქრის სვეტზე თავმიყრდნობილი  
ჩემი დღეები —  
ხელეური პურის თავთავის —  
აბუზარ ჩიტებს  
მარცვალ-მარცვალ გაუკენკიათ  
და რაც გადამჩა ისე მცირეა,  
ვინ დავაპურო —  
მწარე ლუკმა ვის ვამყოფინო.



პრიგოლ ჩიკოვანი

## მ ი წ ა

რომანი

ცია და ცისანა ლოგინში წამოჩქადა-  
რიყენენ.

ოთახში ცხელოდა. აქ ზღვის ხენეშა  
არ აღწევდა.

უსახელებო და მკერდლია ლამის პე-  
რანგებიდან მკვეთრად მოუჩანდათ  
მთვარით განათებული, მწიფე ჰევის-  
ფერი მკერდი, მკლავები, შემკრთალი  
სახე. ტანის მოხდენილ დაქერაში, ხე-  
ლების, მხრების კეთილშობილურ, მსუ-  
ბუქ მოძრაობაში და მთვარის რბილი  
შუქით განათებულ მათ სახეში იყო მო-  
მჯადოებელი სილამაზე. ალბათ, იმიტომ  
რომ შიშითა და სევდით იყო მოცული  
მათი სახე.

— არ ხედავდნენ, არ გრძნობდნენ  
მთვარეს, პირდაპირ სახეში რომ უყუ-  
რებდათ, მათ გონებას არ ეცალა მთვა-  
რისათვის.

— ომი თუ დაიწყო, ჩვენ სად წავი-  
დეთ, ცისანა?

— არ ვიცი, ცია.. ღმერთმა გვაშოროს  
ომი, — უთხრა ცისანამ და თვალზე  
ცრემლი მოადგა.

— რომ შეიძლებოდეს, უჩას წავყე-  
ბოდი ომში, — თქვა ციამ.

— მეც წავყეობოდი, ანტონს ჩვენ  
ომში არ წავგვიყენენ.

— რატომ?! — ჰკითხა ციამ. — განა

ჩვენ ხელი არა გვაქვს, ფეხი არა გვაქვს,  
თვალი არა გვაქვს, გული არა გვაქვს?  
სადაც უჩა და ანტონი, ჩვენც იქ.

— ქალები ჯარში არ მიყავთ, ცია, —  
ბალიშში სახე ჩარგო და ატირდა. — ნე-  
ტა მართლა შეიძლებოდეს და ჩვენც წა-  
გვიყვანდნენ ომში.

— ნუ ტირი, ცისანა. შენი ჰირომე,  
ნუ ტირი, ცისანა, — ამწვიდებდა ცია,  
მაგრამ თვითონაც წასკდა ცრემლი. ბა-  
ლიში აიფარა სახეზე და ზედ დაემხო.

იწუნენ ბალიშზე სახით დამხობილები  
და ტიროდნენ.

ღრუბლის ის ფრთა ისევ ეფარა  
მთვარეს, ბალიშებზე და ქალიშვილე-  
ბის თავებზე ჩრდილი ეფინა.

წვიმების შემდეგ, როგორც იქნა, გა-  
მოიღარა, მაგრამ მაშინვე გვალვა და-  
იჭირა. ისე ცხელოდა, ცეცხლი ეკიდა  
ტყესა და მიწას. ჰაერი შედგა, შესქელ-  
და ზღვის ნესტით დამძიმებული. მიწა  
ისე გაიტყიცა, დასკდა და გაქვავდა,  
სვანურ ბარსა და სვანურ მარჯვენასაც  
უჭირდა მისი გაქრა.

სვანები კოლექტორებს თხრიდნენ.  
ბრიგადებად იყვნენ დანაწილებული.  
ჯანსულ გუქეჯიანი, გიორგი ჩართოლა-  
ნი, კიკი გარდაფხაძე, ადილ ჩეგვიანი და

ციოყ ავალიანი ერთ ბრავადაში მუშაობდნენ.

მუშებსაც გადაედოთ ომის მოახლოების შიში. ბევრს გაუტყდა გული, დაკარგა რწმენა. ზოგმა მუშაობის მიტოვება და შინ დაბრუნება დააპირა, მაგრამ ჭერჭერობით სირცხვილის გრძნობა და პატარა იმედი აკავებდა — იქნებ ისე გადაიაროს ავდრის ღრუბელმა, ჩვენს ქვეყანაში არ შემოაღწიოსო.

ყველა მასივში ომის მოახლოებაზე ლაპარაკობდნენ.

განსაკუთრებით სევანები იყვნენ დაჯავრიანებულები. მოშორებული იყვნენ თავიანთ მთებს, მოწყვეტილი იყვნენ სახლ-კარს, ახლობლებს, ნათესაებებს.

ყველაზე მეტად ციოყ ავალიანი იყო გულაცრუებული. ვერავენ ნახა ამყოლი, თორემ აქამდე აიყრიდა გულა-ნაბადს.

— თქვენი ხათრი მაჩერებს, — უთხრა ერთხელ ჭანსულ გუჯეჯიანსა და პირხმელ სვანს კიჯი გარდაფხაძეს.

— ხათრით შენ არაყს არ დაუღვევ კაცს, ციოყ, — გაეხუმრა ყოველთვის იმედიანი და მხიარული ვიორგი ჩართოლანი.

— კაცო, რისი იმედით ვმუშაობთ. თვალი და ყური არა გაქვთ?! ქვეყანა იქცევა. რამდენი სახელმწიფო დაიპყრო პიტლერმა. არ ხედავთ, არ გესმით?!

— ის სახელმწიფოები და ჩვენი სახელმწიფო ერთი არ არის, ციოყ, — ეუბნებოდა პირხმელი სვანი კიჯი გარდაფხაძე.

— მაგ იმედით ვიყით, კიჯი?! — უკვირდა ციოყ ავალიანს, ღონივრად დაპკრავდა ბარს მიწას.

— რატომ მაგ იმედით? — ჩვენ სხვა იმედიც გვაქვს, ციოყ, — მიუგო კიჯი გარდაფხაძემ. — ომი იქნება თუ არ იქნება, ამ მიწას მაინც დაეაშრობთ.

— დემრთმა ქნას, კიჯი, — უთხრა ციოყმა. — იმედი დიდი ძალაა, — კვლავ ღონივრად დაპკრა ბარი გამხმარ მიწას.

უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოსაც ჰქონდათ ომის მოახლოების შიში, მაგრამ გულს არ იტეხდნენ. ერთმანეთს

ამხნეებდნენ. ცდილობდნენ მეტი გაეთხარათ, ომისათვის დაესწროთ! დედამ არხის გაყვანა.

ციოყა და ცისანას ვერ ხვდებოდნენ. აღარ ჰქონდათ ამის დრო. ან ბერკეტებს უსხდნენ, ან ვაკონში ეძინათ, რომ სული მოეთქვათ და ისევ ბერკეტებს მისხდომოდნენ.

უჩა შამუგიას და ანტონ ბაჩილოს უსწორებდა მხარს მშენებლების მეტი ნაწილი. ისინიც იმაზე წუხდნენ, რაზედაც შამუგია და ბაჩილო, მათაც ის უხებდათ და აღუღებდათ. მთელი სულითა და გულით მუშაობდნენ, ძალ-ღონის უკიდურესი დამახვით მუშაობდნენ. იცოდნენ, არხის გაყვანას რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის. — დამშრალი მიწა ომისათვის იმუშავებდა.

კვირა საღამო იყო, პირველი კვირა მთელი თვეების მანძილზე მუშები რომ ისვენებდნენ. ყორათის მასივის კლუბი გრძელ და ვანიერ ბარაკში იყო გამართული. იქ იყრიდნენ თავს ვახშმის შემდეგ დრაგერები, ბულდოზერისტები, ტრაქტორისტები, მზარავები, ტყის მკაფავეები, გზებისა და ხიდების მშენებლები.

ამ საღამოს ბევრნი იყვნენ ისინი, არა გასართობად, დროის გასატარებლად მოსულნი. ჩვეულებრივად კლუბში რადიოს მოსასმენად, ფილმების სანახავად, გაზეთის წასაკითხავად, ნარდისა და ჭადრაკის სათამაშოდ იკრიბებოდნენ.

ფილმი ფოთიდან ჩამოჰქონდათ. ეს იყო ყველაზე დიდი და სასიხარულო გასართობი მუშებისა და გლეხებისათვის. ახლა არც ფილმის ნახვის გული ჰქონდათ, არც ნარდისა და ჭადრაკის თამაშის.

ფაშისტური არმიები სახელმწიფოს სახელმწიფოზე იპყრობდნენ. უკანასკნელ ხანებში კლუბში თავს მხოლოდ იმიტომ იყრიდნენ, ვაზეთებდნენ ან რადიოთი ვაგეგოთ ომის ამბები.

მშენებლობაზე არავინ იყო ფილმისა და გაზეთის მომტანი. სამუშაოდან დაბრუნებული მუშები იგახმებდნენ თუ

არა, მაშინვე კლუბში მიდიოდნენ რადიოს მოსასმენათ.

მასივებში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გლეხები მუშაობდნენ: ოდიშელები, გურულები, იმერლები, რაჭველები, სვანები. ისინი მცირემიწიან რაიონებიდან იყვნენ ჩამოსულები და აქ ამირებდნენ დასახლებას.

რადიოს მოსმენის შემდეგ, და თუ გაზეთს იშოვნიდნენ, მისი წაკითხვის შემდეგ იმართებოდა სჯა-ბაასი ქვეყნის ამბებზე, ომზე. ამ სჯა-ბაასში გურულები გამოირჩეოდნენ. ისინი თავს დიდ პოლიტიკოსებად და სტრატეგებად თვლიდნენ, ისე მსჯელობდნენ, თითქოს პიტლერის აზრი ხელისგულზე ეწერათ. თავის ფიქრებს ისე ავტორიტეტულად გამოთქვამდნენ, მცდარიც რომ ყოფილიყო, დიჯერებდა. ფიცს ოდიშელებთან და იმერლებთან ცოტა კი უჭირდათ კამათი, მაგრამ მაინც ისტიზარს არ იტყვნდნენ და თავის შეხედულებას ბოლომდე იცავდნენ. რაჭველები და სვანები უფრო მეტად მოწმესავით ისხდნენ და კამათში იშვიათად ჩაერეოდნენ. გურულებს არც რუსები ჩამორჩებოდნენ, არც ბელორუსები და უკრაინელები. მტრე მათი მიწების სახლვართან იდგა.

ბარაკში ცხელოდა. ყველა ფანჯარა ღია იყო. ნიავე მაინც არ შემოდოდა. აპრილში მაგარი სიცხეები დაიწყო. დიდი ხანი იყო მიწას წვეთი არ დაცემია. მაგრამ სიცხე არავის ახსოვდა. ყველას ყურადღება კლუბის შუაგულში მდგარ გრძელი მაგიდის გარშემო თავმოყრილ ადამიანებისაკენ იყო მიპყრობილი. იქ თენგიზ ქერქაძეს გაზეთი „კომუნისტი“ ეშოვა და ხმაშალა კითხულობდა უქანასკნელ ცნობებს.

— გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, — განაგრძობდა ქერქაძე კითხვას, — რომ დღეს, რაინსტაგის სხდომაზე გერმანიის მთავრობის სახელით, განცხადებით გამოვიდა პიტლერი. სიტყვის დასაწყისში პიტლერი შეეხო ომის წარმოების ისტორიას, ომის მიმ-

დინარეობას პოლონეთში, ნორვეგიაში, ბელგიასა და საფრანგეთში.

— მაგი ძველი გაზეთი ჩამოხარის, ნენა? — ჰკითხა ქერქაძეს მის გვერდით მჯდარმა კირილე ებრალიძემ. ისინი ყოველთვის ერთად ისხდნენ და ერთმანეთს ყველაფერში მხარს უჭერდნენ. — ჩეხოსლოვაკიაც აღებული რომ აქვს და საბერძნეთიც, მაგი რატომ არ წერია?! გვიმაღავენ?

— ვინ უნდა დაგვიმალოს, კირილე? — ჰკითხა უჩა შამუგია, რომელიც მის პირდაპირ იჯდა.

— ჩემთვის არ შეუთანხმებიათ, ნენა, ვინ უნდა დაგვიმალოს, — გესლიანად მიახალა ებრალიძემ.

— ჰოდა, ამიტომ ენას კბილი დააქირე, — უთხრა მკაცრად უჩამ.

— ერთი ამას უყურეთ! — გაბრაზდა ებრალიძე, — აი, ბაღანა მარიგებს ჰკუას. შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ, თუ იცი?

— ენას კბილი დააქირე-მეთქი, — წამოიწია სკამიდან შამუგია.

ანტონ ბაჩილომ და მიკიტა ლიაშკომ ხელი მოკიდეს და დასვეს.

ებრალიძე არ შეუშინდა უჩას მუჭარას. სხვებს მიუბრუნდა იმის საჩვენებლად, შამუგიას გასაგონად არ ვლაპარაკობო, ვითომ არაფრად ჩააგდო უჩა, მაგრამ დვარძლიანი კილო მაინც შეიტევალა.

— თქვენი არ ვიცი და მე ნამეტანი დამშვიდებული მგონია სტალინი. კაცი თვალის გახელას ვერ მოასწრებს, რომ პიტლერს სახელმწიფო გადაყლაპული ჰყავს. ჰო, გამახსენდა. რუშინთი რომ მისხა არ წერია მანდ, არც უნგრეთი და ფინეთი. რაღა დარჩა ვეროპაში? ახლა კარზე ჩვენ მოგვადგა...

— ჩვენ ვერ გადაგვეყლაპავს, კირილე, ყელზე დადგება, — უთხრა ციოყ ავალიანმა.

— უელი პიტლერს ძალიან ფართო აქვს, ნენა. ისე აქვს ზურგი გამაგრებული, ეშმაკი ვერ შეაჩერებს. აქეთ იაპონია უდგას მხარში, იქით თურქეთი. მართალია, ორივე ქვეყანასთან დადო

სტალინმა პაქტი, მაგრამ სანდო ქვეყნებია ვითომ ისინი?! გერმანიასთანაც გვაქვს პაქტი დადებული, მაგრამ კმარა ეს, პაქტს დავეყრდნობ, ჰიტლერს დავეყრდნობ? ვერ ხედავთ, რას ჩადის ის რჯულძალი! ჩვენ კი გულხელდაკრფილი ვუყურებთ, როგორ იმონებს ჰიტლერი ქვეყნებს. არა, მე თუ ვითხავთ, ნამეტანი დამშვიდებულია სტალინი.

— შენ არ გკითხავთ, კირილე. მაგის დარდი ნუ გაქვს, სტალინს არაფერი შეეშლება, — უთხრა კირილეს უკმაყოფილოდ ანტონ ბაჩილომ.

ბევრნი ღუმდნენ. გულში ეთანხმებოდნენ კირილეს. მართლაც მეტისმეტად დამშვიდებული ეჩვენებოდათ სტალინი. მხოლოდ ბურდა კვარაცხელიამ ვერ მოითმინა სტალინის ასე ხსენება.

— სტალინი არ უნდა შეცდეს, — მუშტი დაჰკრა მაგიდაზე კვარაცხელიამ. — კარგად თქვა ანტონ ბაჩილომ, სტალინს არაფერი შეეშლება.

— სტალინს კი არა, ღმერთს შეეშლება, ნენა, — წამოცდა ებრალიძეს და მაშინვე ენაზე იკბინა. თვალი შიშით მიმოაკეცა.

ქერქაძე გამწყრალი და გაკვირვებული უყურებდა, ეს რა წამოროშაო. გაზეთი დაკეცა და დადო. — მე ამ ლაპარაკში არ ვმონაწილეობ, — უთხრა კირილეს და მოშორებულად გადაჯდა.

— დარდი რაღა არ მაქვს, ნენა. რისთვის ვმუშაობ, გერმანიისათვის ვაშრობ ამ ბედნიერ მიწას? — კვლავ წამოერია ღვარძლი კილოში. რაც გულში ჰქონდა, ვერ ფარავდა. დაინახა, როგორ გადაჯდა ქერქაძე. მაინც ვერ იკავებდა თავს: — თურმე ყველა დაპყრობილი სახელმწიფოს ქარხნები და ფაბრიკები ჰიტლერისათვის მუშაობს, მისთვის აშხადებს იარაღსა და სურსათს. ისეთი გაზულუქებული ყოფილა გერმანელი ჯარისკაცი თავის ტყავში აღარ ეტევათ.

— გერმანელი ჯარისკაცი კია გაზულუქებული, მაგრამ დაპყრობილი ქვეყნის იმედით ვერ გაიმარჯვებს ჰიტლერი, — ჩაერთა ლაპარაკში ტანმორჩილი,

ულვაშაპრებილი გლეხი აკაცი ასათინი. — მე რომ მკითხო, კირილე, ფაშისტების ჯარისკაცი, რაც გინდ გაზულუქებული იყოს, წითელარმიელანით მაინც ვერ იბრძოლებს და ვერ გვაჯობებს.

— მთელ ევროპას აჯობა, ნენა, — ულვაშებში ჩააცინა კირილე ებრალიძემ.

— ჩვენ ვერ გვაჯობებს, კირილე და ეს კარგად ჩაიჭედე ეშმაკებით საცხეთაში.

— მართალს ამბობს აკაცი, — გაისმა მოულოდნელად მაგიდასთან მჯდარ და მის გარშემო შეყრილთა ზურგს უკან პარტორგის ხმა. კონა გაზეთის კითხვისას შემოვიდა კლუბში და კირილე ებრალიძის უკან იდგა. — ვერ გვაჯობებს იმიტომ, რომ იგი დამპყრობელია, სხვისი ჯარით იბრძვის, ჩვენი წითელი არმია კი სამშობლოს იცავს.

პარტორგი რომ დაინახეს, წამოდგნენ და ადგილი შესთავაზეს. პარტორგი მაგიდის კუთხეში დაჯდა.

— ეგ მართალია, ნენა, მაგრამ ჯერჯერობით, რომ ვერაფერი უდგება წინ ჰიტლერს. იმ სახელმწიფოების ჯარისკაცებიც თავის სამშობლოს იცავდნენ, — უთხრა ებრალიძემ პარტორგს, — ჰიტლერი მაინც მარშით იღებს იმ ქვეყნებს. ყველა ჯარისკაცი სამშობლოს იცავს, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს.

— ის ჯარისკაცები სხვანაირ ქვეყანას იცავენ, ჩვენი ჯარისკაცი საბჭოთა ქვეყანას იცავს.

— ეს კარგად ბრძანეთ თქვენ, კონა აქვსენტევიჩი, — მოწონებით შეხედა მიკიტა ლიაშკომ პარტორგს. — კირილესა და თენგიზს არ ესმით, რომ ჩვენი ჯარისკაცი თავის მიწას იცავს, თავის ქარხანას იცავს, თავის რკინიგზას, თავის მაღაროსა და შახტს იცავს, თავის პარტიასა და მთავრობას იცავს. არ ესმით, რომ საბჭოთა ჯარისკაცს სხვა გული უდევს მკერდში, სხვა აზრი უდევს თავში.

— გესმის, კირილე? — ჰკითხა კონა ყორშიამ. — ასე ფიქრობს ჩვენი ხალ-

ნი. ამიტომ ვერ დაგვამარცხებს პიტ-  
ლერის არმია.

— მაგას ტვინი ნაღრძობი აქვს, კონა  
ბატონო. — უთხრა აკაკი ასათიანმა.

კირილემ ტუჩები ბოროტად მოკეშა.

— რა ვიცი, ნენა, — მიმართა პარ-  
ტორგს ისე, თითქოს ასათიანის ნათქვა-  
ში არ გაუგონიაო. — ათასცხრას ოც-  
დაცხრამეტი წლიდან ზედიზედ ამარ-  
ცხებს ქვეყნებს და ჩვენი ერთი სახელ-  
მწიფო გაუმკლავდება ვითომ? — სახე  
მოარიდა პარტორგს, რომელიც ისე შე-  
პყურებდა თვალში, თითქოს ეს კაცი  
ჯერ კიდევ გამოუცნობი იყო მისთვის  
და ახლა უნდა და ჩაეხედა მის სულში.

— კირილეს ჭკუა ნაღრძობი კი არ  
აქვს, უკუღმა აქვს მომართული. ჰო, დე-  
დაარსზე ვიყავი, — განაგრძო პარტორ-  
გმა. — უსათუოდ გავთხრით საოქტომ-  
ბროდ არხს.

— ოქტომბრამდე თუ გვაცალეს, კი  
შენ დაგემართოს, კი გავთხრით, ნენა.

— არ გვაცლიან და ომის დამთავრე-  
ბის შემდეგ გავთხრით, — მკაცრად უთ-  
ხრა პარტორგმა. — ვინ წარმოიდგენდა,  
ამხანაგებო, რომ სოციალისტური შე-  
ჯიბრება ასე საოცრად წაგვწევდა წინ.  
უჩა შამუგიას, ანტონ ბაჩილოს, ბონდო  
ნოდიას და მიკიტა ლიაშკოსთანა ადამი-  
ანები ომშიაც წინ იქნებიან. გაიხსენეთ  
თეთრფინელებთან და იაპონელებთან  
ომი, ხასანის ტბასთან. მტერს მტრულად  
დაეხვდით და კედით ქვა ვასროლინეთ,  
— უკმაყოფილოდ შეხედა ებრალიძეს,  
მის მზაკერულად მოპყრობილ კროლა  
თვალებს: — არ აპყვეთ მას. ბევრი გით-  
მინეთ, კირილე. მეტს აღარ მოგიტმენთ,  
— გადახედა ქერქაძეს: — თქვენ ყო-  
ველთვის ერთად ზიხართ, ერთი გულ-  
ვაქვთ, ერთი ენით ლაპარაკობთ, ახლა  
რათ გადაჯექი?!

კირილე ებრალიძემ და თენგიზ ქერ-  
ქაძემ იგრძნეს, რომ ახლა პარტორგის  
სიტყვები მათთვის სეტყვა იყო და ენა  
მუცელში ჩაიფიცეს.

— ვინც კარელიის ყელთან და ხასა-  
ნის ტბასთან იბრძოდა, იმათ წმინდა გუ-  
ლი და წმინდა სინიღისი ჰქონდათ. ასე-

თი გულითა და სინდისით ვიმუშაოთ  
და საოქტომბროდ უსათუოდ გავიყვანთ  
დედაარხს. ამ ვაჟბატონებს ყურს ნუ  
უგდებთ!

უცებ ყველამ სხვა თვალით შეხედა  
ებრალიძესა და ქერქაძეს.

ორივე ვაფითრებული იჭდა, როგორც  
დაშინებული მგლები.

გახურებული, მღვრიე, უფერული ცა  
ეხურა მიწას. ვარსკვლავებიც უფერული  
იყო, მინავლებული ბუტბავდა. მიწაც  
გახურებული იყო. გზაზე სქელი მტვერი  
იღო.

მთვარე დიდი ხნის ჩასული იყო.  
პარტორგი კლუბიდან ბრუნდებოდა.  
მთელი დღის უქმელი, დაღლილი, ცუდ  
ხასიათზე მყოფი, სატვირთო მანქანის  
კაბინის სახურავზე მიწოლილი თელემ-  
და. შიმშილისა და მანქანის რწვევისაგან  
თავბრუ ესხმოდა. მანქანის ბორბლები  
ბორცვებზე რომ აბტებოდა, ყორშია  
ქუთუთოებს მძიმედ ასწევდა და ჭუჭ-  
ყიანი ქარსაცავი შუშის იქით მანქანის  
შუქფარების ნელი სინათლით განათე-  
ბულ გზას ხედავდა; ეს ერთფეროვანი  
გზა, მტვერი, ბორცვები, ნაგუბრები,  
რწვევა და ჯაყაჯაყი ამ აკვიტებული ფიქ-  
რების ვაგრძელებათ ეჩვენებოდა, კირი-  
ლე ებრალიძესთან და თენგიზ ქერქა-  
ძესთან ლაპარაკის შემდეგ რომ გამოჰ-  
ყვა.

მტვრიანი გზიდან შემოპყურებდა კი-  
რილე ებრალიძის და თენგიზ ქერქაძის  
გამორეცხილი, ერთის კროლა, მეორეს  
მწვანე თვალები, მათი ფარული, დგარ-  
ძლიანი, იქედნური ღიმილი. — „რა უნ-  
დათ ასეთ ადამიანებს?! ისინი სიძულ-  
ვილს და უნდობლობას თესავენ... გული  
შხამით აქვთ სავსე. თავისთვის მუშაო-  
ბენ, სხვისთვის არ ტკივანთ თავი. თვალ-  
ში არ გიყურებენ. შენს მიღმა იცქირე-  
ბიან“. — ქუთუთოები უფრო ფართოდ  
გაახილა და უცებ გზიდან კირილე ებ-  
რალიძის თვალების მაგივრად, მგლის  
თვალებმა შემოხედეს.

— მგლები!

მოესმა მაშინვე შოფრის ხმა და ფიქრიდან გამოერკვა.

გზაზე მგლები იდგნენ. მანქანის შუქფარები ანათებდა მათ ცხვირპირს: შეუღრუნებეს, მწვანე თვალებს. შუქს არ ერიდებოდნენ, თავაწიულები უცდიდნენ მანქანის მოახლოებას.

ბევრჯერ გადაურბენია მგელსა და ტურას კოჩა ყორშიასათვის მანქანის წინ შუქით დამფრთხალსა და შეშინებულს. ესენი კი გამომწვევად იდგნენ. შემართულები, კბილებდაკრეჭილები, ახოფრად ავღებდნენ შუქს.

ხომ არ მეჩვენებაო, გაუელვა თავში პარტორგს, მაგრამ არა, ისინი მართლა გამომწვევად იდგნენ, თავაწიულები, შემართულები, კბილებდაკრეჭილები და უცდიდნენ მანქანის მოახლოებას.

— მგლები, — გაიმეორა კოჩა ყორშიამ და ისევ კირილე ებრაელიძისა და თენგიზ ჭერქაძის თვალები დაუდგა წინ.

— ხედავთ, შუქის არ ეშინიათ, — უთხრა შოფერმა კოჩა ყორშიას.

— დაატაკე მანქანა, მთელი სისწრაფით დააძგერე, — კოჩა საჯდომზე შესწორდა, მოეშადა.

გაისმა დაჯახების ხმა, წკმუილი. ორი მგელი წინ გაისროლა მანქანამ და ზღართან იგადინეს გზაზე. გადაუფარა ბორბლებმა. მანქანა წინ გაიქრა, უკან მოიტოვა მომავლადი მგლების წკმუილი და ხროტინი.

დაჯახება ისეთი ძლიერი იყო, შუქფარები ჩაიშხვრა.

მანქანა ვარსკვლავების მკრთალ შუქზე მიდიოდა.

გზა მანც ჩანდა.

ლონგინოზ ლომჯარიას ისე დაუმკვიდრდა „სულზე მისწრების“ მეტსახელი, ნათლობის სახელს აღარავენ ეძახდა. მომარაგებელი დაუფარავად ამყობდა ამით. რა ევალეზობდა და რა არ ევალეზობდა, ყველაფერს ერთნაირი მონდომებით აკეთებდა უკანასკნელ ხანებში. ყველგან ასწრებდა მისვლას: არხების მშენებლობაზე, ტყეების გაკაფვაზე, ხიდების მშენებლობაზე, მალა-

ზიებში, საწყობებში, ქარხნებში, საშობრთველოში, რაიკომში, აღმასკომში, თავისი კანტორაში.

ყველგან ასწრებდა საქმის გაკეთებას, ერთი ფრაზით, ერთი სიტყვით ცეცხლს შეუწებებდა ომის მოლოდინით გულგატეხილებს. მეტს მოანდომინებდა, მეტს გააკეთებინებდა.

სვენებიც კი თავისი სიღინჯითა და აუჩქარებლობით რომ გამოირჩეოდნენ, აკყენენ მის განწყობილებას და ახლა უმეტესობა მეტ მიწას იღებდა კოლექტორებიდან და ღრენაეებიდან.

ლონგინოზი დრაგერებს მთელ ტრასაზე ერთნაირი გულისყურით ექცეოდა, მაგრამ გულში ყველაზე მეტს უჩა შამუგიაზე და ანტონ ბაჩილოზე ზრუნავდა და ფიქრობდა. მათ უწყობდა ფარულად ხელს, მათზე იყო თავგადადებული. ბუნებით ოჯახის მოყვარულმა და ქალების მოტრფიალემ, იცოდა, რა არის სიყვარული, რას ნიშნავდა უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოსათვის დედაარხის ვახსნა.

შეჯიბრების შედეგი ამ ორ დრაგერს შორის ყოველი კვირის ბოლოს ჯამდებოდა და ვარდამავალი წითელი დროშა ან აქეთ-იქით მოგზაურობდა, ან რომელიმე ექსკავატორის კაბინაში რჩებოდა კიდევ ერთი, ან ორი კვირათ.

უნდა გენახათ მოტოციკლეტის საქმეზე დამაგრებული დროშას რა სიხარულითა და სიამოვნებით მიაჭროლებდა გამარჯვებულთან ლონგინოზი. ორივეს წარმატება ერთნაირად ახარებდა.

არანაკლებ მონდომებითა და გულისხმიერებით ექცეოდა კოლექტორებზე, ღრენაეებზე და ტყის გაკაფვაზე მომუშავე ბრიგადებსაც. განსაკუთრებით სვენების წარმატება ახარებდა. მათ ცოცხალ ექსკავატორებს უწოდებდა, მათ ხელებს ექსკავატორების ციცხვებს. ერთი ბრიგადა რომ დაწინაურდებოდა, სხვა ბრიგადაში გარბოდა. ხალხო, ჩამოჩინათ, რამ შეგიკრათ ხელ-ფეხი, რამ მოგწყვიტათ წელიო.

ბრიგადები რაც უფრო უკეთ მუშაობდნენ, ლონგინოზი მით უფრო უკმა-

ყოფილთ ჩანდა (უკმაყოფილო სიტყვით, გარეგნულად, თორემ გულში ქებადიდებას ასხამდა). ეს არის სოციალისტური შეჯიბრებაო, ქვეყანაზე ჯერ არ ნახული შეჯიბრებაო? თქვენს სახელს უტეხთ მასო. სამშობლო ომის დაწყების საფრთხის წინაშე დგას და ახლა იმის მაგივრად, რომ ასი ხელი გამოიბათ, ასი ძალა და მონღოლები შეიმატოთ, კვლავ ძველებურად მუშაობთ. ასე ხომ ისინიც მუშაობენ, ვისაც ძარღვებში სისხლი არ უჩქეფს, ვისაც საქმეზე გული არ უდევს, ვისაც თინის გრძნობა არ აქვს.

ამ უადგილო სიტყვებისა და წაქეზებისათვის არავინ უწყურებოდა, არავინ ემდღროდა. ყველამ იცოდა, რომ იგი ამას გულგარეშე ამბობდა.

ერთადერთი ბრიგადა, რომელსაც ლონგინოზი არ აკითხავდა და გვერდს უვლიდა, ის ბრიგადა იყო, რომელშიაც კირილე ებრაელიძე და თენგიზ ქერქაძე მუშაობდნენ. ეს ორი კაცი მშენებლობაზე მათი მოსვლის დღიდანვე ყველამ შეიძულა. ისინიც ასრულებდნენ გეგმას, ნორმას და ზოგჯერ მეტსაც, მაგრამ მათში რაღაც არასასიამოვნოს, საქულველს ხედავდნენ. კონკრეტულად არ იცოდნენ, ვერ ხვდებოდნენ, რა იყო ეს რაღაც, რა იყო არასასიამოვნო და საქულველი. ეს ხშირად ხდება ასე ცხოვრებაში. ლონგინოზს ალღო არასოდეს არ დალატობდა. დარწმუნებული იყო კირილე ებრაელიძის და თენგიზ ქერქაძის შეფასებაში არ ტყუვდებოდა. ერთი რამ სრულიად ნათელი იყო ლონგინოზისათვის, ისინი გამომუშავებაზე რომ არ მუშაობდნენ, ნახევარ დღეს უქმოდ გაატარებდნენ. მხოლოდ გამომუშავება იყო მათი წამანალისებელი, დამაინტერესებელი. უნდოდათ მეტი ფული მიეღოთ, ეს იყო და ეს.

შეძლებული ოჯახები ჰქონდათ სოფელში. საკარმიდამო ნაკვეთი ნორმაზე მეტი. კოლმეურნეობაში არ მუშაობდნენ. მშენებლობაზე იმიტომ მოვიდნენ, რომ სოფელში უსაქმოდ არ გააჩერებდნენ. თან შიში ჰქონდათ, საკარმიდამო მიწა არ ჩამოეჭრაო.

კარგად ეცვათ და ეხურათ. მშენებლობის მაღაზიებში მუდამ მიჩვეულ რიგში იდგნენ, როცა ფართალი ან სხვა რაიმე დეფიციტური საქონელი გამოჩნდებოდა, ყიდულობდნენ, ჰირდებოდათ თუ არ ჰირდებოდათ.

ლონგინოზი დიდებული მომღერალი და მოცეკვავე იყო. ბევრს სვამდა, მაგრამ მთვრალი არავის უნახავს. ცეკვა-სიმღერაში სულს გაყიდოდა. მისთვის ის კვირა კვირა არ იყო, ცოტა მაინც რომ არ ექეიფა, არ ემღერა, არ ეცეკვა, სადღეგრძელო არ ეთქვა ამხანაგებისა და მეგობრებისათვის. ფულს სხვას არ ახარჯინებდა. მისი სუფრა ყოველთვის ზომიერი იყო: მჭადი და ყველი, ცოტა თევზი, ბურთი, მწვანილი და ღვინო. გრძელი საღღერძელოები ჰირივით ძულდა. თვითონ სულ ორ სიტყვას იტყოდა, მეტს არც სხვას ათქმევინებდა.

ტუის მკაფავეებისა და მბარავების ბრიგადებში რომ მივიდოდა, საქმის ვითარების გაცნობისა და საჭირო ზომების მიღების შემდეგ, დაიკაპიწებდა, ხელეზზე დაიფურთებდა, მკაფავებში ვინმეს ცულს გამოართმევდა, მბარავებში ბარს და „ვოლოიას“ წამოიწყებდა.

მაშინვე აპყვებოდა ბრიგადა სიმღერას და დაბურულ ტყეში ეს შრომის ჰიმნი ისე ავუგუნდებოდა, მოედებოდა არემარეს, გაიჭრებოდა შორს, გეგონებოდა ადამიანებთან ერთად ტყეც მღეროდა.

კიდევ ერთ საყვარელ საქმეს ხელმძღვანელობდა ლონგინოზი. კლუბის გამგე იყო. თვითმოქმედ ანსამბლს ლობობდა. გუნდი ოდიშურ, იმერულ, სვანურ და გურულ ცეკვა-სიმღერებს ასრულებდა. ეს ჯმუხი, ჩამკვრივებული და ხანში შესული კაცი ისე მსუბუქად, სხარტად და წარმტაცად ცეკვავდა, ისე დგებოდა ფეხის წვერებზე, ისეთ ილეთებს ასრულებდა, თვრამეტი წლის ტანწერწეტა ბიჭს შეშურდებოდა.

ბოლო ბროს სულ უჩა შამუგეიას ბრიგადას დასტრიალებდა თავს. ამ ბრიგადაში მუშაობა შეუერხდა. შეწუხდა ლონგინოზი. უჩას ბრიგადაში ისმოდა

ახლა სხვა ბრიგადებზე უფრო ხშირად „ოღოია“.

ჰიდროლოგების, ტოპოგრაფების და გეოლოგების მიერ დედაარხის ახალი ტრასა ზედმოწვევით იყო შესწავლილი, მაგრამ სატურისთან მეხუთე კილომეტრზე გრუნტქვეშა წყალი აღმოჩნდა პატარა მანძილზე. არხის კედლები ყოველ ხუთ მეტრზე შევადგებოდა და ფიცრებით ამაგრებდნენ. ჩამოშვავებულ მიწას იღებდნენ. ამას დიდი შრომა და დრო ჰქირდებოდა, უკან წევდა უჩა შამუგიასა და ბონდო ნოდის წინ წაწეულ საქმეს, მათ სოციალისტური შეჯიბრების საქმეს. ანტონ ბაჩილოს ბრიგადა საგრძნობლად დაწინაურდა. ვარდამავალი წითელი დროშა „ბრისტმანის“ კაბინიდან აღარ გამოდიოდა.

შეწუხდა ანტონ ბაჩილო. ეს რა უთანასწორო შეჯიბრებააო. ვიდრე უჩა შამუგიას ბრიგადა სატურისა მონაკვეთს არ ვასცდებდა, შეჯიბრება შევაჩერთოო. ამას მოითხოვს სინდისი და სამართლიანობა და ბოლოს, ამხანაგობა და პატიოსნებაო.

უჩას ბრიგადამ არ მიიღო ეს მართლაც სამართლიანი წინადადება. ამის გაკეთება არხის მშენებლობას შეაფერხებდა. გარდა ამისა, სოციალისტური შეჯიბრების პირობებში არა გვაქვს გათვალისწინებული, შემთხვევითი დაბრკოლებების გამო შეჯიბრების პირობების შეცვლაო.

მშენებლობაზე უჩა შამუგიასა და ანტონ ბაჩილოს ეს ამბავი ნამდვილ რაინდობად მიიღეს. განსაკუთრებით ლონგინოზი იყო აღტაცებული, ჭება-დიდებას ასხამდა ორივე ბრიგადირს.

უჩას ბრიგადას მეტ ყურადღებას აქცევდა, თავს ევლებოდა, არხის კედლების გამაგრებას თვითონ ხელმძღვანელობდა, ხე-ტყის მასალას არ აკლებდა, რჩეული ღურგლები დაუყენა, თავის ანსამბლიდან ისეთი მომღერლები შეარჩია, „ნაღურსა“ და „ოღოიას“ სხვებზე უკეთ რომ მღეროდნენ.

დღე და დამე სიმღერით თბრიდნენ მიწას. არხიდან ამოჰქონდათ ჩამოშვავე-

ბული მიწა, ამაგრებდნენ არხის კედლებს. სიმღერა ხელს უწყობდა მუშაობას, ამხნევებდა, აქეზებდა მუშებს, ჩქარ ტემპში აყენებდა.

ოჩეშ ხვე დო ხვარელი,  
ვო, ჰო, ვო, ჰო,  
ოჩეშ ხვე დო ხვარელი,  
ვო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო,  
ვო, ჰოია, ვო, ჰო, ჰო...  
ოჩეშ ხვე დო ხვარელი.

ყველას ხმაში ლონგინოზის ომახიანი, მკეპარე ხმა გამოირჩეოდა. „ოჩეშ ხვე დო ხვარელი“ ზეგესა და ბარაქას ნიშნავდა. ექსკავატორის ციციხვი იმ სიმღერის ხმაზე მართლა უფრო ხევიანად იღებდა არხიდან მიწას. ბარებიც უფრო ხევიანად თბრიდნენ და იღებდნენ. ღურგლები უფრო ენერგიულად მუშაობდნენ. სიმღერა „ოჩეშ ხვე დო ხვარელი“ რამდენჯერმე მეორდებოდა ხან ნელი, ხან ჩქარი ტემპით.

სხვა არხებზე რომ დაინახეს, ამ სიმღერამ ბევრად შეუწყობ ხელი სატურისა მონაკვეთზე უჩას ბრიგადის სწრაფ სვლას, „ოჩეშ ხვე დო ხვარელი“ იქაც ავუგუნდა.

ლონგინოზი სიმღერის გარდა, გაზეთებითაც ამხნევებდა მუშებს. ყოველდღე მოჰქონდა „კომუნისტი“ და უკანასკნელ ცნობებს უკითხავდა.

— მისმინეთ, ამხანაგებო, — ხმაძალა, ყველას გასაგონად, თითქოს ტრიბუნიდან ამბობსო სიტყვას, პათეტურად კითხულობდა ცნობას იაპონიასთან ნეიტრალიტეტს პაქტის დადების შესახებ. — „იაპონიის პრესა მიესალმება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტს“, — წაიკითხა და იქვე გაუყვითა კომენტარი: — ჰმ, მიესალმება იმიტომ, რომ ჩვენი შიშით სული ცვივა. მიესალმება იმიტომ, რომ ჩვენი ძლიერნი ვართ, მაგრამ მშვიდობისათვის ვიღწვიით და ომს არავისთან არ ვაპირებთ. დაუგდეთ შემდეგ ყური ამხანაგებო, — „იაპონიის გაზეთი „ისახარი“, რომელიც იაპონიის მთავრობის წევრების შეხედულებებს გამოხატავს, აღნიშნავს: „მოსკოვში ხელი მთაწერეს საბჭოთა კავშირ-

იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტს, რომლის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენს ამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის ანალებში, — სიტყვა „ანალები“ არ იცოდა, რას ნიშნავდა, მაგრამ იფიქრა, ალბათ, რაღაც კარგიყო და ხაზგასმით წაიკითხა: — გესმით, ამხანაგებო, დიპლომატიური ურთიერთობის ანალებში — გაიმეორა ისევ. — ხედავთ, ვინა ვართ, რა ძალა ვართ! — ჩაჰყვა გახეთს ქვევით, მოძებნა კიდევ ერთი უკანასკნელი ცნობა: — აი, ბულგარეთის გახეთი „ზორხა“ რასა წერს ამ ისტორიული პაქტის შესახებ: „ყველა პაქტის დადებას, რომელიც კი საბჭოთა კავშირს დაუდვია და მზად არის მომავალშიაც დალოს, სსრ კავშირი ხელმძღვანელობს ერთი აზრით: უზრუნველჰყოს მშვიდობა საბჭოთა და სხვა ხალხებისათვის და ხელი შეუშალოს ომის გაფართოებასა და გამწვავებას, — თავი ასწია, გახეთი ააფრიალა: — აი, როგორ ზრუნავს, ამხანაგებო, ჩვენი მთავრობა, ჩვენი პარტია, რომ ომი არ იქნეს.

დაძაბული, აუტანელი შრომისა და თეთრად გათენებული დამეების შემდეგ, როგორც იქნა უჩა შამუგიას ბრიგადამ განვლო სატურისს მონაკვეთი და ვადაზე ერთი დღით ადრე გავიდა სანატრელ მიჯნაზე. შემდეგ ათი დღე არ იყო გასული, რომ ანტონ ბაჩილოს ბრიგადას გაუსწრო. ლონგინოზ ლომჯარიამ თავისი ხელით გამოიტანა მისი „პრისტმანის“ კაბინიდან დროშა და, როგორც წესად ჰქონდა, მოტოციკლის საქვზე დაამაგრა და ისე გააქროლა უჩა შამუგიას ბრიგადისაკენ, თითქოს მთელი ქვეყანა თან მიჰქონდა. აქეთ-იქით ესკორტივით ანტონ ბაჩილოს ბრიგადის წევრები მიაცილებდნენ ორი სატვირთო მანქანით.

ეს ამბავი პირველი მისის წინა დღეებში მოხდა და ამითაც იყო საყურადღებო. ბრიგადას არ აუღია ვალდებულება, საპირველშეისოდ გავიელო სატურისსო, ლონგინოზმა გადაწყვიტა შამუგიას ეს წარმატება ფოთში პირველი მისის დემონსტრაციის დამთავრების

შემდეგ ყორათის კლუბში კონცერტით აღენიშნა.

კონცერტზე სხვა მასივებიდანაც მოვიდნენ — მხიარულები, ხალსიანები, საზემოდ განწყობილები. არავინ ლაპარაკობდა ომის საშიშროებაზე, ქვეყნის განსაცდელზე. მოვიდნენ თავისი პურ-მარილით, საკრავებით, ნათესავ-მეგობრებით, ცოლ-შვილით.

ლონგინოზმა იცოდა, რომ ბევრი ხალხი მოვიდოდა და კლუბში არ დაეტეოდა. მართლა მოვიდა ბევრი ხალხი და ლომჯარიაც მომზადებული დახვდა კლუბის წინ ფართო მინდორი იყო. მინდორი მწვანე, ხასხასა ბალახით ლივლივებდა აქ. ცის ქვეშ გადაწყვიტა ლონგინოზმა კონცერტის გამართვა. მისი გეგმით იგი უფრო ჯარობას უნდა დამსგავსებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ კონცერტს. კლუბიდან გამოიტანეს სკამები, გრძელი მერხები, მაგიდები იმათთვის, ვინც პურ-მარილით მოვიდა, მაგიდები გამოიტანინა სასადილოდანაც.

პროგრამა თვითონ ჰქონდა შედგენილი. ცეკვა-სიმღერის გარდა, ფოთიდან მოწვეულ მსახიობებსა და პიონერებს ჭართველი პოეტების ლექსები უნდა წაეკითხათ პირველ მაისზე და კოლხიდაზე.

უნდა გამართულაყო სხვადასხვა ხალხური თამაშობები. კონცერტის დამავიჯრვენივებელი თავისი გუნდის გამოსვლა უნდა ყოფილიყო.

გუნდში მშენებლობის მუშა-მოსამსახურეების გარდა, სამმართველოსა და საცდელი სადგურის თანამშრომლებიც შედიოდნენ. მათში განსაკუთრებით ცია და ცისანა ცინცაქე გამოირჩეოდნენ. ისინი სოლო სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებდნენ.

ამ კონცერტისათვის ლონგინოზმა განსაკუთრებით კარგად მოამზადა უძველესი ოდიშური ცეკვა-სიმღერა „ჩაგუნა“, რომელსაც ხალხი ჯარობაზე და დამისთვისას ასრულებდა მინდორზე. ამ ცეკვა-სიმღერაში ძველად გუნდთან ერთად ხალხიც მონაწილეობდა.

ლონგინოზის ჩანაფიქრით „ჩაგუნა“ დღეს ცოტა სხვანაირად უნდა შესრუ-

ლებულიყო. საქორწილოდ გამოწყობილი ქალიშვილი მეგობრე ჩაგუს ელის მთიდან, მაგრამ პატარძალს ცეკვისას სხვა ვაჟი უპირებს გატაცებას. ნაბად მონვეული და ყაბალახით თავწაყრული ჩაგუ მთიდან გაშმაგებით მოისწრაფვის ბარში, შეიჭრება მოცეკვავეთა წრეში და გამოსტაცებს ვაჟს ქალიშვილს.

„ჩაგუნაში“ ცია საცოლის როლს ასრულებდა, ბონდო ნოდია — ვაჟისას, უჩა კი — ჩაგუსას. ლონგინოზმა არ იცოდა, რომ ცია ბონდო ნოდისაც უყვარდა. ლომჯარიამ ეს როლები რომ შესთავაზა, სამივემ უარი უთხრეს, მომარაგებელმა ვაკვირებულმა ამ უარით, როცა ჰკითხა, რატომ არ გინდათ იცეკვოთო, ვერც ერთმა ვერ გაამხილა მიზეზი და იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ.

ციასა და ბონდოზე მეტ უხერხულობას უჩა გრძობდა ჩაგუს როლის შესრულებაში. ცია მან ერთხელ უკვე წაართვა ბონდოს, ახლა ისევ უნდა წაერთმია, ისევ უნდა ეტყინებია გული.

სამივე ფარავდა უხერხულობას, სამივე იძულებული გახდა დამორჩილებოდა მკაცრ ლოტბარს.

კონცერტის დაწყებამდე სუფრა რამდენიმე ადგილას გაიშალა. სტუმრებს რაც მოტანილი ჰქონდათ, იმას სასადილოში სავანგებოდ მომზადებული კერძები დაემატა.

ლონგინოზმა მზარეულებს სამი დღით ადრე დაავალა, რაც შეიძლება ნაირ-ნაირი კერძები მოემზადებიათ და სამისოდ ყოველგვარი სურსათით, რაც იშოვებოდა და არ იშოვებოდა, მოამარაგა: ახალი ხორცი, ქათმებით, თევზით, ყველით, თეთრი პურით, მწნილითა და ლიმონათით.

პერეში მწვადისა და შემწვარი ხორცის სუნი ტრიალებდა. ისმოდა ქურჭლის წყარუნის, საღვებრძელოები, ერთმანეთს სუფრიდან სუფრაზე ეპატიებოდნენ, მეგობარი მეგობარს უგზავნიდა ღვინოს, უგზავნიდნენ მწვადებსა და შემწვარ ქათმებს.

ყველა ჭამდა და სვამდა, ყველა ილ-

ხენდა. მხოლოდ კირილე ებრალიძე და თენგიზ ქერქაძე არ უსხდნენ სუფრას. მათ არავინ ეპატიებოდა, არ თავაზობდნენ ერთი კიკია ღვინო დამილიყო.

თვითონ კაპიკის დახარჯვა არ უნდოდათ. ამოდ ელოდნენ დაპატიებებს. ისეთი ხელმოჭერილები იყვნენ „ოლიშური ანდაზა, დამ დას კურთა თხზოვა, ოლონდ არ დაჯდო, სწორედ მათზე იყო ზედგამოჭრილი. მოწყინდათ სუფრების შორიხლო ტრიალი, დაკარგეს იმედი და მთელი ღღის მშვიერებმა სასადილოს მიამშურეს. იქ მორიგი კერძი „სალიანკა“ მოითხოვეს, დიდი ფიჭრის შემდეგ თითო ბოთლი ლიმონათიც მოატანიეს.

სასადილოდან რომ გამოვიდნენ. ხალხი სუფრიდან აშლილი იყო. დიდი წრე შეეკრათ და იქიდან „ჩაგუნა“ შეესმათ. არ უყვარდათ ლონგინოზ ლომჯარია. იცოდნენ, მომწყობი ჯა ხელმძღვანელი ის იყო. არ უნდოდათ მის კონცერტს დასწრებოდნენ, მაგრამ „ჩაგუნა“ რომ შეესმათ. სულმა წასქლიათ და ხალხისაკენ გაემართნენ

ჩაგუნია, ჩაგუნა, ჰა,  
ვოსარადა. ჩაგუნა, ჰა,  
ჩაგუ, ჩაგუ, ჩაგუ,  
ჩაგუნია, ჩაგუნა, ჰა.

ისმოდა ხალხის წრიდან.

ყველა, დიდი და პატარა ქალი და კაცი წრის გარშემო იდგა და სიმღერის ტაქტზე ტაშს უკრავდა. ლონგინოზის ჩანაფიჭრით ამ სიმღერის დროს ტაშში არ უნდა დაეკრათ. მაგრამ ხალხი ისე გაიტაცა „ჩაგუნამ“, რომ უნებლიედ აჰყვა.

წრეში ცია ქარიშხალივით ტრიალებდა. ქორივით მისდევდა მკლავებზეშლილი ბონდო ნოდია, ვაჟს ხელიდან უსხლტებოდა ქალი. საქმროს ელოდა, მის ჩამოსვლამდე როგორმე უნდა დევცვა თავი. ჩაგუ მთიდან საცოლისაკენ მოისწრაფვოდა და საცაა გამოჩნდებოდა.

ბონდოს ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა. ციასთან ცეკვავდა, თვალბეში უყურებდა, სახეში უყურებდა, მისი ჩოხის კალთა ციას კაბის კალთას

ეხებოდა, მისი მხარეები ციას მხრებს ეხებოდა, მისი ეშხი სახეზე ეფინა, მისი ჰაერით სუნთქავდა. პირი მოკუმული ჰქონდა, რომ არ ეყვირა! — ცია, ცია.

ცია თვალს ვერ უსწორებდა. თავი გვერდზე გადახრილი, ხელები და თითები ისე მოხდენილად, ჰაეროვნად აეწია საბის აქეთ-იქიდან და თავთან ერთად განზე გადაეხარა. რომ მისი წარმტაცი, ლამაზი და ანთებული სახე დაფნის ორ ტოტს შუა მოქცეულივით მოჩანდა.

აბა, ბიჭო, ჯიჯი ბანი,

აშენებელი სქანი გვარი!

ქალ-ვაეის საოცრად მომზიბლავი, ნაზი და თან შმაგი ცეკვით აღტაცებულმა ხალხმა თავი ვერ შეიკავა და ტაშთან გუნდის სიმღერასაც აჰყვა:

ჩაგუ მურსუ ამ სერი,

სასინჯოთი ერჩქინელი,

ციას საქომანჯო მაფუ

გორილი და ერჩქინელი.

მეჯუნელოო ტარიელი.

არამ-ხუტუში ხე დო ტანი,

წელი ჭიფე, ჩხეშა ფართო,

ერთი-მორთი სკვერიცალი?

გამოჩნდა ნაბადმოხვეული და ყაბაღაბით თავწაქრული ჭაბუკი.

ფართოდ ვაარღვია ხალხმა წრე, გზა უტია სასინჯოს.

მოჰქროდა, მოარღვევდა მინდორს, მოხვეტავდა მიწას მისი ნაბადი. შეიქრა წრეში. შემოუფარა ერთი, მეორე, მერე შეფრინდა ციასა და ბონდოს შუა, მოსტაცა ვაეს თავისი საცოლე

და ჩააქროლა ხალხის წინ:

ჩაგუნია, ჩაგუნა, ჰა,

ვოდელია, ჩაგუნა. ჰა,

ჩაგუ, ჩაგ, ჩაგუ, ჩაგუ,

ჩაგუნია, ჩაგუნა, ჰა.

1. აბა, ბიჭო, ჯიჯი ბანი, ვახარებელი შენი გვარი.

2. ჩაგუ მოდის ამაღამ, სასიძოდ გამოჩნებულ ციას საქმოდ მუავს მოძებნილი და მიჩნებული შესახდევად ტარიელია, არამ-ხუტის ხელ-ფეხი აქმა წელი წერილი, თეძო ფართო, მიხრამიხრა — შევლისა აქმა.

ფართოდ გაშლილი მელაგებობა, ფერილებული ნაბდით დაჰქროდა წრის გარშემო უჩა. ქალ-ვაეის თავბრუდამხვევი ცეკვით აღტაცებული ხალხი და გუნდი სულ უფრო უმატებდა სიმღერის ტემპსა და ტაშს.

ბონდო გაწილებული და გულნატკენი იდგა. უჩასა და ციას ეს რომ არ დაენახათ, შეუმჩნევლად შეტრიალდა, უკან დაიხია, ხალხს ამოუფარა და მერე სირბილით ისე გამოიჭრა იქაურობას. არავის დაუნახავს.

მეჯუნელოო ტარიელი,

არამ-ხუტუში ხე დო ტანი.

უმღეროდა გუნდთან უჩას ხალხი.

ლონგინოზ ლომჯარიას სინჯარულს საზღვარი არა ჰქონდა „ჩაგუნას“ ეგზომ დიდი წარმატებით. მღეროდა თვითონაც, წამოჰარბლებული, კისრისძარღვებდაბერილი, თვალბაცეცხლებული ჩაიჭროლა უკანასკნელად უჩა შამუგვამ, მოხვია ნაბადი ციას და წრიდან გაიტაცა.

წელი ჭიფე, ჩხეშა — ფართო,

ერთი-მორთი სკვერიცალი,

მღეროდა ხალხი და უკრავდა ტაშს.

სიმღერა და ტაში ბონდოს უროსავით ურტყამდა თეძოში. რომ არ გაეგონა, ყურებზე ხელები აიფარა, თავქედგადავლევილი გარბოდა. უნდოდა ტყეში შეეღწია, იქ შეეფარებინა თავი. იქ სიმღერისა და ტაშის ხმას ასე ახლო არ გაიგონებდა. იქ თავის თავთან, თავის დარდთან და ვარამთან მართო დარჩებოდა. „წელი ჭიფე, ჩხეშა — ფართო, ერთი-მორთი სკვერიცალი“ — ეს სიტყვები მის მეტოქეს, უჩა შამუგვის ეხებოდა. მისი სილამაზისა და ვაჟკაცობის ხოტბა იყო. მან მოსტაცა ცია.

ამ ფიქრით დამძიმებული დიდხანს დაეხეტებოდა ტყეში. მზე ჩავიდა. დამაშდა. უკუნმა მოიცვა ისედაც ბნელი ტყე. მიინც არ გამოდიოდა ტყიდან. არავის დანახვა არ უნდოდა, არაფრის გავგონება არ უნდოდა, არავისთან დალაპარაკება არ უნდოდა. კვლავის წინ მინდვრიდან კვლავ ისმრდა სიმღერა.

სანდისი ქენჯნიდა, რომ უჩასთან გაცნობისა და მასთან მეგობრობის შემდეგ მისი საცოლე ისევ ისე უყვარდა. კიცხავდა თავის თავს, ადანაშაულებდა, მეგობრისათვის დალატად მიიჩნდა. თავს იმით იმართლებდა, რომ უჩას გაცნობამდე უყვარდა ცია, თავის საცოლედ მიიჩნდა.

იმ კონცერტის შემდეგ რამდენჯერმე გადაწყვიტა მშენებლობიდან წასულიყო. მიეტოვებია, გადახვეწილიყო საღმე შორს, საქართველოს გარეთ წასულიყო სამუშაოდ. მაგრამ აბა, როგორ მიეტოვებია ასეთ მდგომარეობაში მშენებლობა? როგორ ეღალატა საქმისათვის, როცა ყველა იმისათვის იკლავდა თავს, რომ საოქტომბროდ დაემთავრებიათ დედაარხის გათხრა. ეს ხომ დეზერტირობა იქნებოდა ომის მოლოდინის ქამს!

ზოგჯერ ინატრებდა, ნეტავ ომი დაიწყოს, რომ ჭარში, გამოიწვიონო, მაგრამ ამ საშინელ და სულელურ აზრს უმაღ უკუ ავდებდა და თვითონვე შეტყვევებოდა თავის ფიქრის.

არც ცია იყო გულდამშვიდებული. გრძნობდა, ხედავდა, რა დღეში იყო ბონდო. რა თავდავიწყებით უყვარდა მაგრამ რა ექნა? ეცოდებოდა. მისი გული დახურული იყო ბონდოსათვის და არაფრით არ შეეძლო ენუგეშებია. არც თავისი სიბრალულის გამოხატვა შეეძლო. ამით შეურაცხყოფდა ბონდოს. მეტ ტკივილს მიიყენებდა.

ფოთში გაზეთები თბილისიდან მეორე დღეს მოდიოდა. ამიტომ ტარიელ ქარდა საზღვარგარეთის უკანასკნელ ცნობებს ევროპაში საომარი მოქმედების შესახებ რადიოთი ისმენდა. რეპროდუქტორს შინ არ რთავდა, რათა ცოლს არ გაეგონა ფაშისტური არმიის ახალი წარმატებების ამბავი.

მარიამს გულის მანკი ჰქონდა და ჰიტლერის ურდოების გამარჯვებები მძიმედ მოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე.

ტარიელი სამსახურში ისმენდა უკანასკნელ ცნობებს. დილით, სამსახურის

დაწყებამდე მოდიოდა სამმართველოში. ამ დილითაც ჯერ შვილი სჯიდა იყო, რეპროდუქტორი რომ ჩართული იდაყვებით მაგიდაზე დაყრდნობილი და მუშტებზე ნიკაპით დაბჯენილი, მწარედ ჩაფიქრებული და შუბლშეკრული იჯდა.

„ტრანსოცენის სააგენტოს ვაღმოცემით, გერმანიის შეიარაღებული ძალთა უმაღლესი სარდლობის ცნობაში აღნიშნულია. რომ იუგოსლავიის არმია დაგვინებდა. საომარი მოქმედება შეწყდა დღეს თორმეტ საათზე“, — გადასცემდა დიქტორი.

კაბინეტის კარი გაიღო და ვაჟა ჯიფარიძე შემოვიდა. უძილო იყო, გაფითრებული, უქულო და მკერდგაღმდობი ტარიელ ქარდას არ გაუგონია მისი შემოსილად, ისევ ისე იჯდა ნიკაპით მუშტებზე დაყრდნობილი.

უკანასკნელი ცნობების გადაცემა დამთავრდა, რეპროდუქტორი ახრიალდა და გაჩუმდა. კაბინეტში სიწყნარე დადგა. სიწყნარე იდგა ქუჩებშიც. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. მხოლოდ შორეულ ქუჩებიდან ქარხანა-ფაბრიკებში მიმავალი მუშების ნაბიჯების ხმა ისმოდა.

მშენებლობის უფროსი, თითქოს კვლავ უსმენდა რეპროდუქტორს. თვალს არ ახამხამებდა. ტუჩები მოკუმული ჰქონდა და წარბები შეკრული.

ვაჟა კართან შედგა. უყურებდა მშენებლობის უფროსს. იცოდა, რომ ტარიელ ქარდა. ყოველ დილით, ამ დროს მოდიოდა სამმართველოში უკანასკნელი ცნობების მოსასმენად. იცოდა, რა მძიმედ ვანიცილიდა ომის საფრთხის მოახლოებას. თვითონაც ამ დღეში იყო და მოვიდა, რომ ერთმანეთი დაემშვიდებიათ, მაგრამ შეხედა თუ არა ქარდას, იგრძნო, ვერ შესძლებდა ამას. ახლა არავის არ შეეძლო მშვიდად ყოფნა.

— ვამარჯობა. ტარიელ, — მიესალმა, მივიდა, მაგიდასთან დაჯდა.

— მოდი, ვაჟა — რეპროდუქტორი გამორთო ქარდამ, — არ მინდა ვუს-

მინო. აღარ შემიძლია, — სახეზე ხელი მოსივა: — სანამდე გავრძელდება ასე?!

— რას ფიქრობს გერმანელი ხალხი?!

— ხალხს ვინ ეკითხება, ვეცა. ხალხი დაჩოქებული ჰყავს პიტლერს.

— ხალხმა უნდა შეაყავოს პიტლერის ჯარი.

— პიტლერის ჯარი ფაშისმითაა გაბრუნებული. არ აქვს თავისი აზრი. თავისი გონება, მაგრამ სადაა გერმანიის პროლეტარიატი?! — გაჩუმდა, უკირდა ამასე ლაპარაკი. — იყავი გუშინ ხობისწყლის ხიდის მშენებლობაზე?

— წავიდეთ. ერთი კვირაა არ ვყოფილვარ ხიდზე, — დაფიქრდა ნაღვლიანად გაიღიმა და დაუმატა: — ვინ იცის, იქნებ ეს ხიდი ომისათვის გახდეს საჭირო. იმ მანიაქისაგან ყველაფერს უნდა ელოდოს კაცი.

ცია პირველად ესტუმრა უჩა შამუგის საცხოვრებელ ფაგონში. იენისის პაპანება იდგა, ფაგონი თონეხავით ხურდა, უჩა ის იყო ბონდომ შესცვალა და ხელ-პირს იბანდა, რომ ცია მოულოდნელად მოადგა კარზე. უჩა წელს ზევით ტიტველი იყო. ოფლი უბრწყინავედ მზისგან გაშავებულ ტანზე.

— ცია, საიდან, როგორ? ! — თვალს არ უჯერებდა უჩა. სახესა და ხელებს სწრაფად იმშრალებდა. — როგორ მოგწონს ჩვენი ბინა? თითქოს მატარებელში ვართ, არა?

— ციამ არ უპასუხა. სევდიანი თვალებით შეპყურებდა უჩას სიხარულით ანთებულ სახეს.

— რა იყო, ცია?! საწყენი ხომ არაფერი შეგემოხება? — პირსახოცი დაკიდა, პერანგი გადაიკცა. ციას მკლავზე ხელი მოკიდა, მაგიდასთან მიიყვანა და დასვა. თვითონ მის პირდაპირ დაჯდა. — მითხარი, რა მოხდა, ცია?

— უჩა, ამბობენ, შეიძლება ომი დაიწყოს.

უჩამ ვერაფერი უპასუხა. ეს ამბავი თვითონაც კარგად იცოდა. იქნა და

შეპყურებდა ციას ფერწასულ სახეს.

— ლამეები არ მძინავს, უჩა...

— ნუ ვილაპარაკებთ ომზე, ცია, — მეტი ვერაფერი უთხრა უჩამ. თვითონ არ იცოდა, რანაირად შეეძლო არ ელაპარაკა ომზე. არ უნდოდა ომზე ლაპარაკი, არ უნდოდა ციას ფერწასული სახის დანახვა, არ უნდოდა, ციას ლამეები არ ძინებოდა.

— დედაარბი მოგეწონა, ცია?

— ტა ფართაა, რა ღრმა, — უთხრა ციამ. — იქ ალბათ, რიონის ოდენა წყალი ჩავა.

— რაც ამ მიწაზე წვიმის წყალი დავიკემა, რაც ამ მიწაზე ქაობის წყალია, ყველა დედაარბში ჩავა. ასე დაშრება ჩვენი მიწა.

— „ჩვენი მიწა“, — თქვა ციამ, რომ არ დაგვაცალონ, უჩა?

კერც ამაზე უპასუხა უჩამ.

— ცისანა როგორაა?

— მე და ცისანა ერთად ჩამოვედით. ის ანტონთან წავიდა, ჯავრით აღარ არის.

— ახლა ყველას ერთი ჯავრი აქვს, ცია. — უთხრა უჩამ.

— რა გვეშველება, უჩა?

— აქ ცხელა, გარეთ გავიდეთ.

— გარეთაც ცხელა.

ერთხანს ორივე ჩუმად იქნა. არ უყურებდნენ ერთმანეთს. ეშინოდათ ისევ ომზე არ ჩამოეგდოთ საუბარი.

— იქ ძალიან ცხელა. გარეთ გავიდეთ, უჩა, — წამოდგა და კარისაკენ წავიდა.

ვაგონის კარზე ხის ვიწრო კიბე იყო მიდგმული. ციამ ერთი ფეხი დაჰკრა საფეხურს და მიწაზე ჩახტა. მიწა გვალებისაგან ვაჭვავებული და გაბურებული იყო. ხეებზე ფოთლები შეშქქნარი იყო. პაერი არ იძროდა ქაობის ანაორთქლის მძაფრი, შეავე სუნი იდგა. შორიდან ექსკავატორის ჰქრიალ-რაბრაბი ისმოდა.

— ჩვენი ექსკავატორი მუშაობს, ცია. ჩემი და ბონდოსი, ნაბე?

— არა.

— იმ გზით არ მოხვედი?

— იმ გზით მოვედი. მაგრამ არ მი-  
ნახავს.

— წაივდეთ, ვნახოთ.

— არ მინდა, უჩა.

— ბონდო ჩემზე უკეთ მუშაობს.

— ბონდო სკოლაშიაც ბევრით იყო.  
სწავლაში ყველას გვეჯობიდა.

— დღე-დღეზე ელის ჭარში გაწვევ-  
ას.

— იქნებ არ იქნეს ომი, — თქვა  
იმედით ციამ. — ბონდო ხომ ტანკის-  
ტრა, ომი რომ მოსალოდნელი იყოს,  
ბონდოს აქამდე გაიწვევდნენ. იქნებ  
არ ელიან ომს.

— იქნებ, — ისევ იმედით უთხრა  
უჩამ.

— უჰ, რამ სიგრძე არხია, უჩა.

— ოცდაათოთხმეტ კილომეტრზეა გა-  
ლაქიმილი.

— რა ხელმა გათხარა ამ სიგრძე  
და ამ სიღრმე? — გაიკვირვა ციამ.

— რამდენი წელიწადია ვთხრით  
და საშველი არ დაადგა. რამდენი წელ-  
იწადია ვუცდით დასასრულს.

— ნეტა დაგვეცალდეს დასასრული,  
— თქვა ვედრებით ციამ.

— ნეტა, ცია.

აღმა მიჰყვებოდნენ არხს. დამბაზე  
მიდიოდნენ. მზე ზღვისაყენ გადაიხარა  
და მისი სხივები სახეში სცემდათ, მაგ-  
რამ ისე იყვნენ ჭავრიანი ფიქრით მო-  
ცულნი, არ გრძნობდნენ. ხელგებჩაკი-  
ლებულები მიდიოდნენ.

მიდიოდნენ დიდხანს. უახლოვდებო-  
დნენ ექსკავატორის ღრქიალ-რახ-  
რახს. დამბა მთაგრეხილივით გასდევ-  
და მთელ სიგრძეზე არხის ნაპირს.

— რა ხელმა ამოიღო ამდენი მიწა,  
უჩა?! — ესეც გაუკვირდა ციას და  
ღუმილი დაარღვია.

— ადამიანის ხელმა.

— რას არ ვააყეთებს ადამიანის ხე-  
ლი, უჩა.

— ჰო, ცია. როცა იცის რისთვის  
აყეთებს.

— ხად მოგვეცემენ სამოსახლო მი-  
წას? — ჰკითხა ციამ და მთლიანდნით  
შეანერღა.

— სადაც მოვისურვებთ, იქ მოგე-  
ცემენ.

— ნეტა დაგვეცალდეს. უჩა, — ვედრებით  
თქვა ციამ.

— ნეტა, ცია.

მზე თანდათან ზღვისაყენ იხრებოდა  
მისი სხივები სახეში აღარ სცემდათ.  
დაფიქრებულები მიდიოდნენ.

— ცია.

ციამ თავი ასწია და შეხედა.

— ამას წინათ ბონდომ მითხრა, ნე-  
ტა დაგვეცალდეთო შენ და ციას.

— მართლა ასე ვითხრა?!

— ასე მითხრა.

— ბონდოს კარგი გული აქვს.

— მის ადგილზე სხვა ჩემთან არ  
იმუშაებდა.

— მართლა არ იმუშაებდა. ბონდოს  
კარგი გული აქვს, — გაიმეორა ციამ,  
— შენს ადგილზე არც სხვა ამუშაებ-  
და თავისთან.

— შეიძლება.

— კარგ გულს არაფერი ჯობია ქვე-  
ყანაზე.

— ჰო ცია.

ტყის პირიდან მოტოციკლეტის  
ტეატატეუცი მოესმათ. თავი ასწიეს.  
ხეებიდან ლონგინოზ ლომჯარიას მო-  
ტოციკლეტი გამოიჭრა. მოიჩქვოდა,  
ყვინთავდა და ამოყვინთავდა ოკრობო-  
კროვებში. მტკრის გრძელი კორიანტე-  
ლი მოჰყვებოდა, იძენებოდა. ზანტად  
და ფართოდ წვებოდა მიწაზე.

უკან ვასო ბრეგვაძე ეჭდა მომარაგე-  
ბელს. ორივე უქულო იყო. მათი მელო-  
ტი, ოფლიანი თავი მზის სხივებზე  
ბრწყინავდა და ლალაჰებდა.

— ვასო ბრეგვაძე მოჰყავს. ალბათ,  
ბონდოსთან იყვნენ, — უთხრა უჩამ  
ციას. — დღე ისე არ გავა, არ მოგვა-  
კითხოს. მე და შენ ისე არ გვეჩქარე-  
ბა არხის დამთავრება, როგორც ამ მო-  
ხუცს.

— ჩემსავით ქვეყანაზე არავის არ  
ეჩქარება, უჩა. — თქვა ციამ და ჩუ-  
მად ამოიხარა.

— ვეცო, ცია.

— რა გვეშველება ომი რომ დაიწყოს უჩა?

— რა ვიცი, ცია, ეს არავინ არ იცის.

ციამ იწინა, რომ ისევ ომზე ჩამოავლო საუბარი.

— შიპატე, უჩა.

მოაგდო ლონგინოზმა მოტოციკლეტი. ვარშემო შეოუარა ციასა და უჩას და მათ წინ შეაყენა, ძრავი ჩააქრო.

— გამარჯობათ, — ლომჯარია და ბრეგვაძე ორივე ერთად მიესალმნენ ციას და უჩას.

— გაგიმარჯოთ, — უთხრეს მათ.

— შენ რატომ არ გძინავს?! — ჰკითხა მოჩვენებითი სიმკაცრით ბრეგვაძემ უჩას. ციას შეხედა და გაუღიმა.

— რა დააძინებს ამ ანგელოზის პატრონს?! — გაიკვირვა ლონგინოზმა.

— მართალი ხარ, ლონგინოზ. მართლა რა დააძინებს, — ციას შეხედა: — მოგეწონათ უჩას გათხრილი არხი?

— ძალიან მომეწონა. რიონს არ აქვს ამსილიდე კალაპოტი.

— ახლა მალე დავამთავრებთ და დასახლებით თქვენ და უჩა ჩვარს დაიწერთ. შენთან ვიყავი, უჩა ის ტანკისტი მართლა ტანკივით მუშაობს.

— ახლა ყველა ასე მუშაობს, ბატონო ვასო.

— ჰო, შეილო, ახლა ყველა ასე მუშაობს. მთელ ტრასაზე ასე მუშაობენ დრაგერები, — უთხრა ციას. — სხვანაირად არ შეიძლება.

— ჩვენც საცდელ სადგურშიც ასე ვმუშაობთ, ბატონო ვასო.

— ახლა სხვანაირად მართლა არ შეიძლება. — თქვა უჩამ.

— ყველამ ასე უნდა იფიქროს და იმუშაოს, — გაუღიმა ციას ბრეგვაძემ. — რას იტყვით, ცია?

— რასაკვირველია, ბატონო ვასო. ასე უნდა ვიფიქროთ და ვიმუშაოთ ყველამ.

— კარგია, ძალიან კარგია... მაგრამ შეიძლება კიდევ უფრო უკეთ ვიმუშაოთ. — აბა, გავწითოთ. ლონგინოზ, —

მოტოციკლეტს გადააჯდა. — ნახვამდის, მგებობრებო, — თავი დაუქრას უჩასა და ციას. — ანტონ ბაჩილოსთან მივიდივარ, — რაღაც დიდი ხანია შენი ექსპლავატორის კაბინაში დევს ღროშა. რა დეემართა ბაჩილოს ბრიგადას?!

— ჩვენი ბრიგადა არ აპირებს ღროშის დათმობას, ბატონო ვასო, — უთხრა უჩამ.

— დიდებულია, — მოუწონა ბრეგვაძემ სიტყვა, ახალგაზრდულად გაუბრწყინდა თვალები.

ატკაცუნდა ძრავა. მოწვდა მოტოციკლეტი ადგილიდან და წინ გაეარდა რწევარწევით და ყვინთვით უკან მოიბოვა მტვერი და კვამლი.

— საიდან აქვს ამდენი ძალა ამ ხნის კაცს?! — გაკვირვებით თქვა ციამ. სახეზე და წამწამებზე მტვერი ეფინებოდა. თვალებს ჭურტავდა.

— ძალას საქმე გამოაჩენს, ცია, — უთხრა უჩამ.

ისევ ჩაკიდეს ხელები ერთმანეთს და დამბას დაჰყვნენ...

ციანა ცინცაძე ანტონ ბაჩილოს „პრისტმანის“ კაბინაში იდგა ანტონი მუშაობდა და თან ციანას ელაპარაკებოდა ორ კვირაზე მეტი იყო თავისი საცოლე არ ენახა.

— უნდა დავიბრუნო ღროშა, — ეუბნებოდა ანტონი. — ამდენი ხანია იგი უჩა შამუგის „კომსომოლეცის“ კაბინაში დგას.

— რაღა მნიშვნელობა აქვს ანტონ, სად იდგება ღროშა? ყველა ომზე ფიქრობს. შენ კი ისევ ღროშისათვის იბრძვი, — ციანას ზმაში გაკვირვებაც ისმოდა და საყვედურიც. — ჭვარი მიინც დაგვეწერა ომამდე.

ბაჩილომ ბერკეტებს ხელი შეუშვა, ციანასაკენ მიბრუნდა, გაკვირვებითა და მადლიერებით შეხედა. არ ელოდა, რომ ციანა ამას ეტყოდა.

— მეხუმრები. ციანა?!

— რა არის ამში სახუმარო? — თვალზე ცრემლი მოადგა ციანას. — ჯობდა ჭვარი დაგვეწერა.

— ჩვენ ზომ არხის გათხრის დათმავ-

რების დღეს ვაპირებთ ჯვარისწერას. უჩა და ციაც ასე აპირებენ.

— დღეს ან ხვალ დაიწყებოთ ომი, ანტონ.

— ამიტომ უნდა წავიაროთ უჩა შამუგეის ბრიგადას დროშა. ამიტომ უნდა ვიმუშაოთ უჩა შამუგეის ბრიგადაზე უკეთ.

— ვის რათ უნდა ახლა ეს მიწა, — უთხრა ცისანამ. ღია კარიდან ლონგინოზ ლომჯარიას მოტოციკლეტი დაინახა. — ვასო ბრეგვაძემ მოდის ეს მოხუცი მაინც რამ გადარია? გავალ. სირცხვილია, კაბინაში რომ დავხვედ.

— რატომია სირცხვილი? ბრეგვაძემ იცის ჩემი საცოლე რომ ხარ. იყავი, არ გახვიდე.

ვასო ბრეგვაძემაც დაინახა ცისანა.

— ხედავ, ლონგინოზ, ანტონსაც მოსვლია საცოლე.

დელაარხის მთელ ტრასაზე თავიდან ბოლომდე საქმე გაწაღდულად მიდიოდა. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ საოქტომბროდ არხის გათხრა ყველა მასივში მთლიანად დამთავრდებოდა. მაგრამ კოლექტორებისა და დრენაჟების მდგომარეობა ბევრად ჩამორჩებოდა დელაარხის მშენებლობას. ვერც ტყის გაფხვას ასწრებდნენ.

ამ სამუშაოებს სპირიდონ გუნია ხელმძღვანელობდა. იგი ვერ ახერხებდა მეტი მოეთხოვა მშენებლებისაგან. დღეს-ხვალ ქვეყანა ომის ხანძარში გაეხვეოდა და მოდი, დააძაღე ხალხს უაობის დაშრობათ, ფიქრობდა გუნია. ეს არ არის ახლა ამ ხალხის საზრუნავი. მისი თავი სხვა დარდითაა გატყდილი. სპირიდონი არ იზიარებდა ბრეგვაძის ერთუხიანსს.

არც ტარიელ ქარდას, ვეცა ჯაფარიძის და კოჩა ყორშიას იმედებს უყურებდა ოპტიმისტურად. ისინი ყოველ დღე ჩამოვილიდნენ მასივებს და პირადად ამოწმებდნენ როგორ მიდიოდა მუშაობა კოლექტორების, დრენაჟების, ხიდებისა და გზების მშენებლობებზე და

ტყის გაფხვაზე. იგებდნენ, რა უჭირდათ და სასწრაფოდ ღებულობდნენ საჭირო ზომებს.

ხალხი დაყურადებული იყო, თოფისწამლის სუნი სცემდა მას, ომის ხანძრის ალი ედგა თვალწინ.

„რატომ დელაარხის მშენებლები არ არიან გულგატეხილები? — ფიქრობდა მოხუცი ინჟინერი, — რატომ მუშაობენ მთელი მონდომებით? განა მათ არ შეეხებოთ ომი? — ბრეგვაძემ ვერ ამხნევდა, რომ დელაარხის მშენებლებს თვითონ აგულიანებდა, მოსვენებას არ აძლევდა, აქეზებდა, ვერ ამხნევდა, რომ თვითონ, თავისი მუშაობით მთავალი იყო დელაარხის მშენებლებისათვის. — თუ მუშები და მექანიზატორები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ინჟინრები რატომ არ ვეჯიბრებით? — შეეკითხა ერთხელ მოულოდნელად თავის თავს. — რა იქნება, სპირიდონ გუნია რომ გამოვიწვიო სოციალისტურ შეჯიბრებაში ეს ცოტაა შეაჯანჯლარებს სპირიდონს... მაგრამ რომ დამცინონ. ამ ხნის კაცი ახალგაზრდა ინჟინერს ეჯიბრებაო! რა უწყობთ მერე, დამცინონ. თუ საქმეს არ გებს, დაე, დამცინონ. ასეთი სირცხვილი არ მომკლავს.“

მეორე დღეს კანტორაში ეწვია სპირიდონ გუნიას. ინჟინერი ჩაფიქრებული იჯდა თავის კაბინეტში, სიცხისაგან მკერდგადაღედილი და ოფლიანი, მოთენთილი და მოშვებული. ფანჯრების რაფებზე ევკალიპტების ტოტები ვიწყო, კოლოს არ უყვარდა ევკალიპტების სუნი და არ შემოდიოდნენ ოთახში.

— რამ ჩაფიქრება ასე ღრმად, სპირიდონ? — მზიარულად ჰკითხა ბრეგვაძემ. — ჩასაფიქრებელი კი გაქვს. მეგობარო, ჩამორჩები. შენ კი ბოლო ხენებში სულ კაბინეტში ზიხარ.

— მე სხვა ფიქრი მაწუხებს, ბატონო ვასო, — წამოდგა გუნია, ყოველთვის სალმიანი, თავაზიანი, სკამი დაუღვა.

— მე კი მხოლოდ მშენებლობაზე ფიქრი მაწუხებს. ჩამორჩებიან კოლექტორების, დრენაჟების და გაფხვების

ბრიგადები. არ შეიძლება ასე გაგრძელდეს, გეგმა გეგმაა, მეგობარო, — დაჭდა ბრეგვაძე, შეხედა გუნიას. არ მოეწონა მისი სევდიანი სახე.

— მათ ახლა ვერ მოთხოვ უკეთ იმუშავეთო, — უთხრა გუნიამ. თვითონაც დაჭდა. — მშურს თქვენი ოპტიმიზმი, ბატონო ვასო.

— კარგია, რომ გმურს. მამასაღამე. ჩემს გუნებაზე გინდა იყო.

— ძალიან მინდა, მაგრამ არ გამოძღის, ვერ ეახერხება.

— მაშ, მე გაიძულე, რომ გამოვივიდეს, რომ მოახერხო. დიახ. დიახ, ნუ გაგიკვირდება, გაიძულე, — სწრაფად, გაცხარებით ლაპარაკობდა მიუხედავად იმისა, რომ არანაკლები ჯაფრი ღრღნიდა.

— რანაირად მაიძულებთ, ბატონო ვასო?! — მწარედ გაიღიმა გუნიამ.

— სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვევ.

გუნია თვალს არ აშორებდა ინჟინრის ადელვებულ სახეს. უღიმოდა. ვერ ფარავდა გაკვირვებასა და აღტაცებას.

— თქვენ ჰაბუციის გული გაქვთ, ბატონო ვასო.

— რატომ არ უნდა მქონდეს ჰაბუციის გული?! საქმე დიდებულად მიმდის, არხს ღროზე ადრე გავიყვან... შენ კი ჩამორჩი. არ მოგცემ ამის უფლებას. დიახ, არ მოგცემ. ლეზულობ გამოიწვევას?

— მეხუმრები, ბატონო ვასო!

— რატომ ვეხუმრები?!

— ასეთ დროს... — სიტყვა ვერ იპოვა გუნიამ.

— დიახ, სწორედ ასეთ დროს, სამ წუთს ვაძლევ მოფიქრებისათვის, — მაქის საათს დახედა.

გუნია ვაუბრდავად შეჰყურებდა. ხედავდა. როგორ ღელავდა, განიცდიდა ბრეგვაძე.

— რომ წავაგო შეჯიბრება? — ამის თქმა არ უნდოდა.

— იმიტომ ვიწვევ, რომ არ წავაგო. გასაგებია?

— გასაგებია, — კეთილად გაუღიმა გუნიამ. — გმადლობთ, ბატონო ვასო.

— გავიდა სამი წუთი. მომეცი ხელი.

გუნია წამოდგა და, ჩელი გაუწოდა. წამოდგა ბრეგვაძეც. დიდი ხანის ანკლრევენენ ერთმანეთის ხელს, მერე დასხდნენ, განიხილეს და შეთანხმდნენ შეჯიბრების პირობებზე.

მეორე დღიდან მოყოლებული ვასო ბრეგვაძე მოსვენებას არ აძლევდა ისედაც ზელში შეკლულ მომმარაგებელს. მის მოტოციკლეტიდან აღარ ვადმოდიოდა. რა ექნა? ფეხით ვერ ივლიდა იმდენს. სხვა ტრანსპორტი არ ჰყავდა.

ლონგინოზი ცხარე ცრემლით ტირიდა: მე ჩემს საქმეს ძლივს აფუდივარ. მუშებს თუ დროზე არ მიეწოდებ ხეტყე, რკინა. ცემენტი, სასმელ-საქმელი, ჯანდაბა და ღოზანა, მერე თვალი როგორ გავახილო, სირცხვილს სად ვაქვამ?

ვასო ბრეგვაძემ იცოდა, რომ ლონგინოზს თავისი საქმე საათივით აწყობილი ჰქონდა. მისი თანამშრომლები არც ხე-ტყეს დაუგვიანებდნენ მუშებს, არც ცემენტს, არც რკინასა და სასმელ-საქმელს.

— ძმებო. შეილებო, ამხანაგებო, — ეხვეწებოდა მოხუცი ინჟინერი ღრაგერებს. — თავი არ მოშკრათ ამ ხნის კაცს, არ შემარცხვინოთ, არც თქვენ შეირცხვინოთ სახელი. არ გვაჯობონ სპირილონ გუნიას ბრიგადებმა. ახლა ისეთი დროა, არ შეიძლება სხვამ გვაჯობოს. გესმით? არ შეიძლება. ახლა ჩვენი მშენებლობა გასამხედროებულია. არავის არ დაუდგენია ეს, მაგრამ ასე უნდა იყოს. იმდენი მოეთხოვება ყოველ თქვენგანს, რაც ჯარისკაცს ბრძოლაში. არ გაგიგონიათ ხალხური სიბრძნე: ვაუკაც-გულაღზე მშრომელი სამი ვიფრენით მეტიაო. არ შემარცხვინოთ, თავი არ მოშკრათ.

არავის შეეძლო იმაზე მეტის ვაკეთება. რასაც ღრაგერები და მისი თანამშრომლები აკეთებდნენ. მათი შრომა აღამიანის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ამას ხედავდა ვასო ბრეგვაძე და სიმწრით გული ეწვოდა. მათგან კიდევ უფ-

რო მეტს რომ მოითხოვდა სინდისი ქენ-  
ჯნიდა. რა ექნა? ის მუშებს აჩქარებდა.  
მას კი ომის შიში აჩქარებდა. ყოველი  
ბრიგადის წარმატება, სპირიდონ გუნი-  
ას ბრიგადა იქნებოდა ის, თუ თავისი,  
ბავშვივით ახარებდა.

— ხედავთ, რა ძალა აქვს სოციალის-  
ტურ შეჯიბრებას! — ყოველ დღე და-  
ზეპირებულევით იმეორებდა ამ სიტყ-  
ვებს. — ხედავთ, რა ძალა აქვს სტა-  
ხანოვურ მოძრაობას?

არხის ტრასაზე ავლისას და ჩავლი-  
სას მოხუცი ინიენერი და მომმარაგებე-  
ლი, არც იმას ივიწყებდნენ, როგორ იკ-  
ვებებოდნენ ასეთი დაძაბული მუშაობ-  
ით წელში გაწყვეტილი მუშები. ამოწ-  
მებდნენ ტრასაზე განლაგებულ სასა-  
დილოებსა და სასურსათო ფარდულე-  
ებს, იგებდნენ როგორ მარაგდებოდნენ  
ისინი, როგორი კერძები მზადდებოდა  
სასადილოებში. საწყობები დროზე აწ-  
ვდიდნენ თუ არა სურსათს ფარდულე-  
ებსა და სამზარეულოებს, დროზე მიმ-  
ქონდათ თუ არა სასმელი წყალი.

ყველაფერი კარგად და დროზე კეთ-  
დებოდა, მაგრამ ბრეგვაძე და ლომჯა-  
რია მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. ზო-  
გან კერძს იწყუნებდნენ, ზოგან წყალს.  
შაქს სდებდნენ მზარეულებსა და მუ-  
თელუხჩეებს. არვინ აკლებდა საქმეს  
გულს. არც მზარეული, არც მეთუ-  
ლუხჩე, არც საწყობის და არც ფარდუ-  
ლის გამგე.

აომებულ გზებზე სიარულმა მომმა-  
რაგებელის მოტოციკლეტი უბედურ  
დღეში ჩააყენა. აღარ იყო ის მძლავრი,  
პრიალა და შურდულივით მფრინავი  
მანქანა, ფოთის ქუჩებში რომ დააქრო-  
ლებდა თავმომწონედ ლონგინოზი. და-  
ინჯღრა, დაიფხვავა. დღეში რამდენჯერ-  
მე ჩერდებოდა და გახურებულ ცის  
ქვეშ, ასევე გახურებულ მტვერში ჩა-  
მუხლული ლონგინოზი, ოფლის ზეთიქი  
რომ გადასდიოდა სახეზე, დიდი წვალე-  
ბით უდგამდა სულს სულთმობრძავე  
ძრავს.

სეროვა დეკრეტულ შევებულებაში  
უნდა გასულიყო, მაგრამ არ მიდიოდა.

ბ. მნათობი, № 5.

ვერ ტოვებდა მშენებლობას. ექიშმა  
ყორათში სიარული აუკრძალა, იმ გზებ-  
ზე მანქანით მგზავრობა. აღარ შეიძ-  
ლებოდა მისთვის.

მთელი დღე სამმართველოში იჯდა.  
თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ არ იმ-  
ჩნევდა. მის ცუდად ყოფნას ვაჟას  
ჯარში გაწვევის მოლოდინი ემატებო-  
და. მუდამ ხალისიანი, უდარდელი, თა-  
ვის თავში ჩაიკეტა. ზოგჯერ დღე ისე  
გავიდოდა, არ დაილაპარაკებდა. თავისი  
ფეხშიძეობისაც რცხვენოდა. ასეთი  
მუცლით ქალი ხალხში არ უნდა გამო-  
ვიდესო, ფიქრობდა, მაგრამ შინ მაინც  
ვერ ჩერდებოდა.

თავის მწუხარებასა და შიშს ვაჟას  
არ უჩვენებდა, არც რუსულანსა და პე-  
ტრეს. შინ რომ დაბრუნდებოდა, საძი-  
ნებელ ოთახში განმარტოვებოდა.  
სიყმაწვილიდან დამოუკიდებელ ცხოვ-  
რებას შეჩვეულს, ვერ წარმოედგინა,  
ვაჟას ჯარში წასვლის შემდეგ, როგორ  
იცხოვრებდა, როგორ გაძლებდა. ვაჟას  
დეიდა რუსულანი და პეტრე ყურად-  
ღებებს არ მოაკლებდნენ, მაგრამ გალი-  
ნა არკადიენა თავის თავზე არ ფიქ-  
რობდა და წუნდა. მას ვაჟას დარდი  
ჰქონდა.

რუსულანი და პეტრე ყველაფერს  
ხედავდნენ და კიდევ უფრო მეტად შე-  
უყვარდათ რძალი. მათაც გული საგუ-  
ლეს არ ჰქონდათ, მაგრამ ერთი წუთი-  
თაც არ აგრძნობინებდნენ ამას გალინა  
არკადიენასა და ვაჟას.

არც ისე დიდი ხანი იყო, რაც გალი-  
ნა მათ ოთახში შევიდა და რამდენი რამ  
დაიტია მათმა ხანმოკლე ერთობლივმა  
ცხოვრებამ. რა ახლობლები გახდნენ  
ერთმანეთისათვის და ახლა ის, ვინც ის-  
ინი დააახლოვა უნდა წასულიყო და  
ვინ იცის, დაბრუნდებოდა ოდესმე.

ამ საშინელი ფიქრით დაზნაბულები  
ერთმანეთს არიდებდნენ თავს, განცა-  
ლევდებოდნენ და სეროვასავით ისინიც  
განმარტოებით ებრძოდნენ თავის  
ჯავრს. ებრძოდნენ, მაგრამ ვერ ერეოდ-  
ნენ.

რუსულანსა და პეტრეს ვაჟაზე ამო-

სდოდათ მზე და მთვარე. მის გარეშე ცხვრება ვერ წარმოედგინათ. ვერ ამეიდებდათ ის, რომ ასეთივე ბედი ელოდათ მილიონობით აღამიანებს. ამეიდებდათ კი არა, ეს უფრო ამიძიმებდა მათ ისედაც მიძიმე ჯავრს.

პაპანება არ ცხრებოდა.

ვაგონის კარი ღია იყო. ღია იყო კარფანჯრებიც. ასე დატოვა უჩამ დაწოლის წინ, რომ ორპირ ქარს სივრილე შემოეტანა. საღ იყო სივრილე. მიწას ცეცხლი ეკიდა. გრილი ჰაერის ნაცვლად კოლოები შემოდოდნენ ვაგონში.

ოფლში ვალვარული უჩა ტრუსის ამბარა იწვა ლოვინზე. კოლოები უმოწყალოდ კბენდნენ. არ გრძობდა, არც მათი უსიამო წუილი ესმოდა. სიზმარს ზედავდა. იღიმებოდა. ბოლო ხანებში რეპროდუქტორს, ვაგონის კედელზე რომ ეკიდა, ჩართულს ტოვებდა, რათა უკანასკნელი ცნობების ვადმოცემისას გაეღვიძებია მის ხმას.

ღიმი ხანი ეძინა. ახლოვდებოდა მისი და მისი თანამეგობრის ბუხუ ხურციას ცკლაზე გასვლის დრო.

ბუხუ მოპირდაპირე კედელთან იწვა და ზვრინავდა. ისიც ტრუსის ამბარა და ოფლში ვალვარული იყო. ხვრინავდა, როცა პირადმა იწვა, როგორც კი გვერდზე გადაბრუნდებოდა, ზვრინავს მიატოვებდა.

ეს იცოდა უჩამ. ფზიზელი ძილი ჰქონდა. ახვრინდებოდა თუ არა ბუხუ, გაეღვიძებოდა, ადგებოდა, მხარზე ხელს წაქარავდა. ეს საკმარისი იყო, ვალვინებოდა ბუხუს და გვერდზე გადაბრუნებულიყო.

ახლა ტკბილ სიზმარში მყოფს არ ესმოდა ბუხუს ხრვინვა. ვახსნილი იყო ღელდარხი. ზანტად მიედინებოდა მღვრიე, მიძიმე წყალი. არხის დამბები მოაზრებე ხალხით აჭრულებულიყო. ის მოდა ხმამაღალი, მხიარული ლაპარაკი, შეძახილები, სიმღერა. უკრავდა სასულე ორკესტრი. ხმები ერთმანეთში ირეოდა. მიჰქონდა არხს ქაობის წყალი ზღვინებდა.

საქორწილოდ გამოწყობილეს უჩა და ცია დაბაზე იდგნენ. მათ გარეშე მოხალხი ირეოდა. არ ამჩნევდნენ ხალხს, არ ესმოდათ ლაპარაკი. სიმღერა, ორკესტრის ხმა. იმდენად ბედნიერები იყვნენ ამ დღით, თავის თავის მეტი არაფერი ახსოვდათ. იდგნენ ხელებიანი კედლები. უნდოდათ ერთმანეთისათვის რაღაც კარგი ეთქვათ და ვერ ახვრებდნენ. ხელებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს სათქმელს. დასცვიროდნენ წყალს, სამუდამოდ რომ მიჰქონდა ქაობის შხამი. ამიერიდან ჯანსაღი იქნებოდა მიწა. დაიდგამდნენ ამ მიწაზე სახლს.

— ცია.

— ჰო. უჩა.

— ვახსოვს, ზღვაზე გაწოლილი ზარნიში?

— რა დამავიწყებს, უჩა?! — გაიკვირვა ციამ.

— ვახსოვს, რა გითხარი მაშინ ცია.

— მახსოვს, უჩა.

— ხედავ წყალზე ზარნიშს?

— ვხედავ, უჩა.


— ანდრო განვას ზარნიშია იგი.

— უჩა, — უთხრა ციამ, მაგრამ ვერ გაიგონა უჩამ.

...დღეს, დილის ოთხ საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაიმე პრეტენზიის წარუდგენლად, ომის გამოუცხადებლად. ვერმანის ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, — ციას ხმის მაგივრად ეს სიტყვები გაიგონა უჩამ. ხრილებდა რეპროდუქტორი. ვანავრებოდა დიქტორი: — იერიში მიიტანეს ჩვენს საზღვრებზე ბევრ ადგილას და თავისი თვითმფრინავებით ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ქალაქებს — ეიტომირს, კიეგს, სევასტოპოლს, კუენასსა და ზოგიერთ სხვას. ამასთან მოკლულია ორასზე მეტი კაცი“.

— ცია... — სულშეგუბებული წამოიჭრა ლოვინიდან უჩა.

„თვითმფრინავების თავდასხმა და საარტლერით სროლა მოხდა ავრეთვე



რუმინეთსა და ფინეთის ტერიტორი-  
დან“.

თავზარდაცემული ბუხუ ხურცია  
რეპროდუქტორის წინ იდგა. არ გაუ-  
გრნია, როგორ წამოიჭრა ლავინიდან  
უჩა.

— ბუხუ, რა არის ეს?! — ჰკი-  
თხა უჩამ ბუხუს. ჭერ კიდევ არ იყო  
გამოსული სიზმრიდან.

— ომია, — უთხრა ბუხუმ და იქვე  
მღვარ ტაბურეტკაზე დაეშვა.

უჩა და ცია ისევ ხელეზარადებუ-  
ლები იდგნენ, მაგრამ არა დამბაზე, ფო-  
თის რკინიგზის სადგურის ბაქანზე. მათ  
გარშემო კვლავ ირეოდა ხალხი, კვლავ  
არ ამჩნევდნენ ხალხს. არ ესმოდათ  
ლაპარაკი, სიმღერა, სასულე ორკესტრ-  
ის ხმა. იმდენად დამწუხრებულნი იყე-  
ნენ ამ დღით, თავის თავის მეტი არაფე-  
რი ახსოვდათ. უნდოდათ ერთმანეთისა-  
თვის რაღაც საიმედო ეთქვათ, მაგრამ  
ვერ ახარებდნენ.

მათ წინ სატვირთო და სამგზავრო  
ვაგონები იდგა. ვაგონები ჭარში შიშვე-  
ლებით იყო სავსე.

დღესაც მძაფრი პაპანება იდგა, მაგ-  
რამ არ ჰგავდა იმ დღეს, უჩამ სიზმარ-  
ში რომ ნახა. უფსკრული ჩადგა იმ სიზ-  
მრისა და დღევანდელ დღეს შორის.  
ცია და უჩა ამ უფსკრულის გაღმა-ვა-  
მოდმა დარჩნენ. არ უშვებდნენ ხელს  
ერთმანეთს. ვინ იცის რამდენი ხნის  
შემდეგ შეეხებოდა ციას ხელი უჩას  
ხელს. ან კი შეეხებოდა? ამ საშინელი  
ფიქრით გაოგნებული ცია მაგრა უჭერ-  
და ხელს უჩას ხელს. კიდევ რამდენიმე  
წუთი და გამოეცლება მისი ხელი.

— დამიცი, ცია? — ჰკითხა უცებ  
უჩამ.

— ეს რა გაიფიქრე, უჩა?! — თავ-  
ზარი დაეცა ციას.

— არ უნდა შეთქვა ასე. ცია... მაპა-  
ტრე, ცია.

— თავს გაუფრთხილდი, უჩა.

უჩას გაეცინა.

— რათ გაიცინე, უჩა?!  
— გაუფრთხილდები თავს, ცია.

— სულელი ვარ, არა, უჩა?

— არა, ცია. მართლა გაუფრთხილ-  
დები თავს, რომ დაებრუნდე.

— უნდა დაბრუნდე. უჩა... მე გა-  
ლოცებ რომ დაბრუნდე... დღე და ღამ  
ვილოცებ, რომ დაბრუნდე.

— დაებრუნდები, ცია.

ანტონ ბაჩილო და ცისანა ცინცაძე  
ხალ... მოშორებით იდგნენ განცალ-  
კმევი...

— რისთვის ვაშრობდით ჭაობს, ან-  
ტონ?! — ძლივს იკავებდა ცრემლს ცი-  
სანა; არ უნდოდა ანტონი ცრემლით  
გაეცილებოდა. — რატომ უფრო ხშირად  
არ ვხვდებოდით ერთმანეთს, ანტონ!

— დრო არა გვქონდა, ცისანა, —  
უთხრა ანტონმა, — მაგრამ შენ მაინც  
სულ ჩემთან იყავი.

— შენც სულ ჩემთან იყავი, ანტონ,  
— გაღივება უნდოდა და ვერ გაი-  
ღიმა. ეს რომ ანტონს არ დაენახა, ლო-  
ყით მკერდზე მიეკრა. — რა მეშველე-  
ბა, ანტონ!

სასულე ორკესტრის უკან იდგნენ.  
ორკესტრის გრიალში ცისანასა და ან-  
ტონს ცუდად ესმოდათ ერთმანეთის  
ხმა.

„ღმერთო ჩემო, რა საჭიროა ახლა აქ  
ორკესტრი!“ — ვაიფიქრა ცისანამ.

ბაქანზე ხალხის ტევა არ იყო. ხალხი  
ბაქნის იქითაც ირეოდა. გამცილებლები  
კარ-ფანჯრებთან იდგნენ. ზოგი ტირო-  
და, ზოგი თავს იმაგრებდა. მშვიდობით  
დაბრუნებას უსურვებდნენ თავისიანებს.  
ესენი იყვნენ დედები, მამები, დე-  
ბი, შვილები, ნათესავეები და მეზობ-  
ლები. ყველა ისინი მოელოდნენ თმს.  
მაგრამ თურმე კიდევ ჰქონდათ რაღაც  
იმედის მსგავსი, რომ არ იქნებოდა  
ომი.

რუსულდანი და პეტრე მოშორებით  
იდგნენ, რომ ხელი არ შეეშალათ ვაე-  
სა და გალინას გამოთხოვებისათვის.  
პეტრეს ვაეას სავლელე ჩანთა ეჭირა.  
რუსულდანი და გალინა მთელი დამე იც-  
ხოზდნენ და ხარშავდნენ ვაეასათვის  
სავხალს.

სეროვა იდგა ვაეას წინ ტანსაცმე-

გვ. 115-ის ბოლოში ბეჭდვის შეცდომები

სრულ კაბაში. იღგა დედა და უღიმოდა თავის შვილის მამას მშვიდად. აუღელვებლად. ვაჟი გრძნობდა, რა გაჭირვებით ახერხებდა ამას გალინა არკადიევნა.

— რა დავაჩქვით, ბიჭს ვაჟა?

— დარწმუნებული ხარ, რომ ბიჭი გვეყოლება? — გაუღიმა ვაჟამ.

— უსათუოდ ბიჭი გვეყოლება.

— ანდრო დავაჩქვით, გალინა.

— დიდებულთა ვაჟა, — გაეხარდა სეროვას. — მეც ასე ვფიქრობდი.

— კარგია, რომ შენც ასე ფიქრობდი, — უთხრა ვაჟამ. — აბა შენ იცი, როგორ მოუვლი პატარა ანდროს.

— ვითხრა ვაჟა, კიდევ რას ფიქრობ?

— მითხარი, გალინა.

— ანდრო შენ გემგვანება.

— ამაშიაც დარწმუნებული ხარ? — ისევ გაუღიმა ვაჟამ.

— თუ სახით არა, ხასიათით მაინც.

— ეს კარგია, გალინა.

— კარგია, ვაჟა...

ვასო ბრეგვაძეს მარცხენა ხელი სპირიდონ გუნიას მხარზე ედო, მარჯვენაში მისი საველე ჩანთა ეჭირა და ხალხის ქედვაში წინ და უკან მიმოდიოდნენ ბაქანზე.

— ჩაიშალა, ბატონო ვასო, ჩვენი სოციალისტური შეჯიბრება, — უთხრა გუნიამ მოხუც იჩენერს.

— რატომ ჩაიშალა?! — შედგა ვასო ბრეგვაძე. — დამთავრდება ომი და ისევ განვავრძობთ შეჯიბრებას, — ყალბად ეჩვენა თავისი ნათქვამი, იცოდა რა იყო ომი.

სპირიდონ გუნიამ მხოლოდ გაუღიმა.

— მომეცით ჩანთა, დაიღლებით.

— არ მოგცემ, მეჭიროს. შენ იგი მთელი ომის განმავლობაში უნდა ატარო, — უთხრა ბრეგვაძემ. ტყვიის ვერ ფარავდა. — მშურს შენი სპირიდონ.

— რა გშურთ, ბატონო ვასო?! —

— რომ შენ სამშობლოს დასაცავად მიდიხარ და მე აქ ვრჩები, რას იზამ. საბერეს ვერ გაიქცევი.

მშენებლობის სამმართველოს უფრო-

სი კონა ყორშიას და მომარაგების თანხლებით ხან ვაჟა ჯაფარიძესთან მივიდოდა, ხან უჩა შამუგისთან, ანტონ ბაჩილოსთან, სპირიდონ გუნიასთან და მიკიტა ლიაშვოსთან. ყველასთვის პოულობდა ორიოდ თბილ სიტყვას.

პარტორგი მიჰყვებოდა ჯარში გაწვეულებს.

მშენებლობის მუშები და ტექნიკური პერსონალი განცალკევებულად იდგნენ ბაქანზე. მათ მშობლებისა და ნათესავების გარდა, მთელი სამმართველო აცილებდა.

ბონდო ნოდია განმარტოებით იდგა. არავინ მყავდა გამცილებელი. ისე მიდიოდა ჯარში, სოფელში ასვლა ვერ მოასწრო მშობლებთან.

დაინახა ციამ. წამიერი ყოყმანის შემდეგ უჩას ჰკითხა:

— გამოვეთხოვო ბონდოს, უჩა?

— რასაკვირველია, ცია, — გაეხარდა უჩას. ბონდო ახლდა დაინახა, მკლავში ხელი გაუყარა ციას და ბონდოსთან მიიყვანა.

ციამ პირველად გაუწოდა ბონდოს ხელი და თავის ხელში შეაყოვნა. გულწრფელი თანაგრძნობით უყურებდა.

— დეღამ და ბაბამ ირ იციან, ბონდო, ჯარში რომ მიდიხარ?

— სოფელში ასვლა ვერ მოვასწარი, — უთხრა ბონდომ.

— მე მივლივარ ხვალ სოფელში და ვეტყვი.

— საცდელი სადგური?!

— ვის რა ჭირად უნდა ახლა საცდელი სადგური, ბონდო. კოლმეურნობაში უფრო საქირო ვიქნები.

— მარტალია. ქალებმა უნდა შეგცვალოთ მამაკაცები.

ზურგზე საველე ჩანთა მოკიდებულმა წვევანდელმა ჩაირბინა მათ წინ და დაიძახა, მატარებელი საცაა დაიდგრებაო.

— მშვიდობით დაბრუნებას გისურვებ, ბონდო, — უთხრა ციამ. ახლდა გაუშვა ხელი მის ხელს. — ნუ მიწყობები, ბონდო, — თხოვა და გაწითლდა.

ბონდო თვითონაც რომ არ გაწითლ-

ებულებო, სწრაფად შებრუნდა და ისე გაეცალა, არ გამომშვიდობებია. ვაგონში ავიდა. არ უნდოდა ციხის დაენახა. უჩაზე გაბრაზდა. მან მოიყვანა ციხე გამოსამშვიდობებლად. რატომ?! ვის ჰირიდება მისი ასეთი გულუკეთილობა? ბონდომ ისიც კი ინანა, რომ უჩასთან ერთად ერთი მატარებლით მიდიოდა. თუმცა მაშინვე შერცხვა ამ სინანულის. ამ მატარებლით საშობლოს დასაცავად მიდიოდა. უჩასთან ერთად უნდა გაემარჯვა ან დაღუბულიყო. ერთი საქმისათვის მიდოდნენ. უჩაზე ცუდად არ უნდა ეფიქრა.

მშენებლობის სამმართველოს უფროსი დღეს თავის საგარეო ტანისამოსში იყო გამოწყობილი. მღელვარებას არ იმჩნევდა (ასე ეგონა მას), მშვიდი და თვითდაჯერებული ჩანდა. უნდოდა ეს განწყობილება სხვებსაც გადასდებოდა. როგორც მამა შვილებთან, ისე ეჭირა თავი ყველასთან. ყველაზე დიდხანს მაინც ვაჟა ჯაფარიძესთან შეჩერდა. მეორე ზარი რომ ჩამოკრეს, ხელი ჩამოართვა.

— მომავალ შეხვედრამდე, ვაჟა. გალინაზე არ იჯავრო, — რუსუდანსა და პეტრეს მკლავები მოხვია, — ჩვენ სამივენი ვიზრუნებთ შენს ცოლზე... და რასაკვირველია, შევიღებ.

...თენგიზ ქერქაძეს კირილე ებრალიძე აცილებდა. განცალკავებულად, ხალხისაგან მოშორებით იდგნენ.

— ტყვიას მკერდს ნუ მიუშვებ, ნენა, — არიგებდა ებრალიძე, — გახსოვდეს, შენ საშობლოს დასაცავად არ მიდიხარ. ჩვენ არავინ გვემოშვება.

— არ გავგიგონონ, კირილე, — შეშინდა ქერქაძე.

— ასი თვალი და ასი ყური აქვთ ამ ძაღლებს. — უთხრა ებრალიძემ. — აღი, მატარებელი დაიძრა, — ხელი არ ჩამოართვა, მხარზე უბიძგა: — კარგად დაიხსომე ჩემი სიტყვა.

ელმავალმა ნელა მიაკვილა.

შეახტნენ საფეხურებს.

მოაწყდნენ ფანჯარებს, ვერ გეტყობ-

ნენ ფანჯარების ჩარჩოში აღელვებული სახეები, მხრები, ხელები.

ბაქანზე დარჩნენ მტირალი დედები, ცოლები, დები, მამები, ბავშვები. დარჩნენ შეყვარებული ქალოშვილები, ნათესაეები, მეზობლები, მეგობრები და ამხანაგები.

ტირილი და სასულე ორკესტრის ხმა ერთმანეთში ირეოდა.

ლონგინოზ ლომჯარიამ მიიბრინა ორკესტრთან და ხელის აქნევით გააჩერა. თვალებზე ცრემლი ედგა, ვაფითრებული იყო, ქშინავდა.

— მამა!

— შვილო!

— ძმაო!

— სად მიდიხარ, გენაცვალოს უბედური დედა?

— ვაიმე, ძმაო!

— მიწის საძმელი დედაშენის გული!

— ვაჟა, ნანა!

გულზე მჯიღს ირტყამდნენ დედები, ლოყვებზე ხელს იცემდნენ.

მემანქანეს მატარებელი ნელა მიჰყავდა, რათა მიმავლებსა და დარჩენილებს ცოტა ხანს კიდევ შეეველოთ თვალი ერთმანეთისათვის.

კოჩა ყორშიამ მაგრა მოხვია მკლავები ტარიელ ქარდას, მშენებლობის სამმართველოს უფროსი აქამდე რომ იმავრებდა თავს, მატარებლის დაძვრის შემდეგ ვეღარ შეძლო, ტუჩები აუთოთოდა.

პარტოროვი შუა ვაგონს შეახტა. საფეხურზე მდგარმა წვევანდელებმა ხელი შეაშველეს.

გულშია ესევანჯია ბაქანზე ყველაზე უკან იდგა. არავინ ამჩნევდა, არავის ახსოვდა. არც თვითონ მისულა არავისთან, არავის გამოთხოვებია. არც უჩა შამუგიას, არც ბონდო ნოდისას და არც ვაჟა ჯაფარიძეს, — მისთვის ყველაზე ახლობელ ადამიანებს მშენებლობაზე, იდგა და მწუხრიანი თვალით აცილებდა მის წინ მძიმედ მიმავალ ვაგონებს, რომლის ფანჯარებიდან, კარებიდან, საფეხურებიდან წვევანდელები ხელს უქ-

ნევდენ უკანასკნელად, ემშვიდობებოდნენ თავისიანებს.

გულთა ისე იყო გატეხილი, სიმწრით კრიკაშეკრული, თითქოს რამდენიმე წლით დაბერდო ეს დღეები. თითქოს ტანითაც დაპატარავდო. აღარ ჰკავდა ოჩოკოჩს. ვაგონებს თვალს არ ამორებდა.

— ნახვამდის შეილებო, — შეირბა მისი გაფითრებული ტუჩები. არასოდეს არ წარმოუთქვამს „შვილო“. ახლა ისინი, ვინც ფანჯარებიდან, კარებიდან, საფეხურებიდან ხელებსა და ქულებს იქნევდნენ, თავის შვილებად მიიჩნდა და მისმა ტუჩებმა ისევე გაიმეორა: — ნახვამდის შეილებო, — უნდოდა ისევე ენახა ისინი დაბრუნებული, დახვედროდა მათ, ეცხოვრა მათ დაბრუნებამდე, დაეშრო მათთან ერთად ქაობი და კვლავ გაიმეორა: — ნახვამდის შეილებო!

ნელა მიგორავდნენ ვაგონები ტარიელ ქარდას წინ. ბუნდოვნად ხედავდა ფანჯრებთან მომდგარ, კარებთან და საფეხურებთან მდგარ ახალგაზრდების სახეებს, აღელვებულს, ოფლიანებს, შემკრთალებს.

— უჩა!.. უჩა!.. — მკვეთრად, ხმაში-ღლა გაისმა ტირილში და ძახილში, მოთქმაში და გოდებაში ციას ხმა. აქამდე კიდევ არ სჯეროდა, რომ უჩა ომში მიდიოდა, ბაქანზე რომ მარტო დარჩა და უჩა მატარებელმა რომ წაიყვანა, მხოლოდ მაშინდა იგრძნო, რა მოხდა. ხელუბრაწვედილი მისდევდა ვაგონებს — უჩა!.. უჩა!.. — იმეორებდა გულამომჯდარი სასოწარკვეთით და ცრემლი დაბალუბით ჩამოსდიოდა ლოყებზე.

უჩა სხვების თავებსა და მხრებს შორის სახეგამოყოფილი თვალს არ ამორებდა ციას. ისე იყო მისი სახე მოქცეული სხვის სახეებში, მხრებში, თავებში, არ შეეძლო ხელის აწევა და გამოყოფა ფანჯრიდან, არც დაძახება, რაიმე დამამშვიდებელი ნიშნის მიცემა, მაგარამ ოცოდა, ყველაფერი ეს ზედმეტი იყო. ციას ახლა ვერაფერი დამამშვიდებდა.

უჩასთან ერთად ანტონიც იხედებოდა ფანჯრიდან.

მოსდევდა ვაგონებს ცია. ხალხი გზას უთმობდა. ზოგი თანავარძნობით შეჰყურებდა, ზოგი ვალიზიანებით აი, ბაქანის ბოლო. ცია სწრაფად უახლოვდებოდა.

ანტონ ბაჩილო შეშინდა, ცია ბაქნიდან არ გადავარდნილიყო, მოაშორა უჩა ფანჯარას და თვითონაც მოშორდა. ჩაიბრა უკანასკნელმა ვაგონმა. ჩაიბრა ჩუმად, იმიტომ რომ ნელა მიდიოდა.

ხალხი ერთი წუთის წინ რომ ტიროდა, მოთქვამდა, ახლა სულგანაბული იდგა და ციას უყურებდა.

მატარებელი სემიფორს გასცდა. ტყეს მიეფარა.

ციასთან მივიდა ცისანა. იდგნენ და ვასცქეროდნენ მზეზე მოლაპლავე ლიანდაგს, აღარ ჩანდა მატარებელი არც მისი ხმა ისმოდა. ცია და ცისანა მაინც იდგნენ ბაქანის ბოლოს და ვასცქეროდნენ ლიანდაგს.

გაქედილ ვაგონებში ყველამ მოძებნა თავისი ადგილი. მოძებნეს ადგილი უჩა შამუგამ და ანტონ ბაჩილომაც. ისინი ახლა ომზე ფიქრობდნენ. ომის შესახებდრად მიდიოდნენ. მატარებელი სწრაფად მიიქროლებდათ. ომი შეუჩერებლად მოიწევდა ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. სისწლით რწყავდა მიწას, ცეცხლს უყიდებდა, ქვას ქვაზე არ ტოვებდა მიწაზე.

უჩა წამოდგა.

— წავალ, ბონდოს მოვძებნი, — უთხრა ანტონს.

მატარებელი სულ უფრო სწრაფად მიჰქროდა.

ხალხი დაიშალა.

ბაქანზე მარტო გულთა ესვანჯია დარჩა. მას არსად არ მიუჩქარადა, არაფერ ელოდა. იდგა კენტად მხრებჩამოშვებული, ოდნავ მოხრილი. მერე მძიმედ ასწია მკლავი და ლოყებზე დაკიდული მძივის სიმსხო ორბი ცრემლი მოიწმინდა.



წიგნის აღწერა

### საზღავეს ქვა

დიღმის არქეოლოგიური გათხრებში  
დროშა იპოვეს სიფლაგის ქვა ვერძის  
გამოსახულებით.

ვინ ეძახის ქვიდან კრავი,  
დღის ცაა თუ ღამის მრუმე.

ვინ გაიგებს ვინ იყავი,  
ან წასვლისას რა ისურვე.

რა ფრთა გეხსნა,  
რა ცა გსურდა, —  
გატეხილს თუ სულით აშაყს...

ჩაუვლია  
გაზაფხულს და  
გაღუვლია გულზე ბალახს

### არსენა ოქელაშვილი

...ვაი, რომ ჩემი ხალხია, —  
ცრემლის ყოველი წვეთით...  
ვაი, რომ ჩემი მზარეა, —  
აგერ,  
ბილიკიც მცხეთის...

ზოგი რამ  
ჩემი ბრალდია,  
ზოგი რამ ჩემი ბედის.

## რამ გაგახსენა

როცა ყველაფერს მზე დაჰფენია  
ირგვლივ მთასა და ბარში,

როცა გზა კიდევ გასაგლეღია  
რამ გაგახსენა მამონ, —  
ხალღაც,

ოდესღაც ამოკითხული  
აყვებულე ქვაში,  
ეპიტაფია —  
ვიყავი,  
ვიცხოვრე,  
მაგრამ ამოდ დაუშვრი.

## უსმენს ჩიტი

აბა იგი რა გულია,  
თუ შიგ ჩიტი არა მჯდარა,

ჩიტის ფრთებით მოხატულა  
ჩემი გულის კარ-ფანჯარა.

უსტვენს ჩიტი,  
უსმენს გოგო  
ჩემი გულის ავან-ჩაგანს.

როცა ჩავალ...  
სამარეშიც  
ა, იმ ჩიტის გულით ჩავალ.

## გადაგვიონი

ის იდგა ზღვასთან და ქარებს ირგვლივ  
უძახდა როგორც დაკარგულ სიყრმეს...

აქ მშვენიერი ქალები იყვნენ,  
მაგრამ სხვებისკენ გარბოდა ფიქრი:

მერი,  
ლაურა,  
ლენორა,  
მერი.

იასამნების ტოტები იყრის,  
გუბდება ირგვლივ ნანატრი ფერი.

...და მაინც ქვეყნად,  
ამ ფერის იქით:

მერი,  
ლაურა,  
ლენორა,  
მერი.

## სად გაჰყევი

სად გაჰყევი მთვარის ნათელს,  
სად ჩაჰყევი იასამანს...

ზოგჯერ ვიტყვი:  
არ ვიღარდებ,  
მაგრამ მაინც დარდისა ვარ.

მერე ისევ  
ჩანგს ჩამოვკრავ,  
ამოვატან გულს ძველ სტრიქონს:

— მე რომ  
სიყვარულმა მომკლა,  
შენი სიყვარული იყო.

## როგორ იქნება...

როგორ იქნება ბედი არ მეყოს,  
ან ფრთა არ მეყოს,  
ან საფიტცარი.

ვერ მოვალწით  
შენს ლურჯ სამეფოს,  
ვერ დაგასიზმრო  
ჩემი სიზმარი.

.....  
ან დღეს  
თქვენი ფრთა მომცა ქარებთ,  
ანდა არ მომცა რამე მიზანი.

## ჰვანხმის ეკლესია

აღმათ ვერასდროს ჩაგივლი მშვიდად,  
ვხედავ თანდათან წარსულს ჰბარდები...

ავუქმევ ყვავებს, —  
არ შემიშინდეს  
შენი სურო და შენი ხატები.

ველზე ამ ფერად ვინ დაგაგუბა,  
ვინ გქმნა ასეთი სათნო და მწყურალი.

ვდგავარ, გაყვურებ შენს დაღლილ  
გუზბათს —  
ვით დასაღუპად განწირულ ყვავილს.

## ჟამი—ჟამ

რამდენი წლის იყო?  
 ამ სამი სიტყვით შეკრული კითხვა  
 დაგცდება ხოლმე,  
 როცა ვინმეს გაიგონებ „გარდაიცვალა“.

და ეფინება  
 ხსოვნის ფსკერზე რიცხვებს რიცხვები,  
 ოცის, ორმოცის,  
 ათის, თხუთმეტის.

და მტერი, — შენი მესხიერება  
 ფურცლავს ჟამი-ჟამ  
 მახლობელთა ძვირფას ალბომებს.

## ღამის ხა

ვინატრე ისევ და გართო ვწევარ,  
 ნაბადზე, როგორც ვწვებოდი უწინ...  
 გამიგონია არისო წყველა,  
 მაგრამ ხომ არის ლოცვაც და ვუცდი.

თუ ეს ბალახი არ გამიწყურება  
 შენზე ვფიქრობ და  
 შენ ხარ მაღალი,  
 თვალბში ღამის ზეცა ირწევა  
 და იბადება მთვარე ახალი,

მოჰყვები მთებს და დაუსრულებლივ  
 მოაბნევ შენივ საოცარ სიზმრებს...  
 და გარს მესხევა თეთრი ღრებლები,  
 ბალახში ვწევარ და ისე გიმზერ.



## სირიაჩონის ტყის სიზმარი

რომანი

• • •

ადილარ გვაზავას უემურ ხასიათზე გაეღვიძა.

მთელი ღამე სიზმარში წითელი დროშა უფრიალებდა თვალწინ.

საბანი თავზე გადაიხურა...

სხვა სიზმრებიც ნახა ადილარმა წუხელ — ვითომ მოჰკლეს ადილარი... მოკლეს, თუ თვითონ მოიკლა თავი, ეს კარგად ვერ გაიხსენა. ის კი გაახსენდა, მკვდარი რომ ეგდო რიყეზე და რიყის წვეტიანი ქვეები ზურგს სტკენდა. ტყვიაც ზურგში ჰქონდა მოხვედრილი და სიზმარშივე უვირდა: თუ მე თვითონ მოვიკალი თავი, ტყვია ზურგში როგორ მოვირტყიო?..

მერე:

ხეზე ეკიდა თოკით ყელზე მარყუჟმობული და, რატომღაც, მარყუჟი კი არა, ჩექმები უჭერდა საშინლად...

ჰო, სხვას კი არ მოუკლავს ადილარი წუხელ, თვითონ მოიკლა თავი, თვითონ ჩამოეკიდა ხეზე...

ნეტავ როგორი თვითმკვლელობაა უფრო ღამაზი?.. უფრო ადვილი?..

სიმაღლიდან გადმოშვება იქნება კარგი, — იფრენ, იფრენ და ფრენას შე-

რჩება სული, ხორცი კი მიწაზე დაენარცხება.

ესა და ღმერთს არ სჭირდება შენი მშორი. ის მიწისგანაა გამოქერწილი და მიწაზე უნდა შექამოს, სული კი ცის ნაბოძებია და ცას უნდა დაუმბრუნდეს. მერე კიდევ გააკეთებს ღმერთი მიწისგან აღამიანს და იმ სულს მისცემს. ადილარის სული სხვა მიწისგან გაკეთებულ სხეულში გაცოცხლდება...

აბა!..

ან:

დიდი ქვა უნდა შეიბა ყელზე და შუა რიონში გადახტე ბორნიდან.

ჩაეხტები იმ ქვას, ჩაჰყვები დაბლა.

ისიც ჩაგეკვრება აქეთ.

ჩახვალ ფსკერამდე, მისდებ რამეზე თავს და თევზებთან საუბარს გააბამ...

არც საფლავის გათხრა დაგჭირდება, არც ჭვარი და წირვა, არც მღვდელი და აღსარების თქმა, შეცოდებათა მონანიება...

თავზე წაფარებული საბანი ჩამოსწია, თავი გააქნია ბალიშზე, თითქოს ეს უცნაურად მოძალებული ფიქრები ჩამოიბერტყა, და წელა წამოიღვა.

ეზოში ცოტა წასამუშავებელი ელოდებოდა და ამიტომ ძველი ტანსაცმელი მოიძია.

ძველი ტანსაცმელიც მილიციის ფორმისა იყო, რადგანაც ადილარს სამოქალაქო ტანსაცმელი საერთოდ არ ჰქონდა.

ღიასხლისი ეზოში ქათმებს საცენკს უყრიდა და მისი „ჭუჭუს“ ძახილი ალბათ მთელს აბაშას ესმოდა.

პატარა ადილარი საბანქვეშ მოკუნტულიყო და ხვრინავდა.

— აღექი, ბიჭო, კლასში არ დაგავიანდეს, — მიმართა შვილს და თვითონვე გაუკვირდა, ასეთი ტყბილი ხმა რომ ამოუვიდა ყელიდან.

თუთუნი ეგულებოდა ძველი შარჯლის ჯიბეში, ხელი ჩაიყო და რაღაც ქაღალდს გამოედო თითები.

შვილმა საბნის ქვევიდან ცალი თვალით გამოხედა მამას და ისევ დაიძალა.

ქაღალდი ამოიღო ადილარმა და გაშალა.

პროკლამაციის ფურცელი იყო.

ისევ დავეცა და ჯიბეში ჩაიბრუნა: ამ ლაწირაკმა არ დამინახოსო...

ვის უნდა ჩაედო ადილარის ჯიბეში პროკლამაცია?

სახეზე აღმური შეენტო, საფეთქლები ასტივდა.

შვილის საწოლს გახედა ისევ და განზრახ დატკბა:

— ვინ იყო, ბაბა, აქ გუშინ?

ბიჭმა ხვრინვა განაგრძო.

მამა მიუახლოვდა და საბანი ააგლიჯა.

— აღექი, რომ გელაპარაკები — ეს უკვე ყვირილი იყო.

პატარა ადილარი თვალღების ფშენვითი წამოდგა.

ადილარი ძიებდას არ მიჰყვია, — იცოდა, შემოელახებოდა ბავშვი და მაინც ვერაფერს დააცდენინებდა...

ადრე ერთხელაც აღმოაჩინდა პროკლამაცია საგარეო ტანსაცმლის ჯიბეში. მაშინაც ვერაფერი გაიგო...

ეზოში გავიდა.

უკანა ღობესთან ერთი საყენი შეშა უნდა დაედგა ზამთრისთვის.

ბარი აიღო და იქითკენ გაემართა.

ოთხი სამარგილო ობნოქი ამოედო პატარა ადილარს; მამამ მარგილები ჩაასო, მიწა შემოუტყენა და ბიჭგებოთაც გაამავრა. მერე შეშის დასაწყობი ადგილის გარშემო თხროლი ამოსჭრა და ამონაყარი მიწით საშეშე ადგილი აამალა, ჩექმებით დატყენა, ხელი ბალახი და ჩინჩხვარი დააყარა ზედ...

ხვალ ცოლისძმა ამოვიდოდა სოფლიდან, იყიდდა შეშას და ამ მარგილებში ჩააწყობდა...

ადილარი ერთხანს ბარის ტარს დაეყრდნო: „მაინც რა გახდა ის კიზირიების გოგო?... ეს პროკლამაციაც მისი ჩადებულთა ალბათ ჩემს ჯიბეში...“

ვერ იქნა და ვერ დაითოჯა აფორიაქებული გული ადილარმა...

ცოლის დამახება მოესმა, მაგრამ არ გააასუხებია...

გზაზე ჩავლილი მეზობლის მოსალმებას თავის დაკვრით გაეპასუხა; მერე ბარი მიწაში ჩაასო და საშხადისკენ წავიდა.

ეზოს ბილიკზე არავინ უყურებდა და ის ფურცელი ამოიღო, გაშალა და სტრიქონებს თვალი ჩააყოლა. ისეთი გრძობა დაეუფლა, როგორც, ალბათ, რამის მოსაპარავად მიმავალ ქურდს ეუფლება.

უჩვეულო ფიქრი დაეებადა გულში: იქნებ ბოლშევიკები არ სტყუიან და ჩვენ ვცდებითო...

თვითონვე გაბრაზდა საკუთარ თავზე: ეს რა აზრები მომდისო... — უბრალო გაფიქრებაც საშობლოს დალატად მოეჩვენა.

ფურცელი დაკმუჭნა და მუჭში მოიქცია.

საშხადში ცოლი კეცზე მკადს ავრავდა, ადილარისკენ გამოსახედად არ ეცალა.

ადილარი კერასთან ჩამოჯდა და დაკმუჭნილი ფურცელი აბრიალებულ ცეცხლში შეაგდო. ცეცხლი ატაკუნდა და ადილარს მოეჩვენა, რომ იმ ქაღალდში ჩაწერილი სიტყვები ასე-

ასო სკდებოდა ღადარში ჩაყრილი წაბლივით...

— რაზე მეძახდი? — ახლა შეახსენა ცოლს წედანდელი დაძახება.

— კოწია დალაქი იყო, — საქმის შეუწყვეტლად უპასუხა ცოლმა. ცალ ხელს ცოპზე ატყაცუნებდა, მეორე — შებრუნებულად, ცეცხლის მხარეს სახეზე ჰქონდა აფარებულო: — ახალი, გერმანული სამართებელი უშოვნია და პირველად კაი კაცი მინდა გავპარსოთ... არ გამოიხედ, და წავიდა...

ადილარი ხანდახან სახლშიც იბარებდა კოწიას პირის გასაპარსად. ამიტომ დღევანდელი მისი გამოვლა არ გაევირვებია.

პირი მართლა გასაპარსი ჰქონდა და, შინიდან გასული, პირველად სადალაქოში შევიდა.

კოწიას მუშტარი ჯერ არ მოსვლოდა, ფეხმონჯდრეულ მაგიდაზე ხელსაწყოებს ალაგებდა.

ნათქურაზე ჩაიდანი გულისწამლებად წიოდა.

— გამარჯობა!... რა გინდოდა? — ჩაილაპარაკა ადილარმა.

კოწიამ სარკეში დაინახა მოსული და მოუხედავად გაეპასუხა,

— ვიცოდი, გასაპარსი იყავი (კოწია თქვენობით საერთოდ არავის მიმართავდა) და შინ გავპარსავ-მეთქი.

— როდის მერე გახდი ასეთი ყუარადლებიანი?... თუმცა... აბა ნახე, მალე ჩინს მომიმატებენ და შენისთანა დალაქს სამს ვიყოლაიებ შინ...

— შენ რომ დაგაწინაუროს, შენს ადგილზე ვინ უნდა იყოს! აჰ, მაგას არ იზამენ...

— ჰაი, შე ლაწირაკო! — ეს ყვირილით არ უთქვამს ადილარს, ისე გაიხუმრა.

— თან ახალი ამბავიც მინდოდა მე-თქვა, — წედანდელი ნათქვამი ვანაგრო დალაქმა.

ადილარი სარკეს მიუჯდა, დალაქის უსაქმურ ბეჭეტურს შეჩვეული იყო და არც ახლა დაინტერესებულა მისი ამბით.

კოწიამ თეთრი წინსაფარი შემოახვია ადილარს, სკამს კედის მისაღები აუწია და ქვევით, ღერძში ლურსმანი გაურტო, რომ უქანვე არ ჩაეცურებულიყო. მერე ცხელი წყალი ჩაასხა სასაპნეში და ფუნჯით აქაფება დაუწყო; ხმა განგებ გაკმინდა, ელოდა, როდის ალაპარაკებდა ადილარს ახალი ამბის გაგების სურვილი.

ადილარს პირის პარსვის დროს საუბარი არ უყვარდა და ამიტომ ცალკვბად ჰკითხა კოწიას:

— რა ახალი ამბავია მაინც?

კოწიას ვერიკოსგან დავალებული ჰქონდა, როგორმე დღესვე მოეხერხებინა ადილარის გამგზავრება აბაშიდან.

თუ რისთვის სჭირდებოდა ეს ვერიკოს, კოწიამ არ იცოდა და არც აინტერესებდა.

მთელი ღამე ფიქრობდა, როგორ გაეხებებინა ადილარ გვანავა და მთელი ღამის ფიქრს ახლა ამაოდ არ უნდა ჩაეკლო.

კოწია არც ბოლშევიკი იყო და არც მენშევიკები ეხატა გულზე...

კოწია იყო დალაქი (თვითონ დაბადებით ქოსა გახლდათ), ბოლშევიკსაც ისევე პარსავდა და თავისი ზღაგვი დანით ისევე უსერავდა სახეს, როგორც — მენშევიკს,

თუ რომელიმე კლიენტი თვალში არ მოუვიდოდა, რაღაცას უხიზანებდა აუცილებლად.

ოთხკლასიანი სასწავლებლის გამგეს — კიტა ევანიას ერთხელ ისე შემოაკრიჭა წვერი, თხას დაამსგავსა. კიტა სადალაქოდან რომ გავიდა, კოწიამ კარებიდან თავი გაჰყო და თხის ხმაზე მიამახა: პეეე-ო კიტამ უნებლიედ მიმოიხედა, მაგრამ იქ თხა ვერსად შენიშნა... სადალაქოში მყოფი მამაკაცები მიხვდნენ დალაქის ოინს და სიცოლის დასათარავად პირზე ხელეზი აიფარეს...

ბოლშევიკებს პარიკებსაც უკეთებდა უცვლილად, საკუთარი დედაც ვერ იცნობდა შეილს...

ვერიკოსაც გაუკეთა ერთხელ პარიკი. ის დღე უბედნიერესი დღე იყო კო-

წიას ცხოვრებაში, — ლოყაზე ხელს უსვამდა ვერიკოს, მის თეთრ ექლს ეფერებოდა, მისი თმის სურნელებს სულ ახლოდან სცემდა და ათრობდა... ყველაფერ ამის უფლებამოსილი იყო, როგორც პარიკმახერი.

ჰო, რა ბედნიერი იყო კოწია იმ წუთებში! განგებ აქიანურება და საქმის მომთავრებას.

ახლა ადილარ გვაზავს დროებით ჩამოშორება თვითონ ვერიკომ სფხოვა და, რა შეილი, უკან დაიხევდა.

სახე გაუსაპნა ადილარს და სამართებლის ლეხვას შეუფცავა..

ადილარს სარკეში თავისი ვასაპნული სახის ცქერა მოგებრდა და ეურნალეზიდან ამოჭრილი სურათებით აქრელეზულ კედელს გააყოლა თვალი.

დიდ სარკეს ერთი ზედა კუთხე კარგა ფართოდ ჰქონდა ჩამოტეხილი.

კოწიას ჩამონატეხ ადგილზე შიშვლად დარჩენილი ჩარჩოს ფიცარი თეთრად შეეღება, ვითომ სარკისათვის მიემსგავსებინა.

ამ შეღებულ ფიცარის ზევით ადილარმა კედელზე მიწებებული რალაც ფურცელი შეინუნა.

ქალაღდის ზომა ეუცნაურა და დააკვირდა.

პროკლამაცია იყო, სწორედ ისეთივე, თვითონ რომ აღმოაჩინა ამ დილით შარვლის ჯიბეში

ჯერ არაფერი უთქვამს. დრო ჰქონდა და დაკვირვებით, ყურადღებით გადაიკითხა.

ახე კარგად, სიტყვა-სიტყვით არასდროს წაუეკითხავს პროკლამაცია.

ახლა კი წაიკითხა და ერთი გზობა გაიფიქრა: ახლავე ავღგები და ამ ქოსას მილიციაში წავიყვანო.

კოწიამ სწორედ ამ დროს ჩამოუსვა სამართებელი და ცალი ყბა ჩამოპარსა.

ადილარი ცალწვერგაპარსული ვერ გამოჩნდებოდა ქუჩაში. ისე კი, რა ეჩქარებოდა, კოწიას დაჭერა ყოველ წუთს შეეძლო, სად წაუედიოდა!

— რაა, ბიჭო ესა — თვლები დაუბრიალა სარკიდან ჯერ დალაქს და მერე იმ ფურცელს.

კოწიას ადილარის კეფაზე სუთივე თითი დაეჭინა და, როგორც უნდოდა ისე უტრიალებდა თავს; ახლა იმ ფურცლისკენ უფრო მოხებრებულად მოუტრიალა და გაიკრიჭა.

— ეს კლუბში დავიჭირე კრების დროს, — მშვიდად თქვა დალაქმა.

— როგორ, დაიჭირე! — უცებ ვერ მიხვდა მილიციის უფროსი. რადგანაც მას სიტყვა „დაჭერა“ მხოლოდ ერთი გაგებით ესმოდა.

— ჰაერში მოფრინავდა და დავიჭირე. აი, პეპელას რომ იჭერენ მინდორში...

— დაგიჭერ მე შენ! — სიბრაზე ვერ დამალა ადილარმა: — ჯერ გამპარსე...

ეს თქვა ადილარ გვაზავმ და უცებ აუმაღლა ხმას:

— ჩამოხსენი ახლავე, ძაღლიშვილი!

კოწია დალაქს „ძაღლიშვილობა“ მინცდაშინიც არ ესიაშენა; არ უნდოდა, საქმე გაერთულებინა, თორემ ადილარის სული ახლა სწორედ იმ გერმანული სამართლებლის პირზე ეჭდა; ზედ ყანყრატოსთან პარსავდა კლიენტს.

მოთმინება არჩია, საუბრის კილო კი არ შეუცვლია:

— არ ვიცი, ქვეყანა თავს აკლავდა და მეც წაიწვიდე... იყოს ამ კედელზე, რას ერი, შე კაცო!.. ხალხი კიფხულობს. სანამ გავპარსავდე, აბა რა ჰქნან?..

ადილარმა ცხენივით დაიფრუტუნა და სარკეს საპნის ბუშტები შეაყარა, დალაქმა კვლავ მშვიდად განაგრძო:

— ერთმა გადაიწერა კიდევაც...

— ჩამოხსენი ახლავე!..

კოწიას თავისი მთავარი მოვალეობა არ დავიწყებია. აბაშიდან ადილარის მოსაშორებლად მშვენიერი ფანდი ჰქონდა მოფიქრებული და ამ ფურცლის გულისთვის როგორ გაეფუჭებინა!

ვერიკოსთვის მიცემული სიტყვის გატეხვასაც ვერ იკადრებდა...

საგულდაგულოდ მიწებებული ფურცელი მაკრატლის წვერით ჩამოფხი-

კა. კედელს მაინც შერჩა ერთი სიტყვა — „ძირს“.

ადილარს ეს სიტყვა არ შეუნიშნავს და დამშვიდდა. გაპარსვის დამთავრებას ელოდებოდა და ამ სიმშვიდეს მისხალ-მისხალ იზოგავდა...

კოწიამ შეატყო ადილარს, იმ რაღაც ახალი ამბის გაგებას რომ არ ცდილობდა, და თვითონვე ააბრუნა თავისი წისქვილი:

— ჰო, ჰო, ჰო... რა ვნახე გუშინს!...

— რა ნახე ისეთი...

დალაქმა იგრძნო, ღლავი მის ანკესს რომ ეთამამებოდა, და არ აჩქარებულა:

— ფოთში ვიყავი...

— ამიტომ დადის ეს ხალხი გაუპარსავი, — ვითომ იხუმრა ადილარმა. გულში კი იმას ფიქრობდა, რომელ საკანში ჩაეგდო დალაქი...

კოწიამ ადილარს კისერზე სამართებელი ჩამოუსვა და გულზე — მოხდენილი სიტყვა:

— საფრანგეთის გემი ჩამოვიდა და გრიგოლი ჩამოჰყვა, შენი ძმა...

ადილარი ისე შეახტა, თითქოს სკამის ძირიდან სადგისი უჩხელიტესო.

— რა იყო, კაცო! — იყვირა დალაქმა. — დანა მიჭირავს ზელში..

— დანა გიჭირავს და ტყავს მამრობე? — უეცარი შეხტომა დალაქს გადაბრალა ადილარმა.

გრიგოლი, რომლის საფრანგეთიდან ჩამოსვლასაც იუწყებოდა დალაქი, ადილარის უმცროსი, ნახევარძმა იყო. — მამის მხრიდან. იგი სამი წლის წინათ ახალგაზრდაცვილილი მამის ორმოცსაც არ დაელოდა, ჩამოვიდა ქალაქიდან ამაშაში. ადილარი შინ რომ არ იყო, ისეთ დორს, დაავლო ხელი ოჯახის მთელ სიმდიდრეს — თავის წილსაც და ადილარის კუთვნილსაც — და საფრანგეთში გაიქცა.

ადილარი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა; ძმას მოსაკლავად ეჭებდა და მართლა მოკლავდა, მაგრამ ისეთი იარაღი არ ჰქონდა, ტყვია ამაშიდან საფრანგეთამდე რომ მიეტანა...

ძმასთან ვადამტერებებს ადილარი არ

ახმაურებდა, მაგრამ მათი ამბავი კოწიამ დალაქმა კი არა, მათი გაბელოაშიაც იცოდა ამაშაში...

და ახლა ადილარმა სწორედ ამ ძმის ჩამოსვლის ამბავი გაიგო.

— შერე, შერე, — ჩაეკითხა და ჩაუკირავტდა ადილარი დალაქს, — სალაპარაკოდ თუ ნახე?

— ვნახე, მამა!.. ერთი ფაქტონი გავესო მისმა ჩემოდნებმა. ასე თქვა: წერილმანი რაღაცეები ჩამოვიტანე ქალაქიდან ვალეების გასასწორებლად და ამავე გემს უკანვე უნდა გავყეო...

— შენ გითხრა?

კოწიამ ახლა მაკრატელს აკრატუნებდა ადილარის საფეხქელთან და მშვიდად ლაპარაკობდა:

— მე ვერც მიცნო, მგონია. სხვას ელაპარაკებოდა და ყური მოვკარი...

— ნამდვილად გრიგოლი იყო, შე ბრუციანო?

— ბრუციანები გვაზავებში, მოიჭებოხე, — გათამამდა დალაქი.

— რას შერები ამდენ ხანს! ვერ დაამთავრე? — გაცხარდა ადილარი.

კოწიას პასუხის გაცემა დაავიანდა, რადგანაც ამ დროს შელოცვის ამბობდა გულში, თავისთვის, მზიარულად, არხეინად, თავისებურად:

„სახელითა ღვთისთა, მამითა, ძითა, ლოცვა ნათვალევისა. მოდიოდა შავი წყალი, მას მოჰქონდა შავი გველი. ჩაეკარ შავი ყავარჯენი, ამოვიღე შავი გველი, დავლე ქვასა რვალისასა, გასქდა თვალსა წამისასა. ფეო, ღმერთო, ისე ღუფუსე თვალები ადილარა ბინძურის კარგი თვალით შემხედვარეს (სიტყვა „კარგი“ თვითონ ჩამატა „ცუდი-ის“ ნაცვლად).

ლოცვის გაწყვეტა არ ვარგაო, გავგონილი ჰქონდა და სანამ ბოლომდე არ ჩამთავრა, ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა.

— ეჰ, გეყოფა — ისევ შეხტა ადილარი სკამზე.

— ჯერ სადაა, შე კაცო მასეი უნდა გავიკეთო. ფრანგული საცხებელი ჩამოვიტანე ფოთიდან... ჰო, ჰო, რა

გემი იყო... ამაღამ მიღის უკანვე, — ეს ბოლო სიტყვები ვითომ თავისთვის თქვა, სინამდვილეში კი ადილარისათვის ჰქონდა საგანგებოდ გაკრიალებული და ვადანახული.

— არაა საჭირო მასაჟი — წამოდგა ადილარი, წინსაფრით სახე შეიწმინდა, მალა რომ მოუხდა ახედვა, იმ კედელზე შერჩენილ ერთ სიტყვას მოჰკრა თვალი; ჯიბიდან ათკაპიკიანი ამოიღო და დალაქის მავიდაზე დააგდო გაპარსვის საფასურად.

— აიღე. ციხეში დატვირდება!..

ციხის ხსენებაზე დალაქი გაშეშდა.

ადილარმა სადალაქოს კარი გამოაღო და გაიხედა, ლაფაროში ქვებზე გადაბულ ფიცარზე რამდენიმე წვერგასაპარსი კაცი იჯდა; ადილარის მორიდებით და შიგ არ შესულან.

ადილარის გამოჩენისთანავე წამოდგნენ.

ადილარმა სხვა მხარეს გაიხედა და პაერში თითის აქნევით მოიხმო ორი მილიციელი, რომლებიც ვიღაც მელორეს ედავებოდნენ, აქ ბაზარი არაა, ეგ ღორები „საორჯოში“ ვარეკო... ადილარის თითის აქნევაზე მელორეს მოეშვნენ და აქეთ გამოიქცნენ. ადილარმა მილიციელებს დალაქისაკენ გაუთითათა:

— წაიყვანეთ და დაამწყვდიეთ! მე ხვალ დავბრუნდები, — ამ სიტყვებს ადილარმა დალაქის გულისგამხარებელი სიტყვებით მოაყოლა: — ფოთში ვარ გამოძახებული სასწრაფოდ...

დალაქი შეწრილადა:

— მე რაზე მიჭერ? დია!..

— დუტ! — შეუძახა ადილარმა დალაქს და თავის ბრძანებას „ბეჭედი“ დაარტყა: — წაიყვანეთ!

გაპარსვის რიგში მდგარი გოცდნენ: ამ დალაქს ნეტა რაზე აპატიმრებნო!..

ცოტა ხნის შემდეგ, აბაშის ბაღში ხეებს აფარებულმა ბიქტორმა და ვერიკომ დაინახეს, როგორ ჩაჯდა ადილარი გვაზავა ფოთის დილიჯანში და წავიდა.

— ყოჩაღ, ჩემო კოწია! — ჩაილაპა-

რაკა ვერიკომ. რა იცოდა, კოწია დაქვრიული რომ იყო და თვალუბრებარებად ლებდა ბნელ საკანში.

ახლა უკვე თავისუფლად შეიძლებოდა, ადილარ გვაზავას ქისკარზე მიეყურებინათ შემთ დატვირთული ურემი, სადაც იარაღი იქნებოდა ჩამალული.

პარასკევი იყო, ბაზრობის დღე.

სოფლის ხალხს მცირე რამ თუ ჰქონდა ლუკმას მოსაყლები, ბაზარში მიჰქონდა, რომ ფულად ექცია და ცოლ-1 შვილისთვის ტან-ფეხზე რამე ჩაეცმია.

სოფელს სული სძვრებოდა შიშვით და ჩაუცმელობით. გლეხაკს მჭადი და ლობიო ენატრებოდა... არ იშოვებოდა პური, ძვირად ფასობდა ფართლეული... მაძრისად ქამას და ჩაქმადახურვას გადაეჩვივნენ ადამიანები. მოუსაგლიანობამაც გულზე დაჰჭირა მუხლი სოფელს.

კავით მოჩიქნილ მიწას ან იმდენი რა დოვლათი უნდა მოეცა. სამი წილი რომ მიწის მფლობელს წაეღო და ერთ წილს გლეხაკის ოჯახი ერჩინა. სიმწრით ნაშოვნი ან ნახესხები სამი ლუკმიდან გლეხი ერთ ლუკმას მაინც იკლებდა საბაზროდ: ზოგს კვერცხისმდებელი დედალი მოჰყავდა, ზოგს ხუთი თუ ექვსი ცალი კვერცხი მოჰქონდა, ზოგს წინა დღეს ამოღებული ჰყინტი ყველი, რომელსაც ბავშვებმა გამოარჩეს... ზოგს ვაშლი ან ვაშლის ჩირი წამოეღო, ვიღაცას თვით ვაშლის ხე მოეჭრა და გასასყიდად შეშად მოჰქონდა ნათხოვარ-ნაჭირაგები ურმით.

ხარ-ურმის პატრონი თავის საფასურს რომ აიღებდა, თვითონ შეშის პატრონს ნივრის ნაფქვენი თუ დარჩებოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და რალა ეღონა! თანაც ნათხოვარი ხარებისათვის იმ დღეს თვითონ უნდა მიეცა ჩალა...

მოდოოდნენ აბაშის ბაზრისაკენ. ჩალით თუ შემთ დატვირთული ურმები უკან მოსდევდნენ ფეხშიშველა ბავ-

შეები. ამათ გამოჰყვა აეთანდილიც სა-  
ქილაოდან შეშით დატვირთული ურმით  
განსხვავება იმაში იყო, რომ აეთან-  
დილს შეშის ქვეშ თოფები ეწყო.

დავითი და ტაგუ ჯანელიძე შორიან-  
ლო მოჰყებოდნენ.

ცხენისწყალს რომ გამოსცდნენ, გზა  
მოფიქრებულად გაიმრუდეს და სილა-  
გავებისაყენ გაუხვიეს. პამფილო სი-  
ლაგავა მათი კაცი იყო და მის ეზოში  
უნდა დალოდებოდნენ აბაშიდან აღი-  
ლარ გვაზავას წასვლის ამბავს. მზე უკ-  
ვე საშუაღდეოზე იყო, ეს ამბავი რომ  
მოარბენინა ბიქტორმა. ისევ შეაბეს  
ჩრდილში გამოშვებული ხარები, პამ-  
ფილოს ორიოდ ლუკმაზე და ცივ წყა-  
ლზე დიდი მადლობა გადაუხადეს და  
წამოვიდნენ.

გზაზე თითო-ოროლა მგზავრი თუ  
გამოჩნდებოდა ხანდახან.

ბაზრიდან უკვე გამობრუნებულნი  
აქეთ მოდიოდნენ დაღვრემილნი, კრი-  
კაშეკრულნი ეტყობოდათ. დიდი ხეირ-  
ნანაბი არ უნდა ყოფილიყვნენ.

ბავშვებს პურის ნატეხი ეჭირათ და  
მოილუკებოდნენ. ზოგს ახალნაყიდი  
წულები ამოეჩარა იღლიაში და მინც  
ფეხშიშველა მოტანტალეზდა შარაზე,  
უფრო გზის განაპირა ბილიც ეტანებ-  
ოდა — რბილს, ხრეშდაუყრელს.

ავთანდილი ღიღინით მოერეებოდა  
ხარებს.

დავითი, ტაგუ და ბიქტორი თავიანთ-  
თვის მოსაუბრობდნენ...

ვილაც ბერიკაცი აემგზავრა და აე-  
კვიატა ახალგაზრდებს; ჯერ მიესალმა,  
მერე საღაღრობა გამოჰკითხა.

ბიჭებს არაფერში ებიტნავებოდათ  
ამ ენაბლუ, ლოფორცო ბერიკაცის  
დამგზავრება, მაგრამ ის თვითონ არ  
ჩამოსცილდა და ამათაც ვერ უთხრეს:  
გზა ფართოა, შენთვის იარეო...

უკვე აბაშაში შედიოდნენ.

მოლაპარაკებით: აჰ, საღმე, ადილარ  
გვაზავას ცოლის ძმა უნდა შემოხვედ-  
როდათ, გავაქრებოდა ახალგაზრდებს  
და შეშა „ეყიდნა“...

ამინდმა მოიწყინა.

მილიციელებს თვალში არ მოუვიდ-  
ათ დაგვიანებული ურემი, რადგანაც  
ამ დროისთვის ბაზარში ვასაყიდი უკ-  
ვე გაყიდულია და საყიდელი — ნაყი-  
დი.

იმხანად, მენშევიეკური მთავრობის რა-  
ზმელები და მილიცია გრძნობდნენ,  
რომ აბაშაში შემოჰქონდათ იარაღი,  
მაგრამ ვერ იქნა და ვერ მიაკვლიეს  
ვერცერთ თოფსაც. ამიტომ, ურემს კი  
არა, ზოგჯერ ფუთასაც უსინჯავდნენ  
ბაზრისაკენ მიმავალთ, — ტყვია-წამა-  
ლი არ მოჰქონდესო. მარტო გზაში კი  
არა, ეზოებშიც დადიოდნენ და შლიდ-  
ნენ ზვინებს, საზამთროდ დაწყობილ  
შეშას...

ამას უკვე შეეჩვია გლეხობა...

მაგრამ თვითონ ადილარ გვაზავა სა-  
კუთარ ეზოში დაწყობილ შეშას საეკ-  
ვოდ ხომ არ მიიჩნევდა! ამიტომაც ჰქო-  
ნდათ ეს ეზო არჩეული თოფების შესა-  
ნახად. ოღონდ მთავარი იყო, მიეტან-  
ათ იქამდე...

დიდისიფრთხილვ ჰმართებდათ ახალ-  
გაზრდებს, ახლა მათი ჩაეარდნა სა-  
ქმის დაღუპვას უდრიდა...

ავთანდილი კოფოზე შეხტა, ურემს,  
თავი დაუმიძიმა და გაძვალტყავებულ  
ხარებს შოლტი გადაუჭირა.

ადილარ გვაზავას ცოლისძმა არ ჩან-  
და.

ავთანდილმა ხარებს მარცხნივ, ვიწ-  
რო გზისკენ გადაახვევინა, საევიანოს-  
თან.

ის დამგზავრებული ბერიკაცი მანც  
არ ჩამოსცილდა ურემს.

მათ წინ მიმავალი, შეშით დატვირ-  
თული სხვა ურემი ორმა მილიციელმა  
გააჩერებინა შეურემს. ალბათ საეკვოდ  
მიიჩნიეს.

— რა მიგაქვს?..

შეშის პატრონს უნდოდა ეთქვა, ბამ-  
ბა მიმაქვსო, მაგრამ ხუმრობის გული  
სრულებითაც არ ჰქონდა.

— ვერ ხედავ, რაა?!

ურემზე შეშის ნაკოდალებს შიგადა-  
შიგ დაღვარაკნელი ტოტები ჰქონდა  
სატანებული, რომ მუშტარს შეშა ბეე-

რად მოჩვენებოდა, და ერთი კიდიდან მეორეში სინათლე გასდიოდა.

მილიციელებმა ლერ-ლერად ვადმოაყრევინეს მეურმეს შეშა და, შიგ საეკვო ვერაფერი რომ ვერ აღმოაჩინეს, გასცილდნენ.

შესაბრალოსად იდგა ჩია ტანის მეურმე გზაზე და, ავთანდილს მოეჩვენა, რომ ის ტიროდა. ამდენ შეშას ხომ უნდოდა ისევე ურემზე დაწყობა!

ტიროდა გლეხკაცი?

კი არ ტიროდა, კბილებს კბილებზე აჭერდა და ბოდმოდან რაღაცას ჩურჩულებდა.

მილიციელებმა ახლა ავთანდილის ურმისკენ გამოიხედეს.

ბიჭებმა ერთდროულად გაიფიქრეს: ახლა კი დავიღუბეთო...

იმ უცნობმა ბერიკაცმაც შენიშნა მილიციელების გამოხედვა და ურემს ორიოდ ნაბიჯით წინ გაუსწრო.

მილიციელებმა ცხენები ავთანდილთან მოაგდეს და უბრძანეს:

— ვადმოდი!..

მილიციელებს ბერიკაცი გაეპასუხა ენის ბორძიკით:

— მე დიოშიდეს მამა ვარ, შვილებო, სენაკში რომ მუშაობს მილიციაში. კი იცნობთ ალბათ ერთმანეთს... ეს შეშა წედან ვადმოგვაყრევინა ნაკამ, ეგერ იქ. — ხელი ვაიშვირა უკან ვზისკენ. რამდენჯერ უნდა ვასინჯოთ უკვე ნაყიდი მაქვს და, თუ ხალხი ხართ, მიმატანიეთ როგორმე სახლამდი...

ამ მილიციელებმა იცოდნენ, რომ იქ, უკან, მთავარ გზას მართლა ნიკა მეთვალყურეობდა, და ბერიკაცის ნათქვამი ირწმუნეს.

ამ წუთას ადილარ გვაზავა რომ ყოფილიყო აქ, აგრე ადვილად ვერ გადაჩნებოდნენ სპარტაკელები, — ათასჯერაც რომ ყოფილიყო ვასინჯული ურემი, ადილარი მაინც თავისი თვალით დანახულს ამკობინებდა და ხელახლა ვასინჯავდა.

ბერიკაცმა მილიციელები რომ დააჭერა, ახლა ავთანდილს შეუტია განგებ:

— გარეკე, ბიჭო, ხარბი დუღი ბევრი კი გინდა და ვაინძერი. პატარა... სპარტაკელები ვააოცა ამ უცნობი ბერიკაცის ასე უცნაურმა გამოსარჩელებმა.

ავთანდილი არ დაბნეულა, ბერიკაცის შემოტევის სათანადო პასუხი მიაცემა:

— რა ვქნა, ბიძია, არ გამოჩნდა ი თქვენი სახლი და... დაიღალნენ ხარები...

მილიციელებმა დეზი ჰკრეს ცხენებს და მთავარი გზისკენ გაქქულეს.

ბერიკაცმა ახალა გაუღიმა ახალგაზრდებს.

— გმადლობთ, ბიძია, — უთხრა ბიჭტორმა უცნობს.

ავთანდილს ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს მართლა ამ მოხუცისას მიჰქონდა შეშა, და უნებლიედ ჰკითხა:

— სადაა თქვენი სახლი?

მოხუცის მიერ წინ გაშვერილ ხელს, აი, ისაა ჩემი სახლიო, თვალი ვააყოფს და ადილარ გვაზავას სახლი დაინახეს.

უცნობმა ნაბიჯს მოუჩქარა და თან ჩაილაპარაკა:

— წამოდით!.. წამოდით!..

ეს უკვე ბერიკაცის ხმა არ იყო, ეს იყო მამანტი ხაბუიშვილის ხმა.

ადილარ გვაზავას ცოლისძმა მერე შემოხვდათ „შეშის საყიდლად“, მაგრამ ბიჭებს შეშა უკვე „გაყიდული“ ჰქონდათ.

ადილარის მიერ სავუღდაგულოდ გამაგრებულ მარგილებს შორის ბრუნენტში გახვეული თერთმეტი თოფი მოათავსეს და ზედ შეშა დააწყეს. ამ ერთ ურემს დაამატეს ადილარის ცოლისძმის მიერ ადრევე მოტანილი მეორე ურემიც.

აჯანყების წინა დამეს თერთმეტი წითელრაზმელი აანგრევდა ამ შეშას და შეიარაღდებოდა.

საერთოდ, აჯანყების ყველა მონაწილეს ასე ექნებოდა მინიშნებული თავისი იარაღის და ტყვიების სამალავი ადგილი-

პატარა ადილარს ზურგსუკან დაეწყო ხელები და ყურებამდე ვალიმებულ-ლ-ლ უყურებდა საქმით გართულ თანატოლებს...

ადილარის შეუღლები ჯიბიდან წინასწარ მომზადებული სამშანეთიანი ამოიღო და ავთანდილს გაუწოდა:

— შეშის ფულია, გამომართვი.

ავთანდილმა ითარა:

— რას ბრძანებთ, ბიცილა! ფული რად გვინდა!..

ქალმა დედა დააფიცა ახალგაზრდებს და ფული ძალისძალათი მისცა: თქვენ ამ შეშას უფულოდ არავინ გამოგატანდათ, ეს ფული კიდევ დაგჭირდებათო.

სპარტაკელებმა მართლა იყიდეს შეშა საჭილაოში, ოღონდ სამ მანეთად კი არა, ორად. გარდა ამისა, ხარ-ურმის ბატრონისთვისაც ათი შაური იყო მისაცემი. ამ სამ მანეთს ახლა მათთვის იჭროს ფასი ჰქონდა.

მშვიდობიანად ჩაიარა ყველაფერმა!

მშვიდობა ნუ მოკლებოდეს, მამანტი ხაბეიშვილს!.. ის რომ არ ყოფილიყო, ავთანდილის წილად ხვალ დილით მამალს იქნებ არ დაეყვლა...

ახლა კოდორში, ვერიკოს ეზოში გადამალული თოფებიდა რჩებოდათ გადმოსატანი მემამულეებს და შეიგებოდა მათი არსენალიც...

• • •

ადილარ გვაზავა ფოთიდან გაცოფებული დაბრუნდა: იქ საფრანგეთის გემი წინა დღით კი არა, მთელი წელიწადი არ ენახათ.

რა უნდა ექნა!

ერთი გული სულ იმას ჩასძახოდა: ვინდ აბტი, ვინდ კისერი მოიტეხე, ეს ოინი ვერა კიზირიას მოწყობილიაო.

მეორე გული ცოტათი აკავებდა: სად ვერა, სად კოწია დალაქი და სად საფრანგეთში ვაჭვეული ძმაო...

ძნელი გასარკვევი იყო რისთვის დასჭირდა კოწიას ადილარის ასე გაცურება?

მილიციაში მისვლისთანავე ჩაჭდა თუ არა თავის საეარძელში, მორიგეს დალაქის მოყვანა უბრძანა.

კოწია ამ დროს საჯნის სარკმელთან მიყუჟულიყო ობოლ ბედურასავით და თავისთვის ღიღინებდა:

ციხეს რათ უნდა რკინის კარები, დელია...

მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები, დელია...

გაეტეხავ დამე, გავიბარები, დელია...

ჩემს მემ-სთან დავიბალები, დელია...

ამ „მემ“-ს ხმამაღლა რომ გამოსთქვამდა, გულში ვერიკოს გულისხმობდა.

ამაყობდა, რომ ვერიკოს გულისთვის იყო „ჩაეარდნილი“, თავი მოსწონდა და გმირად მიიჩნდა...

„ვეფხისტყაოსნის“ ბევრი ადგილი კოწიამ ზეპირად იცოდა, ახლა კი მხოლოდ ერთადერთ სტრიქონს ეთაყვანებოდა: „სჯობს საყვარელსა უჩვენენ საქმენი საგმირონია“.

...თოვლისა გაცოცხებულია: ამ გაუნათლებელმა დალაქმა ხეივანიდან კითხვაც არ იცოდა და „ვეფხისტყაოსანი“ როგორღა შეისწავლაო?

კითხვა კარგად არ იცოდა კოწია დალაქმა, მაგრამ სმენა და მესხიერება გვარიანი ჰქონდა. „ვეფხისტყაოსანი“ ბებიაპისის მოსმენით უსწავლია.

ის იყო, ჩამთავრა სიმღერა, ზედ რუსთაველის „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიც“ მიაცოლა, და ყველაფრის ისევ თავიდან დაწყებას აპირებდა, რომ საჯნის კარები გაიღო და მორიგე მილიციელის ხმა მოესმა:

— გამოეთრეი!..

— ჩამივარდები კიდევ პირის გასაპარსავად! — უპასუხა კოწიამ მილიციელს და სარკმელს მოშორდა.

ადილარ გვაზავამ კაბინეტში შემოსულ კოწიას, ყოველგვარი კითხვისა და მოკითხვის გარეშე, სილა გააწინა.

კოწია, სწორედ ამ დროს, უღიმოდა ადილარს.

თავი ვერ შეიმაგრა და კედელს შე-  
ენარცხა...

ადილარს კოწიასთან არც ფოთი უხ-  
სენებია, არც საფრანგეთის გემი და  
არც თავისი ძმის ამბავი; არც ის განუ-  
მარტავს, თუ რატომ გააწნა ასეთი მწა-  
რე სილა. მას კოწიას სხვა საქმეში გა-  
მოყენება ჰქონდა ჩაფიქრებული და  
სხვა საუბრები საჭიროდ არ მიაჩნდა.

კედელს შენარცხებულმა კოწიამ სუ-  
ლი რომ მოითქვა და სისხლიან შებლ-  
ზე ცხვირსახოცი აიფარა, ადილარმა  
სკამი შესთავაზა და განზრახ დაუტკბა:  
ვერა კიზირიას თუ დამაპერინებ და  
მის დროშას ხელში ჩამაგდებინებ, გა-  
გმშვებო...

ამაზე კოწიამ მოსწრებულად მოუ-  
ჭრა და მოუქარგა: დაჭერილმა დასაჭე-  
რი როგორ დაგაჭერინო? გამიშვი და,  
ჩემი თავი შემოგველოს, დაგაჭერინე-  
ბო... დროშა კი... დროშა თუ გინდა,  
იყიდე აგერ მიხაკოსგან წითელი ნარ-  
მა, ტარი გაურჭე და დროშა იქნე-  
ბო...

ამის საპასუხოდ კოწიამ კიდევ მეო-  
რე სილა მიიღო, ოღონდ ახლა მეორე  
ყბაში...

მაშინ დალაქმა სხვა ხერხი იხმარა.  
ღვთის მოშიშარი ადილარ გვაზავა შეი-  
ჯახა მღვდელ ამბროსის, რომელსაც  
ადილარი ყოველთვის მოწინებთ, ქუ-  
დის მოხდით და ხელზე ამბორით ხვდე-  
ბოდა.

დალაქმა მილიციის უფროსი დაარწ-  
მუნა: ის ჩვენი მამა ამბროსი, უფალო  
შემინდე (გულზე ხელები გადაიჭვარე-  
დინა და გვერდულად აიხედა მალღა),  
ბოლშევიკებს მფარველობსო... ფოფო-  
დია, მოგესენება, ვერიკოს მკვიდრი  
ღვიდააო (ეს პირველად ესმოდა ადი-  
ლარს)... მაცხოვრის ეკლესიაში წმინდა  
სკივრი რომაა, ვერიკო დროშას იმ  
სკივრში მალავსო...

ადილარმა კარგად იცოდა, მაცხოვ-  
რის ეკლესიის სკივრი ხელმიუწყვდომე-  
ლი რომ იყო ვარეშეთათვის, მას მხო-  
ლოდ მღვდელი თუ შეეხებოდა. ამ-

ბობდნენ: სკივრში თამარ მეფის ნაქო-  
ნი წმინდა გვარი ინახებოდა...

ადილარს გაახსენდა: ერთხელ გაქუ-  
რდეს ეს ეკლესია, ცოტა რამ განძეუ-  
ლი წილეს, სკივრისთვის კი თითიც არ  
დაუჯარებიათ. თურმე ქურდებსაც ჰქო-  
ნიათ ღვთის შიში და მორიდება...

ერთხელ ვერიკოც უნახავს ადილარს  
ამ ეკლესიაში მლოცველთა შორის.

„რას არ მოახერხებდა ის გოგო! მაგ-  
რამ, თუნდაც სიმართლე იყო დალა-  
ქის ნათქვამი, ადილარ გვაზავას არ და-  
ლუქს ხელკუთს წმინდა სკივრი. ადი-  
ლარ გვაზავა ქურდებზე უფრო უნა-  
მუსო ვერ გახდება... უფალო, შეუნდე,  
რამეთუ ერთი ფიქრით სკივრის ხელ-  
ყოფა გაიფიქრა! ეს ადილარს თვითონ  
არ უფიქრია! ადილარის სულში ჩამძე-  
რალმა ეშმაკმა აფიქრებინა!“

მღვლარეგადასხმულივით მიმოდი-  
ოდა ადილარი თავის კაბინეტში; კოწი-  
ას რომ ჩაუვლიდა, ერთმანეთზე დაჭე-  
რილ კბილებს გამოაჩენდა და ძაღლის  
ღრენის მაგვარ ხმას გამოსცემდა.

„რა მოუვიდა ამ უპატრონოს? ზომ  
არ გაცოფდა?“ — შეშინდა დალაქი  
და რატომღაც ძლიერ მოუნდა, ადი-  
ლარს ძაღლივით დაეჭვებოდა კიდევ.

მაშინ აიღებდა კოწია ამ სკამს და  
შიგ თავში სდრუხავდა სასიკვდილოდ,  
არა როგორც მილიციის უფროსს, არა-  
მედ როგორც ცოფიან ძაღლს. ძაღლის  
მოკვლისათვის კი ციხეში არავინ  
ჩასვამდა.

იღმა კოწია და შიშით ცახცახებდა.  
ადილარ გვაზავას ყეფა არ დაუწყია,  
თანდათან დამშვიდდა, — დიდად ეა-  
მა დალაქის შეშინება.

— კოწია უპატრონო, — ზურგსუკან  
ხელუბრალოდ იგდებოდა ვადმოიხარა დალა-  
ქისაკენ, თვალის თვალში გაუყარა სულ  
ახლოდან, — ახლავე გავიშვებ და ის  
სკივრი შენ გასინჯე... დროშა ამოიღე  
და მომიტანე.

— აჰა! — ამოიგმინა კოწიამ, პირ-  
ჯვარი გადაიწერა და ტყავისუბან დაი-  
ხია, — მამაზეციერო ღმერთო, რომე-  
ლი ხარ ცათა შინა, მოგვხედე მონათა

შენთა და დაგვეხსენ სიმრუდეთა ყოველთა...

ეს „ყოველთა“ ისევე ვაგრძელებით წარმოსთქვა, როგორც თვით „მამა ამბროსი“ წარმოსთქვამდა წირვის დროს, და გულში სიცილით კვებობდა, ლოცვა ასეთი მშვენიერი რომ გამოთქვიდა...

ადილარმა ზარი დარეკა და მორიგე მილიციელმა უმაღლვე შემოაღო კარი.

კოწიამ იგრძნო, — სახლში კი არა, ისევე საკანში აგზავნიდნენ, და მილიციის უფროსთან იჩივლა:

— ამ შენს ყარაულებს უთხარი, ცოტა უკეთესი საკმელი მომიტანონ. ფულს მაინც მე ვაძლევ...

ადილარმა მკლავში ხელი ჩავლო პატიმარს, ძლიერად დაქაჩა, შეატრიალა და ჩექმებიანი ფეხი დაუზოგავად ამოკრა უკან. დალაქი პირდაპირ კარში გავარდა ბურთივით და თავპირით დაეჯახა მეორე ოთახის აგურის კედელს...

საკანში რომ შეავდეს, ნარიდან რაღაც ჭინჭი აიღო, სახეზე ჩამონადენი სისხლი შეიწმინდა და ისევე მიიყუდა სარკმელთან.

ადილარ გვაზავამ კოწიას მავარი აქტი შეუდგინა და მეორე დღეს, როგორც მთავრობის დაუძინებელი მტერი, ქუთაისის ციხეში გადაგზავნა. კოწიას სადალაქოს კარზე ვიღაც მოკეთებ ორი ფიცარი ჯვარედინად ააჭედა და მით თითქოს ჯვარი დაუსვა კოწიას სადალაქო მოღვაწეობას აბაშაში.

სამი დღე არ უნახავს ვერიკოს დედას.

მონეტრა მათი გულის სიბო, შინ თავის ლოგინში გამოძინება, დედის გამომცხვარი კვერი და ნაღებგადაკრული რძე...

კოდორში მათს სახლს ჩემჩუმად მოთვალთვალე ჰყავდა მიჩენილი.

ასევე თვალში ჰქონდა ამოღებული ადილარს ვერიკოს ნათლიასა და ბიძის სახლი. ლადი მებონიასას დაქირავებული ოთახის ამბავსაც უკვე მიეღწია მის ყურამდე.

არსად არ მიესვლებოდა ვერიკოს ბინდდებოდა და სუსხმა დაუარა პერს.

თუნდაც ოდნავ აცივებდა ყველაზე ადრე უბინაო ადამიანი გრძნობს, რაც უნდა თბილად ეცვას.

და შესცივდა ვერიკოს... სად წავიდეს ამაღამ? ყველამ მიატოვა, ყველამ მონახა თავისი ბუდე... ბიქტორი მაინც სადაა?... ან ჭუჩუ?... ან ავთანდილი?... ფედია რომ იყოს აქ, ის კი არამცაა არამც არ მიატოვებდა!

მასთან ერთად დარჩებოდა ქარიან ღამით მინდორში და თავისი სიახლოვით გაათბობდა...

ფედია რომ იყოს აქ!...

ბიქტორის სახლს მალვით ჩაუარა, მერე საჩოჩოსაკენ გაუყვა გზას, სონა ბიცოლას სახლს ჩრდილივით მიეპარა, ფრთხილად დააკაუნა...

ვერიკომ იცოდა, რომ ადილარს ეს სახლი ვერ არ ჰქონდა მიზანში ამოღებული.

კარი გაიღო და ბიცოლა გამოჩნდა.

—საღამო მშვიდობისა, ბიცო!—ლოცვის დაწყებასავით წარმოსთქვა ვერიკომ.

— საღამო მშვიდობისა, შეილო!..

ვერიკოს შინ შესვლა უნდოდა, მაგრამ ბიცოლა კარში ისე იდგა, რომ გვერდს ვერ აუვლიდა.

დააკვირდა ქალს და შენიშნა, რომ ტიროდა ქალი და ცრემლიანი იყო მისი ხმაც:

— მომკალი, ნანა! ნაჯახი დამარტყი და თავი გამიჩეხე! ცეცხლში ჩამავდე და დამწვი! — უახროდ მოსთქვამდა ქალი.

— რა მოხდა, ბიცო?..

— წუხელ ამიკლეს, ამაწიოკეს... შენ გეძებდნენ... ბავშვები შემიშინეს. ღუტუ სიცხიანი მიწევეს აგერ... შევალოცვინე, მაინც ხმას ვერ იღებს. ისეა შეშინებული... მომკალი, ნანა, და როგორმე სხვაგან წადი ღამის ვასათევად... ამაღამაც მოვლიან ალბათ.

ვერიკო ბიცოლას გადაეხვია, ცრემლიანი ლოყები დაუკოცნა და თვითო-

ნაც ატირდა. ისევ გამოჰყვა ღამეულ ვზებს. ძაღლის ჰაჭანებაც არ იყო ირგვლივ, მხოლოდ ცივი ქარი ქროდა და ძვალსა და რბილში ატანდა... ქარი იზიარებდა ვერიკოს საფიქრალს, ქარი იყოფდა ვერიკოს წუხილს...

ვის შეიძლება მიაკითხოს კიდევ?

აბაშაში ცხოვრობდნენ ხონელი რევოლუციონერის — ვალიკო ნადარეიშვილის მშობლები და და — მარო. მარო ჯერ პატარა იყო, მაგრამ ძმის წაბაძებით, თვითონაც ცდილობდა, რაიმე წვლილი შეეტანა რევოლუციურ საქმიანობაში.

ვერიკო იცნობდა მას. ნაბიჯს მოუჩქარა. ნადარეიშვილების ქიშკართან შორიდანვე შენიშნა თავმოყრილი ხალები.

ოდა-სახლის ყველა კარ-ფანჯარა ღია იყო, მილიციელები ჩხრეკდნენ...

ვერიკო უხმოდ გამობრუნდა.

შალიც არ ჰქონდა შემოსახვევი...

რკინიგზის სადგურში შევიდა, თვითონაც არ იცოდა, რამ მოიყვანა აქ.

მოსაცდელ დარბაზში სამგლოვიარო ძაძვებით შემოსილი ქალები ისხდნენ თავჩაჩინდრულნი და მღუმარენი.

მკლავზე შავლენტშემოყვრებულ, წვერგაბანჯგულ მამაკაცებს კუთხესთან, ქვის იატაკზე ფეხები მოერთხათ და თუთუნს აბოლებდნენ. მათ ახლოს ესვენა ნაბადგადაფარებული კუბო.

სასაფლაოს მღუმარება სუფევდა დარბაზში.

ვერიკომ კუბოს შეხედა და უნებლიედ გაიფიქრა: „აი, ბედნიერი! წევს თავისთვის! არავეინ შეაწუხებს, არავეინ წამოაგდებს კონდახის კვრით...“

შაოსან ქალებს მოუჯდა. ერთმა თავშლის ქვეშ შეიფარა გოგონა და ჩაიხუტა. შეებრალა აღბათ, ან თავისიანი თუ ეგონა...

თითქოს ჩასთვლიდა ვერიკომ, მაგრამ უშლავე მოუხიზლდა — სად იყო გათენება... სად იყო ძილი...

ვერიკოს ძილი იყო ფიქრები: „აი, ბედნიერი! წევს კუბოში თავისთვის!.. არავეინ ეშინია, არავეინ შეაწუხებს არა

ვინ წამოაგდებს კონდახის კვრით!..“

მესამე დღეს აბაშაში ხუთ-ექვს ადგილას გამოჩნდა კედელზე და ელექტრობოძზე გაკრული სამგლოვიარო განცხადება, ხელით ნაწერი შავი, მოზრდილი ასოებით (თვითონ ვერიკომ დაწერა):

„დავსტირით უღროდ გარდაცვლილს ვერა (ვერიკო) ჯაბას ასულ კიზირიას. ვასაფლავებთ 25-ს ენკენის-თევს, ხუთშაბათ დღეს და აბაშაში, წმ. ბარბარეს სასაფლაოზე. უფალო, შეიფარე სული მხევლისა“.

ერთი ასეთი ფურცელი ზუსტად მილიციის წინ იყო გაკრული.

ადილარმა რომ ნახა, პირველად პროკლამაცია ეგონა და ჩუმად მიეპარა. მერე წაიკითხა... თვალები მუჭით მოისრისა... ისევ წაიკითხა... კიდევ წაიკითხა და თავის მოადგილესაც წაიკითხა ხმამაღლა...

თვითონვე ვერ მიხვდარა იყო, ეწყინა თუ გაუხარდა!..

სალამოს, ცოტა ნაღვინევი დაბრუნდა შინ.

პატარა ადილარი კედელთან, იატაკზე იჯდა, ხელები გულზე გადაეჯვარა-დინებინა და უაზროდ იცქირებოდა დაბლა.

— ბატონ ადილარს ვახლავარ, — გაეხუმრა მამა შვილს.

ბიქს თვალის არ დაუხამხამებია. მაშინ ცოლს შეხედა ადილარმა:

— რა ჭირი დაემართა ამ ლაწირაკს? ცოლმა გვერდზე გაიხმო და ჩუმად განუმარტა:

— ის გოგო რომ მომეცდარა...!

— ენ გოგო, თოლიგე? — ვითომ ვერ მიხვდა ადილარი.

სხვა დროს ადილარი საკუთარ საბლშიც არ იცვლიდა მილიციის უფროსის ნირს. რაც ქალს ახსოვდა, ადილარი ასეთ კარგ გუნებაზე დადგა მხოლოდ ერთხელ, როცა ჩინი მოუმატეს, და ახალგაზრდობის წლებისათვის საბუღალბოდ მიბარებული სიტყვა „თოლიგეც“ მაშინ გაიხსენა, ადილარმა.

პატარა ადილარს და დედამისსაც ვერიკოს გარდაცვალება სიმართლე ეგონათ.

განზრახ ასე აირჩიეს საპარტაქლეზმა. თორემ, პატარა ადილარი ვერ ითამაშებდა „მგლოვიარის“ როლს, — არ გააჩნდა საამისოდ საკმარისი ნიჭი.

ცოლმა ვერა კიხირია რომ უხსენა, მაშინ კი მოიწყინა ადილარმაც:

— აბა, აბა!.. საცოდავო!.. ყვავილით მომკვდარა!..

— შენი ბრალია! — ხმა ამოიღო პატარა ადილარმა და მამას თვალი გაუხსწორა. მას მშობლებისა რცხვენოდა, თორემ უნდოდა ეტირა, ძლივს იკაეებდა გულში მოდიდებულ ცრემლს...

— ჩემი ბრალია, მე ვაფაჩინე ავადმყოფობა, — გაუწყრა ადილარი ბიჭს.

— გაწყვიტა ყვავილმა ხალხი, — გულმოკლული ლაპარაკობდა ადილარის მეუღლე, — ათასი უცხოელი და ვადამითელი დაეხეტება. ყვავილი კი არა, ჭირი რატომ არ გაჩნდება...

ვერიკოს „გარდაცვალების“ ამბავი დამით გაიგო სოფელმა.

ძილმა ვატკობმა და წყალმა წაძინება რომ იცის, სწორედ მაშინ გაისმა კვილი ჯაბა კიხირიას სახლიდან.

თვითონ ვერიკო კიოდა.

შეშფოთებული მეზობლები ჭიშკარს მოადგნენ.

— სახლში ნუ შემოხვალთ, მეზობლებო. ეზოში დაიკადეთ, — შეაჩერა ხალხი ერთმა თმაჭალარა კაცმა. იგი წინასწარ იყო დარიგებული, რა უნდა გაეკეთებინა, ავთანდილის დამ ვითომ საიდუმლოდ გაანდო ეპრა გულუას: ვერიკო ყვავილით გარდაიცვალა და ხალხს სახლში ამიტომ არ უშვებენო.

ეს საესებით საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ სულ მალე მთელ კოდორს სცოდნებოდა და აბაშასაც გაეგო ყვავილის ეპიდემიის ვაგრცელების ამბავი... იმხნად ყვავილის ეპიდემია მთელს საქართველოში იყო მოდიდებული და მუხრანს ავლებდა ხალხს. რატომღაც ღარიბებს ეტანებოდა უმეტესად. კო-

დორში მესამე იყო ეს შემთხვევა და მთელი კოდორი შეშფოთდა. სულ რამდენიმე დღის წინ ორი მიცვალბული მიაბარეს მიწას და მათ გულში შიშის კანკალმა ახლა უფრო იმძლავრა. ბავშვები შინ ჩაკეტეს.

ჯაბას ეზო ხალხით იყო სავსე, მაგრამ მიცვალბულთან მისვლას არავინ ცდილობდა.

სახე და სამოსელშეცვლილი ბოლშევიკები სოფელს გლეხებში არაფრით გამოირჩეოდნენ.

ოთხმა ვაეკაცმა წელნელა გამოასვენა შავი კუბო. ჭიშკართან ხალიჩაგადაფარებულ ურემზე დასავენეს და აბაშის გზას გაუდგნენ.

ვერიკოს ბებია და ბაბუა აბაშაში იყვნენ დასაფლავებული და არავის უკვირდა, რომ ვერიკოსთვისაც იქ გაამხადეს საუკუნო სასუფეველი.

ვერიკოს თეთრი თმა სახეზე ჩამოეშალა, ცხედრიან ურემს პირველი მიყვებოდა და გულშემზარავად მოთქვამდა. იგი ამ შემთხვევაში დედამისის მაგივრობას ასრულებდა, შესანიშნავად ბაძავდა დედის ხმას.

ორი შოოსანი ქალი ხელკავით მოჰყვებოდა და ვითომ ძლივს ამავრებდა „გულმოკლულ დედას“.

ვერიკოს „ცხედარს“ „დედა“ კი მისტიროდა, მაგრამ ჯაბა არ ერია პროცესიაში. ამიტომ, ავთანდილის დამ იმავე ეპრა გულუას უთხრა: საწყალი ჯაბა ბიძია ლოგინად ჩაეარდა, საღამომდე თუ გაატანს, ღმერთმა იცის, მგონი მასაც ის თხერი სენი ვადაედოო...

„ცხედარი“ რომ წაასვენეს, ხალხის თვალის ასახვევად სპარტაქლეზმა ჯაბა კიხირიას ოდიდან ერთი ტახტი და დაკონკილი საბანი გამოიტანეს ეზოში, ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს...

ასევე მოიქცნენ კოდორში ყვავილით აღრე გარდაცვლილთა ოჯახებიც.

ნელა მიდიოდა პროცესია, სახლში გამოიწყვდებული ბავშვები თანჯრებიდან იჭყიტებოდნენ...

აბაშაში შეზინდებისას შევიდნენ.

„მიცვალეზულის“ „დედა“ უკვე არ კიოდა, ბედშერიგებულოვით, გულის ამარწყებლად მოსთქვამდა მხოლოდ.

ადილარ გეზავა და სამსონ თოფურია მილიციიდან გამოვიდნენ. ადილარმა შეხედა ვერიკოს გადიდებულ სურათს, ცხედრიანი ურმის წინ რომ მოჰქონდა ორ ბავშვს, და რაღაც ტკივილისმიგვარმა გრძობამ ვაჰკრა გულზე...

მიცვალეზულს სამგლოვიაო სიმღერით მოაცილებდა ლომის გუგუშვილის მცირერიცხოვანი გუნდი.

ეს სიმღერა, ქალების მოთქმა და დროდადრო მიმავაკთა ამოხვრა — ლოდსაც აატირებდა...

გზის წინა მხრიდან უცებ კვიცილი მოისმა: ორ ახალგაზრდა ქალს პროცესის შესახვედრად ძლივსძლიობით მოჰყავდა დაღუული, დაუძლურებული დედაბერი — ვერიკოს ბებიის და.

დედაბერმა ქალებს ხელი შეაშვებინა, ცხედრიანი ურმის წინ პირქვე დაგარდა და მიწას ფხოჰნა დაუწყო:

— არ გაგიშვებ, შვილო შენ რა გინდა მიწაში მიწა მე უნდა დამაყარო! არ გაგიშვებ, შვილო!.. არ გაგიშვებ!..

იმ ორი ქალის გარდა, სხვებიც მივიდნენ მიწას ჩაქრულ დედაბერთან და ძლივსძლიობით წამოაყენეს..

დედაბერმაც, რა თქმა უნდა, დაიჭრა ვერიკოს გარდაცვალება.

სამინელი სურათი ტრიალებდა აბაშის ქუჩაზე.

აბაშელები გარეთ გამოეფინენ. ყველა ქუდს იხდიდა და ოხრავდა გულისტკივილით.

სამსონმა ბობოხი რომ მოიხადა, უნებლიედ ადილარმაც მოიშვლია ქუდი...

ვერიკომ შესაფერისი დრო დაიგულა, ლოყები ჩამოიკაწრა და ხმა ააკანკალა:

— შვილოო, შვილოო, შეხედე, ჩემო უბედურო ვერიკოო, თვითონ ადილარ ბიძაც ქუდს გიხდის... ვაი შენს უბედურ დევედას...

ადილარს მოეჩვენა, რომ მისი თვალებიდან ცრემლი მოედინებოდა...

გზადაგზა შემატებული ხალხიც დაიძრა სასაფლაოსაკენ... საფლავი გათბრილი დახვდათ.

კუბო რომ შიგ ჩაუშვეს და ადამიანებმა ხალხმა თითო მუჭა მიწის მიყრა დაიწყო, ადილარმაც მიაყარა ერთი მუჭა...

ვერიკოს წამით მოეჩვენა, რომ მართლა მას საფლავებდნენ, და შეაყრყოლა.

„ასე დამიტირებენ ალბათ! — შემზარავი იყო ეს ფიქრი, — და ადილარიც მომიყარის მიწას!..“

ნამდვილად კი, ადილარმა მიწა რომ მიაყარა, იმ კუბოში ვერიკოს ძმების მიერ ჩამოტანილი და ჯაბას ეზოში გადამაღული თოფები ეწყო...

\* \* \*

ო, რა ტკიბილი იყო ის დამე ვერიკოსთვის, თავის ჰერქვეშ!

გარეთ შემოდგომის ქარი ისლს აშრიალეზდა...

შეცივებული ძალღი ლაფაროში წყმტუნებდა...

კრუსუნებდა კერის თბილ ნაცარში თავჩარგული კატა...

მამამ ღრმა ძილში ზვრინვა იცოდა ყოველთვის და ახლაც ზვრინავდა..

ვერიკო დედასთან იწვა, დედის გულთან იყო მიკრული...

რა საამო იყო დედის სუნთქვა, მამის ზვრინვა...

„საცოდავებში დაილაღნენ ცხოვრებით!..“

ვერიკოს ეძინა და არც ეძინა. ცალი ხელი ლოყის ქვეშ ამოედო.

მშობლიური სახლის ნაცნობი მელოდიები უნახეს იაენანად ჩაესმოდნენ განაწამებ გოგონას.

ეძინა და არც ეძინა...

მერე:

თეთრი ღრუბლებით აივსო სივრცე, ღრუბლები თანდათან გაიფანტა და რკინისგისოსებთან სარკმელში ფედია ფრანგიშვილი წამოილანდა.

— ფედიაააა!.. — მთელი ხმით დაიძახა ვერიკომ სიზმარში.

ფელიამ გაიღიმა, საკმელში ხელი გამოჰყო და თეთრი ხილაბანდი დაუჭინა ვერიკოს.

— ფელიაა! — ისევ იძახდა ვერიკო. მაგრამ ფელიას ვითომ არ ესმოდა ვერიკოს ხმა. ის მხოლოდ ხედავდა ვერიკოს და უღიმოდა...

წვერი წამოზრდოდა, მკრთალი ფერი დასდებოდა სახეზე;

მაკისიმსხო რკინებს ორივე ხელი ჩასჭიდა და აჭეთ-იჭით გასწავლა ვაიხსნა საკმელი, ვითაც ის! გაზარდა და ხელეზგაშლილი წამოვიდა ფელია ვერიკოსაკენ...

მაგრამ უცებ შავი რამ ურჩხულივით გამოჩნდა ცაში, ქვანგებიანი თითები გაშალა და ვერიკოსა და ფელიას შუა ღამესავით ჩაღდა...

ვერიკო ახლა ვერ ხედავდა ფელიას...

## მესამე ნაწილი

ბატარა რომ იყო ვერიკო, დედა დილით თბილ რძეს დააღუევინებდა, თბილად ჩააცმევდა და ეტყოდა: გეძახიან შვილოო...

მაშინ ბავშვები სათამაშოდ ეძახდნენ ვერიკოს.

ახლაც იგივე სიტყვები მოესმა დედისგან, მაგრამ ეს უკვე სათამაშოდ გაწვევა არ იყო.

ჭიშკართან აეთანდილი იდგა.

ამბავი მოიტანა:

— სენაკში მიხა ცხაკაია და ბორის ძნელაძე ჩამოსულან; საჯარო ლექცია უნდა ჩაატარონ... დავითმა დამბაბარა, ვერიკო არ უნდა დაეკლდესო...

ვერიკოს ბორისი შორიდან ჰყავდა ნანახი ქუთაისში, სიტყვას რომ წარმოსთქვამდა ხალხით სავსე მთავარ მოედანზე, იმ დროს.

ფელიამ აუხსნა მისი ვინაობა მაშინ.

მიხა ცხაკაია კი არ ენახა, მხოლოდ გაგებული ჰქონდა მისი საბრძოლო თავდასასვალი; ესეც იცოდა: მიხა იმხანად დაპატიმრებული იყო და მეტეხის ციხეში იჯდა, ბაქოს კონფერენციას ციხიდანვე გაუგზავნა მისალმება მიხამ...

ალბათ გაანთავისუფლეს, ან გამოიქცაო, — იფიქრა ვერიკომ.

ეთანდილი შინ შემოიბატიეა...

— მკვდარსაც არ მისვენებენ! — დილილით წარმოთქვა ვერიკომ.

ეთანდილს ახლავა გაახსენდა, რომ ვერიკო გუშინ „დაასაფლავეს“.

— მართლა და... შენ როგორ წამოხვალ, ვერიკო? გნახავენ...

— წამოვალ! — გადაჭრით უბასუბა ვერიკომ ვაქს და ვაუღიმა.

ეთანდილს ეამა ეს დიმილი, აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ დანაბარები გადასცა ბოლომდე: მენშევიკებიც ყოფილან მოწყვეული მიხას და ბორისის ლექციაზეო.

მოწყენილი ამინდი იყო.

იმ დილითაც დაიწყო წვიმა.

ვერიკო დედის ტანსაცმლით მოირთო, დედისავე თავშალი მოიჭვია და თუ სახეზე ამ თავშლის კალთას სანახევროდ მიინც აიფარებდა და წელშიც ოდნავ მოიხრებოდა, დედაბერი გვეგონებოდათ.

სენაკში ფეხით უნდა წასულიყვნენ, რადგანაც ფაიტონის ფული არცერთს არ ებოდა.

მებორე პეპუს ბორანზე გადი-გამოდიოდა ქვეყნის ამბები. პეპუმ ახლაც მოისმინა ახალი ამბავი ახალგაზრდებისაგან, ბორის ძნელაძე არ გაეგო, მიხა ცხაკაიაზე კი ბევრი რამ სმენოდა...

ეთანდილი და ვერიკო ორნი მიდიოდნენ სველ და სედილიან გზაზე; აბაშის შუაგულში არ გაუვლიათ, რკინიგზიდან ხელმარცხნივ გაუხვიეს აბაშისწყლის ხიდისკენ.

— რაღა დღეს ჩამოიქცა ეს ობერი, — ცას ახედა ავთანდილმა; ხედავდა, რომ ვერიკოს ციოდა, მაგრამ ტანზე ისეთი რამ არ ეცვა, რომ გაეხადა და გოგონასთვის მოესურა.

თვითონაც ძაგდაგებდა სიცივისაგან. ვერიკოს ფეხსაცმელები უკვე წყლით ჰქონდა საესე და, ფეხს რომ აღგამდა, შხეფებს მალლა ისროდა.

არც ავთანდილის ქალამნებს აღვა კარგი დღე.

აბაშისწყლის ხილზე ორ თოფიან გვარდიელს მოჰკრეს თვალი. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ხილზე გაელა არ შეიძლებოდა. დაიზაფრნენ.

— არ გაგვიშვებენ, — ჩაილაპარაკა ავთანდილმა.

მეტი გზა არ დარჩენოდათ, წყალში უნდა გასულიყვნენ, წყალი კი ახლა ყინულივით ცივი იქნებოდა.

ხილის გუშაგები გაფრთხილებულნი იყვნენ, — სენაკისკენ საეკვო არავინ გაეტარებინათ, რადგანაც იცოდნენ, რომ იქ დღეს ბოლშევიკების ლაქცია ტარდებოდა.

ეს ლონისძიება, სხვებისთვის დაუკითხავად, თავათ გამოიტანა გვარდიის აბაშის ნაწილის უფროსმა შამუგამ და თვითონვე მოსწონდა თავი ასეთი გამჭრიახობისათვის.

ხილიდან მობრუნებული ეტლი უკანვე აბაშისკენ წამოაბრაზდა და ხის ძირას შეუუფულ ახალგაზრდებს გზაზე დაგუბებული ტალახიანი წყალი შეაშხეფა.

ხმას არ იღებდნენ ვერიკო და ავთანდილი, უენოდ საუბრობდნენ.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხეს ვერიკოს თვალებმა.

ავთანდილმა ტუჩების მოკუმვით და ნიკაპის მალლა აწევით უბასუხა:

— არ ვიცი...

მერე სველ გზას გახედა. აელა მოიზღაზნებოდა მათგან კამეჩებზემდელი ურემი. ერთ კამეჩს საწკრიალო ეკიდა კეტირზე და წკრიალის ხმაც წვიმის სე-

ვლიან ხმასავით ჩაესმათ. ვარიის ქვეშ მდგართ.

— იქნებ გავვიყვანოს? — ეს უკვე ხმამალღე თქვა ავთანდილმა.

ურემი მოახლოვდა.

— გავვიყვანე, ბიძია, ხილზე! — დედრიკა ავთანდილი მეურმეს.

მეურმე კოფოზე იჭდა, თავზე ბაშლაყურად ჩაეცილი, ჯვალოს ტომარა ეხურა და მთელ ზურგს უფარავდა. ტომარის კიდეებს, სახის გასწვრივ, წვიმის წვეთები ჩამოსწაწკარებდა.

— შე აქეთ მაქვს გზა, — ზანტად გაიქინა მეურმემ სახრე მარცხნივ.

ახლა ვერიკომ სცადა ბედი:

— ფეხი აქვს ნატყენი. ჩემს ძმას, ექიმთან მიმიყავს სენაკში.

ვერიკომ ცალ ფეხზე შეხედა ავთანდილს.

ბიჭმა ფეხზე დაიხედა. პაკიკების ნაცვლად, რაღაც ჰინჯები ჰქონდა შემოხვეული კანკებზე. თითქოს მართლა ეტკინა ის ცალი ფეხი, ქუსლი შეუმჩნევლად ასწია და თითის წვერებიღა შეარჩინა მიწას.

— დავიდალე. ძლივს მოვიყვანე აქამდე, — თავი შეაცოდა ვერიკომ გლეხკაცს, — ხილზე მაინც გავვიყვანე, მერე ვიშოვით რამეს...

— რა ექნა, ბიძია, მე ჩემი გასაკირი მაქვს. ფატიონი გამოივლის და გაყვით...

ვერიკომ ცივად შეხედა მეურმეს და „ძმისთვის“ ტყბილად ნათქვამ სიტყვებს, მეურმის წილად საყვედური, ჩააქსოვდა:

— წავიდეთ!.. წავიდეთ!..

მხარში შეუღდა ავთანდილს, ნელა, შემოგველეო, უთხრა და გზისკენ წამოიყვანა. ავთანდილი ცალ ფეხზე ხტუნვით გამოჰყვა, მერე ფეხი სულ აიკეცა.

— დაემტკნენ სახლკარი, ვინც ეს წვიმა გამოგზავნა ახლა, — დედაკაცივით ჩაიბუზღუნა ვერიკომ თავისთვის, მეურმე ვითომ იქ სულაც არ ყოფილიყოს. ცოტა ხანს თვლი. გააყოლა მეურმემ

ახალგაზრდებს, შეებრაღა ისინი და მოუხმო.

ავთანდილს ერთი კონა ჩალა გაუშალეს ურემზე და დააწვინეს. ვერიკო გვერდით მოუჭდა ავთანდილს და თავშლის კალთა გადაფარა.

ხიღის გუშაგებმა ავადმყოფიანი ურემი გაატარეს.

ვერიკომ თავი სიმშვიდობოს რომ იგრძნო, მეურმეს გამოელაპარაკა:

— მენშევიკები მოგწონს, ბიძია, უფრო, თუ ბოლშევიკები?

შეკითხვა მეურმისათვის ისე მოულოდნელი იყო, რომ გაოცებისაგან პირი დააღო:

— რა შეითხე, ბიძია?

ვერიკომ გაუმეორა...

მაშინ ისეთი არეული დრო იყო, ჩემო თოვლისა, რომ ხალხს გულდაჭრებით არც ბოლშევიკები სწამდა, არც — მენშევიკები; სწორედ ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი, გაუთვითცნობიერებელი ხალხისთვის უნდა ჩავგონებინათ ბოლშევიკებს რევოლუციური იდეების უპირატესობა.

ამიტომ იყო საჭირო პროკლამაციები, ლექციები „ურწმუნო თომათათვის“, რომ აჯანყების დროს გლეხკაცს მჭადი წითელგვარდიელისათვის მოეტეხა და თეთრგვარდიელისთვის ეთქვა: შენ კარგი კაცი არა ხარ, ქვეყნის სასიკეთო საქმისთვის არ იბრძვი, მჭადი კი არა, მიწა ჭამეო...

ასეთ დროს, ჭეშმარიტებაში ერთი კაცის დარწმუნებაც დიდ რამეს ნიშნავდა, რადგანაც ის ერთი კაცი მერე თვითონ დაარწმუნებდა მეორეს...

ამიტომ დაღალა ვერიკომ ენა მეურმესთან საუბრით.

მეურმემ ვერიკოს შეკითხვას თავისებური პასუხი ვასცა:

— ჩემთვის ის იქნება კარგი, ვინც ჩემს ბავშვებს ფეხზე წულებს ჩააცმევს და ლუკმას მისცემს; ვინც ჩემს ნაოფლარ-ნაჭაფარს შე შემანარჩუნებს და თვითონ არ წამართმევს.

— ესაა ბოლშევიკები!

მეურმემ ნაღვლიანად ამოიბოჩა და კამეჩებს სახრე გადაჰკრა. კამეჩებს არც უგრძნიათ სახრის დარტყმა და სულაც არ აჩქარებულან.

ვერიკო ურმიდან გადმოვიდა. მისი თავშალი სულ მთლად დაესველებინა წვიმას, წყალი წურწურით გადმოედვარა გოგონას სახეზე.

— ჩვენ აწი ფეხით წავალთ. ბიძია, გვეჩქარება.

ამის გაგონებაზე, ჩალაში თავჩარგული ავთანდილი წამოდგა, სველი სხეული შეაძიგებდა, ძაღლი რომ დაიბერტყავს სველ ბალანს, ისე, და ურმიდან ორივე ფეხით გადმოხტა.

მეურმე გაოგნებული შეჰყურებდა ამ „ფეხმომტვრეულ“ ყმაწვილს. ახალგაზრდებმა მეურმეს აუხსნეს რაშიც იყო საქმე და დაანამუსეს, — ხილზე უკან ვასვლისას გვარდიელებისთვის ეთქვა: ავადმყოფი თავის ადგილას მივიყვანეო.

მოხერხება იყოს, თორემ ხანჯლის პირზე გავიღიო...

გზა ისევ ფეხით განაგრძეს. ავთანდილმა ვერიკოს შეხედა და ძლიერ მოუნდა ახლა, — მოფერებოდა. სამაგიეროდ ეს სიტყვები უთხრა (სიტყვიერად მოეფერა):

— შენ რომ არ იყო, ვერიკო, რა გვეშველებოდაი...

— ტურა შეგვამლათ, — დამძიმებულ, სველ თავშიდან ვარდივით პირი გამოაჩინა ვერიკომ, თან მზიარულად დასძინა: — რა გვეშველებოდათ და სხვა ვერიკო გეყოლებოდათ...

— სხვა ვერიკო არ შეიძლება იყოს ქვეყანაზე...

ვერიკო ვრძნობდა, როგორ უყვარდა ის ავთანდილს.

მაგრამ მათ ამაზე არასდროს უსაუბრიათ.

ავთანდილის გულის ტკივილი ბოლომდე ტკივილად დარჩა...

\*\*\*

სენაყის კლუბი ხალხით იყო გაკედლილი. თავმოყრილი ხალხი ბევრჯერ უნდა

ხავს ავთანდილს, მაგრამ ამდენს ერთად პირველად ზედვდა.

კლუბის მისასვლელთან დავითი და ბიქტორი შემოხვდათ. სხვებსაც მოპკრეს თვალი შორიდან, სპარტაკელებს.

დავითმა და ბიქტორმა წვიმაში გაწუწულები სცენის კულისებში შეიყვანეს და ცოტათი უფრო თბილ ადგილს დაამყუდროვეს.

— სად არიან? — ჩასტურჩულა ვერიკომ დავითს.

— წამოდი, გაჩვენებ, — დავითმა ვერიკოს ხელი ჩასქიდა და წაიყვანა, — როგორ გაგყინვია თითები...

ოთახში შევიდნენ. იქ თუნუქის ლუმელი ვალუდუნებული იყო, ზედმიწევნით თბილოდა. ვერიკომ სენაკის მახრის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შორის ორი უცხო კაცი გამოარჩია.

ერთი უმილვე იცნო — ბორისი იყო, მეორე, რა თქმა უნდა, მიხა ცხაკაია უნდა ყოფილიყო.

ბორისმა აქეთ გამოიხედა. დავითმა მკლავში ხელი გამოსდო მას და ვერიკოსკენ წამოიყვანა.

— ბორია, აი ესაა ჩვენი „უჩინმაჩინი“.

ვერიკოს თვალები გაუბრწყინდა და გაყინული თითები დისკრისა, სანამ საქართველოს კომკავშირულთა მეთაურს გაუწვდიდა ხელს.

ბორისის თბილი ხელი ეამა და ცოტა ხანს არ შეუშვა.

შორცხვად იდგა ვერიკო და სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა, ისე კი, ძალიან უნდოდა რამე ეთქვა.

თვითონ ბორისმა გამოიყვანა უხერხულობიდან:

— შენ ნამდვილი გმირი ხარ, ვერიკო, — მიმართა მან დამორცხვებულ გოგონას, — სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო ლევანის და მოსეს და...

ძმების ხსენებაზე ვერიკოს გული ეტკინა: „რა კარგი იქნებოდა ახლა, ლევანი და მოსეც აქ ყოფილიყვნენ —

ბორის ძნელადის, მიხა ცხაკაიის გვერდით!...“

ოთახის ყველა კუნძულში თბილოდა და ღუმელს არაფერ ეფიცებოდა.

მიხა ცხაკაია იქვე, ფანჯარისთან იდგა და ესაუბრებოდა ლევთერ თოდუას — „სპარტაკის“ სენაკის ორგანიზაციის მეთაურს — და აქეთ მხოლოდ მაშინ გამოიხედა, როცა ბორისმა ვერიკოს სველ მხარზე მკლავი გადასდო და ღუმელთან მიიყვანა: ფეხები მაინც გაიწურე, არ გაცივდეო.

ბორისმა მიხას გამოხედვა დაიჭირა და თავაზიანად მიმართა ხელმძღვანელს:

— ბატონო მიხა, ეს გაბლავთ ვერა კიზირია.

მიხა ცხაკაია აქეთ წამოვიდა. ნაცრისფერ ბუაშემოვლებული პალტო მხარზე ნაბღურად მოეხურა. შეშალარაგებული წვერ-ულვაში ამშვენებდა დაბალი ტანის, თვალფიცი მამაკაცს.

ვერიკომ ადრე შენიშნა, სავარძელში ამ პალტოს ბუის მსგავსი, კრაველის ქუდი რომ იდო, და მიხვდა — იგი პალტოს პატრონის კუთვნილება იქნებოდა.

მიხას თოდუაც გამოჰყვა.

სტუმარმა ვერიკოს ხელი ჩამოართვა, მეგრულად გამოელაპარაკა. მიხასაც ჰქონია გაგებული ვერიკოს მიერ მენშევიკთა ლიდერის თვალწინ წითელი დროშის აფრიალების ამბავი. ლევთერ თოდუამ, დამატებით, გააცნო ვერიკოს „გარდაცვალების“ ამბავიც.

ეს ბორისმაც ახლა გაიგო... და ბევრი იცინეს: რა კარგი რამ მოგიფიქრებიათ!...

ოთახში სხვა ბოლშევიკებიც შემოვიდნენ... ვერიკო წამით განმარტოვდა, ღუმელთან მერხზე ჩამოვდა, ფეხსაცმელები წაიძრო და სველ წინდებში თითები ამოძრავა.

სითბო ეამა, გააკანკალა...

მალე, პრეზიდენტში ადგილები დაიკავეს მხოლოდ ბოლშევიკებმა.

იმ დღეს ლექციაზე სვანგვებოდ მოწვეული მენშევიკი ფაჩულაა სულაც

არ მობრძანებულა; სამაგიეროდ: ვგარდელები და მილიცია გააფრთხილა, ფხიზლად ყოფილიყვნენ! თუ რამე ბუნტი ატყდებოდა, სროლაც დაეწყათ; ოღონდ, ჩამოსულებისთვის არამცდარამც რამე არ უნდა ევნოთ. კრების დაშლისა და არეუ-დარევის შემთხვევაში, მიხა ცხაკაიასა და ბორის ძნელაძის დაპატიმრება დავალებული ჰქონდა სენაკის მაზრის მილიციის უფროსს მალაქია გელუნავას.

ლევთერ თოდუამ ხალხს სტუმრები წარუდგინა, კრება გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა მისცა მიხა ცხაკაიას.

მიხა ტრიბუნასთან მივიდა და მცირე ხნის ღუმილის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებასთან უფრო გაშინაურების მიზნით, მეგრულად დაიწყო:

— ჭიმაღუფ დო ამხანაგეფ, საქორთუოშ სქუალეფ, მოხანდეფ, გომორძგუა! — ეს მისალმების ბოლო სიტყვა განსაკუთრებით დასუქება მიხამ და უცებ აიყვანა დარბაზი ხელში.

ტაშმა ივრიალა... შიგადაშიგ, დარბაზიდან შეძახილებიც გაისმა:

— გომორძგუა, პატონ, გომორძგუა!.. შემდეგ მიხამ ცალი ხელი აღმართა და დარბაზი ერთბაშად გაჩუმდა, გაიტრუნა, სმენად იქცა.

ახლა კი მიჰყვა მიხა ქართულად, ჩვეულებრივი, სასაუბრო ხვით.

ლაპარაკობდა ზეპირად, დინჯად, დამაჯერებლად და დამატყვევებლად.

„მირჩა უათალი ახუნდოვსა და გიორგი ერისთავს, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ერთ ეპოქაში, კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ფერისცვალების ერთ ხანაში, წილად ზედათი თავ-თავის მშობლიურ სიტუაციაში მწერლობაში ერთდროულად ერთკვთ ახალი სიტუაცია“ (კ. ფაღავა). ეს ახალი სიტუაცია იმ სატირული პიესებში, რომლებიც ერთდროულად, ერთმანეთის მხავახად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქმნიდა იმ რარი შემოქმედი. — ქართველი და ანტიმთარგმნელი, მათი პიესების საერთო ხასიათიცა და ტიპიცა მხავახებაც ეპოქალური ტყფილებით იყო ვამოწეული.

მეგლევართა აზრით, მირჩა უათალი ახუნდოვსა და გიორგი ერისთავს შორის ახლო მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობა სავარაუდოა. აი, რას წერს ამის თაობაზე ლევა ასათიანი:

„მირჩა უათალი ახუნდოვი, როგორც ჩანს, პირადად იცნობდა და დედად აფასებდა ქართველ კომედიოგრაფს გიორგი ერისთავს. ამის შესახებ არსებობს დოკუმენტური ცნობა —

ეს არის თვითონ მირზა ფათალი ახუნდოვის წერილი, სადაც იგი დიდის პატივით მოიხსენიებს ქართული თეატრის განმავლბელს, სამწუხაროდ, მეტი მასალა ქართული და აზერბაიჯანული ლიტერატურათა ურთიერთობის შესახებ მე-19 საუკუნის შუა ხანებში ჩვენთვის ცნობილი არ არის.»

პროფ. ამბერკო ვაჩინილაძე ამ ორი დრამატურგის პარადი ნაცნობობის ვარაუდს კიდევ ერთი შტრიხით აშივრებს: „მირზა ფათალი ახუნდოვი და გიორგი ერისთავი ორივენი იყვნენ წევრ-თანამშრომელი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში. მირზა ფათალი ახუნდოვი და გიორგი ერისთავი როგორც დრამატურგები თბილისში, სამწერლო სამსახურზე თითქმის ერთსა და იმავე წლებში გამოცემდნენ. ცხადია, ისინი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სამხატვროებრივი მოვალეობის შესრულებისას ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ.“

პროფ. კ. ფაღვა კი ასე ხაზგასმით არ აღნიშნავს მ. ფ. ახუნდოვისა და გ. ერისთავის პირად შეგებობას, მაგრამ ლიტერატურული და შემოქმედებითი ურთიერთობის საფუძველზე ამტკიცებს: „როდესაც მის (ახუნდოვის — ლ. ე.) შემოქმედებას გ. ერისთავისა ვუდარებთ, აქვარა ზედმა, თუ რაოდენ ხავრძინობა მსგავსება, ერთი მხრივ, არჩილსა („მუნ. ნა“) და მეორე მხრივ, ჰაიდარბეგს, ასქერ-ბეგსა და საჯარ-ბეგს შორის („მუნის თავჯადა-სავალი“). კიდევ უფრო იდენტურია ფუფილი გახელებული პაქ-აჟასა — სტენბულ ბეგებს რომ ეუბნება: „ამ დროში კაცს ჯიბეში ფული ჰქონდეს უჩველესია, ვიდრე მელაფში ძალია ვისაც სანწარზე ოქრო უწევია, მელაფის ძალია მას აქვს.“ — და გიორგი ერისთავის მიკრიტუმ ვასპარიში („გაურა“). რომელიც ივანეს, თავად ანდუყაფარ დიდებულთა მძის მტყუის: „დაბ, კნაჯქან, ფული, ეს სოფელმა სულ ფული, ფული, სხვა უკვლამ ტყუილია; შენი ხაზეინ-მაზეინობას ფული უნდა.“

პროფ. კ. ფაღვა, როგორც მ. ფ. ახუნდოვის მკვლევარი, რა თქმა უნდა, იცნობს თვით მირზა ფათალის წერილს, რომელიც აზერბაიჯანის სსრ მემკვიდრეობათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდის მ. ფ. ახუნდოვის არქივშია დაცული: „დრამატული თხზულებების წარმოშობა აღმოსავლურ ენებზე (ქართულსა და თათრულზე) აზიურულუბაჟუა მოვლენაა ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურის მატანეში. კომედიების შექმნაში პირველობა ეკუთვნის დიდად პატივცემულ თავად გიორგი ერისთავს და მე. არა მარტო რა უფლება თავი მოეპოვო ჩემს მიერ გაწეული შრომის დიხსნათ, მე შოლოდ ვა-მხობი, რომ მუსლიმანთაგან კომედიების პირველი მწერალი ვარ.“ დედან ასათიანსაც უთუოდ ეს წერილი ჰქონდა მხრველობაში,

როცა მ. ფ. ახუნდოვისა და გ. ერისთავის „პირად ნაცნობობას“ აღნიშნავდა: „რადგან სხვა დოკუმენტია ამ საკითხის ირველივ არ არსებობს, ამ წერილის გარეშეც მწელი წარმოსადგენია ერთ ეპოქაში, ერთ კანდიდატიაში ორი ერთნაირად მოაზროვნე, ერთნაირი მსოფლმხედველობის დრამატურგს, ერთნაირი არ სცნობებოდათ.“

თავდაპირველად მ. ფ. ახუნდოვის მხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვა დაიწყო 1851 წლის ნოემბერში, ვაზეთ „აჟაჯაში“. 1858 წელს თბილისში გამოვიდა რუსულ ენაზე მისი პიესების კრებული, რომელშიც შედიოდა ხუთი კომედია. მაშინ წიგნის დაბეჭდვა მწერლისაგან დიდ თანხას მოითხოვდა, ახუნდოვის, დაბეჭდვის წინაშე, საკუთარი საშუალებებით თავისი ნაწარმოებების გამოცემა არ შეეძლო. როგორც საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, მირზა ახუნდოვის, უსახსრობის გამო, თავისი კომედიების კრებულის გამოცემა ძალიან ვაკირებია. იმავე საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მწერლის შევობებებს ვადაუწყვეტით, მ. ფ. ახუნდოვის პიესების გამოცემა თანხა წიგნზე წინასწარი ხელმოწერით შეეგაროვებინათ. არქივში დაცულია ახუნდოვის პიესების კრებულზე ხელმოწერათ სიები. ახუნდოვის პიესების კრებულის გამოცემაში მონაწილეობა მიუღიათ როგორც ქართველებს, ასეთ სომხებსა და აზერბაიჯანელებს. ამ გზით შესაძლებელი გამხდარა თბილისში ახუნდოვის ნაწარმოებების კრებულის დაბეჭდვა. 12

სწორედ ამ რუსულ გამოცემა უსარგებელია აჟაი წერეთელს და უთარგმნია მ. ფ. ახუნდოვის პიესა „დენქორანის სახანოს ვეზირი“ და „ხანის ვეზირის“ ხანელწოდებით დაუბეჭდეს თავის „კრებულში“ (1898. № 8). თან ავტორის შესახებ მოკლე ცნობებიც მოჰყარა დებია მკითხველისათვის:

„ეს პიესა დაწერილია მირზა ფათალი ახუნდოვის მიერ. ახუნდოვი იყო ვორონეჟის დროის მწერალი. ლიტერატურულ საქმიანზე გამოვიდა ჩვენს გიორგი ერისთავთან ერთად და თავი გამოიჩინა, მის ნაწერებში ისე ნათლად მოჩანს თათრების ცხოვრება, როგორც სარკეში...“

ქართულმა დრამატულმა დასმა პიესა სცენაზე განახილავდა 1898 წ. 81 იანვარს. ამ პიესის დადგენისათვ დაკავშირებით ი. გრიშაშვილი ასეთ ცნობებს გვაწვდის:

ქართულ თეატრში იმ დროს ხშირი იყო ბენეფიციები. ასეთი ბენეფიციები ერთი თეატრის მოლაზრეს სვენიონ ყალამბეგიშვილსაც უყვება მობენეფიციოს ცდილობდა. ისეთი პიესა ამოერჩია, რომელიც შემოსავალს დიდს მისცემდა. თეატრში ხმა დიხრსა, აჟაიის ახალი პიესა დაუწერიაო, მაშინ აჟაი თბილისში არ უთქვია

და მის დაუყოვნებელ მოღარეს თავს საბუნე-  
 უსიოდ სწორედ „შანის ვენიკი“ აურჩევია.  
 აფიშები და თბილისის ოთხივე გაზეთი („ივე-  
 რია“, „ცნობის ფურცელი“, „კავკასი“, „ნო-  
 ვოვ ობოზრენი“) აწერებდა საზოგადოებას,  
 რომ ქართულ თეატრში ყალბმედიანების სა-  
 ბუნეოვად აჯავს ახალი პიესა იღვებოდა. მი-  
 რჩა ფათალი ახსენოვზე კი ერთი სიტყვაც  
 არ იყო ნათქვამი: უფიქროსო, თეატრში აჯავს  
 პიესაზე მეტა ხალხი მოვაო. პოეტმა წარ-  
 შოდეგნის დროს ვიავო თავისი ავტორობის  
 ამბავი. ძალიან აღვლევებოდა. ვაზეთში შეც-  
 დომის გასწორება აღარ მოეწერებოდა, თეატ-  
 რის ზღვამდენადნებობათვის კი პირადად ვა-  
 ნუხებდებოდა თავისი გულსწერობა“ 12

ყოველივე ამის გამო აჯავ წერითელში ვა-  
 ზეთ „ცნობის ფურცელში“ მოათავსა წერალი,  
 სადაც მაღალ შეფასებას აძლევდა მ. ფ. ახუნ-  
 დოვის შემოქმედებას, ეთანხმებოდა კრიტიკოს  
 ამოღონ ვინაგორივეს, რომელიც ახუნდოვს  
 „აზერბაიჯანელ მოღიერს“ უწოდებდა და დას-  
 ზენდა, რომ რადგანაც ჩვენ ქართველები არ  
 ვცნობდით ამ შწერალს და ჩვენი მეზობელი  
 აზერბაიჯანელების ცხოვრება ჩვენს მიერ შეს-  
 წავილიდა არ იყო, ავიდო ერთი მისი პიესა „შა-  
 ნის ვენიკი“ და თითქმის სიტყვა-სიტყვით  
 ვაღმოვთარგმნიო.

აზერბაიჯანელ მკვლევარს დოღარა ალიევას  
 აჯავ წერითლის თარგმანი შეუდარებია რუსუ-  
 ლი ტექსტისათვის, რომელსაც იგი ორიგინალ-  
 ლად თვლის, და აღნიშნავს: თარგმანი ახლთა  
 ღვედნიან. ორიგინალის თავისებურებათა შე-  
 სანარჩუნებლად მთარგმნელს შესატყვისი  
 იდიომაები და ხალხური გამოთქმები დაუჭებ-  
 ნია ქართულ ენაში, რითაც თარგმანი ცოცხალ  
 სასაუბრო მეტყველებისათვის დაუახლო-  
 ბოიო.

ამგვარად, აჯავ წერითელი პირველი ქართ-  
 ველი შწერალი იყო, რომელმაც თარგმნა აზერ-  
 ბაიჯანული მხატვრული ნაწარმოები და ამით  
 ფაქტობრივად აწავი დასლო ამ ორი ერის  
 ლიტერატურათა დაახლოების საქმეს.

მაგრამ ახუნდოვის როლი კრიტიკული რეა-  
 ლიზმის დაწვენებასა და დაქვიდრების საქმეში  
 ბოლომდე შესრულებულად არ წაითვლებოდა,  
 მას რომ არ შეექმნა შენაღნიშნავი მოხატობა  
 „მოტყუებელი ვარსკვლავები“ (ქ. ფაღვავა).

ამ მოთხრობაში ამბავი ვითარდება ირანის  
 წარსულიდან და შაჰ-აბასის მეფობის ხანას  
 მიეკუთვნება. შწერალს იგი ერთ-ერთი ისტო-  
 რიულ ქრონიკაში ამოუკითხავს და მასზე მხა-  
 ტრული ნაწარმოები აფუთა: შაჰ-აბასისათვის  
 მის ახტროდოს განუფლადებია, რომ მოკლე  
 ხანში ბლანეტები ერთმანეთს დაუახლოვდები-  
 ან და შეეცხა და მის ქვეყანას უზედურება  
 ელითო. ამიტომაც შაჰისათვის ურჩევია, ჰამი  
 ღლით გაიყვლო ტახტს და შენს მაგივრად

ვინმე ცოცხალი დახეყო. შამი ახეც მოქცე-  
 ლა. თვითონ გადამდგარა და ტახტზე წერის  
 ხელისაწა კაცო დაუსვამს. შამის გადადგომის  
 დან სამი ღლის შემდეგ, შაჰ-აბასი დაბრუნ-  
 ბულა ხანახლეთა და დროებითი მეფე-ხელო-  
 სანა სიკვდილით დაუსჯიათ. ასე ასრულებულა  
 ასტრონომია წინაწარმეტყველება.

„შეძლება მკითხველნი დაეკვნიენ ამ ამბის  
 სიმართლეში და იგი მოთხრობის ავტორის  
 გამოვლილად ჩასთავლონ. — წერს ახუნდო-  
 ვი, — ასეთ შემთხვევაში მე ვერაფერი ვადა,  
 შალონ ისტორია და წაყოზობონ ის ვერაფერი,  
 რომლებიც ეძღვნება შაჰ-აბასის მეფობის მე-  
 შევიდე წელს“.

აი, ამ შემთხვევითობილ ამბავზე აუგია  
 მწერალს თავისი მოთხრობა. ნახვარდისტო-  
 რულ და ნახვარდელდამართულ სიუჟეტზე მან  
 წამოაყენა იმდროისათვის ყველაზე აქტუალუ-  
 რი პრობლემა — კრიტიკა აღმოსავლეთის დე-  
 სპოტური ფეოდალიზმისა.

„მოაკვებს ვარსკვლავთა უგუნურება, —  
 წერს მოთხრობის ბოლოს მწერალი, — რო-  
 გორ ვერ მიხვდენ, რომ ირანელებმა მოატყუ-  
 ეს ისინი, რომ სირაჯი იუსუფი ცრუ შამი  
 იყო... ვარსკვლავები შეებრალბებლნი აღმონ-  
 ნდენ ყოვლად უცოდველი იუსუფის მიმართ,  
 სამაგიეროდ ხელუხლებლად დაუტყოვებს და  
 ორმოცი წელწელი ვულგარლად უტყეროდენ  
 ირანის ნაშკლად მბრძანებლის შაჰ-აბასის  
 დესპოტიზმსა და ვანუითხავ სისხატყენს.“

მ. ფ. ახუნდოვმა „მოტყუებულ ვარსკვლავე-  
 ბში“ ერთ-ერთ მოქმედ პირად გამოიყვანა  
 შამის მარაზხანში „ტყუეობის გზით მოხვედ-  
 რილ“ ქართველი ქალი. „ღვეიდან აღარ ვი-  
 თვლები ირანის ფადიშაჰდ... — ასე მიმართ  
 თავს შამი შეკრებულ ცოლებს, როცა იძულებ-  
 ბულია დროებით დატოვოს ტახტი, — იძუ-  
 ლებულა ვარ მოვადინო თქვენთან ვაქორწი-  
 ნება და თითოეულ თქვენგანს მიცეც სრუ-  
 ლი თავისუფლება აირჩიოს სხვა ქმარი“.

ამ ცოლთა შორის ორმა აღარ იხურვა შაჰ-  
 აბასის მარაზხანში დარჩენა, — ერთი მათგანი  
 ქართველი ქალი იყო, რომელმაც მიიღო თუ  
 არა სანატრელი თავისუფლება, მაშინვე სამშო-  
 ბლოსკენ გამოემართა.

უფრო მოვლანებით, მშინა წლებში „ქმალ-  
 უდ-დოვლეს წერილებში“ მ. ფ. ახუნდოვი  
 ხმამაღლა მოუწოდებდა ჩაგრულ მასებს „თავი  
 დატეხნათ არა მარტო თვითმპყრობელობის  
 ბოკილებსაგან, არამედ სულიერარი რელი-  
 გიური რწმენის ხლართებისაგანაც“.

გ. ნატროშვილი თავის წერილში „მ. ფ. ახუნ-  
 დოვი“ 13 აღნიშნავს რა ახუნდოვის ღვეწლს  
 ახალი აზერბაიჯანული ლიტერატურის დაქვი-  
 დრების საქმეში, მის, როგორც ათიბტისა და  
 განმანათლებლის დიდ როლს, მის დაუცხრო-  
 მელ ბრძოლას —ტყუიერული იტლმის წინააღ-

მღვდ. ხაზს უსვამს იმ ვარემოებას, რომ ყოველთვის ამან განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება გამოაჩინა მის ფილოსოფიულ ტრაქტატში „ინდოეთის პრინციპის ქვედა-უღ-დოვლებს საში წერილი სპარსეთის პრინციპის ქვედა-უღ-დოვლებადში და ამ უკანასკნელის პასუხები“.

რელიგიური ფანატისმისა და ნამორჩენილობის გამანადგურებელი კრიტიკა, — განაგრძობს ჯ. ნატროშვილი, — მოცემულია ახუნდოვის შემდეგ სიტყვებში, სადაც იგი დასკვნის ისლამის მიერ დაკანონებულ ნორმებს აღამაინის უოფაქციებისას:

„ნუ აიღებ ზღვში მუსიკალურ ინსტრუმენტს, — ეს შეცოდებაა; ნუ მოსუბენ მუსიკას — ეს შეცოდებაა; ნუ მოაწყობ თეატრს, — ეს შეცოდებაა; ნუ შეიტან სახლში ქანდაკებას, — შეცოდებაა.“

ასე ამოთარახებდა ახუნდოვი ისლამის დოგმებს. რელიგიური კულტის მსახურით იგი უწოდებდა „მღვდლებს, რომლებიც ცხვრის ტყეში არიან გამოხვეულნი“.

მ. ფ. ახუნდოვის შეფასების, პროფ. შიდაჩ ზუსტიანოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქვედა-უღ-დოვლებს წერილებში“ შეხანიშნავია თავისი იშვიათი კონკრეტულობით. ისინი ამუღვენებენ ავტორის მიერ აღმოსავლეთის სოციალ-დემოკრატიული ცხოვრების უოფლობრივ ცოდნას. მათში არ არის ანსტრაქტული მსჯელობანი, ყოველ სტრაქონსა და განზოგადებას აქვს თავისი კონკრეტული შინაარსი“.

ცნობილია, რომ აღმოსავლურ ქვეყნებში პოეზიის ენად დიდხანს იოვლებოდა მხოლოდ და მხოლოდ სპარსული ენა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აზერბაიჯანის პოეზიაში ჭარ კადვ ბატონობდა სპარსული, მ. ფ. ახუნდოვიც თავის პოეტურ ქმნილებებს სპარსულად წერდა.

პირველი დექსი, რომელმაც ახუნდოვს კავკასიის საზღვრებს იქითაც გაუთქვა სახელი, იყო ელფგა პუშკინის ვარდაცვალებაზე. სპარსულ ენაზე შექმნილი ეს დექსი ლიტერატურაში „აღმოსავლური პოემის სახელით დამკვიდრდა, ხოლო თვით პოეტმა მას „ელფგური უსიღა“ უწოდა (ჯ. ფ. დავაძე).

ეს დექსი დაბეჭდა ვურსალმა „მოცოვსკი ნახლოუბატელმა“, რომლის ბჭყარბდი ავტორმა თვითონ მოამზადა და რდაქციას გაუმზავნა.

გენიალური პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალება იმ დროის ყველა პროგრესულმა ადამიანმა მწვავედ განიცადა. ამ ამბავმა თბილისშიც უღელდესი აღფრთოება გამოიწვია. „როცა მე წაუკოთბ შენი წერილი მაშუა ორბელიანს, — წერდა ბესტუფე-მარლანსკი თავის ძმას, — მას წაეღვა-კრულვა აღმობდა. მე მოყვალე იმ დანტებს თუ კი ოდენმე ვნახავო, — წამოიძახა მან.“

მაშუა ორბელიანის ეს გულისწყურება შემთხვევითი არ იყო. ეს იყო განმარტებული საერო აღწეროებისა თუ თვითმპრობებლობის მოხელეების საზოგადოარი საქციელის გამო.

ახუნდოვის პოემა ქართულად თარგმნა პოეტმა ი. გრიშაშვილმა. გრიშაშვილის თარგმანი შეუუღარეთ სპარსული დედნის ბჭყარბდაც და აზერბაიჯანულ ჯ. ბოიაქლანულ თარგმანსაც.

საკოვლთაოდ ცნობილია, რომ თარგმანის მთავარი ღირსება დედანთან სიახლოვეა ზედმიწევნით ზუსტი და, ამვე დროს, მძალბობატრული თარგმანი ძნელი წარმოსადგენია. სამარტლიანობა მოითხოვს, აღინშნოს, რომ გრიშაშვილისეული თარგმანი დედნის ტოლფასოვანი და რამდენაღმე უკოვსია ბოიაქლანულ თარგმანთან შედარებით. გრიშაშვილი ზუსტად იმეორებს დედნის სახეთა სიტყმას, პოეტურ სიტყმას, ვაღმთაქვს ორიგინლის მელდოიურობა და საერთოდ თავისი მხატვრული სიღრმითა და შინაარსით ახლოა დედანთან. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე ადვალს:

პოემა იწყება ავტორის საუბრით საყუთარ გულთან, რომელსაც უძილობის დროს ეკითხება, რატომ ხარ ასე სევდანი, რამ დაადუმა შენს ბღნარში მკალობელი ბუღბული, რა მოხდა, რატომ სღმან შენი მეტყველი თუთიყუშებიო.

გრიშაშვილის თარგმანში ვკითხულობთ:

ძილგამკრთიღმა ზემს გულს ღამით მივმართე და ვბუღბუღე, ვულო გულო, საიდუმლო პატიოსან თეალო ბუღბ, სთქვი, რა მოხდა, რომ ბუღბუღმა მიატოვა მინდორ-ველი, ან ზორაყი რად დაღუმღა მოენე და მჭერმეტყველო? 16

როგორც ჩანს, თარგმანი ზუსტია. აქ არ გვხვდება ისეთი აზრი, რაც არ მოიპოვება სპარსულ დედანში, ხოლო თუთიყუშის ნაცვლად „ზორაყის“ ხმარება, რაც სახას განმარტებით „უღრინველია ინდოეთისა მოლაპარაკე“, უფრო აძლიერებს სოთარგმნის მახლის აღმოსავლური წარმომავლობის საკითხს.

პოეტი რამდენიმე ფრაზით კვლავ ვაღმოვცემს თავის ლირიულ განწყობილებას და ამხადებს ნიადაგს მოგვიოზხროს მჭუნარების მხეზი. ვული ასე პასუხობს პოეტს: ნუთუ არ იცი რა ხდება ქვეყანაზე, ნუთუ არატერი გხმნა პუშკინზე, პოეტთა კრების წინამძღოლზე? იმ პუშკინზე, რომლის ღალი სავალო-

ბიზნის დიდება ჰქუხდა კიდიოკიდემდე.  
თარგმანი ვკითხულობთ:

ამ ქვეყნისა აღიარა ხარ,  
არაფერი შეგატყვია?  
პოეტის თავი არ გვუაგეს,  
გულს ახალს ცხელი ტყვია.  
ვინ არ იცნობს ბუშკინს, ბუშკინს  
ვინ არ აჭებს არ აღიდებს,  
მოღველივე მისი ლექსი  
მოხვნილა კიდით-კიდეს.

თარგმანი ძლიერ ახლა დედანთან, ლაღად  
იკითხება და თავისი უშუალოებით უსწორდება  
ახუნდოვისმდე ლექსს. მხოლოდ მთარგმნელი  
მოულოდნელად ხსნას პოეტის ჩანაფიქრის  
კვანძს და პირდაპირ ამბობს: „გულს ახალს  
ცხელი ტყვია“; რაც უცხოა ორიგინალისათვის  
და გარკვეულად ანელებს დრამატულ დამა-  
ბულობას.

ამ პოემაში განსაკუთრებულ ყურადღებას  
იქცევს ახუნდოვის ცოდნა რუსული ლიტერა-  
ტურის დარგში. პოეტი ახსიათებს რუსული  
ლიტერატურის წარმომადგენლებს — ლომო-  
ნოსოვს, დერჟავინს, კარაშინს და თავით პუ-  
შკინს.

პოეტი აღწერს თუ როგორ გლოვობს რუ-  
ხეთის მიწა, როგორ ვოდებს და ოზრავს: „ვინ,  
აღამიანო, გამყიდველი ჭაღათის ხელით მოკ-  
ლულში“ თარგმანი ვკითხულობთ?

გმინავს მიწა რუსეთისა,  
პკოდებს ხმიითა დამდაღველით,  
ჭაღათებს წმინდა მსხვერპლთ,  
შენ დაეცი შტრებებს ხელით“.

მაგრამ როგორც თვით ნაწარმოების, ასევე  
თარგმანის კულმინაციური წერტილი პოემის  
ფინალია. პოეტი „იღვევიურ ყასადას“ ამთავ-  
რებს იმით, რომ ამ საერთო გლოვას „ქაღარა  
კავასიაც უერთლება და საბუბის (მ. ფ. ახუნ-  
დოვის ლიტერატურული უსყვედონინია) ლექ-  
სით დასტარის მას“.

და ქაღარა კავასია  
კრძალვითა და მოწინებთ  
მწირ საბუბის ლექსით გლოვობს  
შენს უღრთო დამიწებას.

თარგმანის ამ ნაწილშიც დაკრულია დედნის  
ლექსიკა, შენარჩუნებულია ორიგინალის სი-  
ხადავე და იგი სათარგმანი დედნის სიმადღერე

დგას. და საერთოდ, პოემა ისეა თარგმნილი,  
რომ გარკვევით ვრძნობთ, ყოველი სტროფი  
ორიგინალის ავტორის შემოქმედების ღრმა  
ცოდნადან მომდინარეობს.

ი. გრიშაშვილი ერთ თავის ადრინდელ წი-  
რალში წერდა:

„მთარგმნელმა უნდა იცოდეს ავტორის სუ-  
ლის კანკალი, იგიც იმასავით გონებაგანსწილი  
და თვალმგარწმობიერი უნდა იყოს; მთარგმნე-  
ლსაც იგივე აზრი უნდა ჩაუფრებდეს თავში,  
რომელიც თვითონ მწერალს ამოქმედებს, ერ-  
თი სიტყვით, — მთარგმნელმა ისეთი ნაწარ-  
მოების გადმოღება უნდა იკისროს, რომ ამ  
„კისრულს“ თან არ გადაშეყვას, როგორც ილია  
იტყოდა ხოლმე“. 17

ჩვენ დავინახეთ, რომ მ. ფ. ახუნდოვის  
პოემის მთარგმნელსაც იგივე აზრი ჰქონდა  
„ჩაუფრებულში“ და იგივე გულისტკივილი  
ათქმევინებდა იმ სტრიქონებს, რომელში ტი-  
ვილმაც მ. ფ. ახუნდოვს ასეთი შესანიშნავი  
ნაწარმოები შეაქმნევინა.

„პოემის იდეური სიღრმე და სიმართლე  
სრულიად ახალი მოვლენა იყო აზერბაიჯანულ  
ლიტერატურაში, — ამბობს აზერბაიჯანელი  
მკვლევარი მ. რაფილი, — ახუნდოვმა ძველ  
ხალექსო ფორმაში მოათავსა ახალი, მდიდარი  
იდეური მონაარსი, გამოთქვა მასში თავისი  
ეპოქის მოწინავე იდეები, თავისი ხიყვარული  
— ახლისადმი — მოწინავე სამყაროსადმი. ამასია  
ახუნდოვის დიდი დამსახურება“.

ეს პოემა, ლტომონტოვის ლექსის შემდეგ,  
სამართლიანად თვლება ბუშკინას გარდაცვა-  
ლებამდე დაწერილ ყველაზე საუკეთესო ნა-  
წარმოებად.

ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურულ  
და კულტურულ ურთიერთობის ისტორიის  
შესწავლისას უთუოდ საყურადღებოა იმის  
აღნიშვნა, რომ მ. ფ. ახუნდოვის მოღვაწეობა  
მთლიანად საქართველოში გატარებულ წლე-  
ბზე მოდის. მართალია, ძალზე ძუნწი ცნობე-  
ბი გვაქვს ახუნდოვის ქართველ მწერლებთან  
და საზოგადო მოღვაწეებთან ურთიერთობის  
თაობაზე, მაგრამ ის ვარაუდი, რომელიც ამ  
მასალებზე კვლევისას გამოითქვა — მათს  
იდეურ კავშირ-ურთიერთობას, მათს შეგობ-  
რობას უფრო ღრმა და მტკიცე ფესვები ჰქონ-  
დათ — რეალურ საფუძველს მოკლებული არ  
უნდა იყოს.

## შენიშვნები:

გაეროს  
საერთაშორისო

<sup>1</sup> И. Андроников. Лермонтов в Грузии в 1837 г. Тб., 1955, стр. 9.

<sup>2</sup> ი. გრიშაშვილი. „ლიტ. საქართველო“ 1938. 30 მარტი.

<sup>3</sup> მ. ფ. ახუნდოვის არქივი. ინვ. № 490. გვ. 33.

<sup>4</sup> მ. ფ. ახუნდოვის არქ. ინვ. № 490. გვ. 35ბ, 36, თარგმანი კ. ფალავასი.

<sup>5</sup> კ. ფალავა. აზერბაიჯანული და ქართული კულტურული ურთიერთობისათვის. თბ. 1966. გვ. 12.

<sup>6</sup> „ლიტ. გაზეთი“ 1953 წ. № 9.

<sup>7</sup> ლ. ასათიანი. „ლიტერატურული გაზეთი“, 1953, № 14.

<sup>9</sup> ამბ. გაგენილაძე. „ლიტერატურული გაზეთი“, 1953. № 9.

<sup>10</sup> ახუნდოვის არქივი, ინვ. № 351.

<sup>11</sup> ამბ. გაგენილაძე. „ლიტ. გაზეთი“, 1953 წ. № 9.

<sup>12</sup> ი. გრიშაშვილი. თხზულებანი, ტ. მე-4. თბ. 1968. გვ. 304.

<sup>13</sup> „ცნობის ფურცელი“. 1898. № 447. გვ. 16.

<sup>14</sup> გ. ნატროშვილი „ლიტერატურული გაზეთი“, 1958. № 28.

<sup>15</sup> მ. ფ. ახუნდოვი. პუშკინის გარდაცვალებაზე. თარგ. ი. გრიშაშვილისა. „მნათობი“, 1938. № 12. გვ. 84.

<sup>16</sup> ი. გრიშაშვილი. „ხომლი“. 1923. 30 სექტემბერი.



ვლადიმერ მაზაპარიანი

# ღირსშესანიშნავი სახლი

ეს სახლი თანამედროვე ქართული მეცნიების მეტროს, დედოსტატის გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე მდებარეობს.

ტაბიძის ქუჩა № 21... ამ სახლის ერთ-ერთ შესასვლელზე რამდენიმე მემორიალური დაფა გაკრულია. რომელნიც გვაუწყებენ, რომ აქ უცხოურადაა: ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც ჩვენ შეგნებაში გვერდით უღვას ილიას, აკაკის, ვაჟას... აქვე უცხოურადაა გიორგი ნიკოლაძეს, ნიკოს ვაჟაშვილს, გამორჩენილ ქართველ ინჟინერს, ფეროშენაძეობების ოსტატს, თვალსაჩინო სპორტსმენს და ფიზიკულტურული მოძრაობის პირველ სულიანამდგმელს; თამარ ნიკოლაძეს — სათნოებით სავსე ქალს, რომელიც გიორგისთან ერთად ჩვენში ფიზიკური კულტურის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. თამარი ხომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნიკო მუსხელიშვილის პირველი მეუღლე იყო; ცნობილ მეცნიერს ისტორიკოსს შ. პოლივექტოვს. მისი მეუღლე, პროფესორი არსუდან ნიკოლაძე ახლაც აქ ცხოვრობს. ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეგვექმნოს, რომ განგებამ სპეცილურად განაწესა ეს სახლი, რომ აქ დაესაბუნებია საქართველოს გამორჩენილ მოღვაწეთა შთელი ჭკუფა.

ნიკო ნიკოლაძე უკანასკნელი ემიგრაციის შემდეგ ევროპაშია სამშობლოში 1920 წელს დაბრუნდა. თუ არ ვცდებით, ნიკო ნიკოლაძე ერთადერთი ქართველი მოღვაწე იყო, რომელსაც XIX საუკუნეში ევროპული რეპუტაცია ჰქონდა. კ. შარქიშვილსა და არა სხვას, პირველი ინტერნაციონალური კავშირის წარმომადგენლობა შეეძინათ.

ნიკო ნიკოლაძემ პირველმა გამოსცა ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი სრული კრებული რუსულ ენაზე.

ნიკო ნიკოლაძეს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი შეეცარიაში მიანიჭეს; მან ეწინააღმდეგა.

უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მეტად თანამედროვედ შედგის და აქტუალური მნიშვნელობა აქვს. ეს დისერტაცია იხილავდა განიარაღებისა და ევროპის უნივერსიტეტების რთულ და მეტად დახლართულ პრობლემებს.

სწორედ ამ დისერტაციაში ამტკიცებდა ნიკო ნიკოლაძე, რომ ერის, ხალხის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს ომი ვი არ ინახავს, არამედ ხალხის სულიერი შემოქმედება.

ნიკო ნიკოლაძე ერთ დროს ფოთის ქალაქის თავი იყო. მისი თათბირით ააგეს ფოთის ნავთსადგური, უზრუნველყვეს საუკეთესო პარობები ჭიანჭურის მარჯანეცის ექსპორტისათვის. ცნობილია, თუ რაოდენ ბრწყინვალე პუბლიცისტი, მწერალი, თურნალისტი იყო ნიკო ნიკოლაძე. არ შეიძლება აღტაცებისა და შთაბეჭდილების გრძობამ არ შეგვიყაროს, როდესაც მის წიგნებს „შამულის სიყვარულს...“ ვითვლით.

1925 წელი იყო საღამოთა კომპაგვირის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში ვიქტი და ვმუშაობდი. კომპაგვირის ცენტრალური კომიტეტი რუსთაველის პარამეტრზე, ოპერის პირდაპირ მდებარე სახლი იყო. თვითონ იყვნენ. ჩემს და კომენდანტის გარდა, შერობაში არაფერ იყო. კომენდანტი შემოვიდა — აქვემოთ ვიღაც ევროპულად ჩაცმული, თითქმის ვეროპულაშიანი მოხუცი მოხუცს შემოსვლას, ხომ შეიძლება ამოვიღებო“. რასაკვირველია, თანამშობა მივეცი, თუმცა მოხუცები კომპაგვირის ცენტრალურ კომიტეტში და ისიც საღამოთა, არასოდეს მინახავს: ის კი ჩვენთან შემოდოდოდენ ზაქარია ფალაშვილი, დიმიტრი არაქიშვილი, კოტე მავაშვილი. სხვა ცნობილი მოღვაწეები, მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები.

კარი გაიღო, ჩემ გაცობას საზღვარი არ ჰქონდა. ოთახში ნიკო ნიკოლაძე შემოვიდა.

წამოვხდით, შევეცდებო, სკამი შევართვი. ბატონმა ნიკომა გააღიმა — „თქვენზე რამდენ ქორებს თხზავენ, თქვენ კი თავაზიანი ხალხი ყოფილხართ“. გამოჰკითხა გვარი, სახელი, მამის სახელი. მამაჩემს კარგად იცნობდა, ნიკო არა ერთხელ ყოფილა ჩვენი სტუმარი ბათუმში.

იმჭროდ ბატონ ნიკოს ინტერესებდა ახალგაზრდობის პრობლემები, ჩვენი დაშოკებულობა ერთგვარი საკითხისადაც. მკითხა ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკების გვარი და სახელეუბანი: — „სულ ქართველები ყოფილხართ, საზღვარგარეთ სხვას ამბობენო“. საუბარი ერთსაოთხე მეტი ხანი გაგრძელდა. წასვლა რომ დაამარა მოხდა — „თქვენი ვაჟებები, შურნალები გამოივარდნენ, მინდა ვიცოდე რაზე ფიქრობთ, რას აკეთებთო“. ბატონი ნიკო რუსთაველის პროსპექტამდე წავაცილე. დამეშვიდობებისას ვუთხარი — „თუ მოიცალოთ, კვლავ მობრძანდით, თქვენი სტუმრობა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნებს გაუხარდებათ“. შემპირდა, ავიცლებოდა მოვალეობა. არ ვიცი, იყო თუ არა ბატონი ნიკო სხვა დროს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, მე მოსკოვში, ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალში სამუშაოდ გამიწვიეს. იქ გავივი ნიკოლასი ვარდაცვალდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ფუძეები გასული საუკუნის სამოციანელთა ნოაფერ მიწაზე არის გადგმული. მარქსიზმ-ლენინიზმი და ეროვნული ნიმილიზმი აბსოლუტურად შეუთავსებელი ცნებებია. ერთხელ კ. მარქსმა თავის სიძეს, პოლ ლაფარგს უთხრა: „თქვენ ხელსაწყოების ამბებზე მესაუბრებთ, საქონი მოხრათ თქვენთან, საფრანგეთში რა ხდება, რა ამბავია, რა გავლენა გაქვთ საფრანგეთის მუშათა კლასზეო“.

ინტერნაციონალიზმი კი არა, უთვისტომო კომპოლიტიზმი უარყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთგვარი საკითხის დიდ მნიშვნელობას.

თანამედროვე ქართველის შეგნებაში ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის ცნებები განუყოფელი არიან შერწყმული ერთი-მეორესთან.



საინტერესოა როდის გაიცნო ნ. ნიკოლაძემ „კაპიტალი“ რუსულ ენაზე. პროფ. სიმონ ხუნდაძე თავის მოკლე ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში „ცნობები კ. მარქსის შესახებ ქართულ ლიტერატურაში“ (იხ. „საქართველოს სოციალისტური მემორია“, № 1-2, 1933 წ. გვ. 118) გადმოგვცემს თავის საუბარს ნიკო ნიკოლაძესთან და დააკენის: „კაპიტალს“ პირველად იგი გაცნობია რუსული თარგმანის კორექტურაში 1869 წელს. ჩემს შენიშვნაზე, განმეორებითა და ხაზგასმით აღნიშნა — ბუნებრივად

აღრე დაწყო და მხოლოდ მოგვიანებით, 1872 წელს, გამოეცნა“.

პროფ. პაატა გუგუშვილი თავის „ბატონი ა. მარქსი ქართულ საზოგადოებრიობასა და ბუბლიცისტიაში“ (იხ. შურნალი „მნათობი“, № 9-10, 1948 წ., გვ. 154) აგრეთვე აღნიშნავს: „კაპიტალს“ ნ. ნიკოლაძეს პირველად გაცნობია რუსული თარგმანის კორექტურაში 1869 წელს. 1958 წელს გამოქვეყნებულ შრომაში: „ქართული მარქსი ქართულ ბუბლიცისტიაში“ (იხ. „გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, VII, გვ. 37. რუსულ ენაზე) პროფ. პ. გუგუშვილი აღარ ასახელებს ზუსტად 1869 წელს, როგორც იმ თარიღს, როდესაც ნ. ნიკოლაძე გაცნო „კაპიტალს“ რუსული თარგმანის კორექტურის იმ წერს: „კაპიტალი“ ნ. ნიკოლაძე პირველად გაცნო კორექტურაში რუსული თარგმანისა, რომელიც გამოიცა 1872 წელს“. ჩვენს პაწია ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში, რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა 1954 წელს 1 ოქტომბერს, „კაპიტალის“ მეორე ქართული გამოცემის გამო, პროფ. სიმონ ხუნდაძის ადრინდელი და პროფ. პ. გუგუშვილის 1943 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის მიხედვით აღვნიშნეთ, რომ ნ. ნიკოლაძე „კაპიტალს“ გაცნო 1869 წელს რუსული გამოცემის კორექტურაში.

კ. მარქსის და ფ. ენგელსის „რუს პოლიტიკურ მოღვაწეობის მიწერ-მოწერის“ ქართულ გამოცემის რედაქციანზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ნ. ნიკოლაძე „კაპიტალს“ რუსულ გამოცემის კორექტურაში 1869 წელს ვერ გაცნობოდა და ამ რაობა:

კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის რუსულ ენაზე თარგმანს თავისი იტორია აქვს „კაპიტალი“ თარგმანს პირველად მიენდო მისილი ბაკუნინის. მან გადაუგზავნეს მთელი შეკრვა წიგნებისა, როგორც თარგმანისათვის საქართველოში დასამარე საშუალება და გადაუხადეს მას 300 მანეთი წინასწარ. მაგრამ ბაკუნინმა ვერ დახსლია „კაპიტალი“ და 1869 წელს უარი განაცხადა მის თარგმანზე.

ამის შემდეგ, 1870 წელს რუსულ თარგმანზე მუშაობა დაუწვია გ. ა. ლობაძის. მაგრამ ეს მუშაობაც შეწყდა. გ. ა. ლობაძისი ცვროპიდან რუსეთს გაემგზავრა, რომ დაეხსნა ნ. გ. ჩერნიშევსკი ციმბირში გადასახლებიდან. ლობაძისის ცდა წაიშალა და 1871 წელს თვითონ ლობაძისი დაამატირეს ოქტობერში.

1868 წლის 30 სექტემბერს ნ. ფ. დანიელსონი წერს კ. მარქსს ლონდონში, რომ ერთ-ერთ პეტერბურგულ გამოცემელს, ნ. პ. პოლიაკოვს, აღებრა სურვილი, რუსულად გამოეთა „კაპიტალი“. დანიელსონი სიტყვის კ. მარქსს თანხმობას. ამავე წლის 7 ოქტომბერს კ. მარქსი თანხმობას ჰგვანის პეტერბურგში. ლობაძისის დაპატიმრების შემდეგ თარგ-

მანვე მუშაობა გაუგრძელებია ნ. ფ. დანიელსონს. ამის შესახებ მან აცნობა კ. მარქსს 1871 წლის 11 მაისს. ამავე წლის 29 ოქტომბერს დანიელსონი აცუბინებს კ. მარქსს, რომ პოლიანად დამთავრა „კაპიტალის“ პირველი ტომის თარგმანა და ელოდება პირველ თავს, რომელიც კ. მარქსს გაეგზავნა გადახკეთებლად და გადასამუშავებლად (ამის სურვილი კ. მარქსს ადრე გამოუთქვამს). შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ პეტერბურგში ბეჭდვის შეუძლებლობის ავტორიდან პირველი თავის მიღებაშიც ეს ტექნიკურადაც შეუძლებელია. რუსულ ენაზე „კაპიტალი“ ნაკვეთებად არ გამოხუდა, ის ერთ ტომად გამოქვეყნდა. მხოლოდ 1871 წლის 9 ნოემბერს კ. მარქსი აცუბინებს დანიელსონს, რომ უგზავნის პირველ თავს მცირეოდენი შესწორებებით — ე. ი. 1871 წლამდე „კაპიტალის“ პირველი ტომის ბეჭდვა რუსულ ენაზე არ წარმოებულა და, მაშასადამე, არც შეიძლება ყოფილიყო მისი კორექტურა.

1872 წლის 27 მარტს დანიელსონი აცუბინებს კ. მარქსს ლონდონში, რომ „კაპიტალი“ რუსული თარგმანის ბეჭდვა დამთავრებულია და ავტორს უგზავნის ერთ ეგზემპლიარს. კ. მარქსმა რუსულ თარგმანს მაღალი შეფასება მისცა და დიდი კმაყოფილება გამოხატა მისი გამოქვეყნების გამო.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნ. ნიკოლაძე ვაუცნო ზელნაწერში „კაპიტალის“ ორიოდვე ვერადს, რომელიც მ. ბაკუნინმა თარგმნა. ეს შესაძლებლობა გამორიცხებულია. ნ. ნიკოლაძის დამოკიდებულება ბაკუნინისადმი მეტად უარყოფითი იყო და ბაკუნინი სპეციალურად არ აჩვენებდა თავის იდეურ მოწინააღმდეგეს პირველ ცდას, ისიც ისეთ პირობებში, როდესაც

მან ვერ დასძლია დაკისრებული სამუშაო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნ. ნიკოლაძე ლომაცინთან და დანიელსონთან ეცნობა „კაპიტალს“ თარგმნის პროცესში. მაგრამ ეს ზომი კორექტურა არ არის, და ამის გარდა, ჩვენ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება ამის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ნ. ნიკოლაძე, რატომ არ მოუთხოვრებდა ამაზე პროფ. ხ. ზუნდაძეს, ან თავის ცნობილ, ჯერ გამოუქვეყნებელ პატარა ავტობიოგრაფიაში, რომელიც ხაქარო პიბლიოთეკაში ჩვენ თავაწიანობით გავაყენო პატრივტიულმა თამარ მჭავარიანმა, არ იტყუა და ორიოდვე სიტყვას.


ნ. ნიკოლაძე კ. მარქსის „კაპიტალის“ რუსული გამოცემის კორექტურას შეიძლებოდა გაცნობოდა მხოლოდ 1871 წელს ე. ი. მაშინ როდესაც დაიწყო მისი ბეჭდვა.

ყოველ შემთხვევაში აქ უძველესა მხოლოდ ის რომ ნ. ნიკოლაძე პირველი ქართული საზოგადო მოღვაწეა, რომელიც ეცნობა „კაპიტალის“ რუსულ თარგმანს წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ე. ი. აგრე უკვე საუკუნეზე მეტია რაც კ. მარქსის გენიალურმა ქმნილებამ თავის გზა გააყვლია საქართველოში.

• • •

გალაკტიონის ქუჩის № 21-ში სხვა გამოჩენილი პირებიც ცხოვრობდნენ. ამ სახლში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯდესაც ცხოვრობს ქალბატონი რუსუდანი. რუსუდანი და თამარი ე. ი. ლენინის კარგი ნაცნობები იყვნენ, ერთ ხანს მისი თანაშემწე — მდივებიც ყოფილან.

ერთი სიტყვით, ნიკო ნიკოლაძე, მისი ოჯახი მართლაც რომ უნიკალური მოვლენაა ჩვენს ახალ და უახლეს ისტორიაში.



ალექსანდრე ბარამიძე

# მოგონებანი კომენტარებით

დაოჯახება

პროფესორმა კორნელი კეკელიძემ უნივერსიტეტთან დატოვება რომ შემოთავაზა, ერთ უმთავრეს პირობად მომთხოვა ასპირანტობის პერიოდში არ შედექა პირადი ცხოვრების მოგვარებაზე, კერძოდ, ოჯახის მოკიდებაზე. პირობა მიეცა, თუმცა გული შეთანატრებულა. მართალია, ოჯახის შექმნის საკითხი ჩემს წინაშე პრაქტიკულად არ დამსდგა, მაგრამ მაშინ ძლიერა მიფურთხული სნებით ვიყავი შეპყრობილი. პროფესორის შეგონებამ და თითქო საგანგებო გაფრთხილებამ გამომაღვიძლა, ასელო საზრუნავი გამოიჩინა და საგონებელში ჩამავლო. ჩემი ცხოვრების მომავალ თანამგზავართან (ნინო ივანეს ასულ ელიაშვილთან) მოვითათხიბრე, შევთანხმდით, შეუდლება არი წლათ მაინც უნდა გადავედო. ნინოს მშობლებმაც მთაწონეს ჩვენი გადაწყვეტილება, მშობლიურად დამლოცეს და უოკლმსრივ ხელისშეწყობა აღმოთქვეს (ნინოს ზოგიერთ მახლობელ ნათესავს ღარიბ-ღატაკი ეწოდებინა ჩემთვის და სასამოდ დავიწყებებინე). ეს მოხდა 1925 წლის ზაფხულში. შემოდგომიდან (ოქტომბრიდან) უნივერსიტეტიდან დატოვება ვაფორმლა, სამსახურს თავი დავანებე და საასპირანტო მუშაობას შევედგე. ნინოს მშობლებმა მირჩიეს რესტორანის მუშაობაზე და სასადილოდ მათთან შეველო ოჯახში. რესტორანში კვება საზოგადოება და ბევრ დროსაც წყაროთმედი პირველი ყოყმანის შემდეგ ასეც მოეჭატი. დიდ ვურთალებასა და მხრუენეულობას მიდასტურებდნენ, რაც ერთგვარად მპირკავდა კოლეც და ვარკვეულ უცხოებულობას მიქმნიდა. ერთ სიღამოს, სუფრას რომ ვუსხედით, ბნმა ივანემ (ნინოს მამამ) მიამბრა, მე გულისყურით ვუყვარებდი შენს მღვამარტობას, ვამ-

ჩნვე ზოგიერთს, შენთვის უხერხულ ვითარებას, დროც ბევრი გეხარება, იქნებ აქობოც, რომ შენ და ნინო შეუდლდეო, საცხოვრებლად ჩვენთან გზამოდი, მუშაობის უკეთესი პირობები შეგექმნება, დროსაც მოეცება. იფიქრეთ, ჩვენ მხოლოდ რჩევას ვთავაზობთო, დაუმატა. მე ვარგად მესმოდა ამ თავიბიანი წინადადების აზრი. ელიაშვილები მოიხილდნენ შეუდლება დამეტარებინა ვანა შე წინააღმდეგი ვიყავი? მაგრამ რა მეთვე პროფესორისათვის მიცემულ პირობაზე აშას მე მოვაგვარებო, შემინდნა ბნმა ივანემ. ის მართლაც პირადად ვარგად იცნობდა კორნელს კეკელიძეს. ვგრძნობდი, რომ საქმე მართლდებოდა. ბოლოს მოვიზარეთ, ჩუმად დავვიწერა წყარო, ვაუზმუერებლად, ასე ვოქვით, არაღეგარულად. რომ ეს ამბავი არ მისდელიყო ბნ კორნელის ყურამდის.

1926 წლის 14 იანვარს, ნინოობის დღეს, წყარო დავიწერეთ ანჩისხატის ეკლესიაში და ბალიან მოკრძალებული ქორწილი გადავიხადეთ. ჩემი პატარა თთახი მატინოვის ქუჩაზე დიასახლისს დავებოვე და საცხოვრებლად ელიაშვილებთან ვაყავი (მესანგრეთა აწ. მენლაძის ქუჩაზე, სხლი № 11). ვარკვეზლად ვადაღვარი ისე ვეწყო თითქო სადარდელია არაღერი მქონდა, ნინოც და მისი მშობლებიც ყოველმხრივ ელიობდნენ, რომ ჩემთვის შინაური ვარკვი მიექმნათ. საქორწილო ვაზიტებისაგან თავს ვიყავებლი. იშვიათად თუ ვისმე ვწვევიათ. ბუდად, ერთხელ ვეხებუათ ალექსანდრე წერეთელს, რომელსაც გიმნაზიიდანვე ვიცნობდი. იმან ჩვენი ამბავი ვარგად იცოდა და ქორწილზედაც დავავესტო, ან. წერეთელი მაშინ იყო უნივერსიტეტის ლექტორი, ცხოვრობდა ყოფ.

წინდა ნინოს სასწავლებლის შენობაში (შოი ზიტაძის ქუჩაზე), ადრე ამ სასწავლებელს უკვე გომანზიად გადაკეთებულს განაგებდა.

აღ. წერეთლის ბინის კარები შევღე და... ადგილზე გაემშვიდი. დავლანდებ, რომ შავრდას უბის და მასპინძელს ესთუბრება კორნელი კაკაბიძე. ჟერ მოჩვენება შევარდნიან-ბრძანა რომ შევიცანო ტანში ერთნატილმა დამიარა და ციგმა ოფლმა დამასხა იგივე მოუვიდა ნინოსაც. უკან გაბრუნება აღარ ეწყობოდა. მასპინძელმა დაგვიანება და ჩვენს სენ გამოეშურა, შინ შევკვირვია და ბან კარ-ნელსა და ქ-ნ მინდორას (კორნელის შეუღ-ლის) წინაშე წარგვაღვინა, ახლად შეუღ-ლებული ახალგაზრდები არიან, ვგონებ, კიდევაც იცნობოთ. თავზარდაცემული და გაოგ-ნებულნი ვიყავი, თითქმის დღი დანაშაულებას-თვის რაღაც საშინელ განაჩენს ვულოდო აკანკალებული ხელი შევაგებე ბან კორნელის ჩემსკენ ცივად გამოწვილ ხელს. ბან კორ-ნელის აშკარა გაგულსება ეტყობოდა. ამან კიდევ უფრო შემაშფოთა და დამაბინა. მასპინძელს არ გამოვარჯია სიტუაციის სიმ-წვავე, უხერხულობის გასაფანტავად ყველა-ნი გაშლილ სუფრასთან მივაჯობატე. უხმოდ და შექანყურად დავემორჩილე განკარგულე-ბას. დანაშრულმა დაეკვივო შემოთავაზებულ ადგილს. ალექსანდრე წერეთელმა სასმისი ო-ღო, ჩვენი შემოსწრებისა (და დაქორწინების) სადღევარძელი წარმოსთქვა მასთვის ჩვეული მჭევრმეტყველებით. სასმისს ხელი შეიხო ბან-კორნელიმაც. ჟერ ცოტა მოსვა (თითქმის ლინოს გემო გაუსინდა), მერე ნინოს მი-უბრუნდა და დამარცხლი უბობრა (მისი სი-ტყუა მომყავს აბსოლუტური სიტუსტია): „დღემდის ალექსანდრეზე პასუხს მე ვაკებდი, უფოლ ნიჭიერია, გულმოღვინა და შრომის-მოყვარე. ამიტომაც ადვიტრევე ჩემთან. გარ-კვეული პირობაც ჩამოვართვი. იმას ჩემი მცნება დაურღვეია. მიზეზი თქვენ ხართ, ცოლეთ, ალექსანდრეს ბედი თქვენს ხელთა, დღეიდან ჩემთან ერთად სანახევროდ მინდა (თუ შეტად არა), თქვენ შირდალ ავბთ პა-სუხს ალექსანდრეს მომავალზე. დმერთმა პუნას, რამ იმედი არ გაპირუვდეს“. შემ-დებ მე შემომხედა წერეთლი, თუმცა არა-ფერი უთქვამს, სასმისი დასცალა. იმ საღამომ ფრიალ უკვემურად ჩიობრა ჩვენთვის შინ 20წუნაგაფუძებული დავბრუნდით.

ახლა შემდგომ მოკლენებს უნდა გავუსწრო და მოვიგონო 1962 წელს 12 აპრილი, იმ წელს მარტის 27-ს, დაბადების 60 წელი შემოსრულ-და. ბან კორნელი ავღა ბრძანდებოდა; მჯერ-რამ მოისურვა ამ თარიღს შინაურ წრეში აღ-ნიშვნა. 12 აპრილისათვის დანიშნა პურობა, ესმო თავისი მისანდო მოწოდებები და მოწა-ფათა მოწოდებები. შეხვედრა შედგა ერთი 12 „მნათობი“, № 5.

ჩვენი თანშრომელს სახლში ბან კორნელის საცხოვრებელი ბინის მახლობლად, კახის ქუჩაზე, ადგილი საგანგებოდ დავო შევრჩვე-ლი დართო სასტუმრო დარბაზი პირველ სო-ართულზე იმყოფებოდა (ბან კორნელს უქბრ-და კიბეებზე ასვლა). ბან-კორნელიმ ძლიერ მოიღვინა ღვინოსაც მივიძალა, თუმცა სას-ტრკად აკრძალული ჰქონდა. ბეერი იხუმრა, სიამოვნებით ისმუნდა ვასართობ ანეგლოტებს, გულიანად იცინოდა. მთავარი სადღევარძელი მე მომიძღვნა არსებითად ეს იყო დღი მო-ძღვრის ანდერძი. ასე შეჩვენება, რომ სწო-რად ამ ანდერძისათვის გამართა მან ეს თა-ვისებები „საიდუმლო სერობა“. ანდერძის შინაარსს ვუცდები სხვა დროს დავებუნდ-ე. აქ ვიგონებ ბან კორნელის სიტყვის მხოლოდ ერთ მხარეს. მხარეული და სახენათელი მი-უბრუნდა ბან კორნელი ნინოს, მთელი გუ-ლით აღდგარება. მოიგინა პირველი გა-ცნობა ალექსანდრე წერეთლის ბინაზე, დღ-სულთანად მოუხადა ბოლიში მაშინდელი მწყარბი დაბევედრისათვის. ვაღიარებ, ვა-ნაცხადა, რომ თქვენ გაამართლეთ ის პასუ-ხისმგებლობა, რაც ჩემთან ერთად იყისრეთ-ამის საბუთიის დღევარძელი შეკრება. ალექ-სანდრე ბარამიძის მეცნიერული და ადამი-ანური სხვის ჩემოყალიბებებში ჩვენ ორივეს თანაბარი წვლილი მივეცილვის. ალექსანდრემ გაამართლა ჩემი იმედები, დღეიდან მას ვაბა-რებ ჩვენი საქმის მეთაურობას, იმან უნდა უწინამძღვროს აქ შეკრებილ ჩემს მოწაფე-ებსა და მოწოდება მოწოდებებსო. გადაკვეზვა და მხურვალედ დავკვიცნა ორივენი. თვალე-ზე ცრემლი მოადგა. ყველანი ფეხზე წა-მოდგნენ. ბან კორნელის გულზე ვუმიხვებ-ჩემს ბედნიერებას სახლვარი ორ ჰქონდა, თუმ-ცა ამ ბედნიერებას მწარე სინანულის განზო-ბაც თან დასქევა. ჩემთვის აშკარა იყო, რომ მოძღვარობიძღვარი ეშვიდობებოდა თავის მრევლს. ასეც მოხდა... პურობამ ერთხანს კი-დეც გასტანა, ბან კორნელის დავიწყდა დალ-ლილობა და ექიმის შეგონება. სუფრიდან ღვინოსაცვლი ავღა. შინამდის მივაცილეთ. ეს იყო და ეს. საუბედუროდ, 12 აპრილის სიტყვა გედს სიმღერა აღმოჩნდა. იმ დღის შემდეგ ბან კორნელი სახლიდან აღარ გამო-სულა. ავადმყოფობამ უნდა, სავარძელსა და ღვინოს მივაქევა. პურობის დღიდან ზუსტად ორი თვის თავზე, 12 ივნისს, ბან კორნელი მიწას მივაბარეთ.

ახლა კი პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. ჩემი სამამრი ექიმი ივანე ელიაშვილი (1864-1932) ცნობილი იყო ანა მარტო რო-გორც ჩინებული მკურნალი, არამედ რო-გორც თვალსაჩინო საბავშვო მწერალი, ყერ-ნალისტი, უნაგარო საზოგადო მოღვაწე, აკავ-წერებლის უაბლოესი მიგობარე და მისი ნე-

ბის შესარულებელი კარგა ხანს იგი ოჯახით ცხოვრობდა ბაქოში, 1914 წლიდან გაძვლებულ და თბილისში თავის დროზე შეძლებულ კაცად ითვლებოდა (ბაქოში ჰქონდა ნათლობანი მიწის ნაკვეთი, რომელიც კარგ შემოსავალს აძლევდა), ეწეოდა ქველმოქმედებას, ვერსად, ბევრს ეხმარებოდა ნივთიერად აკავი წერეთელს. აკავი წერეთელი ელიაშვილების ხშირი სტუმარი იყო ბაქოშიც და თბილისშიც. ჩემ სიმამრს საკუთარი ორსართულიანი სახლი ჰქონდა თბილისში (მესანჯრეთა ქუჩა, №11). ჩემი სიდედრი თამარი დედიო იყო ერისთავის (ქსნის ერისთავის) ქალი, ხოლო მათი კაბენინა (ურაინელი პალკოვნიკ კაბენინის ასული). თამარი ძალიან აღზე დაძვლებულა დედითაც და მამითაც, აღზრდა მიუღია მოსკოვში, კეთილშობილ ქალიშვილთა ინსტიტუტში, იყო განათლებული, უცხო ენების მწვენიერი მცოდნე. ელიაშვილების ოჯახი თავის დროზე შეძლებულ და გავლენიან ოჯახად ითვლებოდა, სადაც თავს იყრდა თბილისის ინტელექტუალური თავიკობა. მე რომ ამ ოჯახის წევრი ვაგებდი, საკმაოდ ჩამოქვეითებული იყო ნივთიერად, თუმცა ძველი იერა შეინარჩუნებული ჰქონდა. ივანე ელიაშვილი განმრთობის სახალხო კომისარიატში მსახურობდა და სოციალური ჰიგიენის კათედრას განაგებდა თბილისის უნივერსიტეტში. ელიაშვილებს შერჩათ ორი შვილი — ნინო და არჩილი. ეს ის ბავშვებია, ცნობილი ფოტოსურათის მიხედვით აკავის რომ უხუცედან მესხლებზე. მათი სახელები ბევრჯერ იხსენიებოდა აკავის პირად წერილებში. ნინომ „ლიტერატურის მატრიანში“ წერილიც გამოაქვეყნა და სურათის გადღობის გარემოებათა შესახებ. არჩილი გერმანიაში (საფრანგეთში) სწავლობდა საინჟინრო ფაბრიკატზე. ბოლოს იგი დიდხანს წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. გარდაიცვალა 1971 წელს. ნინო განათლების მუშაკთა პრაქტიკაში მსახურობდა. იქ გავიცანი.

ივანე ელიაშვილი უმაღლესი სამეცნიერო და საბუნებისმეტყველო განათლება მიიღო ოდესისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. ახლოს იცნობდა და მეგობრობდა იესურ მოწინავე ქართველობას (ე. პეტრიაშვილს, ა. სუმბათაშვილს, ა. ხახანავილს...) და მათთან მიმოწერა ჰქონდა. საშუალო სასაწილებელი ქუთაისში დაამთავრა. სწავლობდა ნიკო მართან, რომელთანაც სიყვლილამდე მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ჩემს დროს ელიაშვილების ოჯახში ე. წ. „დათქმულ დღეებში“ ჩვეულებრივ იყრიდებიდნენ ხოლმე ლერასაბ ანდრონიკაშვილი, ვიორგი ლახტიშვილი, ქეთანდერ-ჯორჯიანი, ვლადიმერ-ბერიძე, (ვლადიმერ-ბერიძე) სპირიტუალური ორგანიზაციის მდიანი.

ვიცნობდი ნიკო ლორთქიფანიძეს, ექვთიმე კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ოსებ ბერიძეს, თინათინიძეს, ივანე მაჭავარიანს, გრიგოლ გვილესიანს და სხვ. თითქმის ყოველდღე მიდიოდა ჩემი სიმამრის სურხარის მეგობარი, ცნობილი ექიმი და პუბლიცისტი ვასილ წერეთელი (ივანეშვილის ვიორგი წერეთლის მამა). ელიაშვილების ოჯახში გავიცანი ოსებ გრამაშვილი და ვალაკტიონ ტაბიძე (ბ-ნი ივანე თანამშრომლობდა ვალაკტიონ ტაბიძის ტერინალში). ივანე ელიაშვილს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან, ივანე ჯავახიშვილთან, დავით კარიჭაშვილსა და ბევრ სხვა გამოჩენილ მეცნიერთან, მწერალთან, საზოგადო მოღვაწესთან. იგი იყო თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ზღისმომწერი საზოგადოების წევრი, აქტიური წევრი წერეთლის გამაგრებულ და საისტორიო-ფილოსოფიური საზოგადოებებისა.

ივანე სტეკელო, ელიაშვილების ოჯახი, როგორც ვთქვი, გამორჩეული ინტელექტუალი ოჯახი იყო, თავისი მტკიცე ზნეობრივი და ერაგუნულ-საზოგადოებრივი ტრადიციებით. ამ ოჯახში მე, მამის სრულიად უჩინარი და უძირი ყმაწვილი-კაცი, ვულოთ მიმიღო, მშობლები მზარუნელობა გამოაწვია, შემითვისა, შემიყვანა, უცხოობაში არ მიგარქონინა. ჩემს განკარგულებაში ვაღმყოფა მწვენიერი ბობლაოთეა (ამ ბობლაოთეაში ბევრი იყო სამახსოვრო ფოტოსურათი წარწერებით შექმნილი წიგნები აკავისა, სუმბათაშვილისა, მართისა, ხახანაშვილისა). ივანე ელიაშვილი ბეჭითად იდეებება თვლავურს ჩემს მუშაობას, ვულისურით ეცნობოდა ჩემს ყველა ნარკვევს, მამხნეებდა, მაგულნიებდა. ძალიან მომიწონა პირველი ნაშრომი, რომელიც ასობრატობის პირველი სახე წელს მოვაშხადე, მოხსენების სახით წავიკითხე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში (XI, 1926 წ.) და მალე ბეჭდურადაც გამოაქვეყნე (1927 წელს). მაგარა ჩემი ნამდვილი შთავონება, ჩემი ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრი, კეზიარტი მეგობარი და მართლაც მეუღლე ჰირსა და ლხინია იყო ნინო ელიაშვილი. მას ვუზიარებდი ყველა ჩემს განზრახვას, ყველა ჩანაფიქრს, ყოველი წამოწყების გეგმას. ნინო ელიაშვილი იყო ყველა ჩემი ნაშრომის პირველი მკითხველი, პირველი (და უაღრესად მკაცრი და პირუთენელი) კრიტიკოსი, გადაამწერა-გადამწესხავი, გადაამბეჭდავი (დახელოვნებული და ფრთხილ-ფალოფიური ბეჭდავი იყო მანქანაზე — ქართულად, რუსულად და უცხოურად), კორექტორი.

ნინო ჩვეულებრივ თან მახლდა ხოლმე არქივებსა და მუზეუმებში მუშაობისას, ზუსტად და შეუშუქდარად ვადაჰქონდა რვეულები — ვინაობა მათი მუშაობის სიხშირის თაობაზე.

დმოსაწერად მიინშნებული ტექსტები. ჩემსათვის ძლიერ უყვარდა მგზავრობა, არ გამოტოვებდა არც ერთ შემთხვევას და თან დასუყუბოდა მიუღიანებაში ყოფნისას საბჭოთა კავშირის სხედასხვა ქალაქში თუ საზღვარგარეთ — ტურისტული მგზავრობის დროს. ყველგან მიქმინდა მუშაობისა და დასვენების მუდრო გარემოს. ასევე ყურადღებიათ იყო ყველას მიმართ კოლაქტივში. ყველას ხიზღვდა თვისი ტეითი მზრუნველობით, გულკეთილობით, თავმდაბლობით. ყეთიდა თანამგზავრის ეტალონს უწოდებდნენ ზოდზე ჩვენიანებოც და გარეშენიც. ვაი, რომ მაშინ გამოშეცალა ჩემი ცხოვრების ეს კეთილი თანამგზავრი, როცა კიდევ უფრო მჭირდებოდა მისი მზრუნველი ხელი, როცა ხანდაზმულობის სენი მეწევა (წინო გარდაიცვალა ინფარქტისაგან 1967 წლის 27 აგვისტოს).

**ფირდოუსის იხაილე**

1932 წელს დაიწყო მზადება თეიმურაზ პირველის თხზულებათა გამოცემისათვის; ჩვენ მე და ვიორკე ჭაკობია შედარებით კარგად ვიცნობდით თეიმურაზის ცხოვრებისა და შემოქმედების. საკითხებს (ჩემი სადამლომო შრომა თეიმურაზს მიძღვნა, გ. ჭაკობიას გამოცემული ჰქონდა თეიმურაზის „იოსებ-ზილხიანიანი“). ჩვენს განკარგულებაში იყო თეიმურაზის მთელი ხელნაწერი შემკვიდრება (შე საქართველის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის მკველი ვეყავი). ისტეიმური და ინტენსიური შრომის შედეგად 1933 წლის სექტემბერში წიგნი (ტექსტი, გამოკლევი, შენიშვნები) შიად გქონდა და წარმოებას გადავიცით. იმავე წლის 5 ნოემბერს თეიმურაზ პირველის შემოქმედების შესახებ მოხსენება წავიკითხე ენისა და ლიტერატურის ახლად დაარსებულ სამეცნიერო-კლდევის ინსტიტუტში (ეს იყო ინსტიტუტის ლიტერატურის სექციამი წავითხელი პირველი მოხსენება). 1934 წლის მაისში თეიმურაზ პირველი სტამბიდან გამოვიდა მიკომულმა და ლიტერატურულმა საზოდალოებამ იგი კარგად მიიღო.

1933 წლის ბოლოს თუ 1934 წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ მთელი ავსტრული კაცობრიობა აპირებდა 1934 წელს აღნიშნა დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსის დაბადების მეთათსე წელი. ეს იყო დიდი პოეტის პირველი საერთაშორისო იუბილე. საბჭოთა კავშირი შეუდგა სათბოლო მოხალისის (1934 წლის ოქტომბერში თეიმურაზი დანიშნული იყო საერთაშორისო კონგრესს (რომელიც ფირდოუსის მიძღვნებოდა). საბჭოთა კავშირის ხალხებიდან ტაყეების შემ-

დეგ პირველი სიტყვა ქართველებს ეკუთვნოდა. ქართულად შემონახულა ფირდოუსის ვანთქმული პოემის „შანაშესა“ და მისი ციკლის თხზულებათა ძველი თარგმანები. უკვე 1916 წელს იუსტინე აბულაძემ გამოაქვეყნა „შანაშესა“ ქართული ვერსიების პირველი მონუმენტური ტომი. პარტიისა და მოავრობის დადგენილებით გადაწყდა საქართველოში ფართოდ აღნიშნულიყო ფირდოუსის იუბილე. შეიქმნა სათბილო სამუშაო კომისია უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ლევან აღნაშვილის ხელმძღვანელობით. შემუშავდა გეგმა. სექტემბრისათვის უნდა გამოცემულიყო შანაშესა ქართული ვერსიების მეთორე ტომი და მინოვარული ნარკვევა ფირდოუსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გეგმა თავლისწინება აგრეთვე საქართველოს მუზეუმში გამოფენის მოწყობას, ხოლო უნივერსიტეტში სამეცნიერო სესიის ჩატარებას. სათბილო დღეებს დაავტარკვიებდა საზეიმო სტომა.

საქმე სამუშაო იყო. სამკალი ბევრი ჩანდა მომკალი კი ცოტა. შანაშესა ქართული ვერსიების ტექსტის მომზადება დაევილა კოლეგიას (იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), მონოვარუფის დაწერა — ამ სტრქონების ავტორს, გამოფენის მოწყობა — პ. ინგოროყვას და მე.

საქმეს ბეჭითად შეეუღლეო. შანაშესა საკითხებში გაწაფული ვეყავი ჩემი პირველი ნაშრომი, რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა, შანაშესა ქართულ ვერსიებს მიუძღვნა. შენდეგავ განგარძობი კლდევირებისა. ამ დროისათვის მოპოებული მქონდა შანაშესა ქართული თარგმანის მანაშის უცნობი პროზაული ტექსტის მთბრდილი ფრანგმენტო, შანაშესა ვიკნობი სპარსულ დედანშიც. ყოველივე ამან ხელი შემოწყო შემორობა დამეჩქაბებინა. გამოსაკეში ტექსტის სახემო ნაწილი წარმოებას დროზე გადავიცი. ენისის ბოლოს გამოვიდა ჩემი ნარკვევი „ფირდოუსი და მისი შანაშესა“ (თბილისი, 1954, გვ. 55). მოსაგარებელი მრზებოდა გამოფენის საქმე, ამის გარდა ფერნალ-გაშეუფის რედაქციებოდაც დავეითიო მქონდა წარკლება.

ენისის მეორე ნახევარში ცოტა ხნით ქვიშხეთში წავიდი იქ მყავდა ცოლ-შვილი ორიოდ დღის ჩასული ვეყავი, რომ პოეტო ილქსანდრე აბაშელი მეწევა, მალკია ტოროშელი გაითხელობს, სასწრაფოდ თბილისში უნდა დაბრუნდეო (მალკია ტოროშელიც მაშინ იყო სახელმწიფო სავეგმო კომისიის თავმჯდომარე და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი). რალა ვაეწყობოდა ვეიმეზხავერე თბილისში და ბინაზე ვეყავი ბან მალკიას მან გარკლად მიამბო-მწერალთა პირველი სავეგმირო ყრილობის სამზადისის

ვითარება. ვამაცნო ი სტალინთან სატბოს შინაარსი და ქართული მწერლობის თაობაზე მომავალი მოხსენების ხასიათი, მთხოვა მოწინააღმდეგე მიზეზი ამ სამუშაოს უშედეგო სექციის და დამწერის XV-XVIII სუვერენის ქართული მწერლობის მიმოხილვა. მთავარი ფურცლებმა უნდა დამოუხიდა სულხან-საბა ორბელიანს, დავით გურამიშვილსა და ბესიკს. რასაკვირველია, დავალება ვიყოს და დათქმულ ვადაში ჩაემაზარე. ამის თაობაზე ავტორს აღარ გვაპარაკობ, რადგანაც მას საყმა რისა სისრულით ამუშავებს ბესი ელენტი — „ღიღი ერთაანობის ყრილობა“ (ლიტერატურული საქართველო, 30, VIII, 74; 6. IX, 74), იღონდ დღევრთავ, რომ 2 გორაკზელიძე გამოამოკბა ფირდოუსის იუბილეს სამხაილის ვითარება. ეს საყობი ბიზადად ი. სტალინს აინტერესებთ.

მწერალთა კავშირის ყრილობა დამთავრებული არ იყო, რომ გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (20 აგვისტოს თარიღით) შოთა რუსთაველის იუბილეს თაობაზე. დადგენილება ხაზს უსვამდა ვეფხისტყაოსნის უდიდესი ეროვნულა და საერთაშორისო მნიშვნელობას. დადგენილებაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს პოეტური შემოქმედების ამ ქვე კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზეც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურა“.

ამ დადგენილებამ ჩვენი იტელიგენციის, მთელი ჩვენი ხალხის არაწვეულებრივი აღტყინება და სულიერი აღმავლობა გამოიწვია ვეფხისტყაოსანი რომ ჩვენი სულიერი კულტურის ის ფსადატდებელი ვანია, რომელსაც მთელმა ქართველმა ერმა „შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიბარელი, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწინა თვისნი უკეთესნი ფერხა, ზრახვანი, ვრძობანი და რომილოც ქართველობას თავი მოაქვს და სამართლიანად ამავობს“ (ელა პიკვეაქე). ამისდა მიუხედავად სხვადასხვა მიზეზის გამო, ვეფხისტყაოსანი ერთგვარად ჩრდილში იყო მოქცეული. ახლა ერთბაშად მისი სამავალითა ღირსება აღიარა საბჭოთა კავშირის მწერალთა უმაღლესმა ფორმამ და დაავატიკვინა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. ჩვენს სიხარულსა და აღტყინებას საზღვარი არ ჰქონდა. მე ასე მივხედავ, რომ ფირდოუსის იუბილესაც მისცა ერთგვარი ბიძგი რუსთაველის ღირსებათა მის წმომწევს და ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების გამოტანას. მაგრამ, ასეა თუ ისე, დადგენილებამ ახალი შტად საბატო და საბასუხისმგებლო სიხარული ვიგვიჩინა. იმ ბრავი აღმსახურე ბარბაქაძე დადგენილ-

ბა ითვალისწინებდა, მთავარი მანიკ-ვეფხისტყაოსნის ავადმთერი ტექსტის მოწინააღმდეგე და გამოცემა იყო, რაც ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ეცისგებოდა.

ქვე მანიკ ფირდოუსის იუბილეს გვერდით კარზე მომდგარი. ეურნალ-გაზეთების რედაქციები გასაქანს არ გვაძლევდა. ძალიან გვიყვაროდა იური (ვიორგი) შარი, ჩინებული ირანისტი და ფირდოუსის შემოქმედების საუკეთესო მკვლელი. მაგრამ იგი მიმიყვარდა იყო და აბასთუმანში ცხოვრობდა. ამისთან იური შარი თუქვა ფართოდ განსწავლული მკვლევარი იყო სპარსული მწერლობისა, ქართული მწერლობის საყობებში ისე თავისუფლად ვერ ვტარებდა თავს. მანიკ, ავადმყოფობის მიუხედავად, იური შარმა ბევრი წერილი დამუშავდა ფირდოუსის შესახებ თბილისის რუსულ პრესაში. განმაცვიფრებელი იყო ამ ავადმყოფი კაცის შრომითი ენერჯია, შეუპოვრობა და თავგამოდება.

ფირდოუსის იუბილეს გამო საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვიდა სახელგანთქმული სპარსული პოეტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სად ნაფისი.

13 სექტემბერს საქართველოს მეზეუმის შენობაში საბჭოთა ვითარებაში ვახსენა ფირდოუსის იუბილესადმი მიძღვნილი გამოცემა. შეკრებულ საზოგადოებას მზურავლედ მივსალაშა სპარსული სტუმარი. 14 სექტემბერს ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო კლდეში (ყოფილ მეშტაილი) ვიამართა საიუბილესა-საზეიმო სხდომა. სხდომა ვრცელი შესავალი სიტყვით ვახსენა ამირკავკასიისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფილიპე შახარაძემ. სიტყვები წარმოთქვეს სად ნაფისი, კ. კვეციანიძემ, ზ. ნუტუბიძემ და ა. შინიძემ. ირანის საკონსულო მოაწყო მიღება. 16 სექტემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საუკილური სამეცნიერო სესია, სადა ნაფისის შეხვედრება ჰქონდა მწერალთა კავშირში და სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფილიპე შახარაძემ აგვისტოს ბოლოს ვაიყო, რომ მას ევალებოდა ფირდოუსის საიუბილესო სხდომის ვახსენა და შესავალი სიტყვის წარმოთქმა. თავისთან მიმიბოძო მთავრობის სასახლეში საკონსულტაციოდ. გამომიცხდა, რომ დავალება მიულოდნედალ დაატდა თავს და მთხოვა დავემზარებოდი სპირო ლიტერატურით, მივართვი ჩემი ბრავუტრა და ზოგი სხვა წყაროც (აბულაძის, ვეკელიის, შარის, კრამისის შრომები). ვევიძინე, ამ მასალებს საუფრედზე საკმაოდ კვალეფიციური სიტყვა მოამზადა (ამ სიტყვის ტექსტი აღბათ მის აქტივში იქნება დაცული, ტექსტი მე ბრავდალ წინასწარ ვამაცნო).

ფირდოუსის იუბილეს მაგალ დღევრე ჩი-

ტარდა. გვიან შემოდგომაზე ჩვენი გამოცე-  
ნა დათვალიერა საბჭოთა კავშირის განათლუ-  
ბის სახალხო კომისარმა ბუნოვიმა და მა-  
თხოვდა მისი მოსკოვში გადატანა. მე და  
პ. ინგოროვიცა სასწრაფოდ მოგვეხდა გამო-  
ცენის კატალოგის შედგენა ქართულსა და რუ-  
სულ ენებზე. 1935 წლის დასაწყისში გამო-  
ცენა ექსპონირებული იქნა მოსკოვში, აღმო-  
სავლეთის ზელოვნების მუზეუმში, კატალო-  
გი კი ბუქდერად გამოქვეყნდა.

ფირდოუსის იუბილეადაი მიძღვნილ კონ-  
გრესზე თეირანში გამგზავრა საბჭოთა კავ-  
შირის დელეგაცია. დელეგაციაში შევიდა  
ოური მარიც. მას მოხსენება უნდა წაეკითხა  
შანაშეს პოეტური მეტრის მეთაფარიბის შე-  
სახებ. იური დავებრდა, რომ კონგრესზე  
გამოაქვეყნებდა მასალას შანაშეს ქართულ  
ვერსიებზე, ამისათვის მოიხილა პატარა, მა-  
ვრამ ტყავლი, შემეფაზებელი ხასიათის ნარ-  
კევის მომზადება ფრანგულ ენაზე. ფირ-  
დოუსის შანაშეს ქართულ შერეობაში.  
ტიქტი დაიბეჭდა თბილისში ქართულად  
("მწილობი", 1934, № 9) და ფრანგულად  
(საქართველოს მუზეუმის მოაშუ (II-B  
1936). სამწუხაროდ ა. მარმა ვერ შეძლო ჩე-  
ვი ნარკევის გამოქვეყნება.

ფირდოუსის იუბილესთან დაკავშირებთ უნ-  
და მოვიგონო ერთი პატარა ვაუკვებობა.  
უნივერსიტეტის ზელმღვანელობამ სიტყვა  
მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალ-  
ურ კომიტეტს, რომ დათქმულ ვადაზე გა-  
მოსცემდა შანაშეს ქართულ ვერსიების დიდ-  
ტანიან წიგნს. ამ წიგნს უნდა დაემშვენებინ-  
ა ფირდოუსის გამოცენა, რომელიც 13 სექ-  
ტემბრის იხსნებოდა. წიგნზე მომუშავე კო-  
ლექტივმა და სტამბამ სიტყვა შესარლეს,  
საუბროთ უღამი ჩასმული ქართული შანა-  
შეს პირველი ვაგემმლარები უკვე მზად იყო.  
ლევან აღინაშვილმა გადმოცეა დაბეჭდილი  
წიგნის ორი ცალი და მოხოვა მამეტნიან  
ცენტრალურ კომიტეტში პატარა აღინაშვილ-  
თან მეტრე აღინაშვილ. ლევანის მძა იყო  
ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი).  
მუგზურად გამატანა განათლების სახალხო კო-  
მისარიატის პასუხისმგებელი მუშაიკი შ. სიმე,  
აქტივანდრეს წაყვევი, საშეებზე რამივე დაბრ-  
კეობა არ შეხედული. ცენტრალური კომი-  
ტეტის შენობის შესავალ კარებს რომ მი-  
ვადვით (რუსთაველის პარასპექტზე, ალა-  
რომ ელტერის სომინისტრთა), ჩემმა მზღე-  
ბელმა მითხრა, თქვენი შეწუხება არ ღირს,  
საშეების მიღება რთულია, წიგნებს სამდი-  
ნოს ჩივაბარებ დანიშნულებისამებრ გადასაცე-  
ნად. მე გულუბრყვილობა გამოვიჩინე და  
შემოთაყუებულ წინადადების დეფთანმზე-  
მეორე დღეს რეპტორმა დიდი სიყვედური  
მიხარა წიგნების ვაგზაუნას ზვეწე როგორ

მე მოვახერხებდით, მე მინდოდა რომ თქვენ,  
უნივერსიტეტის ახალგაზრდა დეკანტი და  
წიგნზე მომუშავე პირი, პირადად ჩვეუბო-  
დით ცენტრალური კომიტეტის ზელმღვანე-  
ლობას და უნივერსიტეტის სახელით მოგეხ-  
სენებინათ ("გვაპატავთ") პირაბის შესრულე-  
ბაო თქვენ შეცდომაში შეგივანათ შ. სიმე,  
რისთვისაც ის კარგად დაეტუქსითო.

ლევან აღინაშვილი მაინც კმაყოფილი იყო  
ჩემი მუშაობით და ორთვიანი სამეცნიერო  
მივლინებით დამაქილდა (მაშინ სამეცნი-  
ერო მივლინება იშვიათი ხალი იყო, მივლი-  
ნების ნივთიერი მხარე კი სახარბიელთ). ნო-  
ემბერ-დეკემბერში ლენინგრადსა და მოსკო-  
ში ვაგატრე, დრო კარგად გამოვიყენე და  
ბევრი საანტერესო მასალა მოვიპოვე.

ნოემბრის შუა რიცხვებში თეირანიდან ახ-  
ლად დაბრუნებულმა იოსებ ორბელმა ფირ-  
დოუსის სათბილო დელესაწავლის შესა-  
ხებ მოხსენება წაიკითხა ლენინგრადის მეცნი-  
ერთა სახლში, ხალტრანის ქუჩაზე. მოხსე-  
ნებას შეც დავესწარი, დამწერ საზოგადოე-  
ბას მკულედ ვაგაცანი, თუ როგორ ჩატარდა  
ფირდოუსის დღეები საქართველოში და მო-  
მხსენებელს მივართვი ჩვენი შანაშეს და ჩემი  
პატარა წიგნი. მომხსენებელიც და აუდი-  
ტორიაც თბილად შეგება ჩემს გამოსვლას.  
მადლობის ნიშნად იოსებ ორბელმა მეორე  
დღისათვის ერთიკუში მიმიწვია (ორბელი იყო  
სახელმწიფო ერთბაეის დირექტორი). დანიშ-  
ნულ დროს ვაბედი. მალდნენ მებლდე და  
პროფესორი ვარლმ დონდუა. ორბელმა  
ხალსაანად მიველო თავის კაბინეტში, ბე-  
რი გვემუსიფა, ჩიით ვაგაამასპინლდა და  
გემოგვთავაზა დავეთვლიერებინა ერთბაეის  
„სარდაფებში“. ბევრი რამ საოცრება ვნაბეო  
ქ (ვღლად მათენილი ვაგადა პროფესორი  
ტრევერი), მათ შორის რომანოვების უმდი-  
რესი სამეფო განძი, კერძოდ, გვიჩვენეს გრი-  
ბოელოვის სისტლის სადასურად შანისავან  
მღებელი საბარკო სიდიდის მარგალიტი.  
კიდვე ბევრი, ბევრი უნიკალური მხატვრული  
ნივთი ვიხილეთ და ძლიერ კმაყოფილებმა დაე-  
ტოეთ ერთბაეის ზღაპრული „სარდაფები“.   
ვარლმ დონდუა ხუმრობდა, შეკონი ქართველ-  
თავის ეს „სარდაფები“ დღემდის არავის უნა-  
ხავსო.

იოსებ ორბელს ამის შემდეგ მოვიანებთ  
შეგვხვდი ერევანში, სომხეთის მეცნიერება-  
თა აკადემიის სამეცნიერო სეხიაზე. სესიამ სა-  
ორგანიზაციო საყთაბებიც განიხილა და აკა-  
დემიის ნამდვილ წევრად აირჩია მწერალი  
დერნიე დემირჭიანი (აკადემიის წევრი უკვე  
იყო პოეტი აგატიქ ასაყიანი). ჩვეულებო-  
სამებრ გაიმართა ბანკეტი. ვანრავის მიხედ-  
ვით მეც მომცეს სიტყვა, ვისარგებლე შემ-  
დებევით და დერნიეც დემირჭიანის არჩევად და-

ვეყავირე დიდი სომხური მწერლობის აწინდელ წარმატებებს. ცოტა რაზე ვთქვი სომხური მწერლობის დად ტრადიციებზე, პირველად, რასაკვირველია, ღირსებისამებრ მოგახსენიე გრიგორ ნარეკელი. სიტყვა დავასარულე სომხეთის მეცნიერებთა აკადემიის აკადემიოს მწერლებს სადღეგრძელოთა, ასა დავცალე. სკაშზე დავეშვი, სხული დავასკენე და რაღაც შენაგანი შეება ვიგრძენი, რომ ჩემი მოვალეობა შეეასრულე. გვერდით მისხდნენ რაფიელ აგლაძე და ილია აბულაძე, უესტით შინაშენს რომ გამოსვლა მიმეწონეს და გაჰამხნევეს. ერთგვარ ბერანში ვიყავი, რომ ვილაკამ მძღვარი მკლავები მომხვია, მიმიზიდა და ფურისძირში შეამბორა, დიდი წვერულავის შარი-შერიც ვიგრძენი. უკან რომ მივბრუნდი, შევიკანი, იოსებ ორბელი იყო მომესალმა, მომილატრა. თქვენმა სიტყვამ გამიხარაო, მითხრა. ვინ, თუ არა, ქართველი ჯაცი და ძველი მწერლობის მკვლევარი მოიგონებდიო ამ სუფრაზე ჩემს სათაჯვანებელ მოეტს გრიგორ ნარეკელსო. ნარეკელი ხომ სომხებისათვის იგივეა, რაც ქართველებსათვის რუსთაველიო. მადლობა მითხრა, კიდევ გადაშეხვია და წაიხდა. რაფიელ აგლაძე და ილია აბულაძე გაკვირვებული უხუხუხებდნენ გათამაშებულ სცენას. იოსებ ორბელი მეტი აღარ მიინახე.

1934 წელმა და, კერძოდ, ფირდოუსის იუბილემ დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. სხვაგან დაწვრილებით ვამბობ, მაგრამ გაკვირვებულად უნდა აღენიშნო, რომ 1933-1934 სასწავლო წელს ისე აღდგა თბილისის უნივერსიტეტი. ეს დიდმნიშვნელოვანი

მოვლენა იყო ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში და დიდი გამოძახილიც ჰქონდა ჩვენს მოაზროვნე საზოგადოებაში. უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა განათლებული და განსწავლული მეცნიერი, თუმცა სპეციალობით აგრონომი, მაგრამ ფართო ტროენულ-საზოგადოებრივი ინტერესებს პატრონი, ენერგიული, შრომისმოყვარე და პემაწერი კაცი — ლევან აღნაშვილი (ცნობილი კულტურტრეგერისა და საზოგადო მოღვაწის ლადო აღნაშვილის შვილი). აღნაშვილის თაოსნობით უნივერსიტეტთან შეიქმნა სამეცნიერო-კულტურითი საქმიანობის ცენტრი, რომელსაც ქერ ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი ეწოდებოდა, ხილო შემდეგ მისი საქმიანობა გაფართოვდა და ფაქტობრივად მოიცვა ქართული პემაწიარული მეცნიერების ყველა დარგი და შეტრქვა „ელხი“ (ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტი). „ელხს“ ჰქონდა თავისი საერთაო ორგანო „ლიტერატურული მეგვიდრეობა“, რომლის მხოლოდ პირველი ტომი დაიბეჭდა 1935 წელს. იქ გამოქვეყნდა ჩემი ორი წერილი („ფარდოუსი“ და „შინაშენს ახლად აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია“). „ლიტერატურული მეგვიდრეობის ფაქტობრივი რედაქტორი იყო გიორგი ლეონაძე.

1934 წელი მიიწურა. დამთავრდა ფირდოუსის ებოპეა. უკვე დაიწყო ცხარე დისკუსია ვეფხისტყაოსნის ახალი (ტოქნიანისეული) გამოცემის გარშემო. წინ დიდი ამბები გველოდა...



## მოგონება ვალერიან გაფრინდაშვილზე

ვალერიან გაფრინდაშვილი სამწერლო ასპი-  
ბარეზე რევოლუციის წინა წლებში გამოვიდა  
და ოციანი წლების დასაწყისისათვის მას უკვე  
თვალსაზრისად აღვიდა ეჭირა ჩვენი დროს ქარ-  
თული პოეტური სიტყვის ოსტატთა შორის.  
ვალერიანი 1922 თუ 1923 წელს გამაცნო ჩემ-  
მა მეუღლემ გრიგოლ ტორაძემ. ისინი ბევ-  
რების შეგობრები და თანაკლასელები იყე-  
ნენ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ცხოვრო-  
ბდნენ ყოფილ ბალახეანის (ამჟამად წერეთლის)  
ქუჩაზე, ერთმანეთს პირდაპირ, მოგვიანებით  
ეალურიანმა უძღვნა თავის მეგობარს შესანი-  
შნავი ლირიკული ლექსი „ჩიონი“ („ხარ ზა-  
ლავანი და ბედაური...“). შემდგომში ჩვენ უფ-  
როს დაეუახლოვდით ერთმანეთს — ვალერიანი  
ჩვენი ოჯახის სიძე გახდა, 1925 წელს მან ცო-  
ლად შეირთო ჩემი უფროსი და — ირა ირა-  
კლის ასული ჭავჭავაძე.

სკოლაში ვალერიანი აშკარად გამოხატული  
ქემანიტარული ინტერესებით გამოირჩეოდა,  
პირველი მოწაფე იყო და ძალზე ბევრს კით-  
ხულობდა. ერთხელ თურმე ვააოცა თავისი  
ოხშელებით რუსული ენის ახალი მასწავლე-  
ბელი, რომელიც არ იცვრებდა „რომ ამის და-  
მწერი არ იყო ერთგვებით რუსი. შემდგომ  
მეგობრების გზები დაშორდა (1909 წ. ვალე-  
რიანი სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვის გა-  
ემგზავრა სადაც თორიდიულ დაჯერტეტზე შევი-  
და); ერთმანეთს ხედებოდნენ ზოლზე საზაფხუ-  
ლო შეხვედრების დროს ქუთაისში. ერთ-ერთი  
ასეთი შეხვედრის შესახებ იკონებდა ჩემი მეუღ-  
ლე: „1915 წლის შემოდგომაზე, თურქეთის ფრთ-  
ნტიდან დაბრუნებულ, ქუჩაში შევხვდი ვა-  
ლერიანს აღუდებული და აფორიაქებული ჩა-  
ნდა. მიიხრა: ბალმორტაა ქუთაისში ჩამოსუ-  
ლი, დღეს მას შეხვედრას ვემართავთ და იქ  
მივიჩქარაოო.“

როგორც ცნობილია, ვალერიანმა უძღვნა  
ბალმორტს რუსულ ენაზე დაწერილი სონეტა,  
რომელსაც, თანამედროვეთა მოგონებით, აღტა-  
ციებაში მოუყვანია რუსი პოეტი. ბალმორტს  
განუცხადებია: „ბრიუსოვისა და ივანოვის ჩე-  
მდამი მოძღვნი ლექსებში იგარჩნობა ფართო  
შერი და გულგრილობა. გაფრინდაშვილის ლე-  
ქსში კი მე მთელი ჩემი მეობითა ვარ მოცემუ-  
ლიო. თუმცა ერთი გამოთქმა „ЯВЯЖУСЬ ОГ-  
НЕВЕТНОЙ“ არ მოსწონებია.“

ვალერიანის გაცნობის შემდეგ კიდევ რა-  
მდენწერზე შევხვდი მას: საზოგადოებაში, ქე-  
ჩაში — უპირატესად თავის განუერულ მეგო-  
ბრებთან — ტიციან ტაბიძესა და პოლოთ იაშ-  
ვილთან ერთად, — თეატრში, კერძოდ, „ცხვრის  
წყაროს“ წარმოდგენებზე. ვალერიანი აღტა-  
თიანებულეო იყო თამარ ჭავჭავაძის (ჩემი უმა-  
ცროსი დის) ლაერესისათი და ჩვეული გქს-  
პანსიურობით მოხოვდა გადამეცა თამარისა-  
თვის მისი აღტაცება. თამარის არტისტული ნი-  
ჭის ღრმა პატივისმცემელი იგი ბოლომდე და-  
ჩა, რისი მინევენებელიცაა ლექსი „ბალადა  
შლეიფისა და მარათს შესახებ“ („თამარ ჭავ-  
ჭავაძეს — ლედი მილტორდს“); აქვე მინდა აღ-  
ენიწნი, საზოგადოდ, ვალერიანის დიდი სიყ-  
ვარული თეატრისადამი, რაც მან დაამტკიცა  
სხვათა შორის, „ყაჩაღების“, „ურთელ აკოს-  
ტას“, „ჩენისას“ და „რუი ბლანას“ ბრწევი-  
ნეველ თარგმანებით. „ურთელ აკოსტას“ პრე-

1 ჩემს ოჯახურ არქივში დაცულია ცნო-  
ბილი ფოტო, რომელზედაც გამოსახულინი არი-  
ან ქუთაისში, ბავკატის ტაძრის ვალავანში შე-  
კრებდინი: ბალმორტა მეუღლითერთ, გ. ტა-  
ბიძე, პ. იაშვილი, ი. ევალაძე, ვ. გაფრინდა-  
შვილი, „სულყოლს“ მელოდისის ავტორი ბ. წე-  
რეთელი, ი. ზარდაღიშვილი და სხვები.

მიერის საღამოს მის ერთ-ერთი ძალზე მოკრძალებულ და მორცხვ გმირად ვალერიან გაფრინდაშვილი მოგვევლინა. კოტე მარჯანიშვილმა ძალისხალი მოაყვანინა იგი თურმე კულისებში, მაგრამ ვერადრთ ვერ გამოიყვანა სცენაზე.

ვალერიანთან ჩვენი ოჯახის დანაოესაგებმა უშუალო მოთავე გახდა ტიციან ტაბიძის მეუღლე ნინო მაყაშვილი, რომელიც ჩემი დის — არას მეგობარი იყო და ჩვენი შორეული ნათესავი იყო (დედაჩემი მაყაშვილის ქალი გახლდათ). მან გააცნო იგი პოეტს მომავალმა ცოლ-ქმარმა ძალიან მალე გაუგავს ერთმანეთს. ჩემი და ირა მეტად ფაქიზი ბუნების, პოეტური განწყობის ადამიანი იყო და, ცხადია, მის არ შეეძლო ღიბხეულად არ დაეყვასებინა შალანდოვიერი, ბრწყინვალედ განათლებული და ამასთან ერთად, საოცრად გულმართალი, სპეტაკი, თაოქმის მიამიტი ადამიანი, როგორც უდავოდ იყო ვალერიან გაფრინდაშვილი. რაც შეეხება პოეტს, იგი თავდაიწყებამდე იყო შეუვარაზებული და თავის გულს სატრფოს — ჩემს მადონას\* უწოდებდა. მალე მოხდა მათი ქორწინება, რომელზედაც ხელისშემოქმედ ნინო ტაბიძე იყო (ვალერიანი, თავის მხრივ, ტაბიძეების ქალიშვილის ნიტას ნათლია გახლდათ). უაღრესად თბილი და მეგობრული ურთიერთობა ნინო ტაბიძისთან ვაგრძელდა ტიციანისა და ვალერიანის გარდაცვალების შემდეგაც. ომის მძიმე წლებში უდროოდ დაქვრივებული მეგობარი ქალები, ძალიან ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და საათობით საუბრით ილაღვდნენ გულის ვარაშს. ირა ნინოზე რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა. მახსოვს, მისი პანაშვილის დღეს, 1959 წლის 10 მარტს, ნინო მოვიდა ჩემთან და მიითხრა ყურში: ქვემოთ, ქუჩაში მიცემს ბორის პასტერნაკი, ხალხში გამოჩენა არ უნდა ვსაგვები მიზეზის გამო, და გულითად თანაგრძობობას უთვლის ვალერიანის ოჯახს. ვალერიანი ძალიან დაუახლოვდა პასტერნაკს 30-იან წლებში, როდესაც პასტერნაკი თბილისში ჩამოდიოდა და შემოიბოძა ქართველი პოეტების თარგმანებზე. პასტერნაკის ვალაშს, ვალერიანის სხვა ლექსების თარგმანთან ერთად, ეკეთვნის მისი ორი პოეტური შედევრის („ქეთავისი ქარიშა“ და „ზღვა“), უბრწყინვალესი, ვირტუოზული თარგმანები. ვუჭიკობ, სამართლიანია კრიტიკოსის სიტყვები, რომ „გაფრინდაშვილი უფრო მიიზიდა პასტერნაკი, ვიდრე თვით მისთვის დიდად საყვარელი ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა, მის ახასიათებდა. აფიქტებზე, რომლებიც ახლო ერთგის-

ვებოდა რუს პოეტს“! ვალერიანს აჩვენებდაც ულია პასტერნაკის მიერ შექმნილი წიგნები, ერთ-ერთ მათგანს აქვს წარწერა: «Валериану Ивановичу Гаприндашвили с нежностью и большим желанием узнать его поближе. Б. Пастернак, Кодажори 16/VIII-31 г.»

შევედრები მოკლედ მოვეყარო თავი ჩემს მოგონებებს ვალერიანის, როგორც პიროვნების შესახებ. მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, როდესაც იგი ახლოს გავიყვანე.

როგორც ვთქვი, იგი იყო უაღრესად სპეტაკი ბუნების, გულითადი, ზოგ შემთხვევაში კი ბავშვურიად გულუბრყვილო ადამიანი, უაღრესად, მე ვიტყოდი, ხატვასებლად ზრდილობანი და თვანხანი, თუმცა თავისიანების წრეში ხშირად მის ლამაზს დაქრავდა ხოლმე მსუბუქი ირონიული ტონი. ემოციურად არაუფრო და არათანაბარი იყო. სიღიქით გამოიჩინოდა უცხო კაცს შეიძლება ცოტა უტყუარად მოსჩვენებოდა. ეს საოცრად არაბატრეული და მიამიტი ადამიანი თავისებურად ამყი და ძალზე თავმოყვარე იყო. სწრაფად აენთებოდა, მაგრამ მალე ცხრებოდა და რტვენიოდა თავისი წუთიერი აფექტების. მღელვარების მომენტში ცოტა აენას უეკლებდა\*. მიერ კობახიძეს ერთი იუმორისტული ხეპარა ნოველიც კი ჰქონდა დამუშავებული იმის შესახებ, თუ როგორ შეეხდნენ შეჭვიფიანებული მწერარი — ვალერიან გაფრინდაშვილი, სტრუო კლდიაშვილი და ირაკლი აბაშიძე ქუჩაში ერთ ენაბულ მილიციონარს და რა მოკვია ამას.

ძალიან გულუბრი და ხელგამწილი კაცი იყო უყვარდა წიგნების ჩექება, მაგრამ არასოდეს არ აყუბობდა ზედ წარწერებს, ამბობდა: „როგორ შეიძლება წიგნს დასჯრა ჩვენი ნაქლბინითო“. ვალერიანი შეეყვარებული იყო წიგნებში, განუწყვეტლივ უიღულობდა მათ. საათობით ჩერდებოდა ბუკინისტურ მაღაზიებში, ჩემი დაკვირვებით, განსაკუთრებით აფისებდა რუსულ და ფრანგულ კლასიკურ ლიტერატურას; ზემოინი, ლერმოლოვი, ბლოკი, ბრატსოვი, ბაქმიტი, ბოლდერი, მაღარამე, ვერლენი, რემბო, ვერპანინი, აგრეთვე, ამერიკელი ელვარი პო — იო, პოეტები, რომელიც შესახებ ხშირად ლამაზაკობდა; ცხადია, რომ შესანიშნავად იუნდობდა ქართულ პოეზიას, მის შემოქმედებაში განსაკუთრებით ხშირად ეხედებოდიოთ მოთხსა და ბარათაშვილის სახელებს. შოთას მან რამდენიმე ლექსი უძღვნა, თავისი წვლილი შეიტანა რუსთველოვანშიც პუბლიცისტური ხასი-

1 ციტირებულია თ. ჩხეველის წერილის — „გაფრინდაშვილის ლექსების“ მიხედვით (თ. ჩხეველი „წერილები“, თბილისი, 1972 წ. გვ. 39), რომელიც მიმართავს გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ საუკეთესო ენაზე.

ათის წერილებით. 1937 წელს რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე წაიკითხა მოხსენება „რუსთაველი და თანამედროვეობა“, რომელშიც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე; როგორც ჩემი და — იეს ივანიძე და, ამ მოხსენების მსაღმდეგო პროცესში ძალიან ნერვიულობდა: „მდგნად კარგად არ ვიცი რუსთაველი, რომ მოხსენება წაიკითხოთ“.

რაც შეეხება ბარათაშვილის პოეზიას, აქ მისი დეპოზიტი გადაფასება შეუძლებელია. ვალერიანს გაფრინდაშვილი იყო ბარათაშვილის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე. ჯერ კიდევ 1923 წელს გამოვიდა წიგნი მისი თარგმანებისა, რომელთა შორის ლექსების — „შემოდგომის მთაწმინდაზე“ და „საუბრე“ — თარგმანი დღესაც სანამუშაოდ შეიძლება ჩაითვალოს. თავისი ორთვიანის ღრძობა აგრეთვე ვალერიანის „მე და დამის“ ბრწყინვალე თარგმანი. საზოგადოდ ვალერიანის ყველა თარგმანს (მათ შორის საკუთარი ლექსებისა — ტრილტან მაჩაბლის ფსევდონიმით) ატყვი მისთვის დამახასიათებელი მაღალი ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების დანი.

ბევრს და ხარბად კითხულობდა, მისთვის ერთხელ ჩემმა დამ მოხბრა-დილამდე თვალი არ მოხუტუვებს, მთელი ღამე ფოთიტვიანების „წარმატებას“ კითხულობდაო (სხვა შემთხვევაში იგივე უთქვამს ა. ვინოგრადოვის „დროის სამი ფერისა“ და ე. ტარლეს „ნაპოლეონის“ შესახებ). მშვენიერად იცნობდა ისტორიას. ვატყობელი იყო, კერძოდ, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის ისტორიით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ რომესპიერისა და დანტონისადმი მიძღვნილი მისი ბრწყინვალე სონეტები საკვირველი „პორტრეტული სისუსტიბა“, სეულტურული მკაფიობითა და ლაკონიზმით გამოირჩევიან. საკუთარი შემოქმედების შესახებ ძალიან სტყუაქუნში იყო, მაგრამ რამდენჯერმე გამოვიტანა მისგან ნათქვამი: „დაისების“ შესახებ: მე თუ ოდესმე დამაფასებენ ამ წიგნითო“.

ზოგჯერ, იშვიათად, უფრო ჩვენი ნაცნობობის აღზინდელ წლებში, კითხულობდა საკუთარ ღმწაებს ქართულ და რუსულ ენებზე, ოდნავ ზეპირული მათეტიკური ტონით. მასთვის, მაგალითად, ლექსები „დამის ღოთლები“, „ემილ ვერპარის“ (რუსულ ენაზე), რომელიც განსაკუთრებით უყვარდა.

მუსიკალური სმენით არ იყო დაჭილდობული, მაგრამ დიდად აფასებდა მუსიკის მაკიურ ძალას. მის ლექსებში სწორად ვხედდებით ბეთჰოვენის სახელს, რომელსაც, ჩანს, ყველაზე მაღლა აფენებდა კომპოზიტორებს შორის, მაგონდება მისი ლექსი „ბეთჰოვენის ქანდაკება კონსერვატორიის მარცხენა კედელზე“, რომელიც სერიოზული, თემყალა სავსებით გასაგები და აბატიო „ოპტიკური ცთომილები“ შედგეს

წარმოადგენს. (ნამდვილად ზომ ეს არის ქანდაკება არა ბეთჰოვენისა, არამედ ანტონ ბრუნიშტეინისა, რომელიც მართლაცდ „საქტრად“ ჰევის გენიალურ კომპოზიტორს).

მაგონდება ერთი შემთხვევა: 1924 წლის დეკემბერში რუსთაველი პროსპექტზე მე და ჩემს ქმარს შეგვხვდა ვალერიანი, ხელში ეჭრა პატარა შეჯვრა ახლადდასტამბული „მეოცნებე ნამორების“ მე-11 ნომრისა (როგორც ცნობილია, იგი იყო ამ საოცრად ორთვიანლური გერმანლის დამაარსებელი და უცვლელი რედაქტორი). (ნალღიანად გვიტყობა: — ეს „ნამორების“ პოლო ნომერია და ამით უფრნალი თავის არსებობბას წყვეტსო, — ერთი ვტყვმბლარი ვისაჩუქრებო).

შემიძლია ვიქვა, რომ „მომე“ ვიყავი ვალერიანის ერთი ლექსის დაბადებისა. ზაფხულში, საღამო ეპას, მანქანა, ვერც ეტლი რომ ვედა ვიშოვეთ, ფეხით შევერდებოთ წყნეთის გზას — პავშებთან მივეჩქარებოდა. გზა გვებბა, შემოგვამბიდა, ცოტა არ იყოს, შევმინდით. ამ შემთხვევამ შთააგონა პეტრს მისი მშვენიერი ლექსი „წყნეთის გზაზე“. ხუბრობით ვეუბნებოდი, ეს ლექსი ჩემთვის უნდა გემდგნ-მეოქი.

ჩვენი ნაცნობობის წლებში ვალერიანის უახლოესი მეგობრები უდავოდ იყვნენ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, რომლებიც მხურვალედ, მძვრე სიუვარტლით უყვარდა (ღუ არ ვეუდბო, მისი ყველაზე ჰყელი მეგობარი მყერალი ალი არსენიშვილი იყო, რომელიც განსაკუთრებით დაუახლოვდა მოსკოვში სტუდენტობის წლებში). კეშმარტად, ეს იყო „განუყრული საშეულა“. ტიციანის თქახთან ურთიერთობის შესახებ ზემოთ მქონდა საუბარი (მწერ-მომწერისადა ერთმანეთს ასე მიმართავდნენ: „მამო, ტიციან“, „მამო, ვალერიან“). ძალიან მძიმედ განიცადა ვალერიანმა პაოლოს ტრავიკული დაღუბვა. მასთვის ასეთი შემთხვევა, დაკავშირებული იმ საბედისწერო დღეებთან, საღამოს ჩვეულებად მოედი. ვალერიანი მისთვის სრულად უჩვეული საქმით იყო დაყვებულა. რაღაცეს, მტონი, თავის პალსტუხს აუთოებდა. ვერც შეამჩნია ჩემი შესულა. მე და ჩემი და ჩუმად ვსაუბრობდით, უცეა, ვალერიანმა უთო ხელიდან გაავლო, ჩაიყვდა და აქვიონდა.

ვალერიანის ახლო მეგობრები იყვნენ აგრეთვე ნიკოლო მჭინჭილი, ზარიტონ ვარდო-

1 „მეოცნებე ნამორების“ დაბეჭდილი ძირითადად ვალერიანის ბრიად სინტერესო კრიტიკული წერილები. ბარათაშვილზე, გუარამიშვილზე, მალაჩიშვილზე, ესენიშვილზე, ბრიუსოლზე და ს. ვფაქრობ, მომწიფდა საკითხი ე. გაფრინდაშვილის ოხსურებათა სრული კრებულის გამოცემისა, რომელშიც შევიდოდა ეს ამაჰად ძნელად მისაწვდომი მასალა.

შვილი, შალვა აფხაიძე, სანდრო შანშიაშვილი, რაფაელ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი, და განსაკუთრებით კი — კოლაუ ნადირაძე, რომელიც ძალიან უყვარდა და რომელსაც შემდგომ უფროდ გარდაცვლილი მეგობარი წარუფლო ღრიბელი ლექსით დატარა.

მინდა მოვიგონო აგრეთვე ვალერიანის კიდევ ერთი უმცროსი მეგობარი — ნიჭიერი რუნი პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერი თარგმანის ავტორი პანტელეიმონ ანუ, როგორც მას მახლობლად ეძახოდნენ — ტოსია პეტრენკო, რომელსაც იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა 30-იანი წლების დასაწყისში. თითქმის ყოველ საღამოს ვალერიანის ოჯახის სტუმარი იყო პეტრენკო ფერმწერლის ხალსის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ამის მჩაგვნიებელია მისი ორივე შემორჩენილი შემთხვევითი ნამუშევარი და მეგობრული შარტები. არასოდეს არ დამევიწყებდა მის მიერ ვალერიანის ბინაში — თეატრული შესახვევი № 7 (ამ ბინაში, სხვათა შორის, მანამდე ცხოვრობდნენ ლალო შესხვილი და შემდეგ ვასო აბაშიძე) მოხატული კედელი. ეს იყო ნამდვილი პანო, რომლისთვისაც შეიძლება გვეწოდებინა „თანამედროვე პანასი“. აქ იყვნენ გამოსახულნი ვამოჩენილი ფრანგი, რუსი და ქართველი პოეტები (მასსოვის, შავალითაძე, რემბო, ვერბანი, ბრიუსოვი, პაოლო, ტიციანი, ვალერიანი, თვითონ პეტრენკო და კიდევ სხვები). ეს პანო გადწყვეტილი იყო ლურჯ, ცისფერ, შავ, ნაცრისფერ და თეთრ ტონებში. ხოლო თავისი სტილით, როგორც მასსოვის, ნახევრად სიურრეალისტური იყო. მოკლედ, ამ უნიკალურ „ფრესკას“ მისი ავტორის საკვირველი პოეტური თანატანისა და ნიჭის დიდი ესვა. მაჭრამ, როგორც ჩანს სხვაანაირად ფიქრობდა ამ ბინის შემდგომი მფლობელი, რომელმაც უმაღლესი გადაღება კედელი, 27 წლის პეტრენკოს ტრაგიკული აღსასხულს დღეს კი, 1936 წლის მაისში, მე პირველად ვნახე ცრემლები ვალერიანის თვალებზე.

რუს მწერალთაგან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბ. პასტერნაკთან, რის შესახებაც ზემოთ ვთქვი. ცნობილია, რომ ზანმოკლე, შავრამ მეგობრული დამოვიდებულება დამყარდა სერგეი ესენინსა და „ცისფერაწველებს“ შორის, რუსი პოეტის თბილისში ყოფნის დროს, 1924 წელს. ტიციან ტაბიძისადმი მოწერილ წერილშიც ესენინი მოკითხვას უთვლიდა „თავის კეთილ მეგობრებს — პაოლოს, ლეონიძესა და ვაჭრინდაშვილს“ (იხ. ამის შესახებ გ. ცურაიკოვას წიგნი „ტიციან ტაბიძე“). ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე კ. ფედინთან, რომელიც თბილისში ყოფნის დროს რამდენაღერმე სტუმრად იყო მეუღლესთან ერთად ვალერიანის ოჯახში (1936 თუ 1937 წელს), აგრეთვე ცნობილ მთარგმნელუბან—ბ. ბრიკთან და ბ. ლიფსიტთან. ვალერი-

ანის რამდენიმე ლექსი თარგმნილი იქნეს ლ. ზანდელშტამს.

ჩვენი ოჯახის ახლობელ ადამიანთა შორის, განსაკუთრებით ვალერიანის ცხოვრების უკანასკნელ წლებში — არ შეიძლება არ ვახსენო ცნობილი ქართველი პედაგოგი, საბავშვო სათამაშოების მუზეუმის დამაარსებელი თინათინ (თიკო) თუმანიშვილი. ეს იყო საოცრად მდიდარი და ფაქიზი სულიერი სამყაროს მქონე ქალი. ყოველდღე ნახულობდა ვალერიანს მისი ავადმყოფობის პერიოდში, მოჰქონდა მისთვის ყვავილები, თიკო თუმანიშვილს ვალერიანმა ორი ლექსი უძღვნა (ქართულ და რუსულ ენებზე).<sup>1</sup> ეთილი სატყელო მინდა მოვიგონო ვალერიანის უახლოესი და საყვარელი ნათესავები, აწ განსვენებული დები ვარვარა და ნინო გაფრინდაშვილები, მშა დავითი, სიძე ალექსანდრე (საშა) კანდელაკი — ცნობილი ექიმი. ისინი თავზე ადგნენ ვალერიანს ავადმყოფობის პერიოდში, უმსუბუქებდნენ მას ტანჯვას.

ნაზი სიყვარულით უყვარდა ბავშვები. დაუსრულებლად ასაჩუქრებდა მათ ტუბიკულუზით, წიგნებით თუ სათამაშოებით, დამახასიათებელია, რომ ჩვენი ოჯახის ყველა ბავშვს უძღვნა ლექსები: თავის ქალიშვილს — „წერილი ნანას“, დისწულს ქ. კანდელაკს — „ჩემს ქეთოს“ (ორივე ეს ლექსი გამოქვეყნებულია), თამარ ჭავჭავაძის ქალიშვილს ლიას — „ლიკა და ზღვა“ და ჩემს ვაჟს გულბას სახუმარო ლექსი „ვაშლიანი მონადირე გულიკო ტორიშის“ (ეს ლექსი არაა დაბეჭდილი). იი ეს ლექსები.

ჩვენი პატარა ველოცო ქალაში ვადასულიყო, მან შოთბი ვადინადირა, ლომნი და მგელნი ატირა. მოკლა თხუთმეტი შელია, სახლში ზეიმით ელან, ველოცოს უცემს გულია, მეღვინით დატვირთულია. იგი სიმღერით ბრუნდება, მაგრამ გზას დიდ ხანს უნდება, ორი დღე-ღამე იარა და წყნეთი ვადმოიარა. უყვე ჩანს დედაქალაქი, მრავალ ღუქნების ალაგი ვინმა და შერი ტორაძე ზედბიან ფიქრის გორაზე, არგვლოვ ტაში და ძახილი, ხალხმა თქვა მისი სახელი.

1. საინტერესოა, რომ პოეტის არქივში დაცულია წერილი თ. თუმანიშვილისადმი, რომელშიც იგი მადლობას უხდის მას ბოძებულ ყვავილებისათვის და უზიარებს ჩაფიქრებული სონეტის პოეტურ შინაარსს.

ეს რა გულადი ბიჭია,  
 მთლად ცარიელი ნიჭია.  
 სწერს მის შესახებ ვაჭეთი:  
 ვეჟაკი უნდა ასეთი,  
 მამ, გაუმარჯოს გულიკოს,  
 შემდგომშიც ვარტყბულიყოს.”  
 (1932 წ.)

30-იანი წლები ე. ვაჭინაძის შემოქმედებით და საზოგადოებრივი საქმიანობის გაფორმების ხანაა. ინტენსიურად მოღვაწეობს იგი, ერთად, მწერალთა კავშირში, როგორც სამდივნოს წევრი, (პასუხისმგებელი მდივანი იყო 1934 წ. 21. IX-დან 1939 წ. 1. X-მდე). მათარგმნელი სექციის თავმჯდომარე და სხვ. ვალერიანი ამ დროის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ფიგურად გვევლინება ქართულ მწერლობაში. მას ხშირად ავალუბენ საპასუხისმგებლო გამოსვლებს საკავშირო და რესპუბლიკურ ტრიბუნალებზე. 1934-1937 წლებში რამდენჯერმე იყო მოსკოვში (ვალერიანის ცხოვრების ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ფაქტების აღდგენაში ვიშველიებ ჩემი დის, ირას ჩანაწერებს დღიურში, რომელსაც იგი სპორადულად აწარმოებდა 1929 წლიდან). მათარგმნელთა საკავშირო კონფერენციაზე (1936 წ. იანვარი) მის გამოსვლას დიდი შთაბეჭდილება მოუტანია. კონფერენციის დამთავრების შემდეგ შეუძღვრებთან ერთად, ერთი კვირით ლენინგრადს გაემგზავრა. ძალიან განიცადა თვისი დედის — ქეთევან მიქაძის ვარდაცვალება, კეთილსინამდვილეში 1935 წ. მარტში (ამ დროს მოსკოვში იყო და სასწრაფოდ უკან დაბრუნდა). ამ წლებში თავის, ოქათთან ერთად, რამდენჯერმე იყო კახეთში (თელავი, ასშეტა), რომელსაც წინათ ცუდად იცნობდა, ახლა კი მიხიბულნი ჩანდა. ეს ამკარად იგრძნობა ლირიულ ლექსებში „ნადიკარი“ და „ერთი დღე ასშეტაში“, რომელსაც ამთავრებდა სიტყვებით: „და თუ სიყვდილი დამედევნება, თავს შევაფარებ ისევ ასშეტას“. ძალიან დაუახლოვდა ჩვენს თელაველ ნათესავებს ვახვახიშვილ-ჭავჭავაძეებს, რის შესახებაც მეტყველებს მისი ორივე შემორჩენილი გულობილი წერილი. უკვარდა აგრეთვე ქვიშხეთი, სადაც არაერთგზის დაუსვენია მწერალთა სახლში.

მრისხანე დაავადების — გულის ატაკის პირველი შემთხვევა განიცადა 1937 წლის 11 ივნისს. შემდეგ ერთი თვე ისვენებდა პორტოში, სადა აბაშელთან ერთად, რომელიც ძალიან უყვარდა. თბილისში დაბრუნებისას კი კვლავ მოუვიდა გულის შეტევა. ვალერიანის ოჯახი ამ დროს წყნეთში იმყოფებოდა. მასსოვს, შუადღისას მე-13 პოლიკლინიკაში, ქავჭავაძის ქუჩაზე, სადაც იმხანად ვმეშაობდი, მომწახა ჩვენების მეზობელმა ქალმა: ვალერიანი ცუდად არის და გათხოვს მიხიდეო — სასწრაფოდ შევიდი. მართლაც, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, სუ-

ლი ვსთებოდა, პანტალონი გაუფუცეთ, რამაც ცოტა უშველა, დიძინა. იმ ზაფხულს შეტევებში აღარ განმეორებია, მაგრამ საერთოდ ძალიან მოტყდა. ფაღმყოფობამ შესცვალა აღმამისი, ნერვიული და გულნათხრობილი გახდა.

მომხვავს ჩემი დის ირას ჩანაწერი დღიურში: „1938 წ. შემოდგომაზე დაიწყო სიარული მწერალთა კავშირში, მაგრამ ჩქარა დაანება თავი, ისევ გულის შეტევები დაეწყო. ძალიან იტანჯებოდა. დაუნიშნეს მკაცრი რეჟიმი: ლოგინში წოლა, წამლები, აუტორალეს მარალიანი სკამელი, მე გამოვთქვი ასრია: ბქნება ზღვამ არგოს-შეთქი. ექიმებმა ნება დართეს და იანვარში მე და ვალერიანი ბათუმში გაემგზავრეთ. იქ, აქარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პარმენ ლორია ძალიან უკრადლებოთ იყო ვალერიანის მიმართ. მოგვითავსეს საუკეთესო სანატორიუმში, ყოველ დღე მოდიოდნენ მწერლები. როცა უცეთ ვახდა, ექიმმა ნება მისცა გაერთ გასვლაში. ზღვის პარას ვავისიონეთი. წიგნის მალახიში შევიდა, წიგნები დაათვალიერა. ამ პატარა გასიერნებას ცუდი შედეგი მოსყვა: ისევ უძილობა და გულის ხუთვა, ისევ ლოგინში წოლა, წამლები. თბილისში დაბრუნების შემდეგ მკაცრი რეჟიმზე იყო. ლოგინში თითქმის 2 თვე იწვია, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. ნელ-ნელა დაიწყო ქუჩაში გამოსვლა, ახლო-შახლო, რასაკვირველია. 1939 წლის ზაფხულს სურამში წავიდიო, ჩასვლისას გაეჩერდიო მწერალ დათიყო სულიაშვილთან. შეირიე დღეს კი ოთახი ვიჭირავეთ. სოფლის დაწყნარებულმა ცხოვრებამ, ბუნებამ კარგად იმეჭმედა ვალერიანზე. ორი თვის განმავლობაში აღარ ქჷონია არც ხუთვა და არც უძილობა. თბილისში დაბრუნებისთანავე დაიწყო ისევ მწერალთა კავშირში სიარული. მე ძალიან წინააღმდეგი ვიყავი. იმ დროს რაღაც არჩვენები იყო კავშირში. ვალერიანეც აირჩიეს... 1940 წ. ზაფხულს ისევ სურამში წავიდიო. ჩვენთან ერთად წამოვიდა ვალერიანის და — ნინა, რომელიც მისი ავადმყოფობის დროს არ მომწირებდა მშას. სურამში პირველ ხანებში უკეთესობა დაიკეთ. ბევრს წერდა. მამინ დაწერა თავისი გვიანდელი საუკეთესო ლექსები: „ფიქრი ლექსებზე“, „ბავშვობა და სიბუბი“ და ბევრი სხვა. სურამიდან სექტემბრის ბოლოს ჩამოვიდიო. სადგურიდან შეიარა თავის უფროს დასთან — ვარიქასთან, ორ დღეს აპირებდა იქ დარჩენას, მაგრამ გულის სისუსტის გამო თითქმის ორ კვირას დარჩა. ამის შემდეგ ცოტა უკეთ იგრძინათ თავი. მე იმედო მომეცა. მარკანაშვილის თეატრის შეკვეთით დაიწყო მუშაობა „რევი ბლახის“ თარგმანზე, რაც დეკემბერში დაამთავრა. ერთ საღამოს ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი ვასო ურუშიაშვილი იყო ჩვენთან და ამ დროს მოუვიდა გულის ძლიერი შეტევა. ახალ წელს კარგად დაჩქდა. ლექსიც

ეს დაწერა („1941 წლის 1 იანვარი“), რომელსაც ამთავრებდა სიტყვებით: „სრული იმედით მე ვუქმობი ესა და მუშაობს“. ეს მისა უკანასკნელი ლექსი იყო. ასალ წელს ვალერიანი ძალიან კარგ გუნებაზე იყო. 10 იანვარს ისევე ცუდად გახდა საშინლად ვანიცდიდა: არ მესმის, რა დამემართა, როგორ კარგად ვიყავი... იტყობა, გრძნობდა სიცილის მოახლოებას. უკანასკნელ თვეებში შეუწყარდა პოეტების ბიოგრაფიების კითხვა. იტყოდა დღემდე: ეჰ, თითქმის ყველა პოეტი ახალგაზრდა ან ზემო წინსა მიმკვდარაო. — გადაიკითხა თვის ძველ ლექსებს. ხანდახან ეჭვი შემებარება ჩემში, როგორც პოეტშიო. გადაიკითხეს შემდეგ დაწინაურდებოდა იშვორებდა ცნობილ ნათქვამს: „მე ესეამ პატარა, მაგრამ საერთო კვიამ“.

იანვარს თვის ბოლოსთვის სულ უფრო და უფრო ცუდად გრძნობდა თავს, დროდადრო კარგავდა გონებას, ბოდავდა. უკანასკნელი დღეები ძალიან მძიმე იყო. 31 იანვარს ღამის პირველ საათზე დალია სული. თავზე ედგნენ მისა და ნინა და სიძე — საშა კანდელაკი“.

ბანაშვილები ვალერიანის ბინაზე — რუსთაველის პროსპექტზე გაიშართა. მახსოვს, ცხარე ცრემლებით მტრალი ვოლაუ ნადირაძე, სომონ ჩიქოვანი, ვერონტი ქიქოძე, ლევან ასათიანი, რაფდენ გვეტაძე, ხარბიონ ვარდოშვილი...

გაზეთებში ზედისეულ 1 და 2 თებერვალს იორა ვრცელი ნეკროლოგი ეძღვნეს. დამკრძა-

ლავ კომისიაში, რომელსაც ლ. ჭაიჭავაძე თანაგრძობარებდა, შედიოდნენ: გ. ლეონიძე, შ. აფხაძე, ს. ზიქოვანი, გ. ქიქოძე, შ. რადიანი, რ. გვეტაძე. გამოსვენება მწერალთა კავშირის შენობიდან მოხდა 2 თებერვალს. ვ. ვაფინდოშვილი დაკრძალეს ვაჟის სასაფლაოზე ერთი წლის შემდეგ ეს ვადასვენეს დიდუბის პანთეონში.

მოგონება ვალერიან ვაფინდოშვილზე მინდა დავამთავრო იმ საღამოს გახსენებით, რომელიც პოეტის ვარდაცვალების ერთი თვის თავზე გაიშართა მწერალთა კავშირის დარბაზში. მისმა კოლისდამ თამარ ქაქვიძემ ისეთი გზნებითა და მხურვალე განცდით წაიკითხა ვალერიანის ცნობილი „ისეთი ლექსი“, რომ უკანასკნელი სტროფის: —

ისეთი ლექსი დაწერო მინდა,  
რომ არ დამჭირდეს კიდევ ცხოვრება,  
და მჯერა, ზემი სიმღერა წმინდა  
სამშობლო მზარეს ემახსოვრება —

დამთავრებისთანავე მთელი დარბაზი, რომელიც სუნთქვაშეკრული და აღღრვებული უსმენდა, თითქმის რომელიღაც ჯადოსნის ბრძანებით, ერთსულოვნად ფეხზე წამოდგა და ოვატა გაუმართა მსახიობს. ბევრის თვალები ცრემლში დაინსლა. ნაადრევად გარდაცლილი პოეტის სულიც ალბათ იმ წუთის იქ სუფევდა.



## წიგნი საქართველოს ახალ ისტორიაზე

ქართული ხალხის მრავალწევრი ისტორიაში კაპიტალისტური ფორმაცია ქრონოლოგიური ჩარჩოების სიმოცილობა და დიდმნიშვნელოვანი მოვლენების სიუხვით გამოირჩევა ამ ეპოქაში (1864—1921 წწ.) საქართველომ დიდ წარმატებას მიაღწია ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განახლების გზაზე. ერთგული თვითშეგნებას ამაღლებამ, სოციალური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებამ მძლავრი ბიძგა მისცა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარებას. ზვენი სამშობლოს ისტორიის აღნიშნულ პერიოდში მოღვაწეობდნენ სახელოვანი თერგდალეულები, უტოპისტ-სოციალისტები და გამათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ეტაპის გამოჩენილი წარმომადგენლები, რომლებიც საერთო სარქვეთო რევოლუციურ მოძრაობაში დიდ როლს ასრულებდნენ. ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი ანტიმონისტური კლასები, რომელთა შორის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ისე სოციალისტური რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური წინამძღვრები.

კაპიტალისტური ფორმაციის კვლევა-ძიებას რევოლუციამდელ საქართველოში შტაკე საძირკველი ვერ ჩაეყარა: ქვეყნის „უსახელმწიფოებრიობა“, ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ავროპოცენტრიზმი, რაც ხალხის ისტორიულ შემოჭრებას უფერულად მოგვს, განაპირობებდა ერთგული მხარის ახალი ისტორიის შეცნობის უფერულად გამოჩენას თითქმის დაუძლეველ წინააღმდეგობებს უქმნიდა.

ბურჟუაზიულმა ეპოქამ ვერც საბჭოთა ხელისუფლების პირველ ოქროსულში მიახლო მკვლევართა დიდი უზრაღობა, შემდეგ კი სწავლულმა საბჭოთა ეკონომისტებმა, ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა კვლევა-ძიების არაერთი თანდათან გადაარათოვეს, შესწავლის ობიექტად გაიხადეს საქართველო ძალთა განლაგების და განვითარების,

გ. მარგიაშვილი. „საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917“, „საბჭოთა საქართველო“, 1976.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის და აზროვნების, ლიტერატურისა და კულტურის პრობლემები. ბურჟუაზიული საქართველოს ისტორიულ პროცესის ბევრი ასპექტი საფუძვლიანად გაშლდა. ბევრი საკითხი კი ან შესწავლულია, ან შეცნობითა დაეის საგნად გადქცეული.

სადაც პრობლემებს შორის ერთი ერთი მთავარი კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარება საქართველოში, რომლის კვლევისას ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ორი ერთმანეთს პრინციპულად საწინააღმდეგო, თვალსაზრისი შეეშადა: მკვლევართა ერთი ნაწილი შავალ-ფეროვანი, მეტწილად საარქივო წყაროების დეტალური შესწავლის საფუძველზე დამაჯერებლად აჩვენებს კაპიტალიზმის გენეზისსა და ახალი ფორმაციის ჩამოყალიბების პროცესს, ბურჟუაზიული საქართველოს საწარმოო, ძალთა განვითარების დონესა და კლასობრივ ძალთა განლაგება-წინააღმდეგობების ხასიათს, მეორე (მცირე) ნაწილი კი საინტერესო წყაროების გამოვლენა-ანალიზს ჯეროვანი გულმოდგინებით არ ეკიდება და უფრო მეტად ზოგადი მსჯელობით კმეოვთვლდება. ეს ავტორები რეგულარულად საქართველოში სიხარული თითქმის ვერ დავეს, კაპიტალიზმის გენეზისსა და განვითარებას მხოლოდ რეფორმის მომდევნო ხანის უკავშირებენ.

XIX საუკუნის საქართველოს სამრეწველო განვითარება სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით კარგადაა გაშკაბული, XX საუკუნის პირველი ოქროსულის სამრეწველო ცხოვრება კი აქამდე თითქმის სრულიად შეუსწავლელი რჩებოდა.

გ. მარგიაშვილის ნაშრომში, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია წინამორბედ, მკვლევართა მიღწევები, მაგრამ იგი მეტწილად პირველწყაროების ანალიზზე დამყარებული ავტორის ფართოდ აქვს გამოყენებული გამოქვეყნებული სტრუქტურული კრებულები, სამთო უწყების, საფაბრიკო და სააქციზო ინსპექციის ყოველწლიური „შოსახეხებები“, კავკასიის ადმინისტრაციის ყოველწლიური „მიმოხილვები“, საბჭოთა საზოგადოებათა ანგარიშები, საფაბრიკო ინსპექტორ-

რევიზორთა მიერ შედგენილი სტატისტიკური ცნობები და ნარკვევები, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის პუბლიკაციები („საისტორიო მოამბე“). გამოკვლევაში თითქმის ყოველ გვერდზეა დამოწმებული სსრ კავშირის, უკრაინის და საქართველოს ცენტრალური არქივთა ფონდების მასალები, რომელთა უმეტესობა ავტორის მიერ პირველადაა შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ცალკეულ საწარმოთა უწყისები და მრეწველ-კაპიტალისტთა პირადი საქმეები, საანტირესო კონკრეტულ მონაცემებს რომ შეიცავენ მუშახელის რაოდენობის, წარმოებული პროდუქციის ღირებულების, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ავტორის უნარი კრიტიკულად შეისწავლოს პირველწყაროები, გააზიაროს ისინი არა სწორი ცნობებისაგან და დეტალური შეყვება-შემოწმების გზით აღადგინოს ჭეშმარიტება, მოგვეცეს ფაქტური ეთარების რეალური სურათი.

რეგის შესავალში მაღალ აფორიულ დონეზე და მკაფიოდ გადმოცემულია ავტორის პოზიცია, წარმოდგენილია ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი. ავტორი ემიჯნება იმ მკვლევარებს, რომლებიც საისტორიო წყაროებს ვეროვნად ვერ ითვალისწინებენ „ისტორიული სქემის“ აბორიული კონსტრუირებას იშვიათად სცილდებიან, რომელ ისტორიულ პროცესებს ხელოვნურად ამარტივებენ, ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების დონეს ამიტომ, საქართველოში განხორციელებულ რევოლუციის უშთაგონსად გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებას მიაწერენ, ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციებისათვის ადგილზე შექმნილ ობიექტური პირობების არსებობას, ნებით თუ უნებლიეთ, ჩქმალავენ.

ნაშრომის პირველ თავში მოკლედია დახასიათებული საკვლევი ეპოქა. ნახვევებია სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების დონე. აქვე საინტერესო მასალის საფუძველზეა გაშუქებული სტრანსპორტო მშენებლობის მასშტაბები, კავშირგაბმულობის საშუალებათა გაუმჯობესების პროცესი.

მეორე თავში გადამამუშავებული მრეწველობის განვითარება შესწავლილია დარგებისა და ფორმების (სტადიების) მიხედვით. მოტანილი მასალის ავტორისეული ანალიზი ცხადყოფს, რომ მიმდინარეობდა წვრილსაქონლური წარმოების კაპიტალისტური ევოლუცია—ხელისნობის, მარტივი კოპერაციისა და მანუფაქტურის ტიპის საწარმოთა ხედალობა წონის შემცირება, მანქანური წარმოების გაფართოება. ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან შესწავლია მრეწველ-ქარხნული წარმოების განვითარების სრული სურათის შექმნა. ყველა ძირითადი ეკონომიური და ტექნიკური მაჩვენებლების მეცნიერულ ანალიზის საფუძველზე წიგნში დიდი სი-

ღრმითაა გაშუქებული მანქანური წარმოების თითქმის ყველა დარგის პროგრესი, მეორე თავში განხილულია, კერძოდ, საწარმოსი დაარსების, მეორეული და შემოთავაზებული მრეწველობა: ტყევისა და ფეხსაცმლის, სპირტიანი სასმელების, მინის, თამბაქოს გადამამუშავებელი, სახნისა და ზეთსახლელო წარმოება. ახლებურად, მეტი მეცნიერული სიღრმითაა გაშუქებული ნაშრომის ბათუმის სამრეწველო ცხოვრების აღმავლობა 1904 წლამდე და მისი დაქვეითების მიზეზები მომდგენო პერიოდში. ამ მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრის მაგალითზე მაგარაინმა კარგად აჩვენა კაპიტალისტური საქართველოს ჩაბმა საქონლის მსოფლიო მარკეტებაში. იქვე ავტორმა გაასწორა ადრე დაშვებული შეცდომა, ცხადყო, რომ ბათუმის მრეწველობის დაცემის უშთაგონი მიზეზი იყო არა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება, არამედ ნაყოფის საერთაშორისო მონოპოლიზაციის შორის გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლა. მისიწარმოებულნი რა რუსული, რუმინული და ამერიკული წავთობის სერთაშორისო ბაზრებზე ხელსაყრელი ვანლაგებისა და მასზე მონოპოლიზირად მაღალი ფასების დაწესებისაყენ, მონოპოლიებში შეწყვეტის ბაქოს ნავთობის ექსპორტი ევრაზიაში, რამაც ბუნებრივია, ბათუმის ვაჭრობა-მრეწველობის დაცემა გამოიწვია. ერთი სიტყვით, სარეცენზიო წიგნის მეორე თავი ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების თითქმის მთელ პროცესზე XIX ს. 30-იანი წლებიდან 1917 წლამდე.

სიახლოე და კვლევის სიღრმით იტყვევ უფრო გამოთარხევა წიგნის შესამე თავი — „საშობო და მეტალურგიული მრეწველობის განვითარება“. კვათერის მარგანეცის მრეწველობა ავტორმა ადრე მონოგრაფიულად შეისწავლა და ცალკე წიგნად გამოისცა, ამიტომ აქ ეს დარგი მოკლედ და დახასიათებული (რაც ქვეყნის ეკონომიკაში მისი ზედრითი წონის დასადაგენად საჭირო სია), მეტი ადგილი აქვს დამოთბილი ქვანახშირის მრეწველობას, თითქმის ამომწურავი სიღრმითაა გაშუქებული ტყეების სახადოთა ექსპლუატაციის ისტორია და ტყეარჩენლის სახადოთა ათვისების წარმომადგენელი ცვლები. გ. მარგანის განსაკუთრებული ყურადღება მიუძღვით აქამდე თითქმის სრულიად შეუწავლეული სპილენძის მრეწველობისათვის. წითელი მეტალის კაპიტალისტური წარმოების ჩნახვის, უახლესი ტექნიკით მისი აღჭურვის, საშობო და მეტალურგიული წარმოების ყველა ძირითადი მაჩვენებლის სრული სურათის წარმოდგენით, ავტორმა ცხადყო, რომ ფრანგული საქციო გაერთიანების კუთვნილი ალავერდის, შამბლედისა და ახტალის საწარმოები, ისევე როგორც ინგლისურ-ამერიკული ფირმის საკუთრებაში მყოფი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ჭინკაო ზევი, ვრგია, ქვარცხანა, შერია) სპილენძის სამიომე-

ტელურგიული ქარხნები, თავისი სიმძლავრით, ტექნიკური აღჭურვილობით და წითელი ლითონის დნობის ტექნოლოგიური ციკლის სრულყოფით, პირველნი იყვნენ რუსეთის იმპერიის მასშტაბით. სპეციალისტისათვის ძნელი არაა იმის შეზენება, რომ წიგნის აღნიშნული მონაკვეთი საქართველოს ისტორიის ახალი ფურცლებია.

წიგნის მეოთხე თავში შეჯამებულია საქართველოს მრეწველობის განვითარების უმოფერესი შედეგები. ნახევრებია ამ პროცესის ძირითადი ტენდენციები და სპეციფიკა, სამრეწველო ვადართაილების თავისებურებანი, მეტროპოლისის ეკონომიური პოლიტიკა და უცხოური კაპიტალის როლი საქართველოს მრეწველობაში. სხვადასხვა ხასიათის მასალის კრიტიკული შეჯამების შედეგად ავტორმა შესძლო დაედგინა კაპიტალური მრეწველობის განვითარების დონე, სამრეწველო პროდუქციის დინამიკა, სხვადასხვა დარგების თანაფარდობა. მოტანილი ცნობების ფაქტობრივად კომპლექსური ცხადყოფს, რომ საქართველოს კაპიტალისტურ მრეწველობისათვისაც იგი დამახასიათებელი კრიზისები, კონკურენცია, წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია იზრდებოდა მსხვილი საქარმოების როლი და მნიშვნელობა, ძლიერდებოდა მეწარმეობის ერთობრივული ფორმებიან კოლექტიური (აქციონერულ) ფორმაზე გადასვლის პროცესი.

სარეცენზიო წიგნი განსაკუთრებით ფასიურია საქციო საზოგადოების როლისა და მნიშვნელობისადმი მიძღვნილი პარაგრაფი. ავტორი დამაყრებლად ასახულებს, რომ საქციო საზოგადოებათა მომარაგება საქართველოშიც იყო კაპიტალისტური წარმოების უმაღლესი განვითარების შედეგი\* (მარქსი). ამ პარაგრაფში დიდძალი, მეტწილად დღემდე უცნობი, მასალა კონცენტრირებულია საქართველოს მრეწველობის დარგებში მოქმედი ადგილობრივი, რუსული, შერეული და უცხოური საქციო საზოგადოებების დამახასიათებლად. ავტორის დასკვნით საქციო საზოგადოებანი, რომელთა უმრავლესობა სამრეწველო აღმავლობის პერიოდში (1895-1900 წ.წ.) ჩამოყალიბდა, დაეუფლნენ მრეწველობის წამყვან დარგებს. როგორც ჩანს ადგილობრივი კაპიტალი მეწარმეობის კოლექტიურ ფორმაზე უფრო წარმატებით გადადიოდა ვიდრე მრეწველობაში, უცხოური კაპიტალი კი — სამთო-მეტალურგიულ მრეწველობაში. უველა სახის საქციო საზოგადოებებში აქტიურად მონაწილეობდნენ ბანკირები, საქართველოშიც მიმდინარეობდა სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმის პროცესი.

წიგნის მესამე თავში გამოწვეულია სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების პროცესი და მუშათა კლასის მდგომარეობა. მართალია, ამ საკითხს გარკვეული ადგილი

ეთმობოდა XIX საუკუნის სამრეწველო ცხოვრებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, აგრეთვე მუშათა მოძრაობაზე დაწერილი გამოკვლევებში, მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების ამ წამყვანი კლასის ეკონომიკური სრული სურათი აქამდე არ ყოფილა მოცემული. სარეცენზიო წიგნის დასაბუთებული თავი მრავალფეროვან წყაროთა მონაცემების დეტალური ანალიზის ნიმუშია. ავტორმა საქართველოს მრეწველობის დარგებისა და ფორმების, ცალკეული საქარმოების მიხედვით დაადგინა სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი, მისი რიგების შევსების წყაროები. კამარჯინის ვანაგაბიშვით საქართველოს კაპიტალისტურ მრეწველობაში 1900 წელს 32600-ზე მეტი, ხოლო 1913 წელს 43400-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. პარალელურად ხელისნერწარმოებაში, რომელიც აგრეთვე, კაპიტალისტურ ევოლუციას განიცდიდა, 1902 წელს 6.000 ოსტატთან ერთად დასაქმებული იყო 14 ათასზე მეტი ქარგალი და შევირდი, ხოლო 1913 წელს შესაბამისად — 5000 და 13521. ავტორის დასკვნით საქართველოს მრეწველობაში, შვენიბლობაში, ტრანსპორტზე ვაჭრობაში, კომუნალურ დაწესებულებებსა და საქალაქო სფეროების სხვა სფეროში დასაქმებულ დამირივებულ მუშათა რიცხვი 1900 წელს 100 ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო (გვ. 487-488). იქვე ნაჩვენებია კარის მუშათა რიგების ჩამოყალიბება, დადგენილია მუშათა ეროვნული შემადგენლობა, წარმოებებში ბაგეფი და ქალთა შრომის გამოყენების მასშტაბი. საფუძვლიანად აქვს გაუმკვეთელი ავტორის მუშათა მდგომარეობა (შრომის პირობები, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, ხელფასის დონე, საყოფაცხოვრებო პირობები, სოლიტერი უფლებობა და სხვა). საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატის სოციალური დამახასიათებელი ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსებად უნდა ჩათვალოს.

გ. მარჯინაძე, პირველმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, გამოიკვლია საჯარბო ინსპექციის საქმიანობა, გამოამკარავე მისი ხასიათი, აჩვენა, რომ საჯარბო ინსპექციის უშუალო მზანს წარმოადგენდა კაპიტალისტურ და მუშათა შორის შუამავლობის გზით საგაფიცო მოძრაობის აღკვეთა. ნაშრომში დამოწმებული მასალიდან ვეებულბოთ, რომ საჯარბო ინსპექციის მოხელეებში მოსალოდნელი გაფიცვის შესახებ შეცევა იცნობებდნენ კეკასის აღმინისტრაციას, ხოლო შემდეგ კი ეხმარებოდნენ პოლიციას გაფიცვის ჩაქრობაში. ბოლო პარაგრაფში შეაფიოდა ნახევრები თეოთმპრობელობის ბრძოლა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

ნაშრომის მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა: 1. წიგნის სტრუქტურა საერთოდ გამართულია, იგი ქრონოლოგიურ-თემატიურ პრინციპებს ემყარება, მაგრამ მონოგრაფიის აგების ამ გეგმას არ ემყარებოდა საქციო საზოგადოე-

ბისაღმა მიმდინილი პარაგრაფი, რომელიც სოფლის მეურნეობისა და სატრანსპორტო მშენებლობასთან ერთად პირველ თავშია შეტანილი. ჩვენის აზრით, ამ პარაგრაფის მოთავსება უფრო მიზანშეწონილი იყო მეხუთე თავში, სადაც შესწავლილია მრეწველობის განვითარების ძირითად ტენდენციები, წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას სააქციო საზოგადოებათა მომზადება წარმოადგენდა.

2. წიგნში ვკითხულობთ: „1881 წელს დაარსდა თბილისის ელექტროტრამვაის სააქციო საზოგადოების სარემონტო სახელოსნო“ (გვ. 175). აღნიშნულ წელს თბილისში ცხენის რკინიგზა (კონკა) მოქმედებდა, ელექტრო ტრამვაი კი ამუშავდა 1901-1904 წლებში. ამდენად, 1881 წელს ელექტროტრამვაის სარემონტო სახელოსნო ვერ დაარსდებოდა.

3. ამერკავკასიის რკინიგზის დამხმარე საწარმოებზე ოფიციალურ მასალაში სახელოსნოების სახელოდებით იხსენიება. გ. მარგალიანი კარგად იცის, რომ „სახელოსნოები“ ფაქტიურად იყო საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფაბრიკულ-ქარხნული საწარმო, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, ტრადიციას უხდის ხარკს და სახელოსნოებს ბრტყალებს ვარგეშე სტოვებს ძალაში. ჩვენის აზრით, აქიბებდა ძველი ტრადიციის დარღვევა და რკინიგზის საწარმოებისათვის რეალური სახელის (ორთქლმავალ ვაგონის შემკეთებელი ქარხანა) შეკეთება.

4. ავტორის განგაარიშებით 1900 წელს საქართველოს სამრეწველო მუშები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 1,63 პროცენტს 1913 წელს კი — 1,71 პროცენტს. განგაარიშების ასეთი პრინციპი ნათელ წარმოადგენს ვერ გვაძლევს მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში შემოთავსება კლასის ნამდვილი ადგილის შესახებ, რადგან მუშათა კატეგორიებიდან გამოირიცხული არიან მათი ოჯახის წევრები, სხვა სოციალურ ფენებში კი ოჯახის წევრებიც შედიან. ამ ნაკლის გამო-

სწორებისათვის საქარო იყო ან მუშათა რიცხვში მათი ოჯახის წევრებიც შეგვეთვინოთ და მუშათა კლასის ხვედრითი წილი დავედგინოთ მომოსტენიანად მოსახლეობასთან მიმართებაში. ამ შეთადონ განგაარიშებისას მივიღებდით, რომ 1913 წელს სამრეწველო პროლეტარიატი შეადგენდა მოსახლეობის 4—5 პროცენტს, მთელი მუშათა კლასი კი — დაახლოებით 20 პროცენტს.

გამოთქმული შენიშვნები არაარსებითი ხასიათისაა. ძირითადად და არსებითში ჩვენ ვეთანხმებით ავტორს, მაღალ შეფასებას ვაძლევთ მის მიერ გაწეულ მუშაობას.

გ. მარგალიანი საესებთა შეასრულა თავისი მიზანდასახულობა, შექმნა საფუძვლიანი და თარიღინალური მონოგრაფია, რომელშიც კაბიტალისტური მრეწველობის განვითარებისა და მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესი გენეტიკურ კავშირშია განხილული. ავტორის ყველეს სფეროშია მოქცეული სამრეწველო განვითარების ყველა ასპექტი — ეკონომიური, ტექნიკური, სოციალური, პოლიტიკური. წიგნში თანაბარი სისრულითაა განხილული მრეწველობის აღმავლობის, დაღმავლობისა და დეგრაციის პერიოდები, რაც ვამუქებულაი რუსეთის სამრეწველო ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კონიუნქტურულ ცვლილებებთან მიმართებაში. ავტორმა დაადგინა კაბიტალისტური საქართველოს სამრეწველო განვითარების ძირითადი ტენდენციები, მისი სფეროთი ღონე, მოგვცა სამრეწველო პროლეტარიატის ეკონომიკური სრული სურათი, წარმოგვიდგინა კაბიტალისტური საზოგადოების ამ წამყვანი კლასის სოციალოგიატური დახასიათება და უოველივე ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ახალი ისტორიის შეცნობის დამუშავების საქმეში.

იბრაჰიმი ბეთოლანა  
პლემასანდრი ბადიანიშვილი

№ 80 год.

ИНДЕКС  
76128

საქართველოს  
საბჭოთავო  
კულტურის  
მინისტროს  
ბიბლიოთეკის  
ინდექსი

**„МНАТОБИ“**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**